


wignis el versia moamzada: DiaDma
DaTuCHam.

diadi datuchas momzadebuli el. wignebis sanaxavad
ewviet jgups:





თავი I

მარია ალექსანდროვნა მოსკალიოვა რომ მორდასოვოს პირველი დამა ბრძანდება, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა, არც არავის ეპარება ეჭვი. თავი ისე მოაქვს, თითქოს არავინ სჭირდებოდეს, პირიქით, ჰგონია, მის გარეშე ცხოვრებას ვერავინ შეძლებს. რაც მართალია, მართალია, იგი არავის უყვარს, ის კი არა და, ზოგიერთი დაუფარავადაც კი გამოხატავს სიძულვილს; სამაგიეროდ, შიში ყველას აქვს, რაც მარია ალექსანდროვნას გულითაც სწადია. მსგავსი მოთხოვნილება კი უკვე დიდი პოლიტიკის მაჩვენებელია. აბა რატომაა, რომ მარია ალექსანდროვნა თავს ისე მოგაჩვენებს, თითქოს მის საზოგადოებაში მხოლოდ მაღალ მატერიებზე უნდა ისაუბრო, რომ მისი თანდასწრებით არავინ უნდა გაბედოს ჭორაობა და ჭორიკანები სირცხვილით უნდა დაიწვან, თუმცა სინამდვილეში თავად ძალიან უყვარს ჭორები (დამე ისე არ დაეძინება, ძილის წინ რაიმე ახალი ამბავი თუ არ შეიტყო). მის შემხედვარეს, თავში არავის მოუვა ამრად, რომ ეს დარბაისელი ქალბატონი მსოფლიოში თუ არა, ქალაქ მორდასოვოში პირველი ჭორიკანა დედაკაცი გახლავთ. მარია ალექსანდროვნამ ამა თუ იმ მორდასოვოელის შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი და სკანდალური ამბები იცის, თუ საჭირო ადგილას და საჭირო დროს ალაპარაკდა, თანაც მას რომ სჩვევია ისეთი დამაჭერებელი ტონით, მტრისას! მაშინ მორდასოვოში ლისაბონის მინისტერა¹ მოხდება. სხვათა შორის, ამ საიდუმლოებებს ის გულში ინახავს და თუ ვინმეს უყვება, ისიც მხოლოდ ახლობელ დაქალებს,

თანაც უკიდურეს შემთხვევაში. ხანდახან მავანსა და მავანს მხოლოდ გადაკვრით ეტყვის, მიანიშნებს და დააფრთხობს, რომ მის შესახებ რაღაც იცის. მას ურჩევნია, ადამიანი განუწყვეტლივ შიშში ჰყავდეს, ვიდრე საბოლოოდ გაანადგუროს. აი ამას ჰქვია ჭკუა, ესაა ტაქტიკა! ჩვენ შორის მარია ალექსანდროვნა ყოველთვის გამოირჩევა უბადო **comme il faut**-თი, ამაში მეტოქე არავინ ჰყავს, ის ყველასათვის მისაბაძია. მაგალითად, მას შეუძლია, ერთი სიტყვით დატანჯოს, მოკლას და გაანადგუროს ადამიანი, რის მონმენიც ჩვენ ხშირად ვყოფილვართ. ამ დროს თავი ისე უჭირავს, თითქოს არც შეუმჩნევია, როგორ წამოსცდა ესა თუ ის სიტყვა. ცნობილია, რომ ასეთი რამ დამახასიათებელია მაღალი წრის საზოგადოების წევრებისათვის. ამგვარი ფოკუსებით პინეტისაც კი ჭიბეში ჩაისვამდა. სხვათა შორის, გავლენიანი ნაცნობობა ჰყავს. მორდასოვოში ჩამოსული მრავალი სტუმარი მისი მასპინძლობით აღფრთოვანებული ბრუნდება ხოლმე შინ და მასთან მიწერ-მოწერას აჩაღებს. ვილაცამ ლექსიც კი დაუწერა, რომელსაც მარია ალექსანდროვნა ყველას უჩვენებს ხოლმე. ერთმა გავლით ჩამოსულმა ლიტერატორმა მოთხრობაც კი უძღვნა, რომელიც მასთან სახლში წვეულებაზე წაიკითხა და ფრიად სასიამოვნო ეფექტი მოახდინა. ერთხელ მორდასოვოში კარლსრუედან საგანგებოდ ჩამოვიდა გერმანელი მეცნიერი, ჩვენს გუბერნიაში გავრცელებული განსაკუთრებული რქიანი ჭიების შესასწავლად. მოგვიანებით, მან ამ ჭიებს ოთხი ტომი მიუძღვნა. ჰოდა, ეს მეცნიერი ისე მოიხიბლა მარია ალექსანდროვნას თავაზიანობითა

და სტუმართმოყვარეობით, რომ კარლსრუედან მასთან დიდხანს აწარმოებდა მოკრძალებულ და გულწრფელ მიმოწერას. მარია ალექსანდროვნას რაღაცით ნაპოლეონსაც კი ადარებენ. რასაკვირველია, ამაზე მისი მტრები ქილიკობენ. მაგრამ ვაღიარებ რა ამ შედარების უცნაურობას, მაინც გავბედავ და დავსვამ ერთ უწყინარ კითხვას: მითხარით, რატომ აებნა ნაპოლეონს თავგზა თავისი გეობის ხანაში? ძირძველი არისტოკრატია ამის მიზეზად იმას თვლიდა, რომ ნაპოლეონი არათუ სამეფო გვარეულობის წარმომადგენელი, კარგი გვარიშვილობის **gentilhomme**-ც კი არ ყოფილა; ამიტომაც, ბუნებრივია, შეეშინდა გეობისა და თავისი ნამდვილი ადგილი გაახსენდაო. მიუხედავად ამ მოსაზრების აშკარა მახვილგონივრულობისა, რომელიც ძველი საფრანგეთის სამეფო კარის ბრწყინვალე ხანას მოგვაგონებს, გავბედავ და ჩემი მხრიდან ვიკითხავ: მაშ, რატომაა, რომ მარია ალექსანდროვნას თავგზა არასოდეს ებნევა და ყოველთვის მორდასოვოს პირველ დამად რჩება?! იყო შემთხვევა, როცა ყველა ამბობდა: `ახლა რაღას იზამს მარია ალექსანდროვნა, როგორ გამოვა ამ რთული მდგომარეობიდანო?~ მაგრამ ეს რთული მდგომარეობაც დგებოდა ხოლმე და ისე ჩაივლიდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ყველაფერი ისევ ძველებურად რჩებოდა, ხანდახან საქმე უკეთესობისკენაც კი შემოტრიალებულა. მაგალითად, ყველას ახსოვს, რარიგ აღაშფოთა ჩვენს ქალაქში ჩამოსული რევიზორი მარია ალექსანდროვნას მეუღლემ თავისი უუნარობითა და ჭკუასუსტობით და

როგორ დაკარგა მან სამუშაო ადგილი. ყველას ეგონა, მარია ალექსანდროვნა სულიერად დაეცემოდა, თავს დაიმცირებდა და ფეხებში ჩაუვარდებოდა რევიზორს - ერთი სიტყვით, ფრთებს ჩამოყრიდა. ნურას უკაცრავად! ეს ქალბატონი მიხვდა, რომ ანი ხვენწა-მუდართ ვერაფერს გახდებოდა და საქმეები ისე მოაკვარახტინა, საზოგადოებაზე თავისი ზეგავლენა ოდნავადაც არ დაუკარგავს. მისი ოჯახი კვლავინდებურად პირველ სახლად დარჩა მორდასოვოში. მარია ალექსანდროვნას დაუძინებელი მტერი, პროკურორის თანამეცხედრე ანა ნიკოლაევნა (მის მეგობრად რომ მოაქვს თავი), ლამის გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ როცა დაინახა, რომ მარია ალექსანდროვნას შერცხვენა ძნელი იყო, დარწმუნდა, რომ ეს ქალბატონი იმაზე მყარად იდგა ფეხზე, ვიდრე მას ეგონა. [55]

რახან ვახსენე, ბარელამ ორიოდ სიტყვას მარია ალექსანდროვნას ქმარზე, აფანასი მატვეიჩზედაც მოგახსენებთ. უპირველეს ყოვლისა, ის ფრიადმონწესრიგებული, საკმაოდ წარმოსადეგი მამაკაცი გახლავთ, მაგრამ კრიტიკულ შემთხვევაში ბრინჯივით იბნევა და ცხვარივით გამოშტერდება ხოლმე. წვეულებებზე თეთრ ჰალსტუხში გამოპრანჭული არაჩვეულებრივად მომხიბვლელად გამოიყურება. მაგრამ მისი წარმოსადეგობა და მომხიბვლელობა მანამ გრძელდება, სანამ ხმას ამოიღებს. აქ უკვე, დიდი ბოდში, ყურები თითებით უნდა დაიცო. ამკარაა, რომ მარია ალექსანდროვნას ღირსი არ არის. ამას ყველა ამბობს. სამსახურიც ცოლის გენიალობის წყალობით ჰქონდა მიღებული. მე რომ მკითხოთ, ბოსტანში საფრთხობელადდუფრო

გამოდგება, მხოლოდ და მხოლოდ იქ თუ შეძლებს მამულისათვის სარგებლობის მოტანას. ამიტომაც მარია ალექსანდროვნა მართებულად მოიქცა, როცა თავის მეუღლეს სოფელში უკრა თავი. ეს სოფელი ქალაქიდან სამი ვერსის დაშორებით მდებარეობს, იქ ასოცი სული ყმა ჰყავთ - სხვათა შორის, ესაა მარია ალექსანდროვნას მთელი ავლადიდება, რის საშუალებითაც ახერხებს ოჯახის ავკარგიანობის შენარჩუნებას. ყველა მიხვდა, თურმე აქამდე მარია ალექსანდროვნა აფანასი მატვეიჩთან მხოლოდ იმიტომ ცხოვრობდა, რომ ქმარი მსახურობდა, კარგი ჯამაგირი... და კიდევ სხვა შემოსავალი შემოჰქონდა ოჯახში. როგორც კი სამსახური დაკარგა და ოჯახში არაფრის შემომტანი გახდა, უმაღვე სახლიდან მოიშორა, როგორც უვარგისი და სრულიად გამოუყენებელი ნივთი. ამიტომაცაა, რომ მარია ალექსანდროვნას გონივრული გადაწყვეტილების გამო ყველა აქებს. აფანასი მატვეიჩი კი სოფელში არხეინად ცხოვრობს. ერთხელ მეც შევიარე მასთან და ერთი საათი სიამოვნებით დავყავი. ჰალსტუხების ზმანვასა და ჩექმების საკუთარი ხელით გაპრიალებაში ატარებს დროს, სადმე ნასასვლელად კი არ სჭირდება, არა, მარტოდენ ხელოვნების სიყვარულის გამო, მოსწონს გაპრიალებული ჩექმებით კოხტაობა. ჩაის დღეში სამჯერ მიირთმევს, ბანაობაზე ჯკუას კარგავს და - უზომოდ კმაყოფილია. გახსოვთ ალბათ, რა არასასიამოვნო ამბავი გადახდა თავს წლინახევრის წინ ზინაიდა აფანასიევნას, მარია ალექსანდროვნასა და აფანასი მატვეიჩის დედისერთას? თქმა არ უნდა, ოცდასამი წლის ზინაიდა უდავოდ

ულამაბესი და კარგად აღზრდილი ქალია, მაგრამ - გაუთხოვარი. იმ მიზეზთა შორის, რის გამოც ბინაიდა გაუთხოვარი დარჩა, ერთ-ერთს იმ ბოროტ ჭორს ასახელებენ, რომელიც ამ წლინახევრის წინათ გავრცელდა ბინაიდასა და მამრის მასწავლებლის უცნაური კავშირის გამო, - ამაზე ლაპარაკი ენაჭარტალებს დღესაც არ სწყი-ნდებათ. დღემდე იხსენებენ ბინას მიერ დანერგულ რომელიდაც სასიყვარულო ბარათს, რომელიც თითქოს მორდასოვოში ხელიდან ხელში გადადიოდა. მაგრამ ერთი მითხარით: ვინ ნახა ეს ბარათი? ამ ბარათის შესახებ ყველას რაღაცა სმენია, თვალთ კი არავის უნახავს. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია კაცი, ვისაც ეს ბარათი საკუთარი თვალთჳჳონდეს ნანახი. ამის შესახებ გადაკვრით რომ გეტქვათ მარია ალექსანდროვნასათვის, თავს ისე მოგაჩვენებდათ, თითქოს არაფერი გაუგია. ახლა დავუშვათ, რომ რაღაც ამგვარი მოხდა და ბინამ დანერა ის ბარათი (მე ვფიქრობ, ასეც იყო): მაინც რა მოხერხებული დედაკაცია მარია ალექსანდროვნა! არ გინდა ასეთი უხერხული და სკანდალური საქმის მიჩუმათება?! იმ ბარათის ნიშან-კვალიც კი გაქრა! მარია ალექსანდროვნამ ფეხებზე დაიკიდა ეს საზიზღარი ცილისნამება; ამავე დროს, ღმერთმა უწყის, რა ძალისხმევა დასჭირდა, როგორი მუშაობა გასწია, რომ გადაერჩინა თავისი ასულის ღირსება. ბინა რომ გასათხოვარი დარჩა, ესეც გასაგებია: აბა ვინაა მორდასოვოში მისი შესაფერისი. მისი ღირსი მხოლოდ ტახტის მემკვიდრე უფლისწული თუ იქნება. გინახავთ ვინმე ბინასნაირი მზეთუნა-ხავი? რაც მართალია, მართალია, ბინა ამაყია,

მეტისმეტად ამაყი. იმასაც ამბობენ, მასზე დაქორწინება მოზგლიაკოვს უნდაო, მაგრამ არა მგონია, ეს კავშირი შედგეს. ვინაა მოზგლიაკოვი? მართალია, ეს ახალგაზრდა, კარგი გარეგნობის ფრანტი გახლავთ, თანაც პეტერბურგში დაუგირავებელი ასორმოცდაათი სული ყმის მებატონე, მაგრამ თავქარიანი, ქარაფშუტა და ყბედია, თანაც რაღაც ახალ-ახალი იდეებით შეწუხებული! ანდა რის მაქნისია ასორმოცდაათი ყმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალი იდეებით ხარ შეპყრობილი? არა, ამ ქორწინებას დღე არ უნერია...^[55]

ჩემო კეთილმოსურნე მკითხველო, რაც აქამდე წაიკითხე, ამ ხუთიოდე თვის წინ გრძნობამორეულმა დავნერე. გამოგიტყდებით, მარია ალექსანდროვნას მიმართ გულგრილი არა ვარ. მინდა ამ დიდებული ქალბატონის შესახებ რამდენიმე საქებარი სიტყვა მოგახსენო და თხზულებას მეგობრისადმი მიწერილი სახუმარო წერილის ფორმა მივცე, მსგავსად იმ წერილებისა, რომლებიც ოდესღაც, ძველად, ოქროს ხანის (მადლობა ღმერთს, აღარ დაბრუნდება ის დრო) პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა. მაგრამ რამდენადაც არ მყავს არანაირი მეგობარი, თანაც თანდაყოლილი ლიტერატურული გაუბედაობა მახასიათებს, ჩემმა თხზულებამ მაგიდის უჭრაში დაიდო ბინა, როგორც ლიტერატურულმა ცდამ და მოცალეობის ჟამს უწყინარი გართობით მიღებული სიამოვნების შესახებ ხსოვნამ. გავიდა ხუთი თვე და მორდასოვოში საოცარი ამბავი მოხდა: ერთ დილით ჩვენს ქალაქს ეწვია კნიაზი ვ. და მარია ალექსანდროვნას სახლში დაიდო ბინა. კნიაზმა მორდასოვოში სამი

დღე დაყო, მაგრამ ამ სამი დღის განმავლობაში ნარუმული შთაბეჭდილება დატოვა. უფრო მეტიც: კნიაზმა ჩვენს ქალაქში გადატრიალება მოახდინა. მოთხრობა ამ გადატრიალების შესახებ მორდასოვული ქრონიკების დიდმნიშვნელოვან ფურცლებს წარმოადგენს. როგორც იქნა, ცოტაოდენი მერყეობის შემდეგ სწორედ ამ ფურცლების ლიტერატურული დამუშავება გადაწყვიტე და ახლა, დიდად პატივცემულო მკითხველო, თქვენს სამსჯავროზე წარმოვადგენ. ჩემს თხზულებაში მოთხრობილია მარია ალექსანდროვნასა და მისი ოჯახის ზეობის, დიდებისა და დიდის ამბით დაცემის სრული და მშვენიერი ისტორია. ასეთი თემა ძალზე საპატიო და მაცდუნებელია მწერლისათვის. რა თქმა უნდა, წინასწარ უნდა აგისხნათ, რა არის საკვირველი იმაში, რომ კნიაზი ვ. ჩვენს ქალაქს ეწვია და მარია ალექსანდროვნასთან გაჩერდა. ამისათვის, ცხადია, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თვითონ კნიაზ ვ.-ზე. ამასაც ვაპირებ. რადგან, აუცილებელია, ამ პიროვნების ბიოგრაფიის ცოდნა, მოთხრობას რომ შემდგომი მსვლელობა მივცეთ. მაშ ასე, ვიწყებ. ^[P]_[SEP]

^[P]_[SEP]

თავი II ^[P]_[SEP]

დავიწყებ იმით, რომ კნიაზი ვ., ღმერთმა უწყის, რა ხნის იქნებოდა. იმდენად მიხრწნილად და დაჩაჩანაკებულად გამოიყურებოდა, მის შემხედვარეს, უნებურად ერთი აზრი გაგიჩნდებოდა - არიქა, სადმე კისერი არ მოიტეხოსო. მორდასოვლოში მის შესახებ უამრავ უცნაურ ამბავს ჰყვებოდნენ. იმასაც კი ამბობდნენ, ბებერმა ააფრინაო.

ყველაზე უცნაურად ის ეჩვენებოდათ, რომ ოთხი ათასი სული ყმის ბატონი, მემამულე, დიდებული გვარიშვილი, რომელსაც შეეძლო, მნიშვნელოვანი გავლენა მოეპოვებინა გუბერნიაში, სადღაც მამულში განმარტობით ცხოვრობდა. ვინც კი მას ამ ექვსი თუ შვიდიოდე წლის წინ იცნობდა, როცა ის მორდასოვოს სტუმრობდა, ყველა ირწმუნებოდა, კნიაზი მარტოობას ვერ იტანდაო. ახლა კი უფრო დანვრილებით გაიმბობთ, რაც შევიტყვე მის შესახებ.^[56]

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ჭაბუკი კნიაზი ბრწყინვალე ცხოვრებას ეწეოდა: დარდიმანდობდა, რომანსებს მღეროდა, უყვარდა ქალები, კალამბურები და ოხუნჯობა. რამდენჯერმე საზღვარგარეთაც კი იცხოვრა. რადგან დიდი ჭკუა-გონებით არ გამოირჩეოდა, რასაკვირველია, მთელი თავისი ქონება გაანიავა და მოხუცებულობის უამს თითქმის უკაპიკფულოდ დარჩა. როდესაც მის მამულს საჯაროდ გაყიდვა დაუპირეს, ვიღაცამ ურჩია, გამგზავრებულიყო მამულში. მან აიკრა გუდა-ნაბადი და თავისი სოფლისაკენ გაუდგა გზას. გზად მორდასოვოში შემოიარა, სადაც, ისე მოეწონა ჩვენი გუბერნიული ცხოვრება, ბუსტად ექვსი თვე დაჰყო. ამ ექვსი თვის მანძილზე ისიც მიახარჯა, რაც დარდიმანდობასა და გუბერნიის ბანოვანებთან სასიყვარულო ინტრიგებში გადარჩენოდა. გულკეთილი ადამიანი იყო, თუმცა განსაკუთრებული ბატონკაცური მანერებით გამოირჩეოდა. ამას მორდასოვოელები მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა დამახასიათებელ ნიშნად თვლიდნენ და ამიტომ ეს თვისება უკმაყოფილებას კი არ იწვევდა, პირიქით, რაღაცნაირ ეფექტსაც

ახდენდა. განსაკუთრებით მდებრობითი სქესი ვერ მალავდა გაუთავებელ აღტაცებას ჩვენი ქალაქის სანდომიანი სტუმრით. იმ დროიდან ბევრი საინტერესო მოგონება შემოგვრჩა. სხვათა შორის, იგონებდნენ, რომ კნიაზი ნახევარ დღეს მორთვა-მოკაზმვას ანდომებდა და მისი სხეული ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს რაღაც ცალკეული ნაწილებისაგან შედგებო. არავინ იცოდა, სად და როდის მოასწრო ასე ნაწილ-ნაწილ დაშლა. პარიკს, უღვაშებს, ბაკენბარ-დებს და ესპანიოლასაც¹ კი ატარებდა - ყველაფერი, უკანასკნელ ბალნამდე ჩინებული შავი ფერისა ჰქონდა. თურმე ყოველდღე ფერუმარილს იცხებდა. დარწმუნებულები იყვნენ, სახის ნაოჭებს თმებში ჩამაგრებული რაღაცნაირი გამზარებით იჭიმავდაო. არც იმაში ეპარებოდათ ეჭვი, რომ კნიაზი კორსეტს ატარებდა, თურმე იტალიაში ერთ-ერთი სასაყვარულო თავგადასავლის დროს ფანჯრიდან გადმოხტომისას ნეკნები ჩამტვრევია. მარცხენა ფეხით კოჭლობდა; ამტკიცებდნენ, ეს ფეხიც ხელოვნური ჰქონდაო, ნამდვილი ფეხი პარიზული თავგადასავლის დროს მოუტეხია და განსაკუთრებული კორპის ხის პროთეზით შეუცვალესო. ისე კი, რას არ იტყვის ხალხი? თუმცა კნიაზს შუშისაგან ოსტატურად დამზადებული მარჯვენა თვალი და ნაირ-ნაირი ლითონის კომპოზიციის კბილები აშკარად ეტყობოდა. დასაბანად ყოველდღიურად სხვადასხვა დაპატენტებულ წყალს ხმარობდა, სუნამოს ისხურებდა და პომადას ისვამდა. ისიც ახსოვთ, რომ ჯერ კიდევ მაშინ კნიაზი საკმაოდ მოტეხილად გამოიყურებოდა და აუტანლად ენად გაკრეფილი იყო.

ჩანდა, მისი კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა. ყველამ იცოდა, რომ იმუამად ჭიბეში გრომ-კაპიკიც აღარ უჭყაოდა. ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, პარიზში მცხოვრები, ძალზე ბებრუხანა, უახლოესი ნათესავი გარდაეცვალა, რომლისგანაც კნიაზი სულაც არ მოელოდა მემკვიდრეობას. სანყალმა დედაბერმა თავისი კანონიერი მემკვიდრის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ განუტევა სული და კნიაზი უეცრად მისი კანონიერი მემკვიდრე გახდა. ანდერძით ოთხი ათასი სული ყმა და დიდებული მამული მიიღო, მორდასოვოდან ბუსტად სამოცი ვერსის მოშორებით და, რაც მთავარია, მოზიარის გარეშე. კნიაზმა სასწრაფოდ გადაწყვიტა საქმეების მოსაგვარებლად პეტერბურგში გამგზავრება. ჩვენი ქალაქის ქალბატონებმა ფული შეაგროვეს და ძვირფასი სტუმრის გაცილების აღსანიშნავი დიდებული სადილი მოაწყვეს. ყველას ახსოვს, იმ გამოსათხოვარ სადილზე კნიაზი რა საყვარლად მხიარულობდა, კალამბურობდა, ოხუნჯობდა, არაჩვეულებრივ ანეკდოტებს ჰყვებოდა და მორდასოვოელებს დაჰპირდა, რომ დუხანოვოში (თავის ახალ მამულში) ჩასვლისთანავე გაუთავებელ დღესასწაულებს, პიკნიკებს, ბალებს და ფოიერვერკებს გამართავდა. მისი წასვლის შემდეგ მორდასოვოელ ქალბატონებს მთელი წელიწადი პირი არ გაუჩერებიათ კნიაზის დაპირებულ დღესასწაულებზე ლაპარაკით და მოუთმენლად ელოდნენ საყვარელ ბერიკაცს. ამ მოლოდინის პერიოდში არაერთხელ გაემგზავრნენ დუხანოვოში, სადაც მოინახულეს ძველებური სასახლე და ბაღი - გასხლული აკაციების ლომებით, ხელოვნური ყორღანებით,

ფანჩატურებით, პავილიონებით, მონპლემბირებით, ნავებიანი წყალსაცავებითა და სხვადასხვა თავშესაქცევი გასართობით.^[P SEP]

ბოლოს და ბოლოს კნიაზი დაბრუნდა, მაგრამ ყველას გასაკვირად, მორდასოვოში არც კი შეუვლია, პირდაპირ დუხანოვოში ჩავიდა და კარჩაკეტილ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საერთოდ, კნიაზის ცხოვრების ეს პერიოდი ბურუსით იყო მოცული. ამბობდნენ, თითქოს კნიაზმა პეტერბურგში ყველაფრის მონესრიგება ვერ შეძლო, თითქოს ზოგიერთ ნათესავს, რომელიც მომავალში მისი მემკვიდრე უნდა გამხდარიყო, მოუნდომებია მასზე მეურვეობის დანესება, კნიაზის ჭკუასუსტობის გამო, ალბათ, იმის შიშით, ვაითუ, ქონება კვლავ წყალს გაატანოსო. უფრო მეტიც: ზოგიერთი ამბობდა, ვითომდა კნიაზს საგიჟეთში გამომწყვდევასაც კი უპირებდნენო, რომ არა ერთიმისი ნათესავი, ფრიად დიდი კაცი, რომელმაც გადაარჩინა და ნათესავებს დაუმტკიცა, რომ კნიაზი ისედაც ბებერია, ცალი ფეხი სამარეში აქვს, მალე წერილს წაიღებს და მთელი ქონება ისედაც ჩვენ დაგვრჩებაო. ვიმეორებ: რას არ იტყვის კაცი, განსაკუთრებით ჩვენთან, მორდასოვოში? როგორც ამბობდნენ, ყოველივე ამან ძალიან შეაშინა კნიაზი, იმდენად დაფრთხა, რომ ხასიათი სულმთლად შეეცვალა და კარჩაკეტილი ცხოვრება დაიწყო. ზოგ-ზოგი მორდასოვოელი ცნობისმოყვარეობის გამო კნიაზს დუხანოვოში მისალოცად ეწვია, მაგრამ - ან არ მიიღეს, ანდა განსაკუთრებით უცნაურად შეხვდნენ. კნიაზმა თავისი ძველი ნაცნობები ვერც იცნო. თუმცა იმასაც ამტკიცებდნენ, თავი მოაჩვენა, ვითომ ვერ

კნიაზი გუბერნატორმაც მონახულა. დუხანოვოდან დაბრუნებულმა გუბერნატორმა განაცხადა, ჩემი ამრით, კნიაზმა ცოტა აურიო. შემდგომში კი, ყოველთვის უსიამოვნოდ იგონებდა ხოლმე დუხანოვოში სტუმრობას. ჩვენი ქალბატონები ხმამაღლა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. დაბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი ამბავი შეიტყვეს: თურმე კნიაზს პატრონობს ვიღაც, ყველასათვის უცნობი, პეტერბურგელი ხანშიშესული სქელი დედაკაცი, სტეპანიდა მატვეევნა, რომელიც ჩითის კაბაში გამოწყობილი დაიარება და ხელით გასაღებების აცმას დაატარებს; კნიაზი ამ დედაკაცს ბავშვივით უჭერებს და მის უნებართვოდ ნაბიჯსაც არ დგამს; ეს დედაკაცი თვითონ აბანავებს კნიაზს, და როგორც ბავშვს, ისე ანებივრებს და ეთამაშება; ისაა, გადაფაფრული რომ იცავს კნიაზს მნახველებისგან, განსაკუთრებით, ნათესავებისაგან, რომლებმაც თანდათან მოუხშირეს დუხანოვოში სადაზვერვო ვიზიტებს. მორდასოვლოში ბევრს მსჯელობენ ამ უცნაურ ურთიერთობაზე, განსაკუთრებით, მანდილოსნები. ყოველივე ზემოთ თქმულს უმატებდნენ, რომ სტეპანიდა მატვეევნა კნიაზის მამულს განუსაზღვრელად განაგებს; მისი ნებართვით ხდება მოურავების, მსახურებისა და მოახლეების მიღება და გადაყენება, გადასახადების აკრეფა; მაგრამ იგი მამულს კარგად მართავს და ყმა-გლეხობაც ძალიან ემადლიერება. რაც შეეხება კნიაზს, ის დღის უმეტესობას მორთვა-მოკაზმვას უნდებდა, იზომებს პარიკებსა და ფრაკებს. დანარჩენ დროს კი სტეპანიდა მატვეევნასთან ერთად

ატარებს, ხან კობირობანას თამაშობენ, ხანაც მკითხაობენ. ხანდახან კნიაზი მშვიდი ინგლისური ჭაკით გაისეირნებს ხოლმე, ამ დროს აუცილებლად ახლავს თან სტეპანიდა მატვეენა, გადახურული დროგით, ისე, ყოველი შემთხვევისათვის, რადგან კნიაზს ცხენით გასეირნება კეკლუცობის გამო სურს, მაგრამ უნაგირზე ძლივს იკავებს თავს. ხანდახან ფეხით მოსეირნეც უნახავთ, პალტოთი, განიერი შლაპით, ყელზე მოხვეული ვარდისფერი, ქალის შარფით, შუშის თვალითა და სოკოთი და ღიღილოებით სავსე ჭილის კალათით. სტეპანიდა მატვეენა ამ დროსაც განუყრელად თან ახლავს, მათ უკან ორი აყლაყუდა ლაქია მოსდევთ და ეტლი, ყოველი შემთხვევისათვის. როცა გზად ვინმე გლეხი შემოეყრებათ, გლეხი გვერდზე გადგება, ქუდს მოიხდის, წელში მოხრილი თაყვანს სცემს და წარმოთქვამს: 'გამარჯობა, დიდო კნიაზო, თქვენო ბრწყინვალეებავ და ჩვენო ცხრათვალა მზევ!~ - ამ დროს კნიაზი ლორწეტს მოიმარჯვებს და ალერსიანად უპასუხებს: 'Bonjour, mon ami, bonjour!~ კნიაზის შესახებ ბევრი ამდაგვარი ჭორები დადიოდა მორდასოვოში, რადგან მისი დავინწყება ვერაფრით შეძლეს, ის ხომ ყურის ძირში, მორდასოვოსთან სულ ახლოს ცხოვრობდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დილას მორდასოვოში ხმა გავარდა, ეს მარტოსული, ახირებული კნიაზი მარია ალექსანდროვნას სტუმრად ეწვიაო. ამ ამბავმა საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია. ყველა აფორიაქდა, ყველა ახსნა-განმარტებას ელოდა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ნეტა, ეს რას უნდა ნიშნავდესო? ზოგი მაშინვე აპირებდა მარია ალექსანდროვნასთან მისვლას.

ქალებმა ერთმანეთთან მიმოწერა გააჩაღეს, ქმრებსა და მსახურებს დასაზვერად აგზავნიდნენ. ყველაზე მეტად კი ის უკვირდათ, რატომ მაინცდამაინც მარია ალექსანდროვნასთან გაჩერდა კნიაზი და არა სხვა ვინმესთანო? ყველაზე მეტად ანა ნიკოლაევნა ანტიპოვა ნუხდა, რადგან კნიაზი მას შორეულ ნათესავად ერგებოდა. ეს საკითხები რომ გავარკვიოთ, აუცილებელია, ვწვიოთ მარია ალექსანდროვნას, რომელთანაც სიამოვნებით ვეპატიჟები კეთილმოსურნე მკითხველს. მართალია, ახლა ჯერ კიდევ დილის ათი საათია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მარია ალექსანდროვნა უარს არ იტყვის ახლო ნაცნობების მასპინძლო-ბაზე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აუცილებლად მიგვიღებს.

[P]
[SEP]

თავი III [P] [SEP]

დილის ათი საათია. ჩვენ ვიმყოფებით მარია ალექსანდროვნას სახლში, დიდ ქუჩაზე. სწორედ იმ ოთახში, რომელსაც ოჯახის დიასახლისი საზეიმო დღეებში სალონს უწოდებს. ამას გარდა, მარია ალექსანდროვნას ბუდუარიც აქვს. სალონში იატაკი გვარიანადაა შეღებილი. კედლებზე არც თუ ურიგო უცხოური შპალერია გაკრული. საკმაოდ მოუხერხებელ ავეჯზე ნითელი ფერი ჭარბობს. ოთახს ბუხარიც აქვს, რომლის თავზეც სარკე კიდია. სარკის წინ მდარე ხარისხის ბრინჯაოს ამურიანი საათი დგას. ფანჯრებს შორის, კედლებზე, კიდევ ორი სარკეა ჩამოკიდებული, რომლებიდანაც შალითების ჩამოხსნა უკვე მოუსწრიათ. სარკეების წინ მდგარ მაგიდებს

საათები ამშვენებს. უკანა კედელთან ზინასათვის შეძენილი მშვენიერი როიალი დგას. ზინა ხომ მუსიკოსია. ანთებული ბუხრის ახლოს სავარძლები და პატარა მაგიდაა განლაგებული. ოთახის მეორე ბოლოში კი კიდევ ერთი მაგიდაა, რომელზედაც თვალისმომჭრელად ქათქათა სუფრაა გადაფარებული. მაგიდაზე ვერცხლის სამოვარი თუხთუხებს, იქვე დევს კარგი ჩაის სერვიზი. მარია ალექსანდროვნას სახლში სამოვრისა და ჩაის საქმე ოჯახის შორეულ ნათესავს, ნასტასია პეტროვნა ზიებლოვას ევალება. ორიოდვე სიტყვას ამ ქალბატონის შესახებაც მოგახსენებთ. ასე ოცდაათს გადაცილებული, სანდომიანი, კარგი სახის კანის მქონე, ცოცხალი და მუქი თაფლისფერთვალა ქვრივი გახლავთ - მხიარული, ხითხითა, თანაც ძალიან ეშმაკი, თავისთავად ცხადია, ჭორიკანა და კარგად ეხერხება თავისი საქმეების მოკვარახტინება. ორი შვილი ჰყავს, რომელიც სადღაც სწავლობს. ძალიან უნდა კიდევ გათხოვება. თავი საკმაოდ თავისუფლად უჭირავს. ქმარი სამხედრო ოფიცერი ჰყავდა. ღია მწვანე კაბაში გამონყობილი მარია ალექსანდროვნა ბუხართან ზის. იგი მშვენიერ ხასიათზეა და კაბის ფერიც ძალიან უხდება. კნიაზის სტუმრობამ ფრიად გაახარა. კნიაზი კი ამ ნუთებში მეორე სართულზე იკაბმება. მარია ალექსანდროვნა ისეა აღფრთოვანებული, არც ცდილობს ამის დაფარვას. მის წინ თავს ინონებს ახალგაზრდა კაცი, რომელიც რაღაცას გულმოდგინედ ჰყვება. თვალეში ეტყობა, რომ უნდა, მსმენელებს ასიაშოვნოს. ქერათმიანი, თვალად კარგი, უზადოდ ჩაცმული, ასე, ოცდახუთი წლის ჭაბუკი იქნება. კარგი მანერები აქვს,

მაგრამ ხშირად აღგზნებული წამოიყვრება ხოლმე, გარდა ამისა, მახვილგონიერებისა და იუმორის დიდი პრეტენზია გააჩნია. ჩვენ უკვე მოგახსენეთ მის შესახებ: ეს გახლავთ ბატონი მოზგლიაკოვი - მასზე დიდ იმედს ამყარებენ. თუმცა მარია ალექსანდროვნა გულში ფიქრობს ხოლმე, ამ ჭაბუკს თავში ცოტა უქრისო, მაგრამ სახლში ყოველთვის კარგად იღებს. იგი ზინას ხელის მთხოვნელია და, როგორც თვითონ ამბობს, მასზე უგონოდ შეყვარებული. ის ახლაც, ლაპარაკის დროს, ყოველ წუთში ზინას გადახედავს ხოლმე, უნდა, თავისი მახვილგონიერებითა და ოხუნჯობით გაამხიარულოს. ქალს ამკარად ეტყობა, რომ ვაჟის მიმართ გულგრილი და უსულგულო დამოკიდებულება აქვს. ამ წუთებში ზინა როიალთან დგას და კალენდარს ფურცლავს. იგი ქალთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, საზოგადოებაში გამოჩენისთანავე საყოველთაო აღტაცებას რომ იწვევენ. მაღალი, ტანკენარი, შავგვრემანი ქალია, თითქმის შავი თვალები, საუცხოო, ხორცსავსე ძუძუ-მკერდი, ანტიკური მხრები და მკლავები, მომხიბლავი ფეხები, დედოფლის მიხვრა-მოხვრა აქვს - როგორც იტყვიან, კალმით ნახატიან. დღეს ფერმკრთალი ჩანს, სამაგიეროდ, მისი საოცრად მოხატული ტუჩები ნითლად ღუის, ბაგეებს შორის მარგალიტებად ასხმული პატარა კბილები ერთხელ რომ იხილო, სამი ღამე დაგესიზმრება. სერიოზული და მკაცრი გამომეტყველება აქვს. ბატონ მოზგლიაკოვს თითქოს ეშინია მისი დაჟინებული მხერის, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ეხამუშება, როდესაც მაინც გაბედავს და ზინას თვალს გაუსწორებს, ქალის თვალები

სიცივესა და ქედმაღლობას აფრქვევს. თეთრი, მარმაშინი კაბა აცვია, რომელიც მეტისმეტად შვენის; თუმცა მას ყველაფერი უხდება. თითზე ვილაცის თმისაგან დანწული ბეჭედი უკეთია - თმის ფერის მიხედვით, დედამისისა არ უნდა იყოს. მოზგლიაკოვი ვერასოდეს გაბედავს, ჰკითხოს: ვისი თმებიანო? ამ დილით ბინა განსაკუთრებით ჩუმი და სევდიანია, თითქოს რაღაც ანუხებსო. სამაგიეროდ, მარია ალექსანდროვნა მზადაა, გაუთავებლად ილაპარაკოს. შიგადაშიგ ბინას ისე ნაჩუმათევად, რაღაცნაირი დაეჭვებით გადახედავს ხოლმე, თითქოს მასაც ბინას შიში აქვსო. ^[P]_[SEP]

- ისეთი გახარებული ვარ, პაველ ალექსანდროვიჩ, - აქაქანდა მარია ალექსანდროვნა, - ლამისაა ფანჯარაში გადავდგე და ქვეყანას შევატყობინო. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რა სასიამოვნო სიურპრიზი გაგვიკეთეთ მე და ბინას, დაპირებულზე ორი კვირით ადრე რომ ჩამოხვედით, ამას ლაპარაკი არ უნდა! ძალიან მიხარია, ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი კნიაზი რომ აქ მოიყვანეთ. თქვენ არც კი იცით, როგორ მიყვარს ეს სანდომიანი მოხუცი! არა, არა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ! თქვენ, ახალგაზრდები, ვერ გაიგებთ, როგორაც არ უნდა გარწმუნოთ! იცით, ის ადრე, ამ ექვსიოდე წლის წინათ, ჩემთვის რა იყო, გახსოვს, ბინა? თუმცა შენ საიდან გემახსოვრება, შენ ხომ მაშინ დეიდასთან სტუმრობდი... არ დაიჭერებთ, პაველ ალექსანდროვიჩ, მე ვიყავი მისი ხელმძღვანელი, და, დედა! ბავშვივით მიჭერებდა! ჩვენი ურთიერთობა იყო რაღაცნაირად ნაზი, გულუბრყვილო, კეთილშობილური; რაღაც მწყემსისა და ფარის მსგავსი... არც ვიცი,

როგორა ვთქვა,რა ვუნოდო! ამიტომაცაა, რომ მას მხოლოდ ჩემი სახელი დაამახსოვრდა, **ce pauvre prince!** იცით, პაველ ალექსანდროვიჩი, არ არის გამორიცხული, რომ ჩემთან მოყვანით თქვენ ის გადაარჩინეთ! ამ ექვსი წლის განმავლობაში მე გულდათუთქული ვფიქრობდი მასზე. არ დამიჭერებთ და, ხშირად მესიზმრებოდა კიდევ. ამბობენ, იმ საბარელმა დედაკაცმა მოაჭადოვა და დაღუპა კნიაზიო. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თქვენ გამოჰგლიჯეთკნიაზი იმის კლანტებს! არა, ახლა საჭიროა ამ შემთხვევის გამოყენება, საბოლოოდ უნდა ვიხსნათ იგი! კიდევ ერთხელ მომიყევით, როგორ გადაარჩინეთ კნიაზი, როგორ მოახერხეთ ეს? ამიწერეთ თქვენი შეხვედრის ყველა დეტალი, დანვრილებით მინდა ვიცოდე. აქამდე მე მთავარზე გავამახვილე ყურადღება მაშინ, როცა ყველაზე არსებითი წვრილმანებია. ძალიან მიყვარს წვრილმანები, ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევებშიც წვრილმანებს ვაქცევ ყურადღებას... სანამ ის მორთვა-მოკაბმვას მოათავებს... [P SEP]

- იმაზე მეტი რა მოგახსენოთ, რაც მოყვევი, მარია ალექსანდროვნა!
- სიამოვნებით აიტაცა დიასახლისის თხოვნა მოზგლიაკოვმა, მზადაა, მეათედ მოყვეს, რადგან ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს, - მთელი ღამე გზაში გავატარე, თვალი არ მომიხუჭავს, მოკლედ, ვილანძღებოდი, ვყვიროდი, ცხენებს მოვითხოვდი, ცხენების გულისთვის სადგურებში აყალმაყალიც კი ავტეხე. ჩემი მონაცოლი რომ დაიბეჭდოს, ახალი სტილის მთელი პოემა გამოვიდოდა! თუმცა რა დროს ესაა! ზუსტად

ეჭვს საათზე ბოლო სადგურ იგიშევოს მივალნიეთ. გათოშილი ვიყავი და მაინც არ მინდოდა გა-თბობა, ისევ ავლრიალდი: ცხენები-მეთქი! ზედამხედველის მეძუძური ცოლი დავაფეთე, მე მგონი, რძე გაუშრა... ბრწყინვალე აისი დადგა, იცით, ისეთი, როცა ალისფერი ჭირხლი ვერცხლივით ბზინავს! მე არაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი; უსაშველოდ ვჩქარობდი! ცხენებისათვის დიდი ბრძოლა გადამხდა: ვილაც კოლეგიის მრჩეველს გამოვგლიჯე ხელიდან, კინაღამ დუელში გამოვინვიე. იქ მითხრეს, თხუთმეტი წუთის წინ ამ სადგურიდან ვილაც კნიაზი გაემგზავრა, თავისი კარეტით იყო და ღამე აქ გაათიაო. მე ამ ამბავს ყურადღება არ მივაქციე, ჩავჯექი ეტლში და აქეთკენ გამოვეშურე. რაღაც ამგვარი აქვს ფეტს,¹ რომელიღაც ელეგიაში. ქალაქამდე ცხრა ვერსი იყო დარჩენილი, სვეტოზერის უდაბნოს გადასახვევთან შევესწარი განსაცვიფრებელ ამბავს. გზაზე გადაბრუნებული ვგდო უზარმაზარი კარეტა. მის წინ მეეტლე და ორი ლაქია გაოგნებულები იდგნენ. კარეტიდან გულის განმგმირავი ხმები ისმოდა. ერთი გავიფიქრე: ჩემს გზას ვენევი, რა ჩემი საქმეა-მეთქი! მაგრამ კაცთმოყვარეობამ თავისი გაიტანა, როგორც ჰაინეს უთქვამს, კაცთმოყვარეობა ყველგან ცხვირს ჰყოფსო. გავჩერდით. მე, სემიონი და ჩემი მეეტლე - ისიც რუსული გულის კაცი, დასახმარებლად გავეშურეთ. ამგვარად, ეჭვსმა კაცმა გადმოვაბრუნეთ ეკიპაჟი და ფეხზე დავაყენეთ. თუმცა ეკიპაჟს ფეხები სად ჰქონდა, მარხილის თავკავებზე იდგა. იქვე დაგვეხმარნენ გლეხები, რომლებსაც შეშა მიჰქონდათ ქალაქში. მათ არყის ფული ვაჩუქე. ჩემთვის გავიფიქრე: ეს ხომ

სწორედ ის კნიაზია! ღმერთმანი, ის არის, კნიაზი გავრილა! შეხვედრაც ამას ჰქვია! ვყვირი: `კნიაზო, ბიძია!~ უეჭველია, თავდაპირველად ვერც მიცნო, თუმცა მოგვიანებით, მგონი, მიცნო... არ ვიცი! ისე, ვალიარებ, არა მგონია, ახლა იცოდეს, ვინ ვარ. ვილაც სხვა ვგონივარ. ბოლოს პეტერბურგში ვნახე ამ შვიდიოდე წლის წინ. ცხადია, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი. მე კი დამამახსოვრდა - მახსოვს, განცვიფრებული ვიყავი მისი ნახვით, იმას რას დავამახსოვრდებოდი! გამოვეცნაურე; ძალიან გაიხარა, გადამეხვია, შიშისაგან აკანკალებული აქვითინდა, ღმერთმანი, ტიროდა: საკუთარი თვალით ვნახე! აქეთურ-იქითურზე ვილაპარაკეთ, ბოლოს დავითანხმე, ჩემს ეტლში გადმომჭდარიყო და ერთი დღით მაინც დაესვენა მორდასოვოში, რომ გონზე მოსულიყო. ულაპარაკოდ დამთანხმდა... მითხრა, სვეტობერის უდაბნოში მივდივარ მღვდელმონაზონ მისაელის სანახავად, მას დიდ პატივსა ვცემო. რაც შეეხება, სტეპანიდა მატვევენას, ჩვენს ნათესაობაში მის შესახებ ვის არ სმენია? შარშან დუხანოვოდან კინწისკვრით გამომავდო. ჰოდა, ამ დედაკაცს თურმე წერილი მიუღია, რომ მოსკოვში ვილაც მისი ახლობელი კვდება, არ ვიცი, ქალიშვილი თუ მამა, არ მაინტერესებს, შეიძლება ორივე ერთად, შეიძლება კიდევ ვინმე ბიძაშვილი, ან დეიდაშვილი, მიენიოს მათ მთელი მაგათი მიკიტნების მოდგმა... რაღა გავაგრძელო, ის დედაკაცი ისე აღელვებულა, ათი დღით დათხოვებია კნიაზს და მოსკოვში გამგზავრებულა. კნიაზმა ერთი დღე გაძლო, ორი დღე, ხან ერთი პარიკი მოირგო, ხან მეორე, ხან გაიპუდრა, ხან შეიღე-ბა, ხან ბანქოზე

იმკითხავა; მაგრამ მისთვის გაუსაძლისი გახდა სტეპანიდა მატვევენას გარეშე ცხოვრება! გასცა განკარგულება, ეკიპაჟი გაემზადებინათ და სვეტობერის უდაბნოსაკენ გაეშურა. ვიღაც შინაურს, სტეპანიდა მატვევენას შიშით, უცდია, წინააღმდეგობის განევა, მაგრამ კნიაზი გაჭიქებულა და თავისი გაუტანია. გუშინ ნასადილევს გამომგზავრებულა, ღამე იგიშველოში გაუთევია და დილაადრიან გზას დასდგომია, მაგრამ უდაბნოს გადასახვევთან, როგორც მოგახსენეთ, ეკიპაჟი გადაუბრუნდა. როცა გადავარჩინე, დავუნყე დაყოლიება, შვეიაროთ ჩვენს საერთო მეგობარ, დიდად პატივცემულ მარია ალექსანდროვნასთან-მეთქი, მან მითხრა, რომ თქვენ ყველაზე მომხიბვლელი ქალბატონი ბრძანდებით მათ შორის, ვისაც კი იგი ოდესმე იცნობდა. და აი, ჩვენ ახლა აქვართ, კნიაზი კი მალლა იკაზმება თავისი კამერდინერის დახმარებით, რომლის თან წამოყვანაც არ დავინწყებია და არც არასოდეს ავიწყდება, მუდამ თან ახლავს, რადგან უმაღლ მოკვდება და ქალებთან მოუწესრიგებელი არ გამოჩნდება... სულ ესაა მთელი ისტორია! **Eine allerliebste Geschichte!**^{[P]_{SEP}}

- როგორი ხუმარაა, არა, ბინა? - წამოიყვირა მარია ალექსანდროვნამ, - რა სასიამოვნოდ ჰყვება! მაგრამ მომისმინეთ, პოლ, - ერთი კითხვა მაქვს თქვენთან. ამიხსენით, რა ნათესაობა გაკავშირებთ კნიაზთან? თქვენ ხომ მას ბიძიას უწოდებთ.^{[P]_{SEP}}

- ღმერთმანი, არც ვიცი, მარია ალექსანდროვნა, მგონი, რაღაც ყვავი ჩხიკვის მამიდის ვარიანტია. მე არაფერ შუაში ვარ, ყველაფერი დეიდაჩემის, აგლაია მიხაილოვნას დამსახურებაა. საერთოდ, მას

უყვარს ყველასთან ნათესაობის გამოჩხრეკა. თითებზე ითვლის ნათესაურ კავშირებს. სწორედ მან შემაგულიანა შარშან ზაფხულში კნიაზთან დუხანოვოში გამგზავრებაზე. თვითონ წასულიყო! უბრალოდ ვეძახი ბიძიას; არც ის უარობს. ესაა და ეს ჩვენი ნათესაობა, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით...<sup>[P]
[SEP]</sup>

- მე კი ვიმეორებ, მხოლოდ ღმერთს შეეძლო, ჩაეგონებინა თქვენთვის კნიაზის ჩემთან მოყვანა! გული მიკვდება, როცა წარმოვიდგენ, რა დაემართებოდა სანყალს, ვინმე სხვასთან რომ მოხვედრილიყო. აქეთ-იქეთ დაიტაცებდნენ, დააქუცმაცებდნენ, გადასანსლავდნენ! თავს დაესხმოდნენ, როგორც საბადოს, ოქროს ქვიშრობს - არაფერს შეარჩენდნენ, თვალში ბენვს ამოაცლიდნენ! თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი ხარბი, ზნედაცემული და ვერაგი ხალხია აქაურები!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ღმერთო ჩემო, რანაირი ხართ, მარია ალექსანდროვნა, აბა სხვა ვისთან უნდა მოეყვანა, თქვენთან თუ არა! - ლაპარაკში ჩაერთო ქვრივი, ნასტასია პეტროვნა, ჩაის ქალი. - ანა ნიკოლაევნასთან ხომ არ მიიყვანდა!<sup>[P]
[SEP]</sup>

- პირდაპირ უცნაურია, ნეტა ამდენ ხანს რას აკეთებს კნიაზი, რატომ არ ჩამოდის? - თქვა მარია ალექსანდროვნამ და წამოხტა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვინ, ბიძია? ის კიდევ ხუთ საათს მოუნდება გამოპრანჭვას! გარდა ამისა, ისეა გამოთაყვანებული, შეიძლება კიდევ გადაავიწყდა, თქვენი სტუმარი რომ არის. ის ხომ ფრიად საკვირველი კაცია, მარია ალექსანდროვნა!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ოჰ, კარგი რა, გეთაყვა, გეყოფათ!^[P SEP]

- სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, მარია ალექსანდროვნა! ეს ხომ ადამიანი აღარ არის, ნახევრად კომპოზიციია. თქვენ იგი ექვსი წლის წინ ნახეთ, მე კი - ერთი საათის წინ. იგი ცოცხალი ლეშია! მოგონება ადამიანზე; მე მგონი, მისი დამარხვა გადაავინ-ყდათ! თვალი შუშისა აქვს, ფეხი - კორპის, მთლიანად ზამბარებზე აწყობილი, მგონი ზამბარების დახმარებით ლაპარაკობს!^[P SEP]

- ღმერთმანი, როგორი თავქარიანი ხართ, გისმენთ და მიკვირს! - დაუცაცხანა მარია ალექსანდროვნამ და მკაცრი სახე მიიღო, - როგორ არ გრცხვენიათ, ახალგაზრდა კაცი საკუთარ ნათესავზე, ასეთ პატივსაცემ მოხუცზე ასე კადნიერად არ უნდა ლაპარაკობდეს! ის ხომ სიკეთის განსახიერებაა, - მარია ალექსანდროვნას ხმა რაღაცნაირად მგრძნობიარე გაუხდა, - გაიხსენეთ, იგი ხომ ჩვენი არისტოკრატიის ნაშთია. ჩემო მეგობარო, **mon ami!** მე მეს-მის, რომ თქვენი თავქარიანობა გამონვეულია რაღაც ახალი იდეებით, რომელთა შესახებ გაუთავებლად მსჯელობთ ხოლმე. მაგრამ ღმერთო ჩემო! მეც ვიზიარებ თქვენს ახალ იდეებს! მესმის, რომ თქვენი მიმართულების საფუძველი კეთილშობილება და პატიოსნებაა. ვგრძნობ, რომ თქვენს ახალ იდეებში არის რაღაც ამალღებული; მაგრამ მე ეს ხელს არ მიშლის, საქმის პრაქტიკული მხარე დავინახო. მე თქვენზე გაცილებით მეტი მიცხოვრია და მინახავს ამქვეყნად, მე უკვე დედა ვარ, თქვენ კი - ძალიან ახალგაზრდა! ამიტომაც გეჩვენებათ ის მოხუცებული სასაცილოდ! ეგ არაფერი: თქვენ ამას წინათ იმასაც კი ამბობდით, რომ

ყმების გათავისუფლებას აპირებთ, რომ გსურთ, თქვენი ნვლილი შეიტანოთ ამ საუკუნეში. ეს კი იმის ბრალია, რომ ბევრს კითხულობთ ვიღაც შექსპირს! დამიჭერეთ, პაველ ალექსანდროვიჩ, შექსპირმა თავისი დრო მოჭამა და რომც გაცოცხლდეს, თავისი ჭკუა-გონებით ვერც ჩასწვდება თანამედროვე ცხოვრებას! თუკი რამ არის რაინდული და დიდებული ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ მაღალი ფენის წარმომადგენლებს შემორჩათ. კნიაზი ჭილოფშიც კნიაზია, როგორც იტყვიან, მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო. აი, მაგალითად, ნატალია დმიტრიევნას ქმარმა სასახლე აიშენა, მაგრამ ის მაინც მხოლოდ და მხოლოდ ნატალია დმიტრიევნას ქმარია და მეტი არაფერი ღირსება არ გააჩნია! ნატალია დმიტრიევნამ გინდაც ორმოცდაათი `ხაბარდა~1 შეიკეროს, რაც არის, იმაზე მეტი ვერ გახდება - ისევ ის ნატალია დმიტრიევნა დარჩება. თქვენც ხომ ნაწილობრივ მაღალი წრის წარმომადგენელი ბრძანდებით, რადგან კნიაზის ნათესავად ითვლებით. მისთვის უცხოდ თავს არც მე ვთვლი. ამით ის მინდა ვთქვა, რომ, როგორც იტყვიან: ბრყვია ის ბარტყი, რომელიც საკუთარ ბუდეს აბინძურებსო! მე მგონი, თქვენ თავად მიხვდებით ამას ჩემზე უკეთ, **mon cher Paul**, და დაივიწყებთ შექსპირს. ამას მე გინინასწარმეტყველებთ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, თქვენ არც ახლა ბრძანდებით გულწრფელი, მხოლოდ მოდასა ხართ აყოლილი. თუმცა რა ენად გავიკრიფე. თქვენ აქ დარჩით, **moncher Paul**, მე ავალ მაღლა და გავიგებ, რასა იქმს კნიაზი. იქნებ რაიმე სჭირდება, თორემ ჩემი მსახურების გადამკიდე... [P. 159]

თავისი მსახურების გახსენებაზე მარია ალექსანდროვნა ოთახიდან სასწრაფოდ გავიდა.^{[P]_{SEP}}

- მგონია, მარია ალექსანდროვნა ძალიან გახარებულია, კნიაზი რომ მას ესტუმრა და არა იმ მატრაკვეცა ანა ნიკოლაევნას. მან მთელ ქალაქს მოსდო, კნიაზი ჩემი ნათესავიაო. ახლა ალბათ ბოლ-მისაგან ჭიპზე სკდება! - შენიშნა ნასტასია პეტროვნამ; მაგრამ როცა მისი რეპლიკა უპასუხოდ დარჩა, ჯერ ბინას გადახედა, მერმე პაველ ალექსანდროვიჩს და იმ წამსვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, რაღაც მოიმიზეზა და ოთახი დატოვა. თუმცა იქვე კარს იქით გაჩერდა და სმენად იქცა.^{[P]_{SEP}}

პაველ ალექსანდროვიჩი დაუყოვნებლივ მიუბრუნდა ბინას. ძალიან დელავდა; ხმა უკანკალებდა.^{[P]_{SEP}}

- ბინაიდა აფანასიევნა, ხომ არ მიწყრებით? - მორიდებულად ჩაილაპარაკა და ვედრებით შეხედა.^{[P]_{SEP}}

- თქვენ? რატომ? - თქვა ბინამ, რომელსაც სახეზე აღმურმა გადაუარა და თავისი ლამაზი თვალები ჭაბუკს მიაპყრო.^{[P]_{SEP}}

- ადრე რომ ჩამოვედი, ბინაიდა აფანასიევნა! ველარ გავძელი კიდევ ორი კვირა, დამღალა ლოდინმა... ცხადში თუ სიზმარში მხოლოდ თქვენ გხედავდით. მე მოვფრინდი, რომ გავიგო ჩემი ხვედრი... თქვენ კი მიბღვერთ, ბრაზობთ! ნუთუ ახლაც ვერაფერს გადამწყვეტს ვერ შევიტყობ?^{[P]_{SEP}}

ბინამ მართლაც შეუბღვირა.^{[P]_{SEP}}

- ველოდი, რომ ამის შესახებ დამიწყებდით ლაპარაკს, - მკაცრად

და მტკიცედ უპასუხა თვალმომხილველმა ბინამ, რომლის ხმაში წყნა იგრძნობოდა, - რამდენადაც ეს მოლოდინი ჩემთვისაც ძალიან მძიმე იყო, რაც უფრო მალე დასრულდება, მით უფრო უკეთესია. თქვენ კვლავ მოითხოვთ, მთხოვთ პასუხს. ბატონი ბრძანდებით, გიმეორებთ, ჩემი პასუხი იგივეა, რაც ადრე გითხარით: მოითმინეთ! გიმეორებთ, ჯერ არ გადამიწყვეტია, ცოლობას ვერ შეგპირდებით. ამის დაძალება არ შეიძლება, პაველ ალექსანდროვიჩ. მაგრამ რომ დაგამშვიდოთ, დავძენ, ჯერჯერობით გადამწყვეტ უარს არ გეუბნებით. ისიც დაიმახსოვრეთ: ამ საქმის კეთილად დამთავრების იმედს მარტოოდენ იმიტომ გაძლევთ, რომ ანგარიშს ვუნევ თქვენს მოუთმენლობასა და განცდებს. გიმეორებთ, გადანწყვეტილების მიღების დროს მინდა დავრჩე სრულიად თავისუფალი; დაბოლოს, თუ უარს გეტყვით, თქვენ არ უნდა დამადანაშაულოთ, რომ ტყუილად დაგაიმედეთ. ეს კარგად დაიმახსოვრეთ.^[P SEP]

- ეს რა არის, რა არის ეს! - იყვირა იმედგაცრუებულმა მოზგლიაკოვმა, - ამას ჰქვია იმედი! ნუთუ თქვენი სიტყვებიდან რაიმე იმედი შეიძლება გამიჩნდეს, ბინაიდა აფანასიევნა?^[P SEP]

- გაიხსენეთ ყველაფერი, რაც გითხარით და როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, ნება თქვენია! მაგრამ მეტს ვერაფერს დავუმატებ. მე თქვენ უარს არ გეუბნებით, მხოლოდ ვამბობ: ელოდეთ. მაგრამ გიმეორებთ, სრულ უფლებას ვიტოვებ, უარი გითხრათ, თუკი ასეთ გადანწყვეტილებას მივიღებ. ერთს კიდევ გეტყვით, პაველ ალექსანდროვიჩ, თუ თქვენ პასუხის მიღების ვადაზე ადრე იმიტომ

ჩამოხვედით, რომ შემოვლითი გზებით იმოქმედოთ, თუ ვინმეს დახმარების იმედი გაქვთ, თუნდაც ეს დედაჩემი იყოს, მაშინ ანგარიში ძლიერ გემლებათ. პირდაპირ უარს მოგახლით, გასაგებია? ახლა - კმარა და გთხოვთ, დათქმულ დრომდე ამის შესახებ კრინტი არ დაძრათ.^[SEP]

ყველაფერ ამას ზინა მშრალად, მტკიცედ და შეუჩერებლად ლაპარაკობდა, თითქოს წინასწარ იყო მომზადებული. მესიე პოლი მიხვდა, რომ პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. ამ დროს ოთახში მარია ალექსანდროვნა გამოჩნდა, მას უკან ქალბატონი ზიაბლოვა შემოჰყვა.^[SEP]

- მე მგონი, ახლა ჩამოვა, ზინა! ნასტასია პეტროვნა, სასწრაფოდ დააყენეთ ახალი ჩაი! - მარია ალექსანდროვნა ცოტა დელავდა.^[SEP]

- ანა ნიკოლაევნამ უკვე გამოგზავნა ანიუტკა ამბის გასაგებად. ანიუტკამ სამზარეულოში მოაწყო გამოკითხვა. ოჰოჰო, ალბათ რას ბრაზობს! - ჩაუკაკლა ნასტასია პეტროვნამ და სამოვარს ეცა.^[SEP]

- რა ჩემი საქმეა! - თავისთვის, ისე, რომ არც შემობრუნებულა, ჩაილაპარაკა მარია ალექსანდროვნამ ქალბატონ ზიაბლოვას პასუხად, - განა მე მაინტერესებს, რას ფიქრობს თქვენი ანა ნიკოლაევნა? მერწმუნეთ, არასოდეს გაუგზავნი ვინმეს კაცს სამზარეულოში ამბის გასაგებად. თანაც მიკვირს და გამკვირვებია, რატომ მთვლით საბრალო ანა ნიკოლაევნას მტრად, მართო თქვენ კი არა, ყველა ამ ქალაქში? თქვენც დამემონებებით, პაველ ალექსანდროვიჩ! თქვენ ხომ ორივეს გვიცნობთ, აბა რატომ უნდა

ვმტრობდე მას? პირველობისათვის? მე ხომ პირველობისადმი გულგრილი ვარ. ჩემთვის სულერთია, ის იყოს პირველი! მე პირადად ვეახლები და მივულოცავ პირველობას. ბოლოს და ბოლოს, ეს უსამართლობაა. მე უნდა დავიცვა ანა ნიკოლაევნა, მე ვალდებული ვარ, დავიცვა! მას ცილს სწამებენ. რატომაა, რომ ყველა თავს ესხმის? ახალგაზრდაა და უყვარს კარგი ჩაცმა-დახურვა, ამიტომ? ჩემი აზრით, სჭობს, კარგად ჩაიცვა, ვიდრე რალაც სხვა რამ აკეთო, როგორც ნატალია დმიტრიევნა, რომელსაც ისეთი რამ უყვარს, თქმაც კი მიჭირს. იმის გამო ხომ არა, რომ ანა ნიკოლაევნას შინ ვერ გააჩერებ, ისე უყვარს სტუმრად სიარული? მაგრამ, ღმერთო ჩემო! მას ხომ არავითარი განათლებაარა აქვს, ცხადია, გაუჭირდება წიგნის გადაშლა ან ორიოდ წუთით რაიმე საქმით თავის შექცევა. ის კვკლუცია, უყვარს გამვლელ-გამომვლელისათვის ფანჯრიდან თვალების ჟუჟუნი. განა მისი ბრალია, როცა მლიქვნელები არწმუნებენ, ლამაზი ხარო, მაშინ როცა მას მხოლოდ თეთრი სახე აქვს და მეტი არაფერი? გეთანხმებით - ძალიან სასაცილოა ცეკვის დროს! მაგრამ რატომ ეუბნებიან, რომ ის პოლკას კარგად ცეკვავს? სასწაულ თავსაბურავებს და შლაპებს იხურავს, მაგრამ რა მისი ბრალია, თუ ღმერთმა იგი ასეთი უგემოვნო გააჩინა, სამაგიეროდ, გულუბრყვილობით დააჭილდოვა. ის ისეთი მიამიტია, რომ უთხრათ, თმებში კონფეტის ქაღალდის გაკეთება მოგიხდებაო, აუცილებლად გაიკეთებს. ის ჭორიკანაა, მერე რა, ეს ხომ აქაური ზნე-ჩვეულებაა: აბა, მითხარით, ვინ არ არის ჭორიკანა? მასთან ყოველ დილ-საღამოს

ბაკენბარდებიანი სუმილოვი დაიარება, ამბობენ, ღამღამობითაც კიო. ღმერთო ჩემო! აბა, რა იქნება: ქმარი დილის ხუთ საათამდე ბანქოს თამაშობს! გარდა ამისა, აქ იმდენი ცუდი მაგალითია! ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი ხომ შეიძლება ცილისწამება იყოს. ერთი სიტყვით, მე ყოველთვის მისი დამცველი ვიქნები!.. ღმერთო ჩემო! აი, კნიაზიც! ის არის, ის! ვიცანი! ათას კაცში ვიცნობდი! ბოლოს და ბოლოს მეღირსა თქვენი ხილვა, mon prince! - შეჰკვივლა მარია ალექსანდროვნამ და ოთახში შემოსულ კნიაზს მიეგება.^[P]_[SEP]

[P]
[SEP]

თავი IV ^[P]_[SEP]

ერთი შეხედვით, სულაც არ იტყოდით, რომ კნიაზი ძალიან ბებერი იყო. მაგრამ კარგად თუ დააკვირდებოდით, დაინახავდით - ეს გახლდათ ზამბარიანი მიცვალებული. ხელოვნების ყველა საშუალება იყო გამოყენებული, რომ ეს მუშია ახალგაზრდად გამოჩენილიყო. საუცხოო შავი ფერის საოცარი პარიკი, ბაკენბარდები, ულვაში და ესპანიოლა ნახევარ სახეს უფარავდა. ფერუმარილი პირისახეზე ისე ოსტატურად ეცხო, რომ თითქმის არც ერთი ნაოჭი არ უჩანდა. უკანასკნელ მოდაზე შემოსილი, გეგონებოდა, პირდაპირ მოდების ჟურნალიდან გადმოვიდაო. ზემოდან რაღაცნაირი სავიზიტო სერთუკი ეცვა, ღმერთმანი, არ ვიცი რა, მაგრამ ძალიან თანამედროვე და მოდური, დილის ვიზიტებისათვის განკუთვნილი. ხელთათმანები, ჰალსტუხი, ჟილეტი, თეთრეული - ყველაფერი დამაბრმავებლად ქათქათა და დახვეწილი გემოვნებით ჰქონდა შერჩეული. კნიაზი ცოტას

კოჭლობდა, მაგრამ ამას ისე მარჯვედ ნიღბავდა, თითქოს ასეთი სიარული მოდაში იყო. იმ თვალზე, რომელიც შუშის ჰქონდა, მონოკლი ეკეთა. მისი სხეული ერთიანად სუნამოს კეთილსურნელებას აფრქვევდა. ლაპარაკის დროს ზოგიერთ სიტყვას წელავდა, შესაძლოა, ეს სიბერით მოსდიოდა, შეიძლება ჩასმული კბილების ბრალი იყო, ან სულაც ნათქვამისათვის მეტი მნიშვნელობის მიცემა სურდა. ზოგიერთ მარცვალს არაჩვეულებრივი ტკბილხმოვანებით წარმოთქვამდა. მანერაში შებოჭილობა არ იგრძნობოდა, ეტყობოდა, ამაში კარგად განაფულიყო მთელი თავისი ფრანტული ცხოვრების მანძილზე. ისე კი, თუ რაიმე შემორჩენოდა იმ ძველი ფრანტული ცხოვრებიდან, გაუცნობიერებლად ჰქონდა შემორჩენილი, რაღაც ბუნდოვანი მოგონებებისა და თავს გადახდენილი, წლებს გატანებული ძველი დროის სახით, რომელსაც, ვაი რომ, ვედარასოდეს დაიბრუნებდა, ვეღარ აღიდგენდა ვერავითარი კოსმეტიკით, კორსეტით, პარფიუმერიითა და პარიკმახერით. ამიტომ, მოდი, ასე მოვიქცეთ, ვაღიაროთ, რომ ბებერი ჭკუიდან თუ არ იყო გადასული, მაშინ მეხსიერება დიდი ხნის წინ დაქვეითებოდა და ყოველ წუთს ამოვარდნები ჰქონდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა და უზომოდ ცრუობდა. რაღაც მიდგომა იყო საჭირო, მასთან საუბარი რომ გაგება. მაგრამ მარია ალექსანდროვნას თავისი თავის იმედი ჰქონდა და კნიაზის დანახვისთანავე ენით გამოუთქმელ აღტაცებაში მოვიდა. [15]

- კნიაზო, სულ არ შეცვლილხარო, სულ არა! - წამოიძახა მარია ალექსანდროვნამ, კნიაზს ორივე ხელი მოკიდა და სავარძელში ჩასვა,

- დაბრძანდით, კნიაზო, დაბრძანდით! ექვსი წელი, სრული ექვსი წელია, არ შევხვედრივართ და არც ერთი წერილი, ერთი სტრიქონიც არ მოგიწერიათ ჩემთვის ამდენი ხნის განმავლობაში! ოჰ, როგორი დამნაშავე ხართ, კნიაზო, ჩემ წინაშე! ო, როგორი ნაწყენი ვიყავი თქვენზე, მონ ცჰერ პრინცი! ჩაი, ჩაი მოგვართვით! ღმერთო ჩემო! ნასტასია პეტროვნა, ჩაი! ^[P]_[SEP]

- დიდი მადლობა, გმად-ლობთ, დამნა-შავე ვარ! - ჩიფჩიფებდა კნიაზი (ჩვენ დაგვავიწყდა, გვეთქვა, კნიაზი ოდნავ ჩიფჩიფებდა, მაგრამ ამას ისე აკეთებდა, თითქოს ასე ლაპარაკი მოდაში ყოფილიყო),- და-მნა-შა-ვე ვარ! წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ შარშან მინდოდა აქ ჩამოსვლა, - დასძინა მან და ლორწეტიტ ოთახი მოათვალიერა, - მაგრამ შემაშინეს, მითხრეს, თითქოს თქვენთან ქო-ლე-რა იყო მოდებული. ^[P]_[SEP]

- არა, კნიაზო, ჩვენთან ქოლერა არ ყოფილა, - თქვა მარია ალექსანდროვნამ. ^[P]_[SEP]

- აქ საქონლის ჭირი იყო, საქონელი განყდა, ბიძია! - ლაპარაკში ჩაერთო მოზგლიაკოვი, რომელიც ცდილობდა, თავი გამოეჩინა. მარია ალექსანდროვნამ მას მკაცრად გადახედა. ^[P]_[SEP]

- დიახ, საქონლის ჭი-რი ან სხვა რაღაც ამგვარი... ამიტომაც გადავიფიქრე. ძვირფასო ანა ნიკოლაევნა, როგორ ბრძანდება თქვენი ქმარი? ისევ პროკურორობს? ^[P]_[SEP]

- ა-რა, კნიაზო, - ენა დაება მარია ალექსანდროვნას, - ჩემი ქმარი პროკურორი არ ბრძანდება. ^[P]_[SEP]

- სანაძღლოს ვდებ, ბიძიას ანა ნიკოლაევნა ანტიპოვა ჰგონიხართ! -
ნამოიყვირა მიხვედრილმა მოზგლიაკოვმა, მაგრამ მარია
ალექსანდროვნას შემხედვარე უცებ აზრზე მოვიდა, მისი ახსნა-
განმარტებების გარეშეც ცუდ დღეში აღმოჩნდა დიასახლისი. [P]
[SEP]

- დიახ, დიახ, ანა ნიკოლაევნა, ჰო... (სულ მაგინყდება!) რა თქმა
უნდა, ანტიპოვნა, სწორედ ანტიპოვნა, - დაადასტურა კნიაზმა. [P]
[SEP]

- ა-არა,კკნიაზო, ძალიან გემლებათ, - თქვა მარია
ალექსანდროვნამ და მწარედ გაელიმა, - მე სულაც არ ვარ ანა
ნიკოლაევნა და უაღრესად მწყინს, რომ ვერ მიცანით,
გამოგიტყდებით, თქვენგან ამას არ ველოდი! ფრიად გამაკვირვეთ,
კნიაზო! მე თქვენი ყოფილი მეგობარი მარია ალექსანდროვნა
მოსკალიოვა ვარ. გახსოვთ, კნიაზო, მარია ალექსანდროვნა?... [P]
[SEP]

- მარია ა-ლექსან-დროვნა! წარმოგიდგენიათ! მე კი მეგონა, თქვენ
ის იყავით (რა ჰქვია) - ჰო რა! ანა ვასილიევნა... C'est délicieux!
გამოდის, სხვაგან მოვხვდი. მე კი მეგონა, ჩემო მეგობარო, ანა
მატვევენასთან მიმიყვანე. C'est charmant!2თუმცა ასეთი რამ ხშირად
მემართება... ზოგჯერ იქ არ მივდივარ, საითაც გამინწვია. და მაინც
კმაყოფილი ვარ, ყოველთვის კმაყოფილი, რაც არ უნდა მოხდეს. ესე
იგი, თქვენ არა ხართ ნასტასია ვა-სილიევნა? რა საინტერესოა... [P]
[SEP]

- მარია ალექსანდროვნა, კნიაზო, მარია ალექსანდროვნა! ვაი,
როგორი დამნაშავე ხართ ჩემ წინაშე! განა შეიძლება საუკეთესო
მეგობრის დაგინწყება, საუკეთესო მეგობრის... [P]
[SEP]

- დიახ, საუ-კეთესო მეგობრის... pardon,pardon! - ჩიფჩიფებდა

კნიაზი და ზინას მიშტერებოდა.^[P]_[SEP]

- ეს ჩემი ასულია, ზინა. თქვენ მას არ იცნობთ, კნიაზო, თქვენი აქ სტუმრობისას იგი აქ არ იყო, გახსოვთ ის წელი?^[P]_[SEP]

- ეს თქვენი ქალიშვილია! **Charmante, charmante!** - ბურტყუნებდა კნიაზი და ხარბად უცქერდა ზინას ლორნეტით, - **Mais quelle beaute!** - ჩურჩულებდა ფრიად მოხიბლული.^[P]_[SEP]

- ჩაი, კნიაზო, - შესთავაზა მარია ალექსანდროვნამ. ცდილობდა, კნიაზის ყურადღება გადაეტანა მსახურ ბიჭუნაზე, რომელსაც ხელში ჩაის ფინჯნებიანი სინი ეჭირა. კნიაზმა აიღო ფინჯანი და მის წინ მდგარ ფუნჩულა, ვარდისფერლოყებიან ბიჭუნას დააკვირდა.^[P]_[SEP]

- ა-ჰა, ეს თქვენი ბიჭუნაა? - ამბობს ის,- რა მშვენიერი ბიჭია! კარგია, მართლა კარგი, ხომ კარ-გად... იქცევა? ^[P]_[SEP]

- კნიაზო, - სწრაფად გაანყვეტინა მარია ალექსანდროვნამ, - ისეთი საშინელი ამბავი მითხრეს! გამოგიტყდებით, ძალიან შემეშინდა... ხომ არ დაშავდით? იცოდეთ, ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება...^[P]_[SEP]

- გადმომავდო! გადმომავდო! მეეტლემ გადმომავდო! - განსაკუთრებული ალტყინებით წამოიძახა კნიაზმა, - მე უკვე ვფიქრობდი, მეორედ მოსვლა დაიწყო ან რაღაც მსგავსი-მეთქი. ვალიარებ, უაღრესად შევშინდი, ღმერთო შეგცოდე, ელეთმელეთი მომივიდა! არ ველოდი, არ ვე-ლო-დი! ყველაფერი ჩემი მეეტლის, ფე-ო-ფილის ბრალია! ახლა მხოლოდ შენი იმედი მაქვს, ჩემო მეგობარო: უბრძანე, კარგად მოძებნონ! დარწმუნებული ვარ, ჩემი მოკვლა

უნდოდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი, ბიძია, კარგი! - პასუხობს პაველ ალექსანდროვიჩი, - ყველაფერს ვიღონებ! ოღონდ მომისმინეთ, ბიძია! აპატიეთ რა მას! ჰა? რას ფიქრობთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- აპაპაპა! არ ვაპატიებ! დარწმუნებული ვარ, ჩემი მოკვლა უნდოდა! მას და ლავრენტის, რომელიც შინ დავტოვე. წარმოგიდგენიათ, ის რაღაც ახალი იდეებით არის შეპყრობილი! ყველაფერს უარყოფს... ერთი სიტყვით, კომუნისტია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით! მისი ნახვისაც კი მეშინია!<sup>[P]
[SEP]</sup>

- მართალს ბრძანებთ, კნიაზო, - კვერი დაუკრა მარია ალექსანდროვნამ, - არ დამიჯერებთ, მეც როგორ ვიტანჯები ამგვარი უვარგისი მსახურებისგან. წარმოგიდგენიათ, სულ ახლაახან დავითხოვე ორი მსახური. გამოგიტყდებით, ისინი ისეთი ხეპრეები იყვნენ, რომ მეშინოდა კიდევ მათი. ვერც კი წარმოიდგინთ, კნიაზო, როგორი ხეპრეები იყვნენ!<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, დიახ! გამოგიტყდებით, მომწონს კიდევ, როცა ლაქია ცოტა ბრიყვია, - შენიშნა კნიაზმა, რომელსაც, როგორც ბებრების უმეტესობას, უხაროდა, რომ მის ყბედობას ლაქუცით უსმენდნენ, - ლაქიას სიბრიყვე კიდევ უხდება, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მისი ღირსებაც კი არის, თუკი ის გულმართალი ბრიყვია. რასაკვირველია, ზოგიერთ შემთხვევაში. ამით ის რაღაცნაირად წარმოსადეგი ხდება, მის სახეს უფრო საზეიმო ელფერი დაჰკრავს. მოკლედ რომ ვთქვა, უფრო თავაზიანად გამოიყურება, მე კი ადამიანისაგან, უპირველეს

ყოვლისა, თავაზიანობას მოვითხოვ. მე ერთი ტე-რენ-ტი მყავს. შენ ხომ გახსოვს, ჩემო მეგობარო, ტე-რენ-ტი? პირველად რომ ვნახე, მაშინვე ვუთხარი: შენ შვეიცარი უნდა იყო-მეთქი! ფენო-მენალურად ბრიყვია! წყალს ჩაშტერებული ცხვრის გამოხედვა აქვს! მაგრამ როგორი წარმოსადგვია! ღია ვარდისფერი ხვანჩი აქვს! ეს კი თეთრ ჰალსტუხთან და საბეიმო ტანსაცმელთან ერთად დიდ ეფექტს ახდენს. მე გულით შევიყვარე ის. ხანდახან ვუყურებ და ცქერით ვერ ვძლები. ისეთი თავმომწონე გამომეტყველება აქვს, გეგონება, დისერტაციას თხზავსო! ერთი სიტყვით, ნამდვილი გერმანელი ფილოსოფოსი კანტია, ან უფრო სწორი იქნება, კარგად ნასუქი ინდაური. მსახურისათვის სრულყოფილი **comme il faut** აქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

მარია ალექსანდროვნა კისკისებდა და აღტაცებული უკრავდა ტაშს. პაველ ალექსანდროვიჩი ბანს აძლევდა, ბიძიამ ისიც ფრიად გაამხიარულა. ხარხარებდა ნასტასია პეტროვნაც. ზინასაც კი გაეღიმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რამდენი იუმორი გაქვთ, რა გონებამახვილი და მხიარულებით აღსავსე ბრძანდებით, კნიაზო! - შესძახა მარია ალექსანდროვნამ. - როგორი ძვირფასი უნარი გაქვთ, ადამიანში ყველაზე სასაცილო მხარე შენიშნოთ!.. ასეთი კაცი უნდა გაქრეს საზოგადოებიდან და კარჩაკეტილმა იცხოვროს მთელი ხუთი წელი? ასეთი ტალანტის მქონე ადამიანი! კნიაზო, თქვენ შეგიძლიათ წეროთ, მეორე ფონვიზინი, ან გრიბოედოვი, ან გოგოლი იქნებოდით!..<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, დიახ! - უპასუხა ძალზე კმაყოფილმა კნიაზმა, - მე შემიძლია

მი-ბაძ-ვა... იცით, ადრე ძალიან მახვილგონიერი ვიყავი. ერთხელ ვოდე-ვი-ლიც კი დავწერე. იქ იყო რამდენიმე შე-სა-ნიშ-ნავი კუპლეთი! თუმცა არსად არ დაუდგამთ...^[P]_[SEP]

- რა საინტერესო იქნება მისი ნაკითხვა! რა დამთხვევაა, არა, ზინა! კნიაზო, ჩვენთან ვაპირებთ თეატრის შექმნას - პატრიოტული შემოწირულობების მოსაკრებლად. დაჭრილებისათვის... იქნებ თქვენი ვოდევილი დავდგათ!^[P]_[SEP]

- რასაკვირველია! მზად ვარ, ხელახლა დავწერო... თუმცა უკვე სრულიად გადა-მა-ვიწყდა. მაგრამ მახსოვს, იქ მქონდა ორი-სამი ისეთი კალამბური, რომ (და კნიაზმა თავის თითებს აკოცა)... როცა სა-ზღვარ-გარეთ ვცხოვრობდი, ნამდვილ fu-ro-re-s ვახდენდი. ლორდი ბაირონიც მახსოვს. ჩვენ ვმეგობ-რობდით. არაჩვეულებრივად ცეკვავდა კრაკოვიაკს ვენის კონგრესზე.^[P]_[SEP]

- ვინ? ლორდი ბაირონი, ბიძია? რას ლაპარაკობთ?^[P]_[SEP]

- დიახ, ლორდ ბაირონი. თუმცა, შესაძლებელია, ის ლორდი ბაირონი არც იყო, შეიძლება სხვა იყო. არა, არა, ლორდ ბაირონი არ ყოფილა, ვიღაც პოლონელი იყო! ახლა კარგად გამახსენდა. უ-ორი-გი-ნა-ლუ-რე-სი პიროვნება იყო ის პოლონელი: გრაფად გამეცნო, შემდეგ აღმოჩნდა, ვიღაცის კუხმისტერი² ყოფილა. მაგრამ კრაკოვიაკს გადასარევად ცეკვავდა, ბოლოს და ბოლოს, ფეხი მოიტეხა. მე ამასთან დაკავშირებით ლექსი დავწერე.^[P]_[SEP]

პოლონელი კუხმისტერი^[P]_[SEP]

კრაკოვიაკს ცეკვავს...^[P]_[SEP]

მერე დამავინყდა... კარგად არ მახსოვს...^{[P][SEP]}

როცა ფეხი მოიტეხა,^{[P][SEP]}

ვეღარ შეძლო ცეკვა.^{[P][SEP]}

- ნუთუ მართლა ასე იყო, ბიძია? - შესძახა მოზგლიაკოვმა, რომელიც სულ უფრო და უფრო შედიოდა ემხში.^{[P][SEP]}

- მგონი კი, ჩემო მეგობარო, - თქვა ბიძიამ, - ან რაღაც მსგავსი. თუმცა შეიძლება ასე არც იყო, მაგრამ ნამდვილად კარგი ლექსი გამოვიდა... ისე კი, ახლა მე ბევრი რამ გადამავინყდა, დაკავებულობის გამო.^{[P][SEP]}

- კნიაზო, გვითხარით, მთელი ამ ხნის განმავლობაში, როცა კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდით, რითი იყავით დაკავებული? - დაინტერესდა მარია ალექსანდროვნა, - ისე ხშირად ვფიქრობდი თქვენზე, *mon cher prince*, გამოგიტყდებით, ერთი სული მაქვს, დანვრილებით გავიგო თქვენი საქმიანობის ამბები...^{[P][SEP]}

- რას ვსაქმიანობდი? ისე, საზოგადოდ, იცით, ბევრი საქმე მქონ-და. ხანდახან ვისვენებდი; ხან დავდიოდი და ვფიქრობდი, სხვადასხვა რამეებს წარმოვიდგენდი ხოლმე...^{[P][SEP]}

- თქვენ ალბათ განსაკუთრებით ძლიერი წარმოსახვის უნარი გაქვთ, ბიძია?^{[P][SEP]}

- დიახ, განსაკუთრებით ძლიერი, ჩემო ძვირფასო. ხანდახან ისეთ რამეს წარმოვიდგენ ხოლმე, რომ თავადაც მიკვირს. როცა კადუევოში ვიყავი... **Apropos!** შენ ხომ, მგონი, კადუევოს ვიცე-გუბერნატორი იყავი?^{[P][SEP]}

- მე, ბიძია? რას ბრძანებთ? - შესძახა მოზგლიაკოვმა.^[P]_[SEP]

- წარმოგიდგენია, ჩემო მეგობარო! მე შენ ვიცე-გუბერნატორი მეგონე, ვფიქრობდი: ნეტა რა დაემართა, სახეზე როგორ შეცვლილამეთქი? მას ისეთი წარ-მო-სა-დე-გი სახე ჰქონდა, ისეთი ჭკვიანი... არაჩვეულებრივად გონიერი კაცი იყო, სხვადასხვა გარემოების შესახებ ლექსებს თხზავდა. გვერდიდან ცოტა აგურის პაპას ჩამოჰგავდა...^[P]_[SEP]

- არა, კნიაზო, - შეაწყვეტინა მარია ალექსანდროვნამ, - გეფიცებით, ასეთი ცხოვრებით თავს დაიღუპავთ! ხუთი წელი გაერიყო ხალხს, არავის შეხვდე, არაფერი გაიგონო! თქვენ უკვე დაღუპული კაცი ხართ, კკნიაზო! ვისაც გინდათ, ჰკითხეთ, თქვენს ერთგულ ადამიანებს, ყველა გეტყვით, თქვენი საქმე ცუდად არის!^[P]_[SEP]

- ნუთუ? - შესძახა კნიაზმა.^[P]_[SEP]

- გარწმუნებთ, გეუბნებით, როგორც თქვენი მეგობარი, როგორც თქვენი და! ასე იმიტომ ვამბობ, რომ თქვენზე გული შემტკივა, ჩემთვის წმიდათაწმიდაა წარსულის ხსოვნა! რა სარგებლობას მომიტანს, თქვენ რომ გეპირფეროთ? არა, თქვენთვის აუცილებელია, ძირფესვიანად შეიცვალოთ ცხოვრების წესი, არადა, დასწეულდებით, გამოიფიტებით, მოკვდებით...^[P]_[SEP]

- ღმერთო ჩემო! ნუთუ ასე მალე მოკვდები! - წამოიძახა შეშინებულმა კნიაზმა, - თქვენ წარმოიდგინეთ, გამოიცანით, მე ისე ძალიან მანუხებს ბუასილი, განსაკუთრებით, ბოლო დროს... და როცა შეტევები მაქვს, თან ახლავს სა-ოც-არი სიმპტომები (დანვრილებით

მოგიყვებით შესახებ)... ჯერ ერთი...^[P]_[SEP]

- ბიძია, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, - ლაპარაკში ჩაერთო პაველ ალექსანდროვიჩი, - ახლა კი... დროა, გავემგზავროთ.^[P]_[SEP]

- რასაკვირველია! სხვა დროს მოგიყვებით. ამის მოსმენა ალბათ არცაა საინტერესო. ახლა მივხვდი... ისე კი, მართლაც საინტერესო დაავადებაა. იყო სხვადასხვა ეპიზოდი... სალამოს შემახსენე, ჩემო მეგობარო, და ერთ შემთხვევას დანვ-რი-ლებით აღვინერ...^[P]_[SEP]

- მომისმინეთ, კნიაზო, იქნებ გეცადათ და საზღვარგარეთ გემკურნალათ, - კიდევ ერთხელ შეანყვეტინა მარია ალექსანდროვნამ.^[P]_[SEP]

- საზღვარგარეთ! დიახ, დიახ! აუცილებლად გავემგზავრები საზღვარგარეთ. მახსოვს, ოციან წლებში საზღვარგარეთ რომ ვიყავი, იქ სა-ო-ცა-რი მხიარულება სუფევდა. კინალამ დავქორწინდი კიდევ ერთ ფრანგ ვიკონტესაზე. ნამეტანი შეყვარებული ვიყავი, მინდოდა, მთელი ჩემი ცხოვრება იმ ქალისათვის შემეწირა. თუმცა ვერ დავქორწინდი, სხვამ დამასწრო. საოცარი რამ მოხდა, სულ ორი საათით დავტოვე სატრფო მარტო და სხვა გავაბედნიერე, ვილაც გერმანელი ბარონი; შემდგომში იმ სანყალს ცოტა ხანს საგიჟეთში მოუწია ყოფნა.^[P]_[SEP]

- **cher prince**, სწორედაც მაგიტომ გეუბნებით, სერიოზულად უნდა იფიქროთ ჯანმრთელობაზე. საზღვარგარეთ კარგი ექიმები არიან... გარდა ამისა, მარტო ის რად ღირს, ცხოვრების ნირს რომ შეიცვლით! აუცილებლად, დროებით მაინც უნდა მოშორდეთ თქვენს

დუხანოვოს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ა-უ-ცი-ლებ-ლად! უკვე დიდი ხანია, გადანყვეტილი მაქვს, და იცით, ჰიდროპათიით მკურნალობას ვაპირებ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰიდროპათიით?<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, ჰიდროპათიით. ერთხელ უკვე ვიმკურნალე ჰიდ-რო-პა-თიით. მუავე წყლებზე ვიყავი. იქ ერთი მოსკოველი ქალბატონი ისვენებდა, გვარი დამავინყდა, საოცრად პოეტური ქალბატონი ბრძანდებოდა, ასე, სამოცდაათი წლისა. მასთან ერთად იყო მისი ასული, თვალბისტიანი ორმოცდაათი წლის ქვრივი. ისიც თითქმის ლექსებით ლაპარაკობდა. მოგვიანებით ამ ქალს უბედურება შე-ემ-თხვა: თავისი შინაყმა გოგონა შემოაკვდა და ციხეში ჩასვეს. ჰოდა, ამ ქალებმა გადანყვიტეს ჩემი წყლით მკურნალობა. გულახდილად გითხრათ, არაფერი მანუხებდა, მაგრამ რას ვიზამდი, შემომიჩნდნენ: `იმკურნალე, იმკურნალეო!~ მეც დელიკატურობის გამო დავინყე წყლის სმა, ვიფიქრე, უკეთესად ვიქნები-მეთქი. ვსვი და ვსვი, ვსვი და ვსვი, მთელი ჩანჩქერი შევხვრიპე, და იცით, ძალიანაცმომიხდა, ჰიდროპათია სასარგებლო რამეა და ასე რომ, ბოლო ხანებში ავად რომ არ გავ-მხდა-რი-ყა-ვი, გარწმუნებთ, სრულიად ჯანმრთელი ვიქნებოდი...<sup>[P]
[SEP]</sup>

- როგორი მართებული დასკვნაა, ბიძია! ერთი ეს მითხარით, ბიძია, თქვენ ლოგიკა ნასწავლი გაქვთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ღმერთო ჩემო! რა კითხვებს უსვამთ? - დაუცაცხანა აღშფოთებულმა მარია ალექსანდროვნამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნასწავლი მაქვს, ჩემო მეგობარო, ოღონდ დიდი ხნის წინათ. ფილოსოფია გერმანიაში შევისწავლე, სრული კურსი გავიარე, მართალია, ყველაფერი მაშინვე დამავინწყდა. ისე კი... გამოგიტყდებით... თქვენ ისე შემაშინეთ ამდენი სწეულებებით, რომ... ძალიან ავღელდი. ერთი წუთით, მე ახლავე დავბრუნდები...<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი მაგრამ, სად მიბრძანდებით, კნიაზო! - წამოიყვირა გაკვირვებულმა მარია ალექსანდროვნამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ახლავე, ახლავე... მხოლოდ ერთ ახალ ამრს ჩავინერ... au revoir.
...<sup>[P]
[SEP]</sup>

- ერთი ამას დამიხედეთ! - იყვირა პაველ ალექსანდროვიჩმა და სიცილისაგან ჩაბჭირდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვერაფერი გავიგე, სრულიად დავიბენი, რა არის სასაცილო? - თქვა გაბრაზებულმა მარია ალექსანდროვნამ, - დასცინით ღირსეულ მოხუცებულს, საკუთარ ნათესავს, ყოველ მის სიტყვას მასხარად იგდებთ, სარგებლობთ მისი გულკეთილობით! თქვენ მაგივრად მე ვწითლდები, პაველ ალექსანდროვიჩ! ერთი მიბრძანეთ, თქვენი ამრით, რა აქვს სასაცილო? ვერაფერს ვხედავ სასაცილოს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ის, რომ ვედარავის ცნობს, გაუთავებლად ყბედობს და ტყუილებს რომაევს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს ხომ საშინელი ცხოვრების გამოა, საზიზღარი დედაკაცის ზედამხედველობის ქვეშ საშინელი ცხოვრების შედეგი. ის საცოდავია, სასაცილო კი არა. მეც კი ვერ მიცნო, თავად ბრძანდებოდით ამის მონმე. სწორედ ეს არის საგანგაშო! აუცილებლად რამე უნდა

მოვიმოქმედოთ, როგორმე უნდა გადავარჩინოთ! მე საზღვარგარეთ გამგზავრებას ვთავაზობ, ერთადერთი იმედით, ეგებ როგორმე თავი დააღწიოს... იმ ვაჭრუკანა დედაკაცს! ^[P]_[SEP]

- იცით რა, მარია ალექსანდროვნა! მოდით, მას ცოლი შევრთოთ! - ნამოიძახა პაველ ალექსანდროვიჩმა. ^[P]_[SEP]

- ისევ თქვენსას არ იშლით, მესიე მოზგლიაკოვ! ^[P]_[SEP]

- არა, მარია ალექსანდროვნა, არა! ამჯერად სავსებით სერიოზული ვარ! რატომაც არ უნდა დაქორწინდეს? ეს ხომ იდეაა! **C'est une idee comme autre!** ამით რა დაუშავდება, ერთი ეს მითხარით? ახლა ისეთ დღეშია, ამგვარი ღონისძიება გადაარჩენს. კანონის მიხედვითაც ჯერ კიდევ შეუძლია ცოლის მოყვანა. ჯერ ერთი, ამით თავიდან მოიშორებს იმ გაიძვერა დედაკაცს (ბოდიშს გიხდით, ასეთი გამოთქმისათვის). მეორე და მთავარი - წარმოიდგინეთ, მან ცოლად მოიყვანა ვინმე ქალიშვილი ან ახალგაზრდა სანდომიანი, გულკეთილი, ჭკვიანი და ალერსიანი ქვრივი, რაც მთავარია, ღარიბი, რომელიც კნიაზს მამასავით მოუვლის და რომელიც მადლიერი იქნება, რომ კნიაზმა ის ამოირჩია თავის თანამეცხედრედ. განა მისთვის უკეთესი არ იქნება, გვერდით ჰყავდეს ახლობელი, გულწრფელი და კეთილშობილი არსება, რომელიც გამუდმებით მასთან იქნება, ვიდრე... ის დედაკაცი? ცხადია, საცოლუე კარგი შესახედაობის უნდა იყოს, რადგან ბიძიას ჯერ კიდევ გაურბის თვალი ლამაზი ქალებისაკენ. თქვენ ალბათ შეამჩნიეთ უკვე, როგორ აშტერდებოდა ზინაიდა აფანასიევნას? ^[P]_[SEP]

- ასეთ საცოლუეს სად იპოვით? - იკითხა ნასტასია პეტროვნამ,

რომელიც გულდასმით უსმენდა.^[P]^[SEP]

- ნება მიბოძეთ, გკითხოთ: თუნდაც თქვენ რითი ხართ შეუფერებელიკვნიაზისათვის. ჯერ ერთი - შესახედავად კარგი ქალი ხართ, მეორე - ქვრივი, მესამე - კეთილშობილი, მეოთხე - ღარიბი (თქვენ მართლაც არა ხართ მდიდარი), მეხუთე - კეთილგონიერებით აღსავსე. აქედან გამომდინარე, იმ დედაკაცს კინწისკვრით მოიშორებთ, კნიაზი გეყვარებათ, ცივ ნიავსაც არ მიაკარებთ, საზღვარგარეთ წაიყვანთ, თქვენი ხელით აჭმევთ მანანის ფაფას და კანფეტებს, ეს მანამ გაგრძელდება, სანამ არ დატოვებს ამ ცოდვილ მინას, ეს ერთი წლის შემდეგ მოხდება, შეიძლება ორთვე-ნახევარშიც. თქვენ კი დარჩებით კნიაზის ქვრივი, მდიდარი ქალბატონი. შემდეგ გაჰყევით ცოლად ვინმე მარკიზს, ან **general-intendants! C'est joli**, რას იტყვით?^[P]^[SEP]

- ღმერთო ჩემო! ნეტა მასე იყოს! ოლონდ ცოლად შემირთოს და მარტოოდენ მადლიერების გრძნობის გამო შევიყვარებდი! - შესძახა ქალბატონმა ზიაბლოვამ და მეტყველი შავი თვალები გაუბრწყინდა, - მაგრამ ეს ყველაფერი სისულელეა!^[P]^[SEP]

- რატომაა სისულელე? გინდათ, რომ სისულელე არ იყოს? დაჟინებით მთხოვეთ და ეს ხელი მომჭერით, თუ დღესვე პატარძლად არ გაქციოთ! სულაც არ არის ძნელი ბიძიას დაყოლიება! ყველაფერზე გაიძახის: `დიახ, დიახო!~ - თავადკმოგისმენიათ. ისე დავაქორწინებთ, თვითონაც ვერ მიხვდება. მოვატყუებთ და ცოლს შევრთავთ; ამას ხომ მის საკეთილდღეოდ გავაკეთებთ, თქვენც მოწყალება გაიღეთ,

ნასტასია პეტროვნა, ისე, ყოველ შემთხვევისათვის, ცოტა გამოიპრანჭეთ და გალამაზდით!^[P SEP]

მესიე მოზგლიაკოვს აღტაცება აზარტში გადაუვიდა. ნასტასია პეტროვნას, მიუხედავად წინდახედულობისა, მადა გაეღვიძა.^[P SEP]

- უთქვენოდაც კარგად ვიცი, რომ ახლა უგვანოდ გამოვიყურები, - თქვა მან, - სულ მოვეშვი, დიდი ხანია, ოცნებასაც კი შევეშვი. აი, მობრძანდა მადამ გრიბუსიე... ნუთუ მართლა შინამოსამსახურეს ვგავარ?^[P SEP]

მთელი ამ ხნის განმავლობაში მარია ალექსანდროვნა კოპებშეკრული იჭდა. არ შეეცდებოდა, თუ ვიტყვი, რომ პაველ ალექსანდროვიჩის ნასტასია პეტროვნასადმი ამ შეთავაზებას შიშით შეხვდა, რალაცნაირად დაიბნა... მაგრამ მალე გონს მოეგო.^[P SEP]

- ეს შეიძლება ძალიან კარგი იყოს, მაგრამ უაზრობა და სისულელეა, რაც მთავარია, ახლა ამისი დრო არ არის, - უხეშად გაანყვეტინა მან მოზგლიაკოვს.^[P SEP]

- რატომ, ჩემო კეთილო მარია ალექსანდროვნა, რატომაა სისულელე, თანაც რატომ არ არის ამისი დრო?^[P SEP]

- მიზეზი მრავალია, მთავარი კი ის არის, რომ თქვენ ჩემს სახლში იმყოფებით და კნიაზი ჩემი სტუმარია. მე კი არავის მივცემ უფლებას, ჩემს სახლში უპატივცემულოდ მოიქცეს. თქვენს ნათქვამს მორიგ ხუმრობად ვთვლი, პაველ ალექსანდროვიჩ. ღმერთო ჩემო! აი, კნიაზიც მობრძანდა!^[P SEP]

- აი, მეც აქა ვარ! - ოთახში შემოსვლისთანავე ნამოიძახა კნიაზმა, -

საოცარია, cher ami, დღეს იმდენი იდუა მომ-დის თავში, სხვა დროს, შეიძლება არც დამიჯეროთ, თითქმის არავითარი იდუა არ მომდის. შეიძლება მთელი დღე ვიჯდე და ერთი აბრიც კი არ გამიელვებს თავში. [P]
[SEP]

- ეს, ბიძია, ალბათ ეტლიდან გადმოვარდნის ბრალია. ამ ამბავმა გააღიზიანა თქვენი ტვინის უჯრედები და აი... [P]
[SEP]

- მეც ასე მგონია, ჩემო მეგობარო, მეც ამ შემთხვევას მივანერ და ვთვლი, რომ დღევანდელი ეტლიდან გადმოვარდნა სა-სარ-გებლო რამ იყო; ასე რომ, მე გადავწყვიტე, ვაპატიო ფეო-ფილას. იცი რა? არა მგონია, მას ჩემი სიკვდილი ნდომებოდეს; შენ როგორ ფიქრობ? ამას წინათ ის ისედაც დაისაჯა, როდესაც წვერი გაპარსეს. [P]
[SEP]

- წვერი გაპარსეთ, ბიძია? კი მაგრამ ის ხომ მთელი ცხოვრება წვერს ატარებს? [P]
[SEP]

- დიახაც, მთელი ცხოვრება. საერთოდ, ჩემო მეგობარო, შენ სავსებით სწორი დასკვნები გამოგაქვს! ეს წვერი ხელოვნურია. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ მოულოდნელად მივიღე პრეისკურანტი, სადაც ჩამოთვლილი იყო საზღვარგარეთული სა-ქონელი ბატონებისა და მეეტლეებისათვის: წვერი, ბაკენბარდები, ესპანიოლა, ულვაში და სხვა, ყველაფერი საუკეთესო და ზომიერ ფასში. გავიფიქრე, მოდი, წვერს გამოვიწერ, ვნახავ მაინც როგორია-მეთქი? ჰოდა, მეეტლის წვერი გამოვიწერე, მართლაცდა თვალწარმტაცი აღმოჩნდა! მაგრამ ფეოფილას წვერი იმ წვერზე ორჯერ გრძელი აღმოჩნდა. ცხადია, საგონებელში ჩავვარდი: ან ფეოფილა უნდა გამეპარსა, ან

ხელოვნური წვერი უნდა დამებრუნებინა უკან. ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე, სჯობს, ჩემმა მეეტლემ ხელოვნური წვერი ატაროს-მეთქი.^[P SEP]

- ალბათ იმიტომ, რომ ხელოვნება ნატურაზე მაღლა დგას, ბიძია!^[P SEP]

- სწორედაც მაგიტომ. მაგრამ გენახათ, რა ტანჯვა გადახდა ფეოფილას, როცა წვერი გაპარსეს! თითქოს თავის კარიერას ეთხოვებოდა, ისე განიცადა ეს ამბავი... ჩვენი წასვლის დრო არ არის, ჩემო ძვირფასო?^[P SEP]

- მე მზად გახლავართ, ბიძია.^[P SEP]

- იმედი მაქვს, კნიაზო, მხოლოდ გუბერნატორს მოინახულებთ! - წამოიძახა აღელვებულმა მარია ალექსანდროვნამ, - თქვენ ახლა ჩემი ხართ, კნიაზო, მთელი დღე ჩემი ოჯახის საკუთრება ბრძანდებით. მე, ცხადია, არაფერს გეტყვით აქაური საზოგადოების შესახებ. იქნებ თქვენ მოისურვოთ ანა ნიკოლაევნასთან სტუმრობა, მე რა უფლება მაქვს, გული გაგიტეხოთ. ამასთან ერთად, ღრმად მწამს, რომ დრო ყველაფერს გამოააშკარავებს. მაგრამ გახსოვდეთ, მე ვარ მთელი დღის განმავლობაში თქვენი მასპინძელი, თქვენი და, დედა, ძიძა. გამოგიტყდებით, ძალიან შემტკივა გული თქვენზე! თქვენ არ იცნობთ, თქვენ სულ არ იცნობთ ამ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, ჭერჭერობით... კნიაზო! - ჩემი იმედი იქონიეთ, მარია ალექსანდროვნა. ისე იქნება, როგორც დაგპირდით, - უთხრა მოზგლიაკოვმა.^[P SEP]

- თქვენ ხომ თავქარიანი ხართ! თქვენ რა სანდო ხართ! კნიაზო, სადილად გელოდებით. ჩვენ ადრე ვსადილობთ. ძალიან ვწუხვარ,

ჩემი მეუღლე ამჟამად აქ რომ არ არის, სოფელშია! როგორ გაიხარებდა თქვენი ნახვით! იგი დიდ პატივს გცემთ, გულით უყვარხართ!<sup>[P]
[SEP]</sup>

- თქვენი მეუღლე? თქვენ რა, ქმარი გყავთ? - იკითხა კნიაზმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორი გულმავინე ბრძანდებით, კნიაზო! ადრინდელი ამბები ყველაფერი გადაგავინყდათ! ჩემი მეუღლე აფანასი მატვეიჩი, ნუთუ აღარ გახსოვთ? ამჟამად სოფელშია, ადრე მრავალჯერ შეხვედრიხართ. გაიხსენეთ, კნიაზო, აფანასი მატვეიჩი?<sup>[P]
[SEP]</sup>

- აფანასი მატვეიჩი! სოფელშია, ნარმოგიდგენიათ, **mais c'est délicieux!** ესე იგი, თქვენ ქმარი გყავთ? მაინც, რა უცნაური ამბავია! ეს ზუსტად ისეა, როგორც ერთ ვოდვეილში: ქმარი კარში გადის, ცოლი... უკაცრავად, ისევ დამავინყდა! მხოლოდ ის მახსოვს, რომ ცოლიც სადღაც გაემგზავრა, ან ტულაში, ან იაროსლავლში, ერთი სიტყვით, ძალიან სასაცილო რამ გამოდის.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ქმარი კარში გადისო, ცოლი ტვერში გარბისო, ბიძია, - უკარნახა მოზგლიაკოვმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, დიახ! დიდი მადლობა, ჩემო მეგობარო, სწორედ რომ ტვერში, **charmant, charmant!** უფრო ხატოვანი გამოდის. შენ ყოველთვის სწორად რითმავ, ჩემო ძვირფასო, დიახ, დიახ, გამახსენდა: იაროსლავლი ან კოსტრომა, მაგრამ ცოლიც სადღაც გაემგზავრა!<sup>[P]
[SEP]</sup>

charmant, charmant! მოკლედ, დამავინყდა, რას მოვაცოლე ეს... ხო! მივდივართ თუ არა, ჩემო მეგობარო. **Aurevoir, madame, adieu, ma charmante demoiselle!** - დასძინა კნიაზმა, ზინას გადახედა და თითების

ბოლოები დაიკოცნა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- სადილად, სადილად არ დაიგვიანოთ, კნიაზო! არ დაგავინყდეთ, მალე დაბრუნდით! - ყვირილით მიაცილებდა მარია ალექსანდროვნა.<sup>[P]
[SEP]</sup>

<sup>[P]
[SEP]</sup>

თავი V^{[P] [SEP]}

- ნასტასია პეტროვნა, ერთი სამზარეულოს მიმიხედეთ, - თქვა მარია ალექსანდროვნამ კნიაზის გაცილების შემდეგ, - გული მიგრძნობს, ის მხეცი ნიკიტკა აუცილებლად გამიფუჭებს სადილს! დარწმუნებული ვარ, უკვე მთვრალია...<sup>[P]
[SEP]</sup>

ნასტასია პეტროვნა წამოდგა. ნასვლისას იჭვნეულად გახედა მარია ალექსანდროვნას და მიხვდა, რომ ძალიან ღელავდა. ნასტასია პეტროვნა სასტუმრო ოთახიდან გავიდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მხეცი ნიკიტკასათვის მიეხედა, დერეფნის გავლით თავისი ოთახისაკენ გაემართა, იქიდან კი ზანდუკებით, ძველი ტანსაცმლითა და ფუთებში შეკრული მთელი სახლის თეთრეულით სავსე ბნელ საკუჭნაოში შევიდა. ფრთხილად მიუახლოვდა ამოჭედილ კარს და სულგანაბულმა კარის საკლიტულიდან დაიწყო თვალთვალი და ყურის გდება. ეს კარი იმ სასტუმრო ოთახში გადიოდა, სადაც ზინა და დედამისი დარჩნენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ნასტასია პეტროვნა მარია ალექსანდროვნას გაიძვერა ადამია-ნად, თანაც, განსაკუთრებით ფუქსავატ ქალად მიაჩნდა. რასაკვირველია, მას ხშირად გაუელვებდა ხოლმე თავში აზრი, რომ ნასტასია პეტროვნა არ იუკადრისებდა ფარულად თვალყურის დევნებას, მაგრამ ამჟამად

ქალბატონი მოსკალიოვა ისე იყო დაკავებული, რომ სრულიად დაკარგა სიფრთხილე. სავარძელში ჩაჯდა და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ზინას. ზინამ დედის მზერა იგრძნო და გულმა რეჩხი უყო.^[P]^[SEP]

- ზინა!^[P]^[SEP]

ზინამ ნელა მიატრიალა მისკენ ფერმკრთალი სახე და შავი, ფიქრიანი თვალებით გახედა.^[P]^[SEP]

- ზინა, ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემაზე მინდა დაგელაპარაკო.^[P]^[SEP]

ზინა მთელი ტანით შებრუნდა მისკენ, გულხელი დაიკრიფა და უცდიდა, რას ეტყოდა დედა. მას მწარედ ეღიმებოდა, მაგრამ ცდილობდა, დაეთარა წყენა და დაცინვა.^[P]^[SEP]

- ზინა, მინდა გკითხო, დღეს როგორი შთაბეჭდილება დატოვა შენზე მოზგლიაკოვმა?^[P]^[SEP]

- თქვენთვის დიდი ხანია, ცნობილია ჩემი აზრი მის შესახებ, - უხალისოდ უპასუხა ზინამ.^[P]^[SEP]

- კი, **mon enfant**; მაგრამ ის დღითიდღე სულ უფრო მოსაბეზრებელი ხდება თავისი... ძიებებით.^[P]^[SEP]

- ის ამბობს, რომ ვუყვარვარ და ამიტომაც მისატყვებელი აბეზარობაა.^[P]^[SEP]

- უცნაურია! შენ ადრე ასე მიმტყვევებელი არ ყოფილხარ... პირიქით, თავს მესხმოდი, როდესაც მასზე საუბარს ვინწყებდი.^[P]^[SEP]

- ისიც უცნაურია, რომ ახლა აღარ მოგწონთ, თქვენ ხომ ყოველთვის მისი დამცველი იყავით და თვლიდით, რომ ცოლად უნდა

გავყოლოდი?<sup>[P]
[SEP]</sup>

- თითქმის. არ დაგიმაღავ, ზინა, მე მსურდა, ცოლად გაჰყოლოდი მოზგლიაკოვს. ჩემთვის მძიმე იყო, გაუთავებლად სევდიანს რომ გხედავდი. ვხედავდი, როგორ იტანჯებოდი. რასაც უნდა ფიქრობდე ჩემზე, მე შემოიძლია, გავიგო შენი მდგომარეობა, ღამეებს ამაზე ფიქრში ვათენებ. ბოლოს და ბოლოს, დავრწმუნდი, რომ შენ მხოლოდ დიდი ცხოვრებისეული ცვლილება გადაგარჩენს! ასეთი ცვლილება კი გათხოვებაა. ჩვენ მდიდრები არ ვართ. არ შეგვიძლია საზღვარგარეთ სიარული. აქაურ ვირებს უკვირთ, რომ ოცდასამი წლისა აქამდე გაუთხოვარი ხარ. ამ თემაზე უამრავ ჭორს ავრცელებენ. მაგრამ განა მე გაგათხოვებ აქაურ მრჩეველზე ან სახელმწიფო მოხელეზე? ამ ქალაქში განა ვინმე არის შენი ღირსი? მოზგლიაკოვი ქარაფშუტაა, მაგრამ ყველას სჭობია, გვარიშვილობა არ აკლია და კარგი სანათესაო, ასორმოცდაათი სული ყმის პატრონია. ის იმათზე უკეთესი მაინც არის, ვინც თალღითობით, ქრთამებითა და, ღმერთმა უწყის, კიდევ რა მაქინაცებით ცხოვრობს. მიტომაც მიიპყრო ჩემი ყურადღება. მაგრამ, გეფიცები, არასოდეს მომწონდა, ღრმად ვარ დარწმუნებული, თავად უზენაესმა გამაფრთხილა. იქნებ ახლა ღმერთმა უკეთესი რამ გამოგვიგზავნა - ჰა! რა კარგი ქენი, მოზგლიაკოვს პირობა რომ არ მიეცი! დღეს ხომ არაფერს დაპირებიხარ, ზინა?<sup>[P]
[SEP]</sup>

- რას მიედ-მოედებით, დედილო, როცა ორი სიტყვა გაქვთ სათქმელი? - ჩაილაპარაკა გაღიზიანებულმა ზინამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მიედ-მოედებო, ზინა, მიედ-მოედებო! განა შეიძლება დედას ასეთი სიტყვები უთხრა? მაგრამ რას ვიზამ! შენ უკვე დიდიხანია, დედაშენის აღარ გჭერა! კარგა ხანია, მტრად გეგულები!^[P]_[SEP]

- კარგი, გვეყოფა, დედილო! ერთ სიტყვაზე ნულარ ვიდავებთ. მაგრამ განა ჩვენ ერთმანეთის გვესმის? უკვე დროა, ეს ვიცოდეთ!^[P]_[SEP]

- შენ მე შეურაცხყოფას მაყენებ, შვილო ჩემო! არ გჭერა, რომ მე ყველაფერს გავაკეთებ შენს საკეთილდღეოდ.^[P]_[SEP]

ზინას დამცინავად გაელიმა და განანყენებულმა გადახედა დედას.^[P]_[SEP]

- თქვენ რა, ამ კნიაზს გინდათ მიმათხოვოთ, ჩემდა საკეთილდღეოდ? - ჰკითხა უცნაური ღიმილით.^[P]_[SEP]

- ამის შესახებ კრინტი არ დამიძრავს, მაგრამ ისე, სიტყვამ მოიტანა. თუკი შენ კნიაზს მისთხოვდები, ეს შენი ბედნიერება იქნება და არა სიგიჟე...^[P]_[SEP]

- მე კი ვთვლი, რომ ეს სისულელეა! - იყვირა გაფიცხებულმა ზინამ, - სისულელე! სისულელე! მე ვხედავ, დედილო, თქვენ კიდევ ბევრი პოეტური შთაგონება განუხებთ, თქვენ ქალი-პოეტი ხართ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; ამ ქალაქში ასეც გინოდებენ. გაუთავებელი გეგმები გაქვთ. მათი შეუძლებლობა და უაზრობა თქვენ არ გაჩერებთ. როცა კნიაზი აქ იჯდა, გული მიგრძნობდა, რაც გქონდათ გუნებაში. როცა მოზგლიაკოვი ტაკიმასხარაობდა, ბებერი უნდა დავაქორწინოთო, თქვენს სახეზე ამოვიკითხე თქვენი ზრახვები. სანაძლეოს ვდებ, ახლაც ამაზე ფიქრობთ და გინდათ, თავს მომახვიოთ თქვენი იდეები. თქვენმა გაუთავებელმა პროექტებმა ჩემ შესახებ თავი

მომაბეზრა, აუტანელი გახდა, ამიტომ გთხოვთ, ამის შესახებ კრინტი აღარ დაძრათ, გესმით, დედილო, სიტყვა არ გავიგონო, ეს კარგად დაიმახსოვრეთ! - ზინას ბრაზისაგან სუნთქვა ეკვროდა. [P]
[SEP]

- შენ ბავშვი ხარ, ზინა! გალიზიანებული, ავადმყოფი ბავშვი! - თქვა გულაჩუყებულმა მარია ალექსანდროვნამ ცრემლნარევი ხმით, - როგორ უდიერად მელაპარაკები, რატომ მაყენებ შეურაცხყოფას. არც ერთი დედა არ მოითმენს იმას, რასაც მე ყოველდღიურად გითმენ, მაგრამ შენ გალიზიანებული ხარ, ავად ხარ, იტანჯები, მე კი დედა ვარ, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანი დედა. მე უნდა მოვითმინო, უნდა შეგინდო. ზინა, ერთს მაინც გეტყვი: რა არის იმაში ცუდი, მე რომ ამ კავშირზე ვოცნებობდე? ჩემი ამრით, მოზგლიაკოვს ასე ჭკვიანურად არასოდეს ულაპარაკია, როცა ამტკიცებდა, კნიაზი აუცილებლად უნდა დავაქორწინოთო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა იმ ტურტლიან ნასტასიაზე. აქ ცოტა გადაამლაშა. [P]
[SEP]

- მისმინეთ, დედილო! პირდაპირ მითხარით: თქვენ რა, ისე მეკითხებით, ცნობისმოყვარეობის გამო, თუ რაღაც მიზნით? [P]
[SEP]

- მე მხოლოდ გეკითხები, რატომ გეჩვენება ეს ასეთ სისულელედ? [P]
[SEP]

- ეს რა უბედურებაა! ვაიმე, ეს რა ბედი მარგუნა ღმერთმა! - შეჰყვირა ზინამ და მოუთმენლობისაგან ფეხები დააბაკუნა, - აგისხნით რატომ, ეს თუ აქამდე თქვენთვის ცნობილი არ არის. რომ არაფერი ვთქვა სხვა სისულელეზე, როგორიცაა თქვენი სურვილი, ისარგებლოთ გამოჩერჩეტებული მოხუცის მდგომარეობით, გააცუროთ ის, მიმათხოვოთ ამ ხეიბარს, რათა გამოსტყუოთ ფულები და შემდგომში

ყოველდღიურად, ყოველნუთიერად ისურვოთ მისი სიკვდილი, ეს არამცთუ სისულელეა, ეს არის სიმდაბლე, ისეთი ზნედაცემულობა, რომ ვერაფრით მოგიწონებთ, დედილო, ასეთ აზრებს! ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.^[P]_[SEP]

- ზინა! გახსოვს, რა მოხდა ამ ორი წლის წინათ? - უცებ იკითხა მარია ალექსანდროვნამ.^[P]_[SEP]

ზინა შეკრთა.^[P]_[SEP]

- დედილო! - მკაცრად მიმართა მან დედას, - თქვენ დაიფიცეთ, საგანგებოდ შემომფიცეთ, რომ არასოდეს გაიხსენებდით ამ ამბავს.^[P]_[SEP]

- ახლა კი საგანგებოდ გთხოვ, შვილო ჩემო, ნება დამართო, მხოლოდ ერთხელ გავტეხო ფიცი, რომელიც აქამდე არასოდეს დამირღვევია. ზინა! მოვიდა დრო, ერთმანეთს ავუხსნათ ყველაფერი. დუმლის ეს ორი წელი საშინელება იყო! ასე გაგრძელება შეუძლებელია!.. მე მზად ვარ, მუხლმოდრეკილი შეგვედრო, რომ ამ თემაზე ლაპარაკის ნება დამართო. გესმის, ზინა: მშობელი დედა გეხვეწება, მუხლმოყრილი გთხოვს! ამასთან ერთად, საგანგებოდ, სიტყვას გაძლევ - უბედური დედის სიტყვას, რომელიც აღმერთებს თავის ასულს, რომ არასოდეს, არავითარ შემთხვევაში, საქმე ჩემს სიკვდილ-სიცოცხლეს რომც შეეხებოდეს, აღარასოდეს დავძრავ კრინტს ამ თემაზე. დღეს ეს მოხდება უკანასკნელად, ახლა ამაზე ლაპარაკი აუცილებელია!^[P]_[SEP]

მარია ალექსანდროვნა იმედოვნებდა, რომ სრულ ეფექტს მოახდენდა.^[P]_[SEP]

- თქვით, - უთხრა შესამჩნევად ფერდაკარგულმა ბინამ.^[P]

- უღრმესი მადლობა, ბინა. ორი წლის წინათ განსვენებულ მიტიასთან, შენს პატარა ძამიკოსთან, დადიოდა მასწავლებელი...^[P]

- ერთი მითხარით, რა საჭიროა ასეთი საგანგებო შესავალი, დედილო! რაში გჭირდებათ ამდენი მჭევრმეტყველება, წვრილმანები, რომლებიც ამ შემთხვევისათვის სრულიად გამოუსადეგარია და რომლებიც ჩვენთვის, ორივესათვის კარგადაა ცნობილი და მძიმედ მოსაგონარი? - რაღაცნაირი ზიზღნარევი ტონით შეაწყვეტინა გაბოროტებულმა ბინამ.^[P]

- იმისათვის მინდა, შვილო ჩემო, რომ დედა ვარ შენი და იძულებული ვარ, თავი ვიმართლო შენ წინაშე! მე მინდა, ეს საქმე სულ სხვა მხრიდან დაგანახო, არა იმ მხრიდან, მცდარი მხრიდან, საიდანაც შენ მიეჩვიე ყურებას. იმისათვის რომ, ბოლოს და ბოლოს, შენ უკეთესად გაიგო ის დასკვნა, რომლის გაკეთებასაც ახლა ვაპირებ. არ იფიქრო, ჩემო შვილო, თითქოს მე ახლა შენი გულის აჩუყება მინდოდეს! არა, ბინა, შენ ახლა იპოვი ჩემში ნამდვილ დედას და შესაძლებელია, აქვითინებული ფეხებში ჩამივარდე კიდეც, მე, ზნედაცემულ დედაკაცს, როგორც შენ ახლახან მიწოდე და თავადკმთხოვო შერიგება, რომელიც შენ აქამდე, ასე დიდხანს, ასე ქედმაღლურად არ გსურდა. ამიტომ მინდა, ყველაფერი გითხრა, ბინა, ყველაფერი, თავიდან ბოლომდე; თუ არა და, დავდუმდები!^[P]

- ბრძანეთ, - გაიმეორა ბინამ, რომელსაც მთელი არსებით ეზიზღებოდა დედამისის მჭევრმეტყველება.^[P]

- ვაგრძელებ, ზინა: ეს მამრის სასწავლებლის მასწავლებელი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, შენზე ჩემთვის სრულიად გაუგებარ შთაბეჭდილებას ახდენს. მე მეტისმეტად დარწმუნებული ვიყავი შენს გონიერებაში, შენს კეთილშობილ სიამაყესა და, რაც მთავარია, მის უბადრუკობაში (ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას), რომ თქვენ შორის კავშირზე რაიმე ეჭვი შემეტანა. ამ დროს შენ მიცხადებ, რომ აპირებ ცოლად გაჰყვე მას! ზინა! შენ პირდაპირ გულში ჩამეცი ხანჯალი! მე ვიკივლე და გონი დავკარგე. დიახ... შენ ეს ყველაფერი გახსოვს! რასაკვირველია, მე საჭიროდ ჩავთვალე, გამომეყენებინა მთელი ჩემი ძალაუფლება, რასაც შენ ტირანია უწოდებ. აბა, ერთი კარგად დაფიქრდი: ყმაწვილი მედავითნისშვილია, თვეში თორმეტმანეთიანი ჯამაგირის მქონე, უნიჭო ლექსების გამჭახირებელი, რომლებსაც რის ვაი-ვაგლახით უბეჭდავენ, მხოლოდ იმ წყეულ შექსპირზე შეუძლია გაუთავებელი ლაყობა, - ეს ყმაწვილი - შენი ქმარი, ზინაიდა მოსკალიოვას ქმარი! ეს ფლორიანისა¹ და მისი მწყემსი ქალებისთვის თუა საკადრისი. მაჰატიე, ზინა, მარტოოდენ ამის გახსენება ჯკუას მაკარგვინებს! როცა მან შენი ხელი მთხოვა, ცხადია, უარი ვტკიცე, მაგრამ შენ ვერაფრით დაგაკავე. მამაშენმა პირი დაალო, გაშტერდა, ისიც ვერ გაიგო, რას ვუხსნიდი. შენ კი აგრძელებდი იმ ყმაწვილთან ურთიერთობას, პაემანზე ხვდებოდი, მაგრამ, რაც ყველაზე შემამფოთებელი იყო, მიმონწერა გააჩაღე. ქალაქში ჭორები გავრცელდა, მე გესლიანი ქარაგმებით მელაპარაკებოდნენ. უკვე ხარობდნენ, ქვეყანა შეყარეს. ამ დროს ყველა ჩემი

ამ დროს ყველა ჩემი წინასწარმეტყველება ახდა, ისე კარგად აგიხდეს ყველაფერი! თქვენ რატომღაც ნაიჩხუბეთ; ის აღმოჩნდა შენტვის სავსებით შეუფერებელი ყმანვილი - გაუზრდელი ბიჭი (არაფრით შემოძლია მას მამაკაცი ვუნდო!) და დაგემუქრა, რომ შენს წერილებს ქალაქში გაავრცელებდა. ამ მუქარით აღშფოთებულმა, სილა გაანანი. დიახ, ზინა, ჩემთვის ესეც ცნობილია! ყველაფერი დანვრილებით ვიცი! ის საცოდავი იმავე დღეს ერთ-ერთ შენს წერილს ნაძირალა ზაუშინს აჩვენებს. ერთ საათში კი ეს წერილი უკვე ჩემი დაუძინებელი მტრის, ნატალია დმიტრიევნას ხელშია. იმავე საღამოს, იმ გადარეულმა, სინანულის გამო, რალაცით თავის მოწამვლა დააპირა. ერთი სიტყვით, საშინელი სკანდალის საფრთხე გაჩნდა! ჩვენი ტურტლიანი ნასტასია მოვარდა ჩემთან და შემატყობინა: უკვე ერთი საათია, ის წერილი ნატალია დმიტრიევნას აქვს და ორ საათში მთელ ქალაქს აცნობებს თქვენი შერცხვენის ამბავსო. მე თავს ძალა დავატანე, რომ გული არ წამსვლოდა. მაგრამ ეს რა დარტყმა მომაცენე, ზინა. ეს ურცხვი და მხეცი ნასტასია ვერცხლის ორას მანეთს მთხოვს და მეფიცება, ქვას გახეთქს და იმ წერილს ჩამაბარებს. თოვლში, საშინაო ფეხსაცმლით გავრბივარ ურია ბუმშტეინთან და ვაგირავებ ჩემს ფერმუარს - ცხონებული დედაჩემის სახსოვარს! ორ საათში წერილი ჩემს ხელთაა. ნასტასიამ მოიპარა. მან გატეხა ზარდახშა და გადაგარჩინა სირცხვილისაგან - დამამტკიცებელი საბუთი აღარ აქვთ! მაგრამ ეს რა მიქენი, რა დღეში ჩამაგდე, ის დღე ჩემთვის საშინელება იყო. მეორე დღეს, პირველად ჩემს სიცოცხლეში ჩემს თმებში ჭაღარა შევამჩნიე,

ზინა! ახლა ხომ მიხვდი, რა ჩაიდინა იმ ყმანვილმა. შენ ახლა თავად მეთანხმები, შესაძლოა, მწარე ღიმილითაც, რომ არაკეთილგონივრული საქციელი ჩაიდინე, როცა მას შენი ბედ-იღბალი ანდე. მას შემდეგ იტანჯები, ანამებ თავს, შვილო, შენ არ შეგიძლია მისი დავინწყება, უფრო სწორად, მისი კი არა, ის არასოდეს შენი შესაფერისი არ ყოფილა, შენი წარსული ბედნიერების აჩრდილისა. ის უბედური კი დღეს სულს ღაფავს; ამბობენ, ჭლექი აქვსო, შენ კი - სიკეთის ანგელოზო! შენ არ გინდა, სანამ ის ცოცხალია, გათხოვდე, რომ გული არ ატკინო, თურმე მას დღემდე ანამებს ეჭვიანობა, თუმცა დარწმუნებული ვარ, არასოდეს ჰყვარებიხარ ნამდვილი და ამაღლებული სიყვარულით. მე ვიცი, მას შემდეგ, რაც გაიგო მოზგლიაკოვის შესახებ, გითვალთვალებდა, ვილაცებს აგზავნიდა და აქაურ ამბებს კითხულობდა. მესმის შენი, შვილო ჩემო, გეცოდება და მხოლოდ ღმერთმა უწყის, ღამღამობით, შენ გამო, როგორი ცხარე ცრემლებით ვასველებ ბალიშს [P]

- კარგი რა, კმარა, დედილო! - შეანწყვეტინა ზინამ, - რა სახსენებელია ახლა თქვენი ბალიში, - გესლიანად დასძინა, - განა არ შეიძლება დეკლამაციისა და მიეთმოეთობის გარეშე. [P]

- შენ არ გჯერა ჩემი, ზინა! შენი მტერი არ ვარ, შვილო! ამ ორი წლის განმავლობაში თვალზე ცრემლი არ შემშრობია, მაგრამ შენ გიმაღავდი ამ ცრემლებს, გეფიცები, ამ ხნის მანძილზე ძალიან შევიცვალე! დიდი ხანია, მესმის შენი განცდები, და ვნანობ, რომ მხოლოდ ახლა მივხვდი შენს დიდ მწუხარებას. ჩემო მეგობარო, განა

შეიძლება ჩემი დადანაშაულება იმაში, რომ შენი გატაცება რომანტიზმი მეგონა, იმ წყეული შექსპირის ზეგავლენა, რომელიც ცხვირს ჰყოფს ყველგან, სადაც არ ეკითხებიან. რომელ დედას შეუძლია განმსაჯოს იმჟამინდელი შიშის შემდეგ მიღებული მკაცრი ზომებისა და გადანყვეტილებების გამო? მაგრამ ახლა, ახლა, როცა ვხედავ შენს ორნლიან ტანჯვას, მესმის და ვაფასებ შენს გრძნობებს, დამიჯერე, მე შეიძლება უფრო მეტად გაგიგე, ვიდრე შენ გაუგე შენს თავს. დარწმუნებული ვარ, შენ ის კი არ გიყვარს, ის არაბუნებრივი ყმანვილი, არამედ შენს სანუკვარ ოცნებებს, შენს დაკარგულ ბედნიერებას, შენს ამაღლებულ იდეალებს მისტირი. მეც მყვარებია, შესაძლოა, შენზე მეტადაც კი. მეც ვიტანჯებოდი; მეც მქონდა ამაღლებული იდეალები. ამიტომ ვინ დამადანაშაულებს ახლა, განა შენ შეგიძლია დამადანაშაულო იმის გამო, რომ მე შენი ახლანდელი მდგომარეობისათვის კნიაზზე გათხოვებას ყველაზე გადამრჩენელ და ყველაზე აუცილებელ საქმედ ვთვლი? [P SEP]

ზინა გაოცებული ისმენდა ამ გრძელ დეკლამაციას. მანკარგად იცოდა, რომ მისი დედილო უმიზეზოდ არ აირჩევდა ასეთ ტონს. მაგრამ უკანასკნელმა მოულოდნელმა დასკვნამ სავსებით გააოგნა ის. [P SEP]

- ნუთუ თქვენ სერიოზულად გადანყვეტეთ, კნიაზს მიმათხოვოთ? - იყვირა გაოგნებულმა ზინამ და შემფოთებულმა გადახედა დედას, - გამოდის, ეს მხოლოდ თქვენი ოცნება, თქვენი ახალი პროექტი კი არ არის, თქვენი მტკიცე განზრახვაა? ხომ არაფერი მემღლება? ერთი

მიტხარით... როგორ გადამარჩენს ეს ქორწინება და რატომაა ის ასე აუცილებელი ჩემი ახლანდელი მდგომარეობისათვის? და... რა კავშირშია ესა და თქვენი ახლანდელი ნალაპარაკევი ჩემი ამბის შესახებ? არაფერი მესმის, დედილო! [SEP]

- პირდაპირ მიკვირს, **mon ange**, რა არის გაუგებარი! - შესძახა მარია ალექსანდროვნამ, რომელიც თანდათან ეშხში შედიოდა, - ჯერ ერთი, მარტო ის რად ღირს, შენ რომ სხვა საზოგადოებაში გადახვალ, სხვა სამყაროში! სამუდამოდ დატოვებ ამ საზიზღარ ქალაქს, რომელთანაც საშინელი მოგონებები გაკავშირებს, სადაც არავის უყვარხარ, სადაც არ გყავს მეგობრები, სადაც ცილი დაგნამეს, სადაც შენი სილამაზის გამო შურით სკდებიან აქაური ჭორიკანები. შენ შეძლებ, ამ გაზაფხულზევე გაემგზავრო საზღვარგარეთ, იტალიაში, ან შვეიცარიაში, ან ესპანეთში, ბინა, ესპანეთში, სადაც ალამბრაა, გვადალკვირი, ჩვენს უმსგავსო, უხამსი სახელწოდების მდინარეს კი არ ჰგავს... [SEP]

- კი მაგრამ, მაპატიეთ, დედიკო, თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს უკვე გათხოვილი ვიყო, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, კნიაზმა ჩემი ხელი უკვე გთხოვათ! [SEP]

- მაგის ნუ გეშინია, ჩემო ანგელოზო, მე ვიცი, რასაც ვამბობ. მაგრამ დამაცადე, დამამთავრებინე. მეორე ისა, რომ მე კარგად მესმის შენი, ჩემო გოგონა, ვიცი, როგორი ზიზღით დათანხმდებოდი მოზღლიაკოვის ცოლობას... [SEP]

- უთქვენოდაც კარგად ვიცი, რომ არასოდეს გავხდები მისი ცოლი! -

თქვა გაცხარებულმა ზინამ და თვალები აენტო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რომ იცოდე, როგორი გასაგებია ჩემთვის მისადმი შენი სიძულვილი, ჩემო მეგობარო! საშინელებაა ღვთის საკურთხევლის წინაშე სიყვარული შეპფიცო მას, ვისი შეყვარებაც არ შეგიძლია! საშინელებაა ეკუთვნოდე მას, ვისაც პატივს არა სცემ! ის კი სიყვარულს მოგთხოვს, მხოლოდ იმ პირობით შეგიერთავს. მე თვალნათლივ ვხედავ, როგორ გიყურებს ის, როცა შენ ზურგს შეაქცევ ხოლმე. როგორი საქმეა, თავი მოაჩვენო! მე ამას ოცდახუთი წელია საკუთარ თავზე ვცდი. მამაშენმა დამღუპა, მთელი ახალგაზრდობა მომიშხამა, რამდენჯერ გინახავს ჩემი ცრემლები..<sup>[P]
[SEP]</sup>

- მამა სოფელშია, თუ ღმერთი გწამთ, თავი დაანებეთ! - თქვა ზინამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვიცი, ვიცი, შენ ყოველთვის მისი დამცველი იყავი, ეჰ, ზინა! ყოველთვის გული მიკვდებოდა, როდესაც ჩემი ანგარიშიანობის გამო მსურდა შენი ქორწინება მოზღვლიაკოვთან. კნიაზთან შენ არ მოგიწევს თავის მოკატუნება, ცხადია, შენ ვერ შეძლებ მის შეყვარებას... მასაც არ გაუჩნდება სურვილი, მოგთხოვოს სიყვარული..<sup>[P]
[SEP]</sup>

- ღმერთო ჩემო, რა სისულელეა! გარწმუნებთ, ჩემო დედილო, თქვენ შეცდით თავიდან, შეცდით უმთავრეს საკითხში! იცოდეთ, მე არ მსურს თავის განირვა, კაცმა არ იცის, რისთვის! იცოდეთ, მე საერთოდ არ მსურს გათხოვება, არავინ არ მინდა, შინაბერად ვრჩები! თქვენ, აგერ უკვე ორი წელია, მჭამთ, მიჩიჩინებთ, გათხოვდიო. რას იზამთ? უნდა შეეგუოთ ამას. არ მინდა და მეტი არაფერი! ასეც იქნება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ზინოჩვა, გეხაცვალე, რატომ ცხარობ, თუ ღმერთი გნამს, ყური მიგდე! რა ფიცხი ხარ, ღმერთმანი! ერთი ნუთით ყველაფერ ამას ჩემი თვალით შეხედე და დამეთანხმები. კნიაზს ერთი წლის სიცოცხლე და დარჩენია, ჰა, ჰა, ორი წლის, ჩემი აზრით, სჯობს, ახალგაზრდა ქვრივი იყო, ვიდრე ასაკგადასული შინაბერა, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ კნიაზის ქვრივი იქნები, თავისუფალი, მდიდარი და არავისზე დამოკიდებული. ჩემო მეგობარო, შენ შეიძლება გეზიზღება ასეთი ანგარიშიანობა, კნიაზის სიკვდილით გამოწვეული ხეირი! მაგრამ მე - დედა ვარ, რომელი დედა დამადანაშაულებს ასეთი შორსმჭვრეტელობის გამო? ბოლოს და ბოლოს, კეთილო ანგელოზო, შენ თუ აქამდე გეცოდება ის ყმანვილი, იმდენად გეცოდება, რომ არ გინდა მის სიცოცხლეში გათხოვდე (მე ეჭვი მაქვს, რომ ეს ასეა), მაშინ დაფიქრდი, თუ შენ კნიაზს მისთხოვდები, ის ყმანვილი სულიერად გამხნევდება, გაიხარებს! მას თუ ცოტაოდენი ჭკუა აქვს, უეჭველად მიხვდება, რომ ბებერ კნიაზზე ეჭვიანობა არ შეიძლება, სასაცილოა, მიხვდება, რომ შენ მომგებიან ქორწინებაზე აუცილებლობის გამო დათანხმდი. ბოლოს და ბოლოს, მიხვდება... უბრალოდ ის მინდა ვთქვა, რომ კნიაზის სიკვდილის შემდეგ შენ შეგიძლია კვლავ გათხოვდე, ვისაც გინდა, იმას გაჰყვე ცოლად...^[P]_[SEP]

- მოკლედ, გინდათ თქვათ: გავყვე კნიაზს, ფულები ავნაპნო და დაველოდო მის სიკვდილს, რომ შემდეგ საყვარელს გავყვე ცოლად. რა ეშმაკური დასკვნები გამოგაქვთ! თქვენ გინდათ მაცდუნოთ, როცა

მთავაზობთ... მესმის თქვენი, დედიკო, კარგად მესმის! თქვენ არაფრით არ შეგიძლიათ უბინძურეს საქმეშიც კი კეთილშობილური გრძნობები არ გამოამზეუროთ. ბარემპირდაპირ და უბრალოდ გეთქვათ: `ზინა, მართალია, ყველაფერი ეს უსინდისობაა, მაგრამ სახეიროა, ამიტომაც უნდა დათანხმდე!~ ეს გულახდილობად მაინც ჩაგეთვლებოდათ.^[P SEP]

- რატომ, შვილო ჩემო, ასეთი თვალთახედვით რატომ უდგები ამ საკითხს - მაინცდამაინც მოტყუებას, ანგარებასა და ვერაგობას რატომ ხედავ? შენ ჩემს ანგარიშიანობას მნედაცემულობად და სიცრუედ რატომ თვლი? ერთი სარკეში ჩაიხედე: შენ ხომ ისეთი მშვენიერი ხარ, ერთ სამეფოდ ღირხარ! და თუ შენ, ასეთი მზეთუნახავი, საუკეთესო ნლებს მოხუცს შესწირავ: შენ, როგორც მშვე-ნიერი ვარსკვლავი, გაანათებ მის დაისს; როგორც მწვანე სურო, გარს შემოეფლები მის სიბერეს, შენ, და არა ის ჭინჭარი, საძაგელი დედაკაცი, რომელმაც მოაჭადლოვა და ხარბად სწოვს სისხლს! ნუთუ მისი ფული, მისი კნიაზობა, შენზე ძვირი ღირს? რატომაა ეს სიცრუე და მნედაცემულობა? შენ თავადაც არ გესმის, რას ლაპარაკობ, ზინა!^[P SEP]

- ალბათ ღირს, რაკი იმ ხეიბარს მე უნდა გავყვე ცოლად! ისე კი, სიცრუე ყოველთვის სიცრუეა, დედილო, როგორი მიზანიც უნდა გქონდეს.^[P SEP]

- პირიქით, საყვარელო, პირიქით! ამას შეიძლება უფრო ამაღლებული, ქრისტიანული თვალსაზრისითაც კი შევხედოთ, შვილო! ერთხელ შენ, რალაცნაირად აღგზნებულმა მითხარი, მონყალების და

უნდა გავხედო. შენ იტანჯებოდი, გული გაგიქვავდა. ამბობდი (მე ვიცი ამის შესახებ), რომ შენი გული ანი ველარავის შეიყვარებდა. სიყვარულის თუ აღარ გჭერა, მაშინ შენი გრძნობები სხვა გზით უნდა წარმართო, უფრო ამაღლებული რამისკენ, ბალღივით გულწრფელად, მთელი შენი რწმენითა და სინწინდით - და ღმერთი დაგლოცავს. ეს მოხუცი იტანჯება, უბედურია, დევნიან; რამდენიმე წელია ვიცნობ და ყოველთვის მქონდა მის მიმართ რალაცნაირი გაუცნობიერებელი სიმპათია და სიყვარული, თითქოს წინასწარ რალაცას ვგრძნობდი. გახდი მისი მეგობარი, მისი ასული, თუნდაც მისი სათამაშო, გაუთბე გული და ამით საღვთო საქმეს გააკეთებ, სიკეთის სამსახურში ჩადგები!... მერე რა, რომ სასაცილოა, ნუ მიაქცევ ამას ყურადღებას. ის ნახევარი კაცია, შეიცოდე, შენ ხომ ქრისტიანი ხარ! თავს ძალა დაატანე; ასეთი თავდადება მომბაზვრებელია. ერთი შეხედვით, ძალიან მძიმე საქმეა, ავადმყოფისათვის იარების გასუფთავება და გადახვევა; საზიზღრობაა, ლაზარეთის სუნით გაჟღენთილი ჰაერის სუნთქვა. მაგრამ ხომ არიან ღვთიური ანგელოზები, რომლებიც ასრულებენ ამ კეთილ საქმეს და თან ღმერთს მადლობას სწირავენ თავიანთი დანიშნულების გამო. ესაა შენი შეურაცხყოფილი გულის წამალი - დასაქმება, თავგანწირვა - სწორედ ესენი მოგიშუშებს იარებს. სად ხედავ აქ ეგოიზმს, რატომაა ეს უსინდისობა? თუმცა ჩემი არ გჭერა! იქნებ ფიქრობ კიდევაც, რომ მე თავს განონებ, როცა მოვალეობასა და თავგანწირვაზე ვსაუბრობ. შენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ჩემნაირ, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელ

ქალს, ფაცაფუცა ადამიანს, გული და გრძნობები ჰქონდეს და წესი და რიგი გააჩნდეს? რას ვიზამ? ნუ დამიჭერებ, შეურაცხყავი დედაშენი, მაგრამ დამეთანხმე, რომ ჩემი სიტყვები ჭკუასთან ახლოა და ჩვენი გადამრჩენელია. დაუშვი, რომ ამას სხვა ლაპარაკობს; თვალები დახუჭე, ბურგი შემაქციე და წარმოიდგინე, რომ რაღაც უხილავი ხმა გესაუბრება... რაც მთავარია, შენ ის გაშფოთებს, რომ ყველაფერი ეს ფულის გულისთვის კეთდება, თითქოს ეს რაღაცნაირი აღებ-მიცემობა იყოს? ბოლოს და ბოლოს, ფულზე უარი თქვი, თუკი ფული შენთვის ასეთი საბარელი რამ არის! მხოლოდ აუცილებელი დაიტოვე შენთვის, დანარჩენი კი ღარიბ-ღატაკებს დაურიგე, თუნდაც იმას დაეხმარე, იმ ბეჩავს, სასიკვდილო სარეცელზე რომ წევს.^[P SEP]

- ის არავითარ დახმარებას არ მიიღებს, - ისე ხმადაბლა თქვა ზინამ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო.^[P SEP]

- ის თუ არ მიიღებს, დედამისი ხომ გამოგართმევს, - უპასუხა გამარჯვებულმა მარია ალექსანდროვნამ, - დედამისი ისე აიღებს, მას არაფერს ეტყვის. შენ ხომ გაყიდე დეიდაშენის ნაჩუქარი საყურეები და დაეხმარე დედამისს ნახევარი წლის წინათ; მე ესეც ვიცი. ისიც ვიცი, რომ ის დედაბერი სხვას სარეცხს ურეცხავს, ლუკმაპური რომ აჭამოს თავის გაუბედურებულ ვაჟს.^[P SEP]

- მალე მას აღარ დასჭირდება დახმარება!^[P SEP]

- ესეც ვიცი, მაგით რა გინდა თქვა, - აიტაცაფფრთაშესხმულმა მარია ალექსანდროვნამ და ნამდვილი აღმაფრენა დაეუფლა, - გასაგებია, რასაც გულისხმობ. ამბობენ, ჭლექი აქვს და მალე

მოკვდებო. მაგრამ ამას ვინ ამბობს? ამას წინათ მის შესახებ განზრახ ვკითხე კალისტ სტანისლავიჩს; მაინტერესებს მისი ამბავი, რადგან მეც მაქვს გული, ზინა. კალისტ სტანისლავიჩმა მითხრა, რომ ის საშინაო ავადმყოფობით არის ავად, მაგრამ ექიმი დარწმუნებულია, რომ ეს ჭლეჩი არ არის, მაგრამ ფილტვებში აქვს რაღაც ძლიერი დაზიანება. შენ თავად შეგიძლია ჰკითხო. მან დაბეჭითებით განაცხადა, რომ თუ ის სხვა გარემოში მოხვდება, განსაკუთრებით, თუ კლიმატს შეიცვლის და ახალი შთაბეჭდილებებით აღივსება, არ არის გამორიცხული, გამოჯანმრთელდეს კიდევცო. მან მითხრა, რომ ესპანეთში არის რომელიღაც არაჩვეულებრივი კუნძული, მე ამ კუნძულის შესახებ ადრეცგამიგია, სადღაც ნავიკითხე, მგონი მალაგა¹ ჰქვია, რომელიღაც ღვინის სახელს ჩამოჰგავს. ჰოდა, ერთი სიტყვით, ამ კუნძულზე ისეთი ჰავაა, არა მარტო ფილტვებით დაავადებულები, არამედ ნამდვილი ჭლეჩიანებიც კი გამოჯანმრთელდებულანო. იქ სამკურნალოდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ძალიან მდიდარი ადამიანები - დიდებულები, სოვდაგრები და სხვა მილიონერები - მიემგზავრებოდნენ. მარტოოდენ ალაამბრა, მირტი,² ლიმონი და ჭორებზე ამხედრებული ესპანელები რად ღირს. მარტოოდენ ისინი მოახდენენ არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას პოეტური ნატურის ადამიანზე. შენ ფიქრობ, რომ ის არ მიიღებს შენს დახმარებას, შენს ფულს ასეთი მოგზაურობისათვის? მაშინ იცრუე, თუ გეცოდება, დააიმედე, ბოლოს და ბოლოს, უთხარი, რომ გიყვარს და დაქვრივების შემდეგ ცოლად გაჰყვები. კეთილშობილური მიზნით

ყველაფრის თემა შეიძლება. არაკეთილშობილურს დედაშენი არაფერს გასწავლის, ბინა. შენ ამას მისი სიცოცხლის გადასარჩენად გააკეთებ, ამიტომ ყველაფერი დასაშვებია! დაპირებებით შენ მას სიცოცხლეს გაუხანგრძლივებ. ის თავად მიაქცევს ყურადღებას თავის ჭანმრთელობას. იმპურნალებს და შეასრულებს მედიკოსების რჩევებს. საკუთარი ბედნიერებისათვის ეცდება განკურნებას. თუ განიკურნა, მართალია, შენ მას არ მისთხოვდები, მაგრამ ხომ გამოჭანმრთელდება, ხომ უშველი მას, შენ დაუბრუნებ სიცოცხლეს! დასასრულ, შეიძლება თანაუგრძნო კიდევ! შეიძლება ბედმა რაღაცა ასწავლოს და უკეთესობისაკენ შეცვალოს, და თუკი ის შენი ღირსი გახდება - შეგიძლია ცოლადაც გაჰყვე დაქვრივების შემდეგ. შენ იქნები მდიდარი და დამოუკიდებელი. მისი განკურნების შემდეგ შეძლებ მის მაღალ საზოგადოებაში შეყვანას და კარიერით უზრუნველყოფას. ამ დროისათვის შენი მასთან ქორწინება უფრო მისატევებელი იქნება, ვიდრე დღეს, დღეს ეს ქორწინება დაუშვებელია. რა გელოდათ, დღეს რომ ჭვარი დაგენერთ? საყოველთაო სიძულვილი, სიღარიბე, მამრის სკოლის მასწავლებლობა, შექსპირის ერთობლივი კითხვა, სამუდამოდ მორდასოვოში ცხოვრება, დაბოლოს, უახლოეს ხანებში მისი გარდაუვალი სიკვდილი. მაშინ კი, როცა შენ მას მოარჩენ - შენ მას ჭანსალი ცხოვრებისათვის, სიკეთისათვის მოარჩენ; თუ აპატიებ - ამით აიძულებ, რომ გაგალმერთოს. ის ახლა იტანჯება თავის უმსგავსო საქციელის გამო, ხოლო თუ შენ ახალ ცხოვრებას შესთავაზებ, ყველაფერს აპატიებ, იმედს გაუღვიძებ და საკუთარ თავთან შეარიგებ.

სამსახურის დანყებას და ჩინის მიღებასაც შეძლებს. დასასრულ, თუ არ განიკურნა და გარდაიცვლა, ბედნიერი წავა იმქვეყნად, შენთან შერიგებული, შენს ხელებში ამოხდება სული, რადგან იმ დროს შენ თავზე ედგები, შენს სიყვარულში დარწმუნებული, შენგან ნაპატიები, ფირუზი, ეგზოტიკური ცის, მირტებისა და ლიმონების ჩრდილქვეშ აღესრულება! ოჰ, ბინა! ყველაფერი შენზეა დამოკიდებული! ყველა სარგებელი შენს ხელთ იქნება - ოლონდ კნიაზზე გათხოვების შემთხვევაში. [SEP]

მარია ალექსანდროვნამ დაამთავრა. კარგახანს სიჩუმემ დაისადგურა. ბინა აუნერელმა მღელვარებამ შეიპყრო. [SEP]

ჩვენ არ დავინყებთ ბინას გრძნობების აღწერას. არ შეგვიძლია მათი გამოცნობა, მაგრამ, მგონი, მარია ალექსანდროვნამ ბინას გულისაკენ მიმავალი გზა იპოვა. თავიდან არ იცოდა საკუთარი ასულის სულიერი მდგომარეობა, მან მოსინჯა ყველა ვარიანტი და, როგორც იქნა, მიხვდა, რომ სწორ გზას ადგა. მარია ალექსანდროვნა უხეშად იჭრებოდა თავისი ასულის გულის ყველაზე მტკივნეულ კუნჭულებში და, ცხადია, ჩვეულებისამებრ, ვერ შეძლო უარი ეთქვა კეთილშობილური გრძნობების გამომზეურებაზე, რომლებსაც, რასაკვირველია, არ დაუბრმავებია ბინა. `რა საჭიროა, ჩემი სჯეროდეს, - ფიქრობდა მარია ალექსანდროვნა, - მთავარია, ვაიძულო, დაფიქრდეს. რაც შეიძლება მოხერხებულად, გადაკვრით ვუთხრა ის, რასაც პირდაპირ ვერ ვუბნები!~ ასე ფიქრობდა და მიზანსაც მიაღწია - ეფექტი მოახდინა. სახეატკრეცილი ბინა ხარბად

უსმენდა და მკერდი მღელვარებისაგან აუღ-ჩაუდიოდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მისმინე, დედიკო, - როგორც იქნა, მტკიცედ წარმოთქვა მან, თუმცა მოულოდნელმა სიფითრემ, რომელმაც სახეზე გადაუარა, ნათლად გამოაჩინა, რის ფასად დაუჭდა ეს გადანყვეტილება, - ყური მიგდეთ...<sup>[P]
[SEP]</sup>

მაგრამ ამ დროს წინკარში ატეხილმა ხმაურმა და მჭახე, მკივანა ხმამ, რომელიც მარია ალექსანდროვნას კითხულობდა, ზინა აიძულა, გაჩუმებულიყო. მარია ალექსანდროვნა ფეხზე წამოხტა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, ღმერთო ჩემო! - იყვირა მან, - ამ კაჭკაჭს აქ რა უნდა! პოლკოვნიკის მეუღლეა. მე ხომ ის ამ ორი კვირის წინ თითქმის გავაგდე სახლიდან! - დასძინა ლამის სასონარკვეთილმა, - მაგრამ.. ახლა არ შეიძლება, არ მივიღო! არ ივარგებს! ალბათ ახალი ამბებით არის მოსული, ისე ვერ გაბედავდა აქ მოსვლას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ზინა! ახლა ყველაფერი უნდა ვიცოდე... არაფერზე არ უნდა ვთქვა უარი! ო, ო, როგორი მადლობელი ვარ თქვენი სტუმრობის! - იყვირა მარია ალექსანდროვნამ და მიეგება შემოსულ სტუმარს, - როგორ გაგახსენდით, ძვირფასო, სოფია პეტროვნა? რა სასიამოვნო სიურპრიზია!<sup>[P]
[SEP]</sup>

ზინა ოთახიდან გავარდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

<sup>[P]
[SEP]</sup>

თავი VI^{[P] [SEP]}

პოლკოვნიკის მეუღლე, სოფია პეტროვნა ფარჰუხინა, მხოლოდ მწეობრივად ჰგავდა კაჭკაჭს. ფიზიკურად უფრო ბელურას ჩამოჰგავდა.

ეს იყო ასე ორმოცდაათი წლის თვალგაფაცვიცებული დაბალი დედაკაცი, რომელსაც მთელი სახე ჭორფლითა და ტალებით ჰქონდა დაფარული. ბელურისნაირ ფეხებზე მდგარ, გალეულ და პატარა სხეულზე მუქი აბრეშუმის კაბა ეცვა. კაბას გაუთავებელი შარიშური გაჰქონდა, რადგან პოლკოვნიკის ცოლს ნამითაც არ შეეძლო ერთ ადგილას გაჩერება. ეს იყო უბოროტესი, შურისმაძიებელი და ენაჭარტალა დედაკაცი. პოლკოვნიკის ცოლობა თავში ჰქონდა ავარდნილი. თავის გადამდგარ პოლკოვნიკ ქმარს ხშირად ეჩხუბებოდა და არაერთხელ დაუკანრავს მისთვის პირისახე. ამას გარდა, ყოველ დილა-სალამოს ოთხ-ოთხ სირჩა არაყს გადაჰკრავდა ხოლმე და სიგიჟემდე სძულდა ანა ნიკოლაევნა ანტიპოვა და ნატალია დმიტრიევნა პასკუდინა, პირველმა წინა კვირას სახლიდან გამოაგდო, მეორემ კი ხელი შეუწყო ამ ამბავს. [P]
[SEP]

- მხოლოდ ერთი წუთით შემოვირბინე, **mon ange**, - აქაქანდა სოფია პეტროვნა, - ტყუილად ჩამოვჭექი. იმის სათქმელად მოვედი, რა სასწაულები ხდება ჩვენთან. ამ კნიაზის გამო მთელმა ქალაქმა ჭკუა დაკარგა! ჩვენი გაიძვერები - **vous comprenez!** - კუდში დასდევენ, გამოჭერაზე არიან, ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ, შამპანურით გაჭყიპეს, არ დაიჭერებთ! არ დაიჭერებთ, რა ხდება! ეს რა გააკეთეთ, როგორ გაუშვით ხელიდან? იცით, რომ ახლა კნიაზი ნატალია დმიტრიევნასთანაა? [P]
[SEP]

- ნატალია დმიტრიევნასთან! - იკივლა მარია ალექსანდროვნამ და სკამიდან წამოხტა, - ის ხომ გუბერნატორთან აპირებდა მისვლას,

შემდეგ კი შეიძლება ანა ნიკოლაევნასთან შეველო, ისიც ცოტა ხნით! [P SEP]

- ეგრე გეგონოთ, ცოტა ხნით! მიდით, ახლა იპოვეთ სად არის! გუბერნატორი შინ არ დახვდა, შემდეგ ანა ნიკოლაევნას ეწვია და დაჰპირდა, რომ მასთან ისადილებდა, ხოლო ნატაშკამ, რომელიც ანა ნიკოლაევნასთან ათენებს და აღამებს, სტაცა ხელი და სადილობამდე თავისთან წაიყვანა სასაუბმოდ. ესეც თქვენი კნიაზი! [P SEP]

- მოზგლიაკოვი სადაა? ის დამპირდა... [P SEP]

- ერთი ეგეც არის რა! თქვენი ნაქები მოზგლიაკოვი... ისიც კნიაზს ახლავს! აი, ნახავთ, იქ მას ბანქოს სათამაშოდ თუ არ დასვამენ და ისეც არ წააგებს, როგორც შარშან წააგო! კნიაზსაც ათამაშებენ, მასაც ტყავს გააძრობენ. ის ნატაშკა თქვენზე ისეთ ხმებს ავრცელებს! ხმამალლა ყვირის, თითქოს თქვენ გინდათ, კნიაზი მახეში გააბათ... ცნობილი მიზნისათვის, **vous comprenez?** ამას პირში ეუბნება კნიაზს. კნიაზს, ცხადია, არაფერი ესმის, ზის განუწულ კატასავით და ყველაფერზე `დიახ! დიახ!~-ო გაიძახის. ნატაშამ კი! გამოუყვანა თავისი თხუთმეტი წლის სონკა - წარმოგიდგენიათ, თხუთმეტი წლისაა და კიდევ მოკლე კაბას აცმევს! მუხლებამდე! წარმოგიდგენიათ... მოიყვანეს ობოლი მაშკაც, მასაც მოკლე კაბა ეცვა, ოღონდ იმას მუხლზემთ, მე ლორნეტით ვუყურებდი... თავზე ორივეს ბუმბულიანი წითელი ქუდები დაახურეს, ვერ მივხვდი, რას უნდა ნიშნავდეს ეს! ჰოდა, ფორტეპიანოს მუსიკის თანხლებით, კნიაზის წინ ამ ორ გომბიოს კაზაჩოკი აცეკვეს! კარგად მოგეხსენებათ კნიაზის წუნკი ხასიათი! ლამის დადნა და გულაჩუყებული გაიძახოდა: `იფ, იფ, რა

ფორმები, რა ფორმებიო!~ ლორნეტმომარჯვებული ხარბად მიშტერებოდა გოგოებს, ისინი კი თავს არ ზოგავდნენ! სახეახურებულები ტლინკაობდნენ და ისე აიშვეს თავი, პირდაპირ საზიზღრობა იყო! ფუ! ამასაც ცეკვა ჰქვია! მე თავად მიცეკვია მოსასხამით მადამ ჟარნის კეთილშობილთა პანსიონის გამოსაშვებ საღამოზე და ისეთი კეთილისმყოფელი ეფექტი მოვახდინე, სენატორები ტაშს მიკრავდნენ! იქ სულ მალალი წრის ქალიშვილები სწავლობდნენ. ეს კი ნამდვილი კანკანი იყო! სირცხვილით დავინვი და დავიდაგე! უბრალოდ, ვეღარ გავძელი და ნამოვედი! [P SEP]

- კი მაგრამ... თქვენ რა, ნატალია დმიტრიევნასთან იყავით? თქვენ ხომ... [P SEP]

- კი, ბატონო, წინა კვირას შეურაცხყოფა მომაცენა, ამას ყველას ვეუბნები. **mais, ma chere**, მსურდა, კნიაზისათვის ჭუჭრუტანიდან მაინც მეცქირა და მივედი, აბა, სხვაგან სად ვნახავდი? აბა, ნატალია დმიტრიევნასთან რა მინდოდა, ის საძაგელი კნიაზი რომ არა! წარმოგიდგენიათ, ყველას შოკოლადი მიართვეს, მე კი არა, ხმაც არავინ გამცა. განგებ გამიკვთა, მაგ კრუხის პალომ, მაგან! ამას მაინც არ შევარჩენ! ახლა კი მშვიდობით, **mon ange!** ძალიან მეჩქარება, მეჩქარება... აუცილებლად უნდა მივუსწრო აკულინა პანფილოვნას და მასაც მოვუყვე... თქვენ კი სამუდამოდ გამოეთხოვეთ კნიაზს! თქვენთან აღარ მოვა. ხომ იცით - მეხსიერება არ უვარგა, ასე რომ, ახლა ანა ნიკოლაევნა აუცილებლად წაიყვანს თავისთან! მათ ეშინიათ, რომ თქვენ ის... გამიგეთ? ზინა მყავს მხედველობაში... [P SEP]

- Quelle horreur!<sup>[P]
[SEP]</sup>

- გუბუნებით! მთელი ქალაქი ამის შესახებ ყაყანებს. ანა ნიკოლაევნას სურს, დღეს აუცილებლად თავისთან ასადილოს კნიაზი, შემდეგ ღამეც იქ გაათევინოს. ამას თქვენს ჯიბრზე აკეთებს, მონ ანგე! მათ ეზოში ღობის ღრიჭედან შევიხედე. ერთი ფაციფუცია ატეხილი: კერძებს ამზადებენ, დანებს ლესავენ... ბიჭი შამპანურის მოსატანად გაგზავნეს. იჩქარეთ, იჩქარეთ, სანამ გვიან არ არის, გზაზე ჩაუსაფრდითკნიაზს და მოიტაცეთ. ის ხომ პირადად დაგპირდათ სადილად მოსვლას. თქვენი სტუმარია, და არა მისი! გინდათ იმნგაიძვერამ, ოინბაზმა და ნვინტლიანმა თქვენზე იცინოს! ჩემი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს, თუნდაც პროკურორის ცოლი იყოს! მე პოლკოვნიკის ცოლი ვარ! მადამ ჟარნის პანსიონში აღბრდილი... ფუ! **Mais adieu, mon ange!** მე ჩემი მარხილი მაქვს, თორემ თქვენთან ერთად ნამოვიდოდი...<sup>[P]
[SEP]</sup>

მოარული გაზეთი გაქრა, მარია ალექსანდროვნა მღელვარებისაგან კანკალებდა. პოლკოვნიკის ცოლის საგანგებო რჩევები ნათელი და პრაქტიკული იყო. დაყოვნება არ შეიძლებოდა. მაგრამ მთავარი დაბრკოლება გადაულახავი რჩებოდა. მარია ალექსანდროვნა ზინას ოთახისკენ გავარდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

გულხელდაკრეფილი და თავდახრილი, აღელვებული და გაფითრებული ზინა ოთახში ბოლთას სცემდა. თვალები აცრემლებული ჰქონდა, მაგრამ მის მზერაში ჩანდა გადანყვეტილება. ზინამ უმაღლესი შვიმშრალა ცრემლები და ტუჩებზე სარკასტული ღიმილი აღებეჭდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დედილო! - მიმართა მან მარია ალექსანდროვნას გამაფრთხილებელი ტონით, - წელან მთელი თქვენი მჭევრმეტყველება დახარჯეთ, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ დამაბრმავეთ. მე ბავშვი არა ვარ, თავი დავირწმუნო, მონყალების დის თავდადებას ჩავიდენ-მეთქი, იმ დროს, როცა ვიცი, ამის იოტისოდენა მონოდებაც არ მაქვს, არც იმას ვაპირებ, რაღაც კეთილშობილური მიზნებით გავამართლო ჩემი სულმდაბლობა, რომელსაც ეგოიზმის გამო ჩავიდენ, ეს ყველაფერი ისეთი იეზუიტობაა, რომლითაც ჩემი მოტყუება შეუძლებელია. გესმით, ამით არ მოვტყუვდები და მე მინდა, რომ ეს კარგად იცოდეთ! ^[P]_[SEP]

- კი მაგრამ, **mon ange!** - იყვირა დამფრთხალმა მარია ალექსანდროვნამ. ^[P]_[SEP]

- გაჩემდით, დედილო! მოთმინება იქონიეთ და ბოლომდე მომისმინეთ. მიუხედავად იმისა, რომ სრულად გაცნობიერებული მაქვს თქვენ მიერ შემოთავაზებული წინადადების იეზუიტობა, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით დარწმუნებული ვარ ასეთი საქციელის არაკეთილშობილურობაში, მაინც სრულად ვღებულობ თქვენს წინადადებას, გესმით, სრულად, და გიცხადებთ, რომ თანახმა ვარ, ცოლად გავყვე კნიაზს, უფრო მეტიც, ყველაფერში დაგეხმაროთ, რათა ვაიძულოთ კნიაზი ჩემზე დაქორწინდეს. რისთვის ვაკეთებ ამას? ეს თქვენი საქმე არ არის. ისიც საკმარისია, რომ თანახმა ვარ. მე გადავწყვიტე, ვიყო მისი მოახლე, ყოველდღე მივართვა ჩექმები, მისი სიამოვნებისათვის ვიცეკვო, რათა გამოვისყიდო ჩემი ბნედაცემულობა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ არ ინანოს ჩემი ცოლად

შერთვა! ამ გადანყვეტილების სამაგიეროდ მოვითხოვ, გულახდილად მითხრათ, როგორ აპირებთ ამის მოგვარებას? მე თქვენ კარგად გიცნობთ, რახან ამ თემაზე ასე დაჟინებით დაიწყეთ ლაპარაკი, შეუძლებელია, თავში რაღაც განსაზღვრული გეგმა არ გქონდეთ. ცხოვრებაში ერთხელ მაინც იყავით გულახდილი. გულწრფელობა - აუცილებელი პირობაა! მე ვერაფერს გადავწყვეტ, თუ არ მეცოდინება ყველაფერი, რის გაკეთებასაც აპირებთ?^[SEP]

მარია ალექსანდროვნა ისე გააოგნა ბინას მოულოდნელმა გადანყვეტილებამ, რომ კარგა ხანს გაოცებისაგან გაქვავებული და დამუნჯებული იდგა და შვილს თვალეზგაფართოებული მიშტერებოდა. მზად იყო თავისი ასულის უდრეკ რომანტიზმთან საბრძოლველად. მას ქალიშვილის მკაცრი კეთილშობილების შიში ყოველთვის ჰქონდა და უცებ ესმის, რომ იგი ყველაფერზე თანახმაა და მზადაა, ყველაფერი გააკეთოს, მიუხედავად მისი მრწამსისა! მაშასადამე, საქმე კარგად მიდის - მარია ალექსანდროვნას თვალეზში სიხარული აკიაფდა.^[SEP]

- ბინა! - იყვირა ალტაცებულმა მარია ალექსანდროვნამ, - ბინა! შენი ჩემი სისხლი და ხორცი ხარ!^[SEP]

მეტის თქმა ვერ შეძლო, ბინას მივარდა და გადაეხვია.^[SEP]

- უჰ, ღმერთო ჩემო! არ მჭირდება თქვენი ხვევნა-კოცნა, დედილო, - იყვირა ბინამ დაუფარავი ზიზღით, - არ მჭირდება თქვენი ალტაცება! მოვითხოვ ჩემს კითხვაზე პასუხს, მეტს არაფერს.^[SEP]

- კი მაგრამ, ბინა! მე ხომ მიყვარხარ! გაღმერთებ, შენ კი ხელს მკრავ... მე ხომ შენი ბედნიერებისათვის ვირჯები...^[SEP]

და პირუთენელი ცრემლები აუკიაფდა თვალებში. მარია ალექსანდროვნას მართლაც უყვარდა ბინა, თავისებურად უყვარდა, ამჟამად კი ამხელა წარმატებამ და მღელვარებამ განსაკუთრებით აუჩუყა გული. ბინას კი, მიუხედავად საგნებისადმი თავისი რაღაცნაირი განსაზღვრული შეხედულებისა, ესმოდა, რომ დედას ის უყვარდა, მაგრამ ეს სიყვარული მძიმე ტვირთად აწვა. მისთვის უკეთესიც კი იქნებოდა, დედამისს რომ სძულებოდა...^[P]_[SEP]

- ნუ გწყინთ, დედილო, ძალიან ვღელავ, - დასამშვიდებლად უთხრა ბინამ.^[P]_[SEP]

- არა, არ მწყინს, არა, ჩემო ანგელოზო! - ალაპარაკდა უცებ ხასიათზე მოსული მარია ალექსანდროვნა, - კარგად მესმის, რომ ღელავ, შენ მოითხოვ გულწრფელობას... ბატონი ბრძანდები, ვიქნები გულწრფელი, სავსებით გულწრფელი, გარნმუნებ! ოღონდ ჩემი გჭეროდეს. უპირველეს ყოვლისა, გეტყვი, რომ გარკვეული გეგმა, უფრო სწორად, დეტალური გეგმა არ მაქვს, ბინა, და არც შეიძლება მქონდეს; შენ ჭკვიანი გოგო ხარ და გაიგებ - რატომაც. რაღაც სირთულეებსაც ვხედავ... აი, ახლაც იმ კაჭკაჭმა იმდენ რამეზე ილაყბა... (ოჰ, ღმერთო ჩემო, უნდა ვიჩქარო!) როგორც ხედავ, სავსებით გულახდილი ვარ! მაგრამ, გეფიცები, მიზანს მივაღწევ! - აღტყინებულმა დასძინა მან, - ჩემი თავდაჭერებულობა სულაც არ არის პოეზია, როგორც შენ ამას წინათშენიშნე, ჩემო ანგელოზო; ის საქმეზეა დაფუძნებული. დაფუძნებულია კნიაზის ჭკუასუსტობაზე, ეს ისეთი ქარგაა, რომელზედაც რასაც გინდა, იმას ამოქარგავ. მთავარია

- ხელი არავინ შეგვიშალოს! ის ცალტვინა დედაკაცები მე ვერ მაჭობებენ, - შეჰკვივლა მან და გაბრაზებულმა მაგიდას დაჰკრა ხელი, - მე ჩემი საქმე ვიცი! ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგე საქმეს, დღესვე უნდა მოვათავო მთავარი საკითხები, თუკი ეს შესაძლებელი იქნება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კეთილი, დედილო, ოღონდ მოისმინეთ, კიდევ ერთი... გულწრფელობა: იცით, რატომ მაინტერესებს თქვენი გეგმა და რატომ არ მჭერა თქვენი? იმიტომ, რომ საკუთარი თავის იმედი არ მაქვს. მე უკვე გითხარით, რომ გადავწყვიტე, აგყვეთ ამ უზნე-ობაში, მაგრამ თუ თქვენი გეგმის დეტალები ძალიან საზიზღარი, ძალიან ბინძური იქნება, გიცხადებთ, რომ ამდენს ვერ ავიტან და ყველაფერზე უარს ვიტყვი. ვიცი, ეს კიდევ ახალი უსინდისობაა: გადანყვიტო ჩაიდინო უზნეობა და შეგეშინდეს ჭუჭყისა, რომელშიც ეს უზნეობაა ჩაფლული, მაგრამ რას იზამ? ეს აუცილებლად ასე მოხდება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი მაგრამ, ბინა, რა განსაკუთრებულ უსინდისობაზე მელაპარაკები, **mon ange?** - ფრთხილად დააპირა შედავება მარია ალექსანდროვნამ, - ეს მხოლოდ სარფიანი ქორწინებაა, ამას ხომ ყველა აკეთებს! უბრალოდ, ამ მხრიდან შეხედე და ყველაფერი კარგად მოგეჩვენება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- უჰ, დედიკო, ღვთის გულისათვის, ჩემთან მაინც შეეშვით თვალთმაქცობას! ხომ ხედავთ, ყველაფერზე თანახმა ვარ! მაშ, სხვა რაღა გინდათ? ნუ გეშინიათ, მე რომ ყველაფერს თავის სახელს ვუწოდებ. იქნებ ეს არის ახლა ჩემი ერთადერთი ნუგეში!<sup>[P]
[SEP]</sup>

და ზინას სახეზე მწარე ღიმილმა გადაურბინა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი, კარგი, ჩემო ანგელოზო, შეიძლება ერთმანეთის აზრებს არ დავეთანხმოთ, მაგრამ ერთმანეთს პატივი მაინც ვცეთ. თუ დეტალები განუხეხებს და შიში გაქვს, რომ ისინი ბინძური იქნება, მაშინ მე მომანდე ყველაფერი. გეფიცები, იმ სიბინძურის ერთი შხეფიც არ დაგსვრის. განა მე მოვისურვებ ყველას წინაშე შენს კომპრომეტირებას? მხოლოდ ჩემი იმედი გქონდეს და ყველაფერი მშვენივრად, კეთილშობილურად მოგვარდება, რაც მთავარია - კეთილშობილურად! არავითარი სკანდალი არ იქნება, და თუ მაინცდამაინც მოხდება - პატარა, სულ პანანუნა აუცილებელი სკანდალი, ჩვენ ამ დროს უკვე ძალიან შორს ვიქნებით! აქ ხომ აღარ დავრჩებით! მათ კი, თუ უნდათ, ხმის ჩახლექამდე იკივლონ და ინივლონ, მიმიფურთხებია მათთვის! გასკდნენ შურით! ღირს კი მათზე ლაპარაკი! მე კიდევ მიკვირს შენი, ზინა (ნუ გამინყრები!), - შენ ასეთი ამაყი ხარ და მათი გეშინია?<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, დედიკო, მე სულაც არ მეშინია! თქვენ ჩემი არაფერი გესმით! - უპასუხა გაღიზიანებულმა ზინამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი, კარგი, ჭირიმე, ნუ გამიბრაზდები! მე მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ ისინი, თითოეული ცალ-ცალკე, ყოველდღიურად რაღაც საძაგლობას ჩადიან, შენ კი, ერთხელ შენს ცხოვრებაში თუ... რას ვლაპარაკობ, სულ გამოვსულელდი! ეს სულაც არ არის საძაგლობა! რატომაა საძაგლობა? პირიქით, ეს ძალიან კეთილშობილური საქმეა. მე ამას დაგიმტკიცებ, ზინა, უბრალოდ, გააჩნია, რომელი მხრიდან შეხედავ...<sup>[P]
[SEP]</sup>

- კმარა, დედიკო, თქვენი მტკიცებულებები! - იყვინრა გან-
რისხებულმა ზინამ და ფეხები დააბაკუნა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კარგი, კარგი, გენაცვალე, მეტს არ ვიზამ! ისევ გადავამლაშე...<sup>[P]
[SEP]</sup>

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა. მარია ალექსანდროვნა ზინას
მორჩილად დასდევდა კუდში და თვალეებში ისე შესციცინებდა,
როგორც დამნაშავე ფინია უყურებს ხოლმე თავის ქალბატონს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მე ისიც არ მესმის, როგორ უნდა დაინყოთ ეს საქმე, - ზიზლით
გააგრძელა ზინამ, - დარწმუნებული ვარ, თავიდანვე თავს შეირცხვენთ.
არაფრად ვაგდებ იმათ აზრს, მაგრამ თქვენთვის ეს საშინელი
თავისმოჭრა იქნება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- შენ თუ მართო ეგ განუხებს, ჩემო ანგელოზო, - მაგის დარდი ნუ
გექნება, გეთაყვა! მთავარია, ჩვენ შევთანხმდეთ, ჩემზე ნუ ნუხხარ. ეპ,
რომ იცოდე, რამდენი დავიდარაბიდან გამოვმძვრალვარ მშრალად?
ამისთანა საქმეები მიკეთებია! შენ მხოლოდ ნება მომეცი, ვცადო!
ახლა, უპირველეს ყოვლისა, რაც შეიძლება მალე უნდა ვნახო კნიაზი.
ეს უმთავრესი საქმეა! ყველაფერი დანარჩენი ამაზე იქნება
დამოკიდებული! მე წინასწარ ვგრძნობ, რა მოხდება. ისინი
აჯანყდებიან, მაგრამ არა უშავს! ვუჩვენებ სეირს! ისე მოზგლიაკოვიც
მაშინებს...<sup>[P]
[SEP]</sup>

- მოზგლიაკოვი? - ზიზლით ჩაილაპარაკა ზინამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახაც, მოზგლიაკოვი; ოლონდ შენ ნურაფრის გეშინია, ზი-ნოჩკა!
გეფიცები, იმ ზომამდე მივიყვან, თავადკდაგვეხმარება ამ საქმეში! შენ
ჯერ კიდევ არ მიცნობ, ზინა! ჯერ კიდევ არ იცი, როგორი ვარ საქმეში!

ოჰ, ბინა, დედა გენაცვალოს! როგორც კი შევიტყვე კნიაზის ამბავი, იმავე ნუთში თავში წამომეჭრა იდეა! თითქოს უცებ გამინათდა გონება. ვის, ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ ის ჩვენთან ჩამობრძანდებოდა? ათას წელიწადში ერთხელ შეიძლება მოხდეს ასეთი რამ. ბინა! ანგელოზო! ის კი არ არის უპატიოსნო, რომ შენ ბებერს და ხეიბარს მისთხოვდე, არამედ ის, როცა ისეთს გაჰყვები, რომელსაც ვერ იტან და, ამავე დროს, წამდვილი ცოლობა უნდა გაუწიო! შენ ხომ კნიაზის წამდვილი ცოლი არ იქნები. ეს ხომ ქორწინება არ იქნება! ესაა საოჯახო კონტრაქტი! იმ გამოთავყვანებულისათვის კი ხეირი, ამხელა ბედნიერებას მიანიჭებენ. ოჰ, რა ლამაზი, რა უმშვენიერესი ხარ დღეს, ბინა! ლამაზი კი არა, კალმით ნახატი! მე რომ მამაკაცი ვიყო, შენთვის ნახევარ სამეფოს არ დავიმურებდი! ვირები არიან ისინი! როგორ არ დავკოცნო ეს ხელი? - და მარია ალექსანდროვნამ მხურვალედ აკოცა ბინას ხელზე, - ეს ხომ ჩემი სხეულია, ჩემი სისხლი, ჩემი ხორცი! ძალის გამოყენებაც რომ დამჭირდეს, მაინც შევართვევინებ იმ რეგვენს შენს თავს! ოჰ, რა ცხოვრება გველის, ბინოჩკა! მე ხომ განუყრელად შენთან მამყოფებ, ბინა? ხომ არ გააგდებ დედიკოს, როცა კი გაბედნიერდები? ხანდახან ვჩხუბობთ ხოლმე, ჩემო ანგელოზო, მაგრამ შენ არავინ გყოლია ისეთი მეგობარი, როგორიც მე ვარ შენთვის და მაინც...^[P]_[SEP]

- დედილო! თუ გადაწყვიტეთ, მაშინ უკვე დროა... საქმეს შეუდექით. თქვენ აქ მხოლოდ დროს კარგავთ! - მოუთმენლად წარმოთქვა ბინამ.

^[P]_[SEP]

- დროა, დროა, ბინა, დროა! უიმე, რა ენად გავიკრიფე! - შეიცხადა

მარია ალექსანდროვნამ, - იქ კი იმათ სურთ კნიაზის გადაბირება. ახლავე მივდივარ! მივალ, მოზგლიაკოვს გამოვიხმობ და... თუ დამჭირდა, დიახ, დიახ, ძალით წამოვიყვან! ნახვამდის, ზინა, ნახვამდის, ჭირიმე, ნუ ინალვლებ, ეჭვი არაფერში შეგეპაროს, არ იდარდო, მთავარია, დარდი არ მოგერიოს! ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი შესანიშნავად მოგვარდება! გააჩნია, საიდან შეხედავ... აბა, კარგად, ნახვამდის!..^[P]_[SEP]

მარია ალექსანდროვნამ ზინას ჭვარი გადასწერა და ოთახიდან გავარდა. თავის საძინებელში საკუთარ თავს სარკეში სასწრაფოდ შეავლო თვალი და ორი ნუთის შემდეგ უკვე მორდასოვოს ქუჩებში მისრიალებდა მარხილის თავკავებიანი კარეტით, რომელიც ყოველდღე, ყოველი შემთხვევისთვის, გამზადებული ეყენა ხოლმე სახლთან. მარია ალექსანდროვნას უყვარდა **en grand**.^[P]_[SEP]

`არა და არა, ვერ მოგართვეს, ვერ გამაცურებთ! - ფიქრობდა ის, - ზინა თანახმაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნახევარი საქმე გაკეთებულია. და ახლა მომეცაროს ხელი?! არა, რა სისულელეა! ოი, ზინა! ბოლოს და ბოლოს, ხომ დამთანხმდი! მაშასადამე, შენს გოგრაშიც ტრიალებს რაღაც-რაღაც ანგარიში! მე მას მაცდუნებელი პერსპექტივა დავუსახე! პირდაპირ გულში მოვარტყი! რა მშვენიერი იყო დღეს! მისი სილამაზე რომ მქონოდა, ნახევარ ევროპას ჩემს ჭკუაზე ვატარებდი! ცოტაც და... შექსპირიც დაავინყდება, როცა კნიაგინია გახდება და ახალ საზოგადოებას გაეცნობა. ჭერ რა უნახავს? მორდასოვო და თავისი მასწავლებელი! კმ... როგორი კნიაგინია იქნება! მიყვარს მისი სიამაყე,

გაბედულება, დედოფლის მზერა, როგორი მიუკარებელია!... როგორ არ ესმის, როგორ არ უნდა, გაიგოს, რა არის მისთვის სასარგებლო? როგორც იქნა, რაღაცას მიხვდა! დანარჩენსაც მიხვდება... მე ხომ გვერდიდან არ მოვშორდები! ბოლოს და ბოლოს, ყველა საკითხში დამეთანხმება! ჩემს იქით გზა არა აქვს! მე თავად გავხდები კნიაგინია და მთელი პეტერბურგი გამიცნობს. მშვიდობით, მორდასოვო! მოკვდება კნიაზი, ის ყმანვილიც ჩვენს ჭირს წაიღებს, მე კი ზინას ვინმე უფლისწულს მივათხოვებ! ერთი რამის შიში მაქვს, ძალიან ხომ არ ვენდე ზინას? ძალიან გულახდილი ხომ არ ვიყავი? ძალიან ხომ არ ამიჩუყდა გული? ძალიან მეშინია ზინასი, ოი, როგორ მეშინია!~ [P SEP]

და მარია ალექსანდროვნა ფიქრებში ჩაეფლო. რაც მართალია, მართალია: ბევრი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მონდომებული ადამიანი ყველაფერს მოასწრებს. [P SEP]

შინ მარტოდ დარჩენილი, გულხელდაკრეფილი და ფიქრებში წასული ზინა ოთახში ბოლთას სცემდა. ათას რამეზე ფიქრობდა. წამდაუნუმ გაუცნობიერებლად იმეორებდა: `დროა, დროა, დიდი ხანია, დროა!~ რას ნიშნავდა ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი წამოძახილი? თვალეებში არაერთხელ აუკიაფდა ცრემლები და რამდენიმე კურცხალიც გადმოუვარდა. ცრემლის შემშრალეება არც უცდია. ტყუილუბრალოდ წუხდა ზინას დედიკო, როცა ლამობდა მის გუნება-განწყობაში ჩანვდომას: ზინამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება და მზად იყო, შეჰკუებოდა ყველანაირ შედეგს... [P SEP]

`დამაცადეთ! - ფიქრობდა ნასტასია პეტროვნა, რომელიც

პოლკოვნიკის ცოლის წასვლის შემდეგ, საკუჭნაოდან გამოვიდა, - მე კი მინდოდა, კნიაზის გულისთვის მკერდზე ვარდისფერი ბაფთა დამეხნია! კნიაზამ მართლა დავიჭერე, რომ კნიაზი ცოლად მომიყვანდა! ესეც შენი ბაფთა! აჰა, მარია ალექსანდროვნა! მე თქვენთვის ტილიანი დედაკაცი ვარ, ღარიბ-ღატაკი, ორასი მანეთი ქრთამი გამოგართვით, ხომ! რატომაც არა, რატომ უნდა გამეშვა ასეთი მომენტი ხელიდან, შე პრანჯია, შენა! მე კეთილშობილურად ავიღე ქრთამი, იმ საქმის შესაბამისი ანაზღაურება... იქნებ თავადაც მომიწია ქრთამის გაღება! რა შენი საქმეა, მე თუ საკუთარი ხელით გავტეხე საკეტი? შენთვის არ გავისარჯე, ჩემო აზიზმაზიზო? შენ მხოლოდ კანვაზე ქარგვა გიყვარს! დამაცადე, მე შენ გიჩვენებ კანვას. თქვენ, ორივეს განახებთ, როგორი ტილიანი ვარ! მალე გაიგებთ, ვინაა ნასტასია პეტროვნა!~^[P]_[SEP]

^[P]_[SEP]

თავი VII^[P]_[SEP]

მარია ალექსანდროვნა თავის გენიალურ გეგმაზე ფიქრმა გა-იტაცა. გულში ჩათქმული ჰქონდა ერთი ძალზე დიდი და თამამი პროექტი - ყველასაგან ფარულად და მზაკვრულად, როგორც ამას მისი მტრები ამბობდნენ ხოლმე, თავისთან სტუმრად მყოფ, ხეიბარ, ჭკუასუსტ და უმწეო მდიდარ კნიაზზე ქალიშვილის მითხოვება. ეს არათუ თამამი, არამედ თავხედური საქციელი იყო. უეჭველია, პროექტს დიდი ხეირის მოტანა შეეძლო, მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში, მის ავტორს არაჩვეულებრივ შერცხვენას უქადდა. მარია ალექსანდროვნამ იცოდა

ამის შესახებ, მაგრამ იხტიბარს არ იტყვდა. `ამნაირი დავიდარაბიდან გამოვმძვრალვარ სუფთადო!~ - უთხრა მან ზინას და მართალსაც ამბობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, აბა, ჩვენი გმირი იქნებოდა? [SEP]

თქმა არ უნდა, ეს ყველაფერი შარაგზაზე თარეშს ჰგავდა, მაგრამ მარია ალექსანდროვნა ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ამის თაობაზე საოცრად მართებულად ფიქრობდა: `თუ დაქორწინდებიან, მერე ვეღარ განქორწინდებიანო~. მარტივი მო-საზრება იყო, მაგრამ იმდენად მაცდუნებელი, იმხელა ხეირის მომტანი, რომ მარია ალექსანდროვნას ამ სარგებელზე გაფიქრებისას ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ძალიან ღელავდა, კარეტაში ისე წრიალებდა, თითქოს ნემსებზე იჭდა. როგორც შთაგონებულ, უეჭველად შემოქმედებითი ნიჭით დაჭილდოებულ ადამიანს, თავისი მოქმედების გეგმა უკვე მოფიქრებული ჰქონდა. მაგრამ ჯერ შავად, **en grand**, ჯერ მხოლოდ კონტურებს ხედავდა. კიდევ უამრავი წვრილმანი და მოულოდნელობა იყო გასათვალისწინებელი. მაგრამ მარია ალექსანდროვნას საკუთარი თავის ისე სჯეროდა, მარცხის შიში სულ არ ანუხებდა - არა! მას სურდა, სასწრაფოდ შედგომოდა საქმეს, დაუყოვნებლივ დაეწყო ბრძოლა. მოუთმენლობა, კეთილშობილური მოუთმენლობა არ ასვენებდა, როცა წარმოიდგენდა, წინ რამდენი შეფერხება და დაბრკოლება ელოდა. რადგან შეფერხებები ვახსენეთ, ნება გვიბოძეთ, განვმარტოთ, რასაც ვგულისხმობთ. ყველაზე დიდ საფრთხეს მარია ალექსანდროვნა თავისი კეთილშობილი თანამოქალაქეებისაგან, მორდასოვოელებისაგან ელოდა, განსაკუთრებით, მორდასოვოელი

კეთილშობილი ქალბატონების საზოგადოებისაგან. რადგან საკუთარ თავზე უკვე ჰქონდა გამოცდილი მათი შეურიგებელი სიძულვილი. ზუსტად იცოდა, რომ ქალაქში ყველა მიუხვდა განზრახვას, თუმცა ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს. თავისი არაერთი სამწუხარო გამოცდილებიდან კარგად ახსოვდა, მის ოჯახში არ მომხდარა არც ერთი შემთხვევა, თუნდაც ყველაზე საიდუმლო, რომ ამის შესახებ უმაღლეს ქალაქის ბაზრის უკანასკნელ მენვრილმანე დედაკაცს არ გაეგო. ცხადია, მარია ალექსანდროვნა ჯერჯერობით მხოლოდ წინასწარ გრძნობდა საფრთხეს, მაგრამ ასეთი წინათგრძნობა ყოველთვის უმართლდებოდა ხოლმე. ამჟამადაც ასე იყო. აი, რა მოხდა სინამდვილეში და რა არ იცოდა ჯერ კიდევ მარია ალექსანდროვნამ. შუადღეს, ზუსტად სამი საათის შემდეგ, რაცკვნიაზი მორდასოვოში გამოჩნდა, ქალაქში უცნაური ხმები დაირხა. სად აიღო სათავე ამ ჭორებმა, უცნობია, მაგრამ უცებ კი გავრცელდა. ყველა ერთმანეთს არწმუნებდა, მარია ალექსანდროვნამ თავისი უმბითვო ოცდაოთხი წლის ბინა კნიაზზე დანიშნაო, მოზგლიაკოვს უარი სტკიცესო, ყველაფერი გადანყვეტილია და ბეჭედდასმულიო. რამ გამოიწვია ეს ჭორები? ნუთუ ყველა ასე კარგად იცნობდა მარია ალექსანდროვნას, რომ ასე უტყუარად გამოიცნეს მისი გულისნადები? ვერც ასეთი ჭორების სინამდვილესთან შეუსაბამობამ, რომ ერთ საათში ასეთი საქმეები ძალიან ძნელი მოსაკვარახტინებელია, ვერც ასეთი ცნობების დაუსაბუთებლობამ, რადგან არავინ იცოდა, საიდან აიღო სათავე ამ ხმებმა - ვერაფრით გადაარწმუნა მორდასოვოელები. ხმები

არაჩვეულებრივი სისწრაფით ვრცელდებოდა და მთელი ქალაქი მათზე ალაპარაკდა. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ჭორები ზუსტად იმ დროს გავრცელდა, როცა მარია ალექსანდროვნამ ამ საკითხზე ბინას დაუნყო შეგონება. აი, ასეთი ალლო აქვთ პროვინციელებს! პროვინციელი ენაჭარტალების ინსტინქტი ხანდახან სასწაულს ახდენს. ეს განპირობებულია იმით, რომ მრავალწლიანი ერთობლივი ცხოვრების, ერთმანეთისადმი ინტერესისა და ერთმანეთზე დაკვირვების შედეგად, ისინი კარგად შეისწავლიან ერთმანეთს. თითოეული პროვინციელი თითქოს მინის გარსაცმში ცხოვრობს. მას არავითარი შანსი არა აქვს, რამე დაფაროს თავისი თანამოქალაქეებისაგან. ყველა ყველას საკუთარი ხუთი თითივით იცნობს, ისიც კი იციან თქვენზე, რაზედაც თავად თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ. პროვინციელი თავისი ბუნებით კარგი ფსიქოლოგი და გულთამხილველი უნდა იყოს. აი, ამიტომაც ხანდახან გულწრფელად მიკვირდა, როცა პროვინციაში ფსიქოლოგებისა და გულთამხილველების მაგივრად საკმაოდ მრავალი ვირი მხვდებოდა. ეს იქით იყოს; ახლა აქ ეს მოსაზრება ზედმეტია. ეს ამბავი მეხივით გავარდა ქალაქში. კნიაზთან დაქორწინება ყველას იმდენად სარფიან და ისეთ ბრწყინვალე რამედ ეჩვენებოდა, რომ ამ საქმის უცნაური მხარე თავში არავის მოსდიოდა. კიდევ ერთი გარემოება მინდა აღვნიშნო, ბინა დედამისზე მეტად სძულდათ. რატომ? კაცმა არ იცის. იქნებ სილამაზის გამო. შეიძლება იმის გამოც, რომ მარია ალექსანდროვნას მორდასოვოელები მაინც თავისიანად თვლიდნენ,

ისინი ერთი ჯურისანი იყვნენ.ეის რომ უეცრად ქალაქიდან გამქრალიყო - ვინ იცის, შეიძლება კიდევ დანანებოდათ. იგი საზოგადოებას თავისი გაუთავებელი ისტორიებით აცოცხლებდა ხოლმე. უმისოდ მორდასოვოში ცხოვრება მოსაწყენი გახდებოდა. ზინას კი, თავი ისე ეჭირა, თითქოს მორდასოვოში არ ცხოვრობდა, სადღაც ღრუბლებში დაფრინავდა. მორდასოვოელები მასტოლად და სწორად არ თვლიდნენ. შეიძლება თავადაც ვერ ამჩნევდა ზინა, ამ ხალხს აუტანელი ქედმაღლობით რომ ექცეოდა. და უეცრად, სწორედ ეს ზინა, რომლის შესახებაც სკანდალური ხმები დადიოდა, ამპარტავანი და პატივმოყვარე ზინა, კნიაზის მეუღლე, მაღალი საზოგადოების წევრი და მილიონერი უნდა გახდეს. ორი წლის შემდეგ კი, როცა დაქვრივდება, ცოლად გაჰყვება ვინმე ჰერცოგს, შეიძლება გენერალსაც კი; უფრო მეტიც, შეიძლება გუბერნატორის ცოლობასაც კი გამოჰკრას ხელი (თითქოს ჯიბრზე, მორდასოვოელების გუბერნატორი ქვრივი გახლდათ, თანაც მდედრობითი სქესის მიმართ მეტად ალერსიანი). მაშინ ის ხომ გუბერნიის პირველი დამა გახდება. მარტოოდენ ასეთი ვარაუდი უკვე აუტანელი ხდებოდა, ამიტომ არასოდეს არც ერთ ამბავს ისეთი დიდი უკმაყოფილება არ გამოუწვევია მორდასოვოში, როგორც ზინასა და კნიაზის შესაძლო ქორწინების ცნობამ წარმოშვა. მაშინვე ყოველი მხრიდან გაისმა განრისხებული ხმები. გაჰკიოდნენ: ეს ხომ დიდი ცოდვაა, უსინდისობა; ბებერი კნიაზი ჯკუიდანაა გადასული და მისი ჯკუასუსტობით სარგებლობენ; ის მოატყუეს, გააცურეს, გაძარცვეს და ამიტომ ბებერი

სისხლისმწოველებისაგან უნდა იხსნან; ეს ყაჩაღობა და უზნეობააო; დაბოლოს, სხვა რითაა ზინაზე ნაკლები? ასეთივე წარმატებით სხვასაც შეეძლო კნიაზს მისთხოვებოდაო. მარია ალექსანდროვნა ასეთ მითქმა-მოთქმასა და შეძახილებს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდობდა, მაგრამ მისთვის ესეც საკმარისი იყო. მან კარგად იცოდა, რომ ყველა, უკლებლივ ყველა, ყველანაირი დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხით ეცდებოდა, რომ მარია ალექსანდროვნას თავისი განზრახვა სისრულეში არ მოეყვანა. აი, ახლაც ხომ სურთ კნიაზის კონფისკაცია და მარია ალექსანდროვნას ლამის ბრძოლით მოუწევს მისი დაბრუნება. ბოლოს და ბოლოს, მარია ალექსანდროვნამ რომც შეძლოს კნიაზის გამოჭერა და თავისთან მიტყუება, სამუდამოდ ხომ არ ეყოლება გამოკეტილი. დაბოლოს, ვინ მისცემს გარანტიას, რომ დღესვე, ორიოდე საათის შემდეგ, მორდასოვოელი ქალბატონების გუნდი მარია ალექსანდროვნას სალონში არ აღმოჩნდება, თანაც ისეთი საბაბით, რომ ვერაფრით უარს ვერ ეტყვის? კარიდან რომც არ შემოუშვა, ფანჯრიდან გადმოძვრებიან. თითქოს შეუძლებელი ვარიანტია, მაგრამ მსგავსი რამ მორდასოვოში მომხდარა. ერთი სიტყვით, არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, საქმე ჯერ დანყებულებს არ ჰქონდა. უცებ თავში გენიალურმა აზრმა გაუელვა და უმაღვე გარკვეული ფორმა მიიღო. ამ იდეის შესახებ ჩვენ მოგვიანებით, საჭირო ადგილას ვილაპარაკებთ. ახლა იმას მოგახსენებდით, რომ ამ წუთებში ჩვენი გმირი მორდასოვოს ქუჩებში მიქროდა. იდეებით შთაგონებული და განრისხებული მარია

ალექსანდროვნა ნამდვილი ბრძოლისათვის ემზადებოდა, თუკი კნიაზის ხელში ჩასაგდებად ამის საჭიროება გაჩნდებოდა. ჯერ კიდევ არ იცოდა, ამას როგორ მოახერხებდა, ჯერ კნიაზი უნდა ენახა. ის კი დანამდვილებით იცოდა, უმაღლეს მორდასოვოს მიწა პირს უყოფდა, ვიდრე ჩანაფიქრის თუნდაც ერთ, იოტისოდენა ნაწილს მაინც არ შეასრულებდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

პირველი ნაბიჯი ფრიად ილბლიანი გამოდგა. მარია ალექსანდროვნამ კნიაზის გამოჭერა ქუჩაში შეძლო და მაშინვე სადილად შინ წაიყვანა. თუ იკითხავთ, მიუხედავად მტრების მზაკვრული ხრიკებისა, როგორ მოახერხა მარია ალექსანდროვნამ, თავისი გაეტანა და ანა ნიკოლაევნა პირში ჩალაგამვლებული დაეტოვებინაო, მაშინ ვალდებული ვიქნები, განვაცხადო, რომ ასეთ კითხვას მარია ალექსანდროვნა ითაკილებდა. ეგღა აკლდა, ვიღაც ანა ნიკოლაევნა ანტიპოვასათვის დაეჭაბნინებინა თავი! მარია ალექსანდროვნამ უბრალოდ დააპატიმრა კნიაზი, როდესაც ის ეტლით ანა ნიკოლაევნას კარს მიადგა. მარია ალექსანდროვნამ არაფერს არ გაუწია ანგარიში, მათ შორის, არც მოზგლიაკოვის არგუმენტებს, რომელსაც სკანდალის შეეშინდა, დაავლო ხელი კნიაზს და თავის კარეტაში გადასვა. სწორედ ამით განსხვავდებოდა მარია ალექსანდროვნა თავისი მეტოქეებისაგან, გადამწყვეტ ნუთებში სკანდალსაც არ ერიდებოდა. მისთვის აქსიომა იყო: წარმატებულებს ყველაფერს პატიობენო. რასაკვირველია, კნიაზს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. როგორც სჩვეოდა, უმაღლეს ყველაფერი

დაავინყდა და ძალიანაც კმაყოფილი დარჩა. სადილობისას პირი არ მოუკუმავს, გაუთავებლად ლაქლაქებდა, მხიარულობდა, ოხუნჭობდა, კალამბურებს ამბობდა და ათასნაირ ანეკდოტებს იწყებდა, რომლებსაც ან არ ამთავრებდა, ან ერთიდან მეორეზე გადახტებოდა ისე, რომ ამას თავადაც ვერ ამჩნევდა. ნატალია დმიტრიევნასთან სამი ბოკალი შამპანური შეუსვამს. აქაც, სადილზე დაუმატა და კარგადაც გამოთვრა. ცხადია, მარია ალექსანდროვნას ხელი არ დაუკლია, უვსებდა და უვსებდა ბოკალს. სადილი საკმაოდ გემრიელი გამოვიდა. მხე-ცმა ნიკიტკამ ვერ შეძლო მისი გაფუჭება. ოჯახის დიასახლისი საზოგადოებას თავისი მომხიბვლელი თავაზიანობით ახალისებდა. სუფრის დანარჩენი წევრები, თითქოს განგებ, უჩვეულოდ მოწყენილები იყვნენ. ბინა ამაყად დუმდა. მოზგლიაკოვი ალბათ უგუნებოდ გახლდათ, ცოტას მიირთმევდა და რაღაცაზე ფიქრობდა. ასეთი რამ მას იშვიათად ემართებოდა, ამიტომ მარია ალექსანდროვნას ეს ამბავი ძალზე აღელვებდა. ნასტასია პეტროვნა მოღუშული იჯდა და მოზგლიაკოვს ხანდახან მალულად რაღაცას ანიშნებდა. მოზგლიაკოვი კი ამას ვერც ამჩნევდა. რომ არა არაჩვეულებრივად თავაზიანი დიასახლისი, სადილი ქვლევს დაემსგავსებოდა.^[P SEP]

ამავე დროს, მარია ალექსანდროვნა აუწერელად ღელავდა. ჯერ მარტო ბინას სევდიანი სახე და ნამტირალევი თვალები ძალიან აშინებდა. ახლაკიდევ ერთი საბრუნავი გაუჩნდა. საქმე სასწრაფოდ მოსაგვარებელი იყო და ეს წყეული მოზგლიაკოვი~ კი ბრიყვივით

იჯდა და ხელს უშლიდა! მისი თანდასწრებით ხომ ვერ წამოიწყებდა ასეთ მნიშვნელოვან საქმეს! მარია ალექსანდროვნა საშინლად აფორიაქებული წამოდგა. გაკვირებისაგან შეკრთა, როცა მოზგლიაკოვიც ადგა, მასთან მივიდა და სავსებით მოულოდნელად განუცხადა, რომ, ცხადია, მისთვის სამწუხაროდ, სასწრაფო საქმე ჰქონდა.^[P]_[SEP]

- საით გაგინვიათ? - არაჩვეულებრივი თანაგრძნობით დაინტერესდა მარია ალექსანდროვნა. ^[P]_[SEP]

- იცით რა, მარია ალექსანდროვნა, - დაიწყო აღელვებულმა და დაბნეულმა მოზგლიაკოვმა, - რაღაც უცნაური ამბავი გადამხდა თავს. არც ვიცი, როგორ გითხრათ... თუ ღმერთი გწამთ, მირჩიეთ რამე!^[P]_[SEP]

- რა მოხდა, რაშია საქმე?^[P]_[SEP]

- მოხუცი სოვდაგარი ბოროდუევი, ჩემი ნათლია, თქვენ მას იცნობთ, დღეს შემხვდა, ამკარად ნაწყენია, მისაყვედურა, არ მკადრულობო. მორდასოვოში მესამედ ჩამოვედი და მასთან ერთხელაც არ მივსულვარ. მთხოვა: `დღეს სტუმრად მენვიე ჩაიზეო~. ახლა ოთხი საათია, ის კი ჩაის ძველებურად სვამს, როგორც კი გაიღვიძებს, ხუთი საათისათვის. არ ვიცი, რა ვქნა? თვითონ განსაჯეთ, მარია ალექსანდროვნა! ის ჩემი გარდაცვლილი მამის მხსნელია, ჩამოხრჩობას გადაარჩინა, როცა მამაჩემმა სახაზინო ფული წააგო. ამ შემთხვევის შემდეგ მომნათლეს. თუ ბინაიდა აფანასიევნა შევირთე, მე ხომ მხოლოდ ასორმოცდაათი სული ყმა მყავს. ის კი მილიონერია და უშვილო. ხალხი ამბობს, ძალიან მდიდარიყო. ცოტა თუ ვასიამოვნე,

ასი ათასს მაინც მიანდერძებს. წარმოიდ-გინეთ - ის უკვე სამოცდაათი წლისაა!^[SEP]

- ღმერთო ჩემო! რას ჩადიხართ? - იყვირა მარია ალექსანდროვნამ, რომელიც სიხარულს ვერ ფარავდა, - ახლავე გაიქეციო! ასეთ რამეზე ხუმრობა არ შეიძლება. მეც არ გამიკვირდა, სადილზე რომ გიყურებდით, ძალიან დაფიქრებული ჩანდით! ახლავე წადით, **mon ami**, წადით! დღეს დილითვე უნდა მისულიყავით მასთან და დაგემტკიცებინათ თქვენი სიყვარული! ოჰ, ეს ახალგაზრდობა!^[SEP]

- კი მაგრამ, თქვენ არ იყავით, მარია ალექსანდროვნა, რომ მსაყვედურობდით ამ ნაცნობობის გამო! - იყვირა გაკვირებულმა მოზგლიაკოვმა, - განა თქვენ არ ამბობდით მასზე, სოფლელი გლეხი, ჩარჩ-ვაჭარი, მედუქნე და მიკიტანიაო? ^[SEP]

- ოჰ, **mon ami!** რამდენი რამ მითქვამს დაუფიქრებლად! მეც ვცდები ხოლმე, რომელი წმინდანი მე ვარ. მართალია, აღარც მახსოვს, მაგრამ, შესაძლებელია, მართლაც ვიყავი ასე განწყობილი... გარდა ამისა, თქვენ მაშინ ჯერ კიდევ არ გქონდათ გამოთქმული სურვილი ზინას შერთვისა... რასაკვირველია, ეს ეგოიზმია ჩემი მხრიდან, მაგრამ ახლა მე, ჩემდაუნებურად, ამ საკითხს სხვა მხრიდან უნდა შევხედო, რომელი დედა გამამტყუნებს ამაში? ახლავე წადით, ნუ აყოვნებთ! მთელი საღამო მასთან დარჩით... ჰო, მომისმინეთ! ჩემ შესახებ ესაუბრეთ და უთხარით, რომ დიდ პატივს ვცემ და მიყვარს, კიდევ რაიმე სასიამოვნოზე ელაპარაკეთ! ოჰ, ღმერთო ჩემო, თავადკროგორ დამავინყდა ამის შესახებ! უნდა შემეგულიანებინეთ და გამეგზავნეთ

მასთან! [P]
[SEP]

- როგორ გამახარეთ, მარია ალექსანდროვნა! - წამოიძახა ალფრთოვანებულმა მოზგლიაკოვმა, - აწი ყოველთვის დაგიჭერებთ! მე კი თქვენთვის ამის თქმის მეშინოდა! აბა, მშვიდობით, მივრბივარ! ბინაიდა აფანასიევნას ჩემ მაგივრად მოუხადეთ ბოდიში! თუმცა აუცილებლად აქ... [P]
[SEP]

- დამილოცნიხართ, mon ami! აუცილებლად ელაპარაკეთ ჩემ შესახებ! ის წამდვილად წანდომიანი მოხუცია. დიდი ხანია, შე-ვიცვალე მასზე აზრი... თუმცა ყოველთვის მიყვარდა მასში ძვე-ლებური, წამდვილი რუსული, ხალასი... Au revoir, mon ami, au revoir! [P]
[SEP]

მოზგლიაკოვი წინკარში...გავიდა და ქურქის ჩაცმა დაიწყო. ამ დროს, სად იყო და სად არა, წასტასია პეტროვნა გამოჩნდა. ეტყობოდა, იქვე უცდიდა. [P]
[SEP]

- სად მიდიხართ? - თქვა მან და ხელი სტაცა. [P]
[SEP]

- ბოროდუევთან, წასტასია პეტროვნა! წათლიაჩემია; ჩემი მონათვლის პატივი ხვდა წილად.....მდიდარი კაცია, ცოტას ვასიამოვნებ, იქნებ რამე მიანდერძოს!.. [P]
[SEP]

პაველ ალექსანდროვიჩი მშვენიერ ხასიათზე იყო. [P]
[SEP]

- ბოროდუევთან! მაშინ გამოეთხოვეთ საცოლეს, - მიახალა წასტასია პეტროვნამ. [P]
[SEP]

- რას წიშნავს, `გამოეთხოვო~? [P]
[SEP]

- იმას! თქვენ გგონიათ, ის უკვე თქვენია! ვერ ხედავთ, რომ კწიაზზე უპირებენ გათხოვებას? ჩემი ყურით მოვისმინე! [P]
[SEP]

- კნიაზზე? რას ბრძანებთ, ნასტასია პეტროვნა?<sup>[P]
[SEP]</sup>

- იმას ვბრძანებ, რაც თავად გავიგონე! თუ გნებავთ, თქვენივე ყურით მოისმინეთ და დატკბით! გაიხადეთ ქურქი და მომყევით!<sup>[P]
[SEP]</sup>

გაოგნებულმა პაველ ალექსანდროვიჩმა ქურქი გაიძრო და ფეხაკრეფით გაჰყვა ნასტასია პეტროვნას. მან მოზგლიაკოვი იმ საკუჭნაოში მიიყვანა, საიდანაც დილით თვითონკუთვალთვალეებდა და ყურს უგდებდა დედა-შვილის საუბარს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- უკაცრავად, ნასტასია პეტროვნა, არაფერი მესმის!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ყველაფერს გაიგებთ, დაიხარეთ და მოისმინეთ. კომედია ახლა იწყება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რომელი კომედია?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჩუმად! ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ. კომედია ისაა, რომ თქვენ გაგაცურეს. წელან, როცა თქვენ და კნიაზი წახვედით, მარია ალექსანდროვნა მთელ საათს უჩიჩინებდა ბინას, კნიაზს გაჰყევი ცოლადო, ეუბნებოდა, იმაზე ადვილი არაფერია, კნიაზი ქორწინებაზე დავიყოლიოთო. ისეთ ხრიკებზე ლაპარაკობდა, მეც კი ამერია გული. ყველაფერი აქედან მოვისმინე. ბინა დათანხმდა. უნდა მოგესმინათ, ორივე როგორ გლანძღავდათ! სულელად გთვლიან, ბინამ პირდაპირ განაცხადა, რომ არაფრის დიდებით არ გამოგყვებათ ცოლად. მე სულელს კი, წითელი ბაფთის დაბნევა მინდოდა! მოუსმინეთ, ერთი მოუსმინეთ!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს ხომ უღმერთო ვერაგობაა, თუ მართალს ამბობთ! - ჩაიჩურჩულა მოზგლიაკოვმა და თავისი ბრიყვული გამომეტყველებით

შეხედა ნასტასია პეტროვნას. [P]
[SEP]

- თქვენ მოუსმინეთ და უარესს გაიგონებთ. [P]
[SEP]

- საიდან მოვესმინო? [P]
[SEP]

- დაიხარეთ და იმ ჭუჭრუტანიდან ყველაფერს გაიგონებთ... [P]
[SEP]

- კი მაგრამ, ნასტასია პეტროვნა, მე არ შემიძლია თვალთვალი... [P]
[SEP]

- დახეთ, იუკადრისა კიდევ! აჲ, ბატონო ჩემო, სინდის-ნამუსი გვერდზე გადადეთ, თუ მოხვედით, დადექით და მოისმინეთ! [P]
[SEP]

- კი, მაგრამ... [P]
[SEP]

- არ შეგიძლიათ? მაშინ დარჩით თვალში ნაცარშეყრილი! მე თქვენ მეცოდებით, თქვენ კი კუდაბზიკობთ! მე რა მენალვლება! ჩემთვის ხომ არაფერი მინდა. საღამომდეც აღარ გავჩერდები აჲ! [P]
[SEP]

პაველ ალექსანდროვიჩმა თავს ძალა დაატანა, დაიხარა და ჭუჭრუტანას გაუსწორა თვალი. გული ძალუმად აუძგერდა, საფეთქლები უცემდა. ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავს. [P]
[SEP]

[P]
[SEP]

თავი VIII [P] [SEP]

- მაშ, კარგად იმხიარულეთ ნატალია დმიტრიევნასთან, კნიაზო? -
პკითხა მარია ალექსანდროვნამ და ავხორცი მზერა მოავლო
მომავალ ბრძოლის ველს. მას სურდა, რაც შეიძლება მშვიდად დაეწყო
საქმებზე საუბარი. მის გულს მღელვარებისა და მოლოდინისაგან
ბაგაბუგი გაუდიოდა. [P]
[SEP]

ნასადილევსკკნიაზი `სალონში~ მიიწვიეს, სადაც დილით მოუწყვეს

მიღება. მარია ალექსანდროვნა ყველა საგანგებო შეხვედრას ამ სალონში მართავდა ხოლმე. ეს სალონი მის სიამაყეს წარმოადგენდა. ექვსი ბოკალის შემდეგ მოხუცი ისე მოეშვა, რომ ფეხზე ძლივს იდგა. სამაგიეროდ, ენად გაიკრიფა - ყბედობდა და ყბედობდა. მარია ალექსანდროვნა დარწმუნებული იყო, რომ კნიაზს ლაპარაკის იშტა მალე გაუქრებოდა და გამობრუჟულს მალე ჩაეძინებოდა. ოღონდ მომენტი არ უნდა გაუშვას ხელიდან. მარია ალექსანდროვნამ ბრძოლის ველს გადაავლო თვალი და სიამოვნებით შენიშნა, რომ ნუნკი ბებერი ხარბად ათვალიერებდა ბინას. მშობელს სიხარულისაგან გული აუფანცქალდა. [P]
[SEP]

- განსაკუთრებულად ვიმხიარულეთ, - უპასუხა კნიაზმა, - იცით, ნატალია დმიტრიევნა შე-უ-და-რე-ბე-ლი ქალია, შე-უ-და-რე-ბე-ლი! [P]
[SEP]

მიუხედავად იმისა, რომ მარია ალექსანდროვნას დიდი გეგმები ჰქონდა, თავისი მეტოქის ქება მაინც გულზე ეკლად დაესო. [P]
[SEP]

- მომიტევეთ, კნიაზო! - იყვირა მან და თვალები აენტო, - თუ ეგ თქვენი ნატალია დმიტრიევნა შეუდარებელი ქალია, მაშინ აღარ ვიცი, რა ვთქვა! მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თქვენ აქაურ საზოგადოებას არ იცნობთ, წარმოდგენაც არა გაქვთ მასზე! ეს ხომ მარტოოდენ არარსებული ღირსებებისა და კეთილშობილური გრძნობების გამოფენაა, ნამდვილი კომედია, ოქროს გარსაცმით შენიღბული. მოაცილებთ ამ გარსაცმს და ყვავილების ქვეშ იხილავთ ნამდვილ ჭოჭოხეთს, კრაზანის ბუდეს, სადაც ისე შეგახრამუნებენ, ძვლებიანად დაგტკვერენ. [P]
[SEP]

- რას ლაპარაკობთ? - შესძახა კნიაზმა, - მიკვირს და გამკვირებია!<sup>[P]
[SEP]</sup>

- გეფიცებით! Ah, mon prince! ზინა, მე ახლა კნიაზს ნატალია დმიტრიევნას შესახებ უნდა ვუამბო ერთი სასაცილო რამ, ამ რამდენიმე დღის წინათ რომ მოხდა, გახსოვს? დიახ, კნიაზო, ეს ის თქვენი სანაქებო ნატალია დმიტრიევნაა, ასე რომ აღგაფრთოვანათ, ძვირფასო კნიაზო! გეფიცებით, მე ჭორიკანა არა ვარ! მაგრამ ამას მაინც მოგიყვებით, მარტოოდენ იმიტომ, რომ გაგაცინოთ და ოპტიკური შუშის საშუალებით განახოთ ცოცხალი მაგალითი, როგორი ადამიანები ცხოვრობენ აქ! ამ რამდენიმე დღის წინ ჩემთან მობრძანდა ნატალია დმიტრიევნა. როცა ყავა მოგვართვეს, მე რალაცისათვის ოთახიდან გავედი. ძალიან კარგად მახსოვს, საშაქრეში რამდენი ნატეხი შაქარი მქონდა, საშაქრე პირამდე იყო სავსე. დავბრუნდი და რას ხედავს ჩემი თვალები: საშაქრის ძირში მხოლოდ სამი ნატეხი შაქარი ეგდო. ნატალია დმიტრიევნას გარდა ოთახში არავინ ყოფილა. როგორ მოგწონთ! ქვითკირის საკუთარი სახლი უდგას და ფული გამოუღევი აქვს! ამ სამარცხინო კომიკური შემთხვევის შემდეგ შეგიძლიათკვანსაჭოთ, კნიაზო, ამ ქალაქში როგორი კეთილშობილი საზოგადოებაც ცხოვრობს!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნუ-თუ! - შესძახა გულწრფელად გაკვირებულმა კნიაზმა, - რა საოცარი, არაჩვეულებრივი სიხარბეა! დავიჭერო, მან მარტო შეჭამა ამდენი შაქარი?<sup>[P]
[SEP]</sup>

- აი, როგორი შეუდარებელი ქალია, კნიაზო! როგორ მოგწონთ ეს

სამარცხვინო შემთხვევა? მე იმავე წამს მოვკვდებოდი, რა წამსაც ასეთი სურვილი დამებადებოდა! [P] [SEP]

- დიახ, დიახ... მაგრამ იცით, ის მაინც **belle femme** ... [P] [SEP]

- ვინა, ნატალია დმიტრიევნა? მაპატიეთ, კნიაზო, ის ხომ კასრივითაა! ოჰ, კნიაზო! ეს რა თქვით! მე თქვენ უფრო გემოვნებიანი მეგონეთ... [P] [SEP]

- დიახ, კასრივითაა... ოღონდ, იცით, ისეთი აგებულება აქვს... ის გოგონა კი, რომელიც ცეკვავდა... ისიც კოხტაა... [P] [SEP]

- სონია! ის ხომ ბავშვია, კნიაზო! ჭერ თოთხმეტი წლისაა. [P] [SEP]

- დიახ, დიახ... ოღონდ ისეთი მარდია, მასაც ისეთი ფორმები აქვს, ისეთი ხორცსავსეა. საყვარელი ვინმეა! ისიც, მეორეც, მასთან ერთად რომ ცეკვავდა, ისიც ხორციტ შევსებას იწყებს... [P] [SEP]

- ოი, ის ხომ უბედური ობოლია, კნიაზო! ხშირად სამადლოდ მოჰყავთ ხოლმე სახლში. [P] [SEP]

- ო-ბო-ლი, ჭუჭყიანი, ხელს თუ მაინც იბანს... ისე კი, ისიც მიმზიდველია... [P] [SEP]

ამას ამბობდა კნიაზი და უფრო და უფრო მეტი ინტერესით, ხარბად ათვალიერებდა ზინას ლორწეკით. [P] [SEP]

- **Mais quelle charmante personne!** - ბურტყუნებდა თავისთვის ხმადაბლა და სიამოვნებისაგან დნებოდა. [P] [SEP]

- ზინა, იქნებ რამე დაგვიკრა, არა, სჭობს, იმღერო! იცით, როგორ მღერის, კნიაზო! შეიძლება ითქვას, ვირტუოზია, ნამდვილი ვირტუოზი! რომ იცოდეთ, კნიაზო, - ხმადაბლა გააგრძელა მარია

ალექსანდროვნამ, როცა ბინა ნარნარი სვლით როიალისავენ გაემართა და ბებერს კისერი მოეგრია მისი ცქერით, - ან რომ იცოდეთ, როგორი შვილია! როგორი სიყვარული იცის, როგორი ალერსიანია ჩემდამი! რა გრძნობები აქვს, რა გული! [P]
[SEP]

- დიახ, დიახ... გრძნობები... იცით, მე ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ერთ ქალს ვიცნობდი, რომელსაც შემოძლია, სილამაზით თქვენი ქალიშვილი შევადარო, - შენყვეტინა კნიაზმა და ნერწყვი გადაყლაპა, - ეს იყო ცნობილი გრაფინია ნაინსკაია, ოცდაათი წლისწინათ მოკვდა. გა-მა-ოგ-ნე-ბე-ლი ქალი იყო, ენით აუნერელი სილამაზის, შემდეგ კი თავის მზარეულს გაჰყვა ცოლად... [P]
[SEP]

- თავის მზარეულს, კნიაზო? [P]
[SEP]

- დიახ, დიახ, თავის მზარეულს... ფრანგი იყო, საზღვარგარეთ მოხდა ეს ამბავი. შემდეგ გრაფინიამ თავის მზარეულს საზღვარგარეთ გრაფის ტიტული უშოვა. ფრიად ნარმოსადეგი მამაკაცი იყო, ძალიან განათლებული, პატარა ულ-ვა-შე-ბი ჰქონდა. [P]
[SEP]

- მერედა... როგორ ცხოვრობდნენ, კნიაზო? [P]
[SEP]

- კარგად ცხოვრობდნენ, თუმცა მალე დაშორდნენ ერთმანეთს. ქმარმა გაქურდა და გაიქცა. რაღაც სოუსის გამო ნაიჩხუბნენ... [P]
[SEP]

- დედიკო, რა დავუკრა? - იკითხა ბინამ. [P]
[SEP]

- სჯობს გვიმღერო, ბინა, იცით, როგორ მღერის, კნიაზო! თქვენ გიყვართ მუსიკა? [P]
[SEP]

- დიახ, დიახ, charmant, charmant! ძალიან მიყვარს მუსიკა. საზღვარგარეთ ბეთჰოვენს ვიცნობდი. [P]
[SEP]

- ბეთჰოვენს! წარმოგიდგენია, ზინა, კნიაზი ბეთჰოვენს იცნობდა! -
აყვირდა აღფრთოვანებული მარია ალექსანდროვნა, - ოჰ, კნიაზო!
ნუთუ მართლა იცნობდით ბეთჰოვენს?<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, დიახ... მე-გობ-რუ-ლი ურთიერთობა გვქონდა. ცხვირი სულ
მუდამ ბურნუთში ჰქონდა ჩაყოფილი. ძალიან სასაცილო ვინმე იყო!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბეთჰოვენი?<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, ბეთჰოვენი. თუმცა, შესაძლოა, ის არც ყოფილა ბეთჰოვენი,
ვილაც გერმანელი იყო. იქ გერმანელები გვარიანად ბევრი არიან...
თუმცა, მე მგონი, რაღაც ავურ-დავურიე..<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა ვიმღერო, დედიკო? - იკითხა ზინამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ოჰ, ზინა! აი, ის რომანსი იმღერე, გახსოვს, რაინდებზე რომაა,
ციხე-სიმაგრის მფლობელ მზეთუნახავსა და მის ტრუბადურზე... ოჰ,
კნიაზო! როგორ მიყვარს რაინდები! ციხე-სიმაგრეები, კოშკები! შუა
საუკუნეების ცხოვრება! ტრუბადურები, ჰეროლდები, ტურნირები... მე
გაგინევ აკომპანირებას, ზინა, აქეთ, ახლოს გადმოჭექით, კნიაზო! ოჰ,
ეს ციხე-სიმაგრეები, კოშკები!<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, დიახ... ციხე-სიმაგრეები. მეც მიყვარს ციხე-სიმაგრეები, -
თავისთვის ბუტბუტებდა აღტაცებული მოხუცი და ცალი თვალით
მზერას არ აშორებდა ზინას, - კი მაგრამ... ღმერთო ჩემო! - წამოიძახა
მან, - ეს რომანსი!.. მე ხომ ვიცი ეს რომანსი! დიდი ხნის წინათ
მომისმენია ეს რომანსი... ის მა-გო-ნებს... ო, ღმერთო ჩემო!<sup>[P]
[SEP]</sup>

ახლა არ დავინყებ იმის აღწერას, რა დაემართა კნიაზს, როცა ზინამ
სიმღერა დაიწყო. ზინა მღეროდა ძველებურ ფრანგულ რომანსს,

რომელიც ოდესღაც ძალიან მოდაში იყო. მშვენიერი ჟღერადობის ხმა ჰქონდა. მისი სუფთა და წკრიალა კონტრალტო გულსა და სულს სწვდებოდა. ზინას ტურფა სახემ, საოცარმა თვალებმა, მშვენიერმა თლილმა თითებმა, რომლითაც სანოტო რვეულს ფურცლავდა, ხშირმა, ბზინვარე შავმა თმამ, მღელვარე მოთახთახე მკერდმა, მთლიანად მისმა ამაყმა, ტანკენარმა და კეთილშობილმა სხეულმა - ერთიანად მოაჭადლოვა საცოდავი ბებერი. როცა ის მღეროდა, კნიაზი ზინას თვალს არ აცილებდა და მღელვარებისაგან სუნთქვა ეკვროდა. მუსიკით, მოგონებებითა (ვის არა გვაქვს საყვარელი მოგონებები?) და შამპანურით გაფიცებულ მოხუცს გული ისე მაგრად უძგერდა, დიდი ხანია, ასეთი გულისცემა არ ჰქონია... როცა ზინამ სიმღერა მოათავა, მას ტირილი აუვარდა. მზად იყო, ზინას წინაშე მუხლებზე დაცემულიყო.^[P SEP]

- O, ma charmante enfante! - იყვირა მან და ზინას თითები დაუკოცნა, - Vous me revissez! მხოლოდ ახლა გამახსენდა... თუმცა... თუმცა... O, ma charmante enfante...^[P SEP]

მოხუცმა ველარ დაასრულა.^[P SEP]

მარია ალექსანდროვნამ იგრძნო, რომ მისი დრო დადგა.^[P SEP]

- რატომ, რატომ იღუპავთ თავს, კნიაზო? - მგზნებარედ შესძახა მან, - რამდენი გრძნობა, რამდენი სასიცოცხლო ძალა, რამხელა სულიერი სიმდიდრე გაგაჩნიათ კიდევ და თავს მარტოობაში იმარხავთ! განა შეიძლება ასე, ხალხისაგან, მეგობრებისაგან გაქცევა! ეს არ გეპატიებათ, კნიაზო! გონს მოდიო! შეხედეთ ცხოვრებას საღი თვალით!

მოუხმეთ თქვენი გულიდან წარსულის მოგონებებს, გაიხსენეთ თქვენი ახალგაზრდობის საუკეთესო, უზრუნველყოფილი დღეები, კვლავ გააცოცხლეთ ისინი და აღდექით თქვენც! ისევ გაერიეთ საზოგადოებაში, ადამიანებს შორის! გაემგზავრეთ საზღვარგარეთ, იტალიაში, ესპანეთში - ესპანეთში სჯობს, კნიაზო! თქვენ გინდათ წინამძღოლი, მოსიყვარულე გული, პატივისმცემელი და თანამგრძობი ადამიანი! თქვენ გყავთ მეგობრები! მოუხმეთ მათ, შეეხმიანეთ და ისინი თავს შემოგვევლებიან! მე პირველი გავანებებ თავს ყველაფერს და გამოვეხმაურები თქვენს ძახილს, მივატოვებ ქმარს და გამოგყვებით... და უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, ისეთივე მომხიბვლელი და მშვენიერი, როგორც ჩემი ასულია, მე გავხდებოდი თქვენი თანამგზავრი, დობილი, მეუღლე, თუკი თქვენ ამას მოისურვებდით!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ თავის დროზე **une charmante personne** იქნებოდით, - ჩაილაპარაკა კნიაზმა და ცხვირი მოიხოცა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ცხოვრებას ჩვენს შვილებში ვაგრძელებთ, კნიაზო, - ამალღებული ტონით უპასუხა მარია ალექსანდროვნამ, - მეც მყავს ჩემი მფარველი ანგელოზი! ეს არის ჩემი ასული, ჩემი ფიქრების თანაბიარი და ჩემი გულითადი მეგობარი! მან უკვე შვიდ კაცს უთხრა უარი, რადგან ჩემთან განშორება არ სურს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ ის თქვენთან ერთად იქნება, როცა საზღვარ-გა-რეთ გამომყვებით? ასეთ შემთხვევაში

აუცილებლადგავემგზავრები საზღვარგარეთ, - იყვირა
ალფრთოვანებულმა კნიაზმა, - ა-უ-ცი-ლებ-ლად გავემგზავრები! მე
რომ შემეძლოს, თავს იმედის ნება მივცე... ის მომხიბვლელი, მომ-
ხიბვლ-ე-ლი ბავშვია! ო **ma charmante enfante!**.. - და კნიაზმა კიდევ
ერთხელ დაუკოცნა ზინას ხელები. სანყალს უნდოდა, ზინას ფეხებში
ჩავარდნოდა.^[SEP]

- რაა... ამას თქვენ ამბობთ, თავს იმედის ნება მივცეო? - სიტყვაზე
გამოიჭირა მარია ალექსანდროვნამ, რომელმაც მჭევრმეტყველების
ახალი მოზღვავება იგრძნო, - რა უცნაური კაცი ხართ, კნიაზო! ნუთუ
თქვენ ფიქრობთ, რომ მდედრობითი სქესის ყურადღების ღირსი აღარ
ხართ? მართო სიჭაბუკე კი არ არის სილამაზე. გაიხსენეთ, თქვენ ხომ
არისტოკრატი ბრძანდებით! თქვენ ყველაზე დახვეწილი, ყველაზე
რაინდული გრძნობების... და მანერების მქონე საზოგადოების
წარმომადგენელი ხართ! განა მარიამ არ შეიყვარა მოხუცი მაზეჰა?
მახსოვს, სადღაც წავიკითხე, რომ ლობიონმა, ლუდოვიკოს
(დამავინყდა მერამდენე ლუდოვიკო იყო) კარის მარკიზმა, უკვე კარგა
ხანშიშესულმა მოხუცმა, ერთ-ერთი ულამაზესი სეფექალის გული
დაიპყრო! ვინ გითხრათ, რომ თქვენ მოხუცი ხართ? ვინ შთაგაგონათ?
განა შეიძლება, თქვენნაირი ადამიანები მოხუცდნენ? ასეთი მდიდარი
გრძნობებისა და აზრების, ასეთი მხიარული, მახვილგონიერი,
სიცოცხლისუნარიანი და მშვენიერი მანერების მქონე ადამიანი! თქვენ
რომ ახლა სადმე მუავე წყლებზე გამოჩნდეთ ახალგაზრდა ცოლთან
ერთად, ისეთივე ლამაზთან, როგორიც ჩემი ზინაა, ზინას კი არ

ვგულისხმობ, ისე, მაგალითისათვის მომყავს, თქვენ ნახავთ, როგორ კოლოსალურ ეფექტს მოახდენთ! თქვენ ხომ ძირძველი არისტოკრატი ბრძანდებით, ის კი მზეთუნახავი მზეთუნახავებს შორის! თქვენ მას საგანგებოდ წარუდგენთ საზოგადოებას, ის იმღერებს ბრწყინვალე საზოგადოების წინაშე, თქვენ კი მახვილგონიერებით გააოცებთ ხალხს. თქვენს სანახავად და მოსასმენად ადამიანები ყველა მხრიდან გამოქანდებიან! მთელი ევროპა თქვენზე ილაპარაკებს, რადგან კურორტის ყველა გაზეთი, ყველა ფელეტონი თქვენზე დაწერს... კნიაზმა ესაო და კნიაზმა ისაო! თქვენ კი აცხადებთ, მე რომ იმედი მქონდესო? [P SEP]

- ფელეტონები... დიახ, დიახ!.. ეს ხომ გაზეთებშია... - ბუტბუტებდა მოხუცი, რომელსაც ნახევარიც არ ესმოდა მარია ალექსანდროვნას ყბედობიდან და თანდათან სულ უფრო და უფრო კარგავდა ხალისს, - ჰო, ჩემო გო-გო-ნი, თუ არ გა-და-ი-ღა-ლეთ, გაიმეორეთ ერთხელ კიდევ ის რომანსი! [P SEP]

- ოჰ, კნიაზო, მან სხვა რომანსებიც იცის, უფრო უკეთესი... გახსოვთ, კნიაზო, `L'hirondelle~? ალბათ გაგიგონიათ? [P SEP]

- დიახ, მახსოვს... ან, გულახდილად გითხრათ, დამავინყდა. არა, არა, ის რომანსი მინდა, ახლახან რომ იმღერა! არ მინდა `L'hirondelle~! ის რომანსი მინდა... - ბავშვივით იხვეწებოდა მოხუცი. [P SEP]

ზინამ კვლავ იმღერა. კნიაზმა ვეღარ მოითმინა და მის წინ მუხლებზე დაემხო. ტიროდა. ... [P SEP]

- O ma belle châtelaine! - მღელვარებისა და სიბერისაგან

ათრთოლებული ხმით გაიძახოდა ის, - **O ma charmante châtelaine!**
ჩემო ლამაზო გოგონა! თქვენ მე იმდენი რამ გა-მა-ხსენეთ... დიდი
ხნის წინანდელი... მაშინ მეგონა, ყველაფერი უკეთ იქნებოდა, ვიდრე
შემდეგ სინამდვილეში მოხდა. მაშინ დუეტებს ვმღეროდი...
ვიკონტესასთან ერთად...^[P]_[SEP]

სწორედ ამ რომანსს... ახლა კი... ახლა არც კი ვიცი, რა იქნება
ანი...^[P]_[SEP]

როცა ამას ამბობდა, მოხუცს სუნთქვა ეკვროდა, სული ეხუთებოდა
და ენა ებორკებოდა. ზოგიერთ სიტყვას ვერც გაარჩევდა კაცი. ერთი კი
აშკარა იყო, რომ კნიაზი ძალზე გულაჩუყებული ჩანდა. მარია
ალექსანდროვნამ ცეცხლზე ნავთი დაასხა.^[P]_[SEP]

- კნიაზო! შემთხვევით, მართლა არ შეგიყვარდეთ ჩემი ზინა! -
შეჰკვივლა მარია ალექსანდროვნამ, როცა მიხვდა, საგანგებო მომენტი
დადგაო.^[P]_[SEP]

კნიაზის პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.^[P]_[SEP]

- უკვე გაგიჟებით მიყვარს! - უცებ იყვირა, ჯერ კიდევ მუხლებზე
დაჩოქილმა, მღელვარებისაგან აცახცახებულმა მოხუცმა, - მზად ვარ,
მისი გულისათვის თავი დავდო! მე რომ რაიმეს ი-მე-დი მქონდეს.
ამაყენეთ, ცო-ტა სუს-ტად ვარ... მე რომ იმედი მქონდეს, რომ
შემეძლოს, ჩემი გული შევთავაზო, მაშინ... მე... ყოველდღე რომანსებს
მიმღერებდა, მისი ცქერით დავტკბებოდი, მისი ცქერით და მისი
სმენით... ოჰ, ღმერთო ჩემო!^[P]_[SEP]

- კნიაზო, კნიაზო! თქვენ გინდათ, თქვენი გული შესთავაზოთ ჩემს

ზინას! თქვენ გსურთ, ზინას თავი წამართვათ, ჩემი ზინა! ჩემი ლამაზი, ჩემი ანგელოზი ზინა! მაგრამ მე ვერ დაგთმობ, ზინა! ქთუ შეძლებთ, ხელიდან გამოშტაცეთ, დედას გამოსტაცეთ ხელიდან! - მარია ალექსანდროვნა ზინას ეცა და მაგრად ჩაეხუტა, თუმცა გრძნობდა, ზინა როგორ უძალიანდებოდა... დედიკომ ძალზე გადაამლაშა. ამ კომედიაში მთელი არსებით შეძრა ზინა, რომელსაც სახეზე ზიზლი აღბეჭდოდა, მაგრამ დუმდა. ეს კი სავსებით საკმარისი იყო მარია ალექსანდროვნასთვის.^[P]_[SEP]

- ჩემმა ზინამ ცხრა კაცს უთხრა უარი. ჩემთან განშორება არ სურდა! - ქაქანებდა მარია ალექსანდროვნა, - ახლა კი განშორებას გული მიგრძნობს. ჯერ კიდევ წელან შევამჩნიე, როგორ გიყურებდათ ზინა... თქვენ ის მოხიბლეთ თქვენი არისტოკრატიულით, კნიაზო, თქვენი დახვეწილობით! ვაი, რომ თქვენ დაგვაშორებთ ერთმანეთს, გულიმიგრძნობს.^[P]_[SEP]

- მე მას ვალ-მერ-თებ! - ლულლულებდა მოხუცი, რომელიც ჯერ კიდევ ვერხვის ფოთოლივით თრთოდა.^[P]_[SEP]

- მაშ, შენ გინდა მიატოვო შენი დედიკო! - შესძახა მარია ალექსანდროვნამ და კიდევ ერთხელ ჩამოეკიდა კისერზე თავის ქალიშვილს.^[P]_[SEP]

ზინა ჩქარობდა, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო ეს მძიმე სცენა. მან უხმოდ გაუნოდა კნიაზს თავის მშვენიერი ხელი და გაულიმა კიდევ. მოხუცი მონინებით ემთხვია ხელზე.^[P]_[SEP]

- მე ანი ვინყებ ცხოვრებას, - ბუტბუტებდა კნიაზი, თან

აღტაცებისაგან სუნთქვა ეკვროდა. [P]
[SEP]

- ბინა! - მგზნებარედ წარმოთქვა მარია ალექსანდროვნამ, - შეხედე ამ ადამიანს! ეს არის ყველაზე პატიოსანი, ყველაზე კეთილშობილი, იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც მე ვიცნობდი. ეს არის შუა საუკუნეების რაინდი! ეს ყველაფერი კარგად იცის ჩემმა ბინამ, კნიაზო! ჩემდა საუბედუროდ, ვაი რომ, იცის! ოი, რატომ ჩამოხვედით აქ! მე გადმოგცემთ ჩემს საუნჯეს, ჩემს ანგელოზს. გაუფრთხილდით მას, კნიაზო! თქვენ გვედრებათ დედა, რომელი დედა განმსჯის ამ დარდის გამო! [P]
[SEP]

- კმარა, დედა! - ჩაიჩურჩულა ბინამ. [P]
[SEP]

- თქვენ ხომ ყველაფრისაგან დაიცავთ მას, კნიაზო? ხომ ალაპლაპდება თქვენი დაშნა ცილისმწამებლის თვალწინ, თუკი ვინმე თავხედი დააპირებს, გული ატკინოს ჩემს ბინას? [P]
[SEP]

- კმარა, დედილო, თორემ... [P]
[SEP]

- დიახაც, ალაპლაპდება... - ბუტბუტებდა მოხუცი, - მე ახლა ვინცებ ცხოვრებას... მე მინდა ახლავე, ამ წუთში ვიქორწინოთ... მე... მე ახლავე გავგზავნი დუ-ხა-ნო-ვო-ში... იქ მე ბრილიანტები მაქვს. მე მინდა ისინი ბინას ფხებთან დავყარო... [P]
[SEP]

- ეს რა გზნებაა! როგორი აღტაცება! რა კეთილშობილური გრძნობები! - გაიძახოდა მარია ალექსანდროვნა, - როგორ შეძელით, კნიაზო, როგორ მოახერხეთ ასე თავის დაღუპვა, განა შეიძლება თქვენი ცხოვრება მაღალი საზოგადოების გარეშე? გაუთავებლად შემოძლია ამის შესახებ ლაპარაკი! თავს ძლივს ვიკავებ, როდესაც

მახსენდება ის ჭოჭოხეთური..... [P]
[SEP]

- აბა, რა მექნა, ისე მე-ში-ნო-და! - ანუნუნდა გულაჩუყებული მოხუცი,
- ჩემი საგიჟეთში გა-მომწყ-ვდე-ვა უნდოდა. [P]
[SEP]

- საგიჟეთში? მხეცები! არაკაცები! ვერაგები! მსმენია ამის შესახებ,
კნიაზო! მაგრამ ეს ხომ მათი მხრიდანაა სიგიჟე! რისთვის, რისთვის?
[P]
[SEP]

- თავადაც არ ვიცი, რა უნდოდათ! - უპასუხა დასუსტებულმა მოხუცმა
და რის ვაივავლახით ჩაჭდა სავარძელში, - იცით, ერთ მეტ-ლის-ზე
რადაც ანეკდოტს მოვ-ყე-ვი, მათ კი არ მო-ე-ნო-ნათ, ამას მოჰყვა
ყველაფერი! [P]
[SEP]

- ნუთუ მარტოოდენ ამიტომ, კნიაზო? [P]
[SEP]

- არა, მერმე ბანქო ვი-თა-მა-შე კნიაზ პიოტრ დემენ-ტი-ევიჩთან და
ექვსის გარეშე დავრ-ჩი. მქონდა ორი პა-პა და სამი ქალი... უფრო
სწორად, სამი ქალი და ორი პა-პა... არა! ერთი პაპა! შემდეგ კი ქა-ლე-
ბი... [P]
[SEP]

- რატომ? რატომ? ოი, რა ჭოჭოხეთური არაადამიანობაა! თქვენ
ტირით, კნიაზო! სიტყვას გაძლევთ, აწი მსგავსი რამ არ გამეორდება!
ამიერიდან მე ვიქნები თქვენ გვერდით, ჩემო კნიაზო, ზინას არ
მოვშორდები და ვნახოთ, როგორ გაბედავენ ისინი რამის თქმას!
იცით, კნიაზო, თქვენი ქორწინება მათ გააოგნებთ. შეარცხვენთ. ისინი
დაინახავენ, რომ თქვენ გაქვთ შნო... ე.ი. მიხვდებიან, რომ ასეთი
მზეთუნახავი გიჟს ცოლად არ გაჰყვებოდა! თქვენ ახლა შეგიძლიათ,
ამაყად გეჭიროთ თავი. შეგიძლიათ, აწი ყველას გაუსწოროთ

თვალი...^[P]_[SEP]

- დიახ, დიახ, მე ყველას თვალს გა-ვეუს-ნო-რებ, - ჩაილულულა მოხუცმა და თვალები მილულა.^[P]_[SEP]

მგონი სულ მთლად მოეშვა, - გაიფიქრა მარია ალექსანდროვნამ, - ტყუილად ვლაპარაკობ!~^[P]_[SEP]

- კნიაზო, მე ვხედავ, რომ აფორიქებული ხართ: ახლა ცოტა უნდა დამშვიდდეთ, დაისვენოთ, - დედასავით დასტრიალებდა თავს მოხუცს.

^[P]_[SEP]

- დიახ, ცოტას დავისვენებ, - თქვა კნიაზმა.^[P]_[SEP]

- ჰო, ჰო! მოისვენეთ, კნიაზო! ამდენი მღელვარება... მოითმინეთ, მე თავადკმეგაცილებთ... თუ საჭირო იქნება, მე ჩაგანვენთ ლოგინში. ამ პორტრეტს რატომ უყურებთ ასე, კნიაზო! ეს დედაჩემის სურათია - ანგელოზი იყო! ოჰ, რატომ არ არის ახლა ცოცხალი! ის იყო ნამდვილი წმინდანი, კნიაზო, წმინდანი! სხვაგვარად მას ვერ ვახსენებ!^[P]_[SEP]

- წმინდანი? *c'est joli ...* მეც მყავდა დედა... *princesse* და წარმოიდგინეთ, არაჩვეულებრივად მსუქანი გახლდათ... სხვა რაღაც მინდოდა მეთქვა. სისუსტე მომერია. *Adieu, ma charmante enfant!* მე სიამოვნებით, მე დღეს... ხვალ... სულ ერთი არ რის! *au revoir, au revoir!* - ხელის დაქნევა უნდოდა, მაგრამ ფეხი დაუცდა და კინაღამ ზღურბლზე მოადინა ზღართანი.^[P]_[SEP]

- ფრთხილად, კნიაზო! მე დამეყრდენით, - შეჰკვივლა მარია ალექსანდროვნამ.^[P]_[SEP]

- charmant! charmant! - ლულლუღებდა გზადაგზა მოხუცი, - მე ანი ვინყებ ცხოვრებას...^[P]_[SEP]

ზინა მარტო დარჩა. აუნერელი სიმძიმე აწვა გულზე. გულის ამრევ მიზღს გრძნობდა. საკუთარი თავი სძულდა. ღანვები უხურდა. ხელებდამუშტული, კრიჭამეკრული და თავდახრილი იდგა და ადგილიდან არ იძროდა. თვალებიდან სირცხვილის ცრემლები გადმოსცვივდა... ამ დროს კარიგაიღო და ოთახში მოზგლიაკოვი შემოვარდა.^[P]_[SEP]

^[P]_[SEP]

თავი IX^[P]_[SEP]

მან ყველაფერი მოისმინა! ყველაფერი, თავიდან ბოლომდე!^[P]_[SEP]

უბრალოდ კი არ შემოვიდა ოთახში, რისხვისაგან ფერდაკარგული შემოვარდა. ზინა გაოცებული უყურებდა.^[P]_[SEP]

- ეს ვინ ყოფილხართ! - იყვირა მოზგლიაკოვმა, - როგორც იქნა, გავიგე, ვინც ბრძანდებით!^[P]_[SEP]

- ვინ ვბრძანდები! - გაიმეორა ზინამ, რომელიც ამ წუთში ისე უყურებდა მას, როგორც გიჟს, მაგრამ უცებ თვალები ბრაზით აევისო, - როგორ ბედავთ ჩემთან ასე ლაპარაკს! - იყვირა მანაც და ჭიქურ მიეჭრა.^[P]_[SEP]

- ყველაფერი გავიგონე! - ხმამაღლა წარმოთქვა მოზგლიაკოვმა და უნებურად უკან დაიხია.^[P]_[SEP]

- რა გაიგონეთ? თქვენ რა, ფარულად გვისმენდით? - თქვა ზინამ და მიზღით გადახედა მოზგლიაკოვს.^[P]_[SEP]

- დიახ, ფარულად გისმენდით! დიახაც, უსინდისოდ მოვიქცევი, სამაგიეროდ, გავიგე, ვინც ხართ, თქვენ ყველაზე... არც კი ვიცი, რა ვთქვა... ამის შემდეგ რა გინოდოთ! - უპასუხა მან. თანდათან სულ უფრო და უფრო ველარ უძლებდა ზინას მზერას.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თუნდაც ყველაფერი მოგესმინათ, მე რაში მადანაშაულებთ? ვინ დაგროთოთ ამის ნება? რა უფლება გაქვთ, ასე უხეშად რომ მომმართავთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მე? რა უფლება მაქვს? თქვენ მისვამთ ასეთ კითხვას? კნიაზს ცოლად მიჰყვებით და მე არაფრის უფლება არა მაქვს? თქვენ ხომ მე მომეცით პირობა, ამიტომაც მაქვს უფლება!<sup>[P]
[SEP]</sup>

- როდის?<sup>[P]
[SEP]</sup>

- როგორ თუ როდის?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჯერ კიდევ ამ დილით, როცა ჩამაცივდით, გადანყვევით გითხარით, ვერაფერს დამაიმედებელს ვერ გეტყვით-მეთქი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაგრამ არ გამაგდეთ, სულ მთლად უარიც არ გითქვამთ. მაშასადამე, სათადარიგოდ შემომინახეთ! გამოდის, მაცდუნებდით.<sup>[P]
[SEP]</sup>

გალიზიანებულ ზინას სახე ავადმყოფურად დაემანჭა, თითქოს შიგნეულში რაღაც ტკივილმა დაუარა, მაგრამ დასძლია ეს გრძნობა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- თუ არ გაგაგდეთ, - უპასუხა ქალმა მკაფიოდ და დალაგებულად, თუმცა ხმაში მაინც ეტყობოდა ოდნავ შესამჩნევი ბზარი, - მხოლოდ და მხოლოდ სიბრაღის გამო. თავად მეხვეწებოდით, მომეთმინა და ჯერ არ მეთქვა `უარი~, კიდევ ახლოს გავიცნოთ ერთმანეთიო. `მაშინ, - მითხარით თქვენ, - მაშინ, როცა დარწმუნდებით ჩემს

კეთილშობილებადი, იქნებ უარი აღარ მითხრათო.~ ეს თქვენი სიტყვებია. თქვენ ვერ უარყოფთ მათ! ახლა კი ბედავთ და მეუბნებით, რომ მე თქვენ გაცდუნებდით. თქვენ თვითონ ნახეთ და იგრძენით ჩემი თქვენდამი ზიზღი დღეს, როდესაც ორი კვირით ადრე გამომეცხადეთ. თქვენ ხომ ორი კვირისდშემდეგ უნდა მოსულიყავით ჩემთან, ასე დამპირდით. მე ჩემი ზიზღი არ დამიფარავს, აშკარად გამოვხატე. თქვენ კარგად შენიშნეთ ეს, რადგან მკითხეთ: ხომ არ მიწყრებით, ადრე რომ ჩამოვედიო? იცოდეთ, ისეთ კაცს არავინ აცდუნებს, ვის მიმართაც ზიზღს ვერ ფარავენ. თქვენ ბედავთ და მეუბნებით, სათადარიგოდ გყავდითო. ამბოვს გიჰსახეებთ. ასეთი აზრი მქონდა თქვენზე: მართალია, მისთვის დიდი ჭკუა არ მიუცია ღმერთს, მაგრამ იქნებ კეთილი ადამიანია და ამიტომ შეიძლება, ცოლად გავყვე-მეთქი.~ მაგრამ ახლა, ჩემდა საბედნიეროდ, დავრწმუნდი, რომ თქვენ არათუ ბრიყვი, არამედ ბოროტი ბრიყვი ბრძანდებით, ისლა დამრჩენია, ბედნიერება და გზა მშვიდობისა გისურვოთ, მშვიდობით!

ესა თქვა ზინამ, შებრუნდა და აუჩქარებლად წავიდა კარისკენ.

მოზგლიაკოვი მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა და რისხვისგან აიძვრა.

- აჰა! ბრიყვიც ვყოფილვარ! - აყვირდა ის, - ახლა ბრიყვიც გავხდი! კეთილი! მშვიდობით! მაგრამ ვიდრე აქედან გავემგზავრებოდე, მთელ ქალაქს მოვდებ, თქვენი და დედათქვენის ხრიკებს, როგორ გამოათვრეთ და გააცურეთ კნიაზი! ყველას გავაგებინებ! გაიგებთ, ვინცაა მოზგლიაკოვი.

ბინა შეკრთა და შეჩერდა, პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, მხოლოდ ზიზღით აიჩეჩა მხრები და კარი გაიჭახუნა.^[P SEP]

ამ დროს ზღურბლზე მარია ალექსანდროვნა გამოჩნდა. მან გაიგონა მოზგლიაკოვის უკანასკნელი სიტყვები. იმავ წუთს მიხვდა, რაც ხდებოდა და შეშფოთდა. მარია ალექსანდროვნას თავისი ანგარიში ჰქონდა. მოზგლიაკოვი ჯერ არ წასულა, მოზგლიაკოვი კნიაზთან ახლოსაა, მოზგლიაკოვს შეუძლია, მთელ ქალაქს მოსდოს ეს ამბავი. არადა, თუნდაც მცირე ხნით, აუცილებელია ამ საიდუმლოს შენახვა! მან სასწრაფოდ შეაფასა ვითარება და მოზგლიაკოვის დამამშვიდებელი გეგმა უკვე გამზადებული ჰქონდა.^[P SEP]

- რა მოგივიდათ, mon ami? - წარმოთქვა მან, მოზგლიაკოვს მიუახლოვდა და მეგობრულად გაუნოდა ხელი.^[P SEP]

- რაო? mon ami-ო? - იყვინა გაცოფებულმა მოზგლიაკოვმა, - იმის შემდეგ, რაც თქვენ აქ მოაწყვეთ, კიდევ თქვენი მონ ამი ვარ! გამაბრიყვეთ ხომ, მონყალეო ხელმწიფევ! და ახლა კიდევ ჩემს გაცურებას ფიქრობთ?^[P SEP]

- ძალიან ვნუხვარ, ძალიან ვნუხვარ. ასეთ უცნაურ მდგომარებაში რომ გხედავთ, პაველ ალექსანდროვიჩ. ეს რა გამოთქმები გაქვთ! ქალთან ასე ლაპარაკი არ გეკადრებათ!^[P SEP]

- ქალთან! თქვენ... თქვენ ქალის გარდა ყველაფერი ხართ! - შეჰყვირა მოზგლიაკოვმა. არ ვიცი, თავისი ყვირილით რა უნდოდა, რომ გამოეხატა, ალბათ ძალიან თავბარდამცემი რამ.^[P SEP]

მარია ალექსანდროვნას წარბიც არ შეუხრია,

მშვიდადღმეხედამოზგლიაკოვს.^[P]^[SEP]

- დაბრძანდით! - უთხრა სევდიანი ხმით და იმ სავარძელზე მიუთითა, რომელზედაც თხუთმეტი წუთის წინ კნიაზი იჯდა.^[P]^[SEP]

- კი მაგრამ, ერთი ეს მითხარით, მარია ალექსანდროვნა! - იყვირა საგონებელში ჩავარდნილმა მოზგლიაკოვმა, - თქვენ ისე მიყურებთ, თითქოს მამა აბრამის ბატკანი იყოთ, თითქოს მე ვიყო თქვენ წინაშე დამნაშავე! ასე არ შეიძლება, ბატონო ჩემო!.. ასეთი ტონი!.. ასე შეიძლება მოთმინების ზღვარს გადასცდეს კაცი... იცით თუ არა თქვენ?^[P]^[SEP]

- ჩემო მეგობარო! - დაუყვავა მარია ალექსანდროვნამ, - ნება მიბოძეთ, კვლავ ასე მოგმართოთ, რადგან თქვენ არ გყავთ ჩემზე უკეთესი მეგობარი; ჩემო მეგობარო! თქვენ იტანჯებით, თქვენ გული გტკივათ, და არცაა გასაკვირი, ასეთი ტონით რომ მელაპარაკებით. გადავწყვიტე, ყველაფერი გითხრათ, გული გადაგიშალოთ, სასწრაფოდ, რადგან თქვენ წინაშე მე თავად ვგრძნობ თავს დამნაშავედ. დაბრძანდით რა, მოვილაპარაკოთ.^[P]^[SEP]

მარია ალექსანდროვნას ხმა არაბუნებრივად რბილი ჰქონდა, სახეზე მწუხარება ასახვოდა. გაოგნებული მოზგლიაკოვი მის გვერდით სავარძელში ჩაჯდა.^[P]^[SEP]

- თქვენ ყურს გვიგდებდით? - გააგრძელა მარია ალექსანდროვნა და საყვედურით გადახედა მას.^[P]^[SEP]

- დიახ, ყველაფერი მოვისმინე! მაშინ ვიქნებოდი რეგვენი, ყური რომ არ დამეგდო! კიდევ კარგი, ყველაფერი გავიგე, რასაც ჩემ

წინააღმდეგ ამზადდებით, - უხეშად მიახალა მოზგლიაკოვმა ისე, თითქოს საკუთარი რისხვით თავის გამხნელება სურდა. [P SEP]

- ეს თქვენ, თქვენ, თქვენი აღზრდა-განათლების, თქვენი წეს-ჩვეულებების პატრონმა, გაბედეთ ასეთი ნაბიჯის გადადგმა? ოჰ, ღმერთო ჩემო! [P SEP]

მოზგლიაკოვი ადგილიდან წამოხტა. [P SEP]

- არა, მარია ალექსანდროვნა! - იღრიალა მან, - ამდენის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება! ჯერ გაიხსენეთ, თქვენი წეს-ჩვეულებების პატრონმა რა იკადრეთ, და შემდეგ განსაჯეთ სხვა! [P SEP]

- ერთი კითხვა მაქვს, - თქვა მარია ალექსანდროვნამ ისე, რომ მოზგლიაკოვის კითხვა უპასუხოდ დატოვა, - ვინ გაფიქრებინათ, ჩვენთვის გეთვალთვალათ, ვინ მოგიყვათ, ვინ მოგიტანათ ენა? აი, რა მინდა, ვიცოდე. [P SEP]

- ნურას უკაცრავად! ამას არ გეტყვით. [P SEP]

- კეთილი, თვითონ შევიტყობ. მე გითხარით, პოლ, თქვენ წინაშე დამნაშავე ვარ-მეთქი. მაგრამ თუ კარგად განსჯით ყველაფერს და ყველა გარემოებას შეათვალთ, მაშინ მიხვდებით, მე თუ დამნაშავე ვარ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთვის დიდი სიკეთე მსურდა. [P SEP]

- ჩემთვის? სიკეთე? ეს უკვე მეტისმეტია! გარწმუნებთ, ანი თქვენ ჩემთვის თვალის ახვევას ვეღარ შეძლებთ! არც ისეთი ბიჭუნა ვარ! [P SEP]

მოზგლიაკოვი ისე შემობრუნდა ადგილზე, რომ სავარძელს ჭრაჭუნი აუტყდა. [P SEP]

- თუ შეგიძლიათ, დამშვიდდით, გეთაყვა. ყური დამიგდეთ, ყურადღებით მომისმინეთ და თავად დამეთანხმებით ყველაფერში. ჯერ ერთი, მე მსურდა თქვენთვის ყველაფერი ამეხსნა, ჩემგან გაიგებდით ყველაფერს დაწვრილებით და აღარ მოგიწევდათ ფარული ყურისგდებით თავის დამცირება. თუ აქამდე წინასწარ არაფერი გითხარით, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქმე ჯერ გეგმაში მქონდა და შეიძლება არც განხორციელებულიყო. ხომ ხედავთ, სავსებით გულახდილი ვარ. მერმე მეორე ის, ნუ დაადანაშაულებთ ჩემს ასულს. მას თქვენ სიგიჟემდე უყვარხართ, წარმოუდგენელი ძალის-ხმევა დამჭირდა, რომ მისი ყურადღება ამ საქმეზე გადამეტანა და დამეთანხმებინა, მიეღო კნიაზის წინადადება. [PSEP]

- მე სულ ახლახან მივიღე თქვენი ასულისაგან სრულიად დამადასტურებელი პასუხი, როგორ გაგიჟებითაც ვუყვარვარ, - ირონიულად ჩაილაპარაკა მოზგლიაკოვმა [PSEP]

- კეთილი, ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენ როგორ ელაპარაკეთ მას? განა ასე ლაპარაკობს შეყვარებული კაცი? ბოლოს და ბოლოს, განა ასე იქცევა კარგად აღზრდილი მამაკაცი? თქვენ შეურაცხყავით და გააღიზიანეთ ის! [PSEP]

- ახლა კარგი მანერების დრო არ არის, მარია ალექსანდროვნა! ამას წინათ, როცა მე და კნიაზი აქედან გავედით, თქვენ, ორივე დედა-შვილმა ათასნაირად შემამკვთ! ჩემი ლანძღვით გული იჭერეთ! აი, ამაზე ვილაპარაკოთ! მე ეს ყველაფერი ვიცი! [PSEP]

- ისევ იმ ბინძური წყაროდან გაქვთ ინფორმაცია? - შენიშნა მარია

ალექსანდროვნამ და ზიზღით ჩაიღიმა, - დიახ, პაველ ალექსანდროვიჩ, მე თქვენ გაგამავეთ, ბევრი ცუდი ვილაპარაკე, ბევრი ვეცადე, ბევრი ვიბრძოლე. მარტოოდენ ისიც კი, რომ მე იძულებული ვიყავი, თქვენ მელანძღეთ, ცილიც კი დაგნამეთ, ამტკიცებს იმას, როგორ გამიჭირდა ზინასაგან თანხმობის მიღება, რომ თქვენზე უარი ეთქვა! არაშორსმჭვრეტელი კაცი ხართ, პოლ! თქვენ რომ ზინას არ ჰყვარებოდით, განა დამჭირდებოდა თქვენი ამდენი ლანძღვა-გინება და გამასხარავება, ასეთი უკიდურესი საშუალებების გამოყენება? თქვენ კიდევ არ იცით ყველაფერი! მე უნდა გამომეყენებინა დედის ძალაუფლება, რომ მისი გულიდან ამომეგდეთ და წარმოუდგენელი ძალისხმევის შემდეგ მხოლოდ გარეგნულ თანხმობას მივალნიე. თუ გვისმენდით, უნდა შეგემჩნიათ, რომ ზინას ერთი სიტყვაც არ დასცდენია, არანაირი ჟესტით მხარი არ დაუჭერია ჩემთვის კნიაზის თანდასწრებით. მთელი ამ სცენის განმავლობაში მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ავტომატივით მღეროდა. მისი გული დარდით იყო სავსე. მე ზინა შემეცოდა და იმიტომ წავიყვანე კნიაზი. დარწმუნებული ვარ, მარტო დარჩენილი ზინა ჩვენი წასვლის შემდეგ ტიროდა, თქვენ შემოსვლისას უნდა გენახათ მისი ცრემლები...^{[P]_{SEP}}

მოზგლიაკოვს გაახსენდა, როცა ოთახში შემოვარდა, ზინას თვალებში მართლა შენიშნა ცრემლები.^{[P]_{SEP}}

- კი მაგრამ, თქვენ, თქვენ რატომ იყავით ჩემ წინააღმდეგ, მარია ალექსანდროვნა? - შეჰყვირა მან, - რატომ მლანძღავდით, რატომ მწამებდით ცილს, როგორც ახლა ბრძანეთ?^{[P]_{SEP}}

- ეს სულ სხვა საქმეა! თქვენ რომ თავიდანვე მშვიდად გე-კითხათ, პასუხი დიდი ხანია, გეცოდინებოდათ. დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით! ყველაფერი მე მოვანწყვე, მხოლოდ მე, ზინა არაფერ შუაშია. რატომ გავაკეთე? გიპასუხებთ: ჯერ ერთი, ზინას ბედნიერებისათვის. კნიაზი მდიდარია, დიდგვაროვანი, გავლენიანი ნათესავ-მეგობრები ჰყავს. თუ ზინა მას ცოლად გაჰყვება, ქორწინება ფრიად მომგებიანი იქნება. ბოლოს და ბოლოს, როცა კნიაზი მოკვდება - ალბათ მალეც, რამეთუ, გვინდა თუ არა, მოკვდავნი ვართ, მაშინ ზინა ახალგაზრდა ქვრივი დარჩება, კნიაგინია, მაღალი საზოგადოების წევრი, და შეიძლება ძალიან მდიდარი მემამულეც. ამის შემდეგ შეძლებს, იმას გაჰყვეს ცოლად, ვისაც მოისურვებს. მას გაჰყვება, რასაკვირველია, ვინც ადრე უყვარდა, ვისაც გული ატკინა, როცა კნიაზს მისთხოვდა. მარტოოდენ სინანული აიძულებს, გამოასწოროს თავისი საქციელი და ცოლად გაჰყვეს მას, ვინც ადრე უყვარდა.^[P SEP]

- ჰმ, - ჩაიდუდუნა მოზგლიაკოვმა და შეფიქრებულმა თავის ჩექმებს დაუნყო თვალიერება.^[P SEP]

- ახლა მეორე - ამაზე დღეს მხოლოდ მოკლედ გეტყვით, - გააგრძელა მარია ალექსანდროვნამ, - რადგან თქვენ ეს შეიძლება ვერც გაიგოთ. თქვენ კითხულობთ შექსპირს, მის მიხედვით ძერწავთ თქვენს მაღალ გრძნობებს და, მართალია, ძალიან კეთილი კაცი ხართ, თუმცა ჯერ ძალზე ახალგაზრდა ბრძანდებით, მე კი დედა ვარ, პაველ ალექსანდროვიჩ! ყური მიგდეთ: მე მინდა, ზინა კნიაზს

მივათხოვო კიდევ იმიტომ, რომ ამ ქორწინებით მსურს, კნიაზი გადავარჩინო. ადრეც მიყვარდა ეს კეთილშობილი, სათნო, რაინდვით პატიოსანი მოხუცი. ჩვენ ვმეგობრობდით. მასზე ჩაბლაუჭებულია ის როკაპი დედაკაცი, კნიაზი კი მის ხელში უბედურია. ის დედაკაცი მოხუცს სიცოცხლეს მოუსწრაფავს. ღმერთი ხედავს, რომ ზინა ამ ქორწინებაზე დამთანხმდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ნაბიჯი წმინდანის თავგანწირვად დაეუხატე, ის გაიტაცა ამ გრძნობის კეთილშობილებამ და თავგანწირვის ხიბლმა. მასშიც არის რაღაც რაინდული. დავანახე, როგორ შეიძლება გახდეს ასეთი მაღალქრისტიანული ღვანლი საყრდენი, ნუგეში, მეგობარი, შვილი, მზეთუნახავი, კერპი მისთვის, ვისაც ერთი წლის სიცოცხლე დარჩენია. რომ საძაგელი დედაკაცით, გამუდმებული შიშით, სასონარკვეთით კი არ იქნება გარემოცული თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში, არამედ სინათლით, მეგობრობით, სიყვარულით და სამოთხედ მოეჩვენება აღსასრულის წინა დღეები! სად არის აქ ეგოიზმი - მითხარით, გეთაყვა? ეს არის მონყალების დის თავდადება, გმირობა, და არამც და არამც ეგოიზმი! ^[P]_[SEP]

- მაშ, თქვენ... თქვენ ეს ჩაიდინეთ მხოლოდ კნიაზის გულისთვის, მხოლოდ მონყალების დის გმირობისათვის? - დამცინავად ჩაიბურტყუნა მოზგლიაკოვმა. ^[P]_[SEP]

- ეს კითხვაც გასაგებია, პაველ ალექსანდროვიჩ, ყველაფერი ნათელია. თქვენ შეიძლება ფიქრობთ, რომ აქ ფარისევლურადაა გადაჭაჭვული კნიაზის სარგებელი ჩვენს სარგებელთან? რას იზამ?

შესაძლებელია, ჩემდა უნებურად, გაუცნობიერებლად მქონდა ასეთი ანგარიში, მაგრამ არ იყო ეს ფარისევლობა. მესმის, თქვენ გიკვირთ ასეთი გულახდილი აღიარება, მაგრამ ერთსა გთხოვთ, პაველ ალექსანდროვიჩ, ნუ შეუშლით ხელს ამ საქმეში ზინას! ის ალალია, არავითარი ანგარება არ უდევს გულში, მას მხოლოდ სიყვარული ძალუძს, - ჩემი ლამაზი შვილიკო! თუ ვინმეს რაიმე ანგარიში აქვს, მხოლოდ მე ერთს! მაგრამ დაეკითხეთ თქვენს სინდისს და მითხარით: ჩემს ადგილზე ვის არ ექნებოდა ანგარიში ასეთ შემთხვევაში? ადამიანები დიდსულოვანი და უანგარო საქმეების კეთების დროსაც კი ითვალისწინებენ თავის სარგებელს, ამას აკეთებენ თავისდაუნებურად და გაუცნობიერებლად. რასაკვირველია, ყველა თავს იტყუებს, როცა თავს ირწმუნებს, რომ ამა თუ იმ საქმეს მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილების გამო ჩავდივარო. მე არ მინდა, თავი მოვიტყუო: ვაღიარებ, მიუხედავად ჩემი კეთილშობილური მიზნებისა, რაღაც სარგებლის იმედი მქონდა. მაგრამ მკითხეთ: ეს ხეირი ჩემთვის მინდა? მე უკვე არაფერი არ მინდა, პაველ ალექსანდროვიჩ! ჩემი დრო მოვჭამე. ეს სარგებელი მხოლოდ ჩემი ასულისათვის მინდა, ჩემი ანგელოზისათვის, ჩემი შვილისათვის - და მიპასუხეთ, რომელი დედა გამამტყუნებს ამ შემთხვევაში? ^[P]_[SEP]

მარია ალექსანდროვნას თვალში ცრემლი აუკიაფდა. მოზგლიაკოვი გაოგნებული უსმენდა მის აღსარებას და საგონებელში ჩავარდნილი, პირდაღებული მიშტერებოდა. ^[P]_[SEP]

- დიახ, რომელი დედა... - როგორც იქნა, ამოღერდა მან, -

ყველაფერი შესანიშნავად ჩამოარაკრავთ, მარია ალექსანდროვნა, - მაგრამ... თქვენ ხომ მე სიტყვა მომეცით! დამაიმედეთ... ახლა რა ვქნა? კთავად განსაჯეთ! თქვენ ხომ ახლა მე თვალში ნაცარშეყრილი და პირში ჩალაგამოვლებული დამტოვეთ?^[P SEP]

- ნუთუ თქვენ გგონიათ, მე თქვენზე არ მიფიქრია, mon cher Paul! პირიქით, ყველა ჩემს გაანგარიშებაში თქვენთვის იმდენად დიდი სარგებელი მქონდა გათვლილი, რომ სწორედ ამან მაიძულა ეს ნაბიჯი გადამედგა.^[P SEP]

- სარგებელი, ჩემთვის? - შეპყვირა ამჯერად სრულიად გაოგნებულმა მოზგლიაკოვმა, - ეს როგორღა?^[P SEP]

- ღმერთო ჩემო! განა შეიძლება ამდენად გაუგებარი და არაშორსმჭვრეტელი იყოს! - შეპყვილა მარია ალექსანდროვნამ და თვალები მალლა აღაპყრო, - ოჰ, ეს ახალგაზრდობა! აი, რას ნიშნავს შექსპირთან ურთიერთობა, მხოლოდ ოცნებებითა და წარმოსახვებით, სხვისი ჭკუითა და სხვისი აზრებით ცხოვრება! ჩემო კეთილო პაველ ალექსანდროვიჩ, მეკითხებით, თქვენ რა სარგებელი გექნებათ? ნება მიბოძეთ, ყველაფერს ნათელი მოვფინო და ერთი გადახვევა გავაკეთო: თქვენ რომ ზინას უყვარხართ, ამას წყალი არ გაუვა! მაგრამ შემჩნეული მაქვს, რომ რატომღაც არ გენდობათ, თქვენი კეთილი გრძნობებისა და მიდრეკილებების არ სჯერა. ისიც შევნიშნე, რომ ზინა ხანდახან ცივადაც გექცევათ, ესაა მისი ხანგრძლივი ფიქრისა და უნდობლობის ნაყოფი. განა თქვენ არ შეგინიშნავთ ეს, პაველ ალექსანდროვიჩ?^[P SEP]

- შე-მი-ნიშ-ნავს; დღესაც კი... მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ, მარია ალექსანდროვნა?^[P SEP]

- ხედავთ, თავადაც შეგინიშნავთ. ე.ი. არ შევმცდარვარ. ზინას რალაცნაირად უცნაური უნდობლობა აქვს თქვენი კეთილი მიდრეკილებების სიმტკიცის მიმართ. მე დედა ვარ, განა დედა ვერ მიხვდება საკუთარი ნაშიერის გულისნადებს? ოთახში საყვედურებითა და ლანძღვა-გინებით შემოვარდნამ გაალიზიანა, გაანანყენა და შეურაცხყო ზინა, ეს უმნიშვნელო, მშვენიერი და ამაყი არსება, და უფრო განუმტკიცა ეჭვები თქვენი ცუდი მიდრეკილებების თაობაზე. განა არ ჭობდა, ეს ამბავი მშვიდად მიგედოთ, სინანულის ცრემლებითა და სასონარკვეთილებით, მაგრამ ამაღლებული დიდსულოვნებით...^[P SEP]

- ჰეი!^[P SEP]

- არა, არ შემანყვეტინოთ, ჰაველ ალექსანდროვიჩ. მე სრულად მინდა დაგიხატოთ სურათი, რომელიც თქვენთვის გამაოგნებელი იქნება. წარმოიდგინეთ, თქვენ მასთან მიდიხართ და ეუბნებით: `ზინაიდა! მე თქვენ სიცოცხლეზე უფრო მეტად მიყვარხართ, მაგრამ ოჯახური მიზეზები ურთიერთს გვაშორებს. მე მესმის ეს მიზეზები. ყველაფერი შენი ბედნიერებისათვის კეთდება და მე ვერ გავბედავ, ამას წინ აღვუდგე, ზინაიდა! მე ყველაფერი გაპატიე. ბედნიერი იყავი! ამ დროს თქვენ მას მიაპყრობთ მზერას, დასაკლავი კრავის მზერას, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი როგორ ეფექტს მოახდენდა ზინაზე!^[P SEP]

- კი, ბატონო, დავუშვათ, ყველაფერი ასე მომხდარიყო; მე გავიგე,

რისი თქმაც გსურდათ. მე კი ვიტყვოდი ყველაფერ ამას, მაგრამ მაინც უარაფროდ დავრჩებოდი. [P SEP]

- არა, არა, არა, ჩემო მეგობარო! დამაცადეთ! ბოლომდე მინდა დავხატო ეს სურათი, თავისი შედეგებით, რომ კეთილშობილებით გაგაოგნოთ. ახლა წარმოიდგინეთ, გარკვეული დროის შემდეგ თქვენ ზინას მაღალ საზოგადოებაში ხვდებით, სადმე მეჭლისზე. ირგვლივ ყველაფერი გაჩახჩახებულა, ჟღერს დამათრობელი მუ-სიკა, გარშემო ულამაზესი ქალები არიან. ამ დიდ დღესასწაულზე მხოლოდ თქვენ ხართ ეულად, გაფითრებული და შეფიქრიანებული, სადმე სვეტს მიყრდნობილი (ისე რომ ყველა გხედავთ) და სხვა მოცეკვავეებს შორის თვალს ადევნებთ მოცეკვავე ზინას. შტრაუსის დამათრობელი მუსიკის ხმაზე ტრიალებენ წყვილები, გარშემო გაისმის მაღალი საზოგადოების წევრების მახვილსიტყვაობები, თქვენ კი განმარტოებული დგახართ, თქვენი სიყვარულით ფერდაკარგული და გულგანგმირული! დაფიქრდით! რა მოუვა ამ დროს ზინას? როგორი თვალებით დაგინყებთ ის მზერას? `მე, - გაიფიქრებს ის, - მე ეჭვი მეპარებოდა ამ კაცში, რომელმაც ყველაფერი შემომწირა და ჩემი გულისათვის თავი დაიტანჯაო!~ ცხადია, რომ ძველი სიყვარული მასში დაუოკებელი ძალით იფეთქებს. [P SEP]

მარია ალექსანდროვნა სულის მოსათქმელად გაჩერდა. მოზ-გლიაკოვი ადგილზე ისეთი ძალით შემობრუნდა, რომ სავარძელი აჭრიჭინდა. მარია ალექსანდროვნამ გააგრძელა. [P SEP]

- კნიაზის ჯანმრთელობის გამო ზინა საზღვარგარეთ გაემგზავრება,

იტალიაში ან ესპანეთში, ჯობია ესპანეთში, სადაც მურტი და ლიმონი ხარობს, სადაც ფირუზი ცაა და გვადალკვირი მიედინება, ეს ხომ სიყვარულის ქვეყანაა, იქ სიყვარულის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია; იქ ვარდი და კოცნა, ასე ვთქვათ, ჰაერში დაფრინავს! თქვენც იქ გაემგზავრებით, ბინას კვალდაკვალ; მიატოვეთ სამსახური, მეგობრები, ყველა! იქ თქვენი სიყვარული დაუოკებელი ძალით გაშლის ფრთებს; სიყვარული, ახალგაზრდობა, ესპანეთი, ღმერთო ჩემო! ცხადია, თქვენი სიყვარული უმნიშვნელო და წმინდა იქნება; და თქვენ მარტოოდენ ერთმანეთის ცქერით დაიტანჯებით. გამიგეთ, **mon ami!** რა თქმა უნდა, გამოჩნდებიან სულმდაბალი და ვერაგი ადამიანები, მხეცები, რომლებიც იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ ავადმყოფი კნიაზისადმი ნათესავურმა გრძნობამ კი არ გაიძულათ საზღვარგარეთ გამგზავრება, არამედ სულ სხვა რაღაცამ. მე განგებ დავარქვი თქვენს სიყვარულს უმნიშვნელო, რადგან ეს ადამიანები, ვაი რომ, სულ სხვა სახელს დაარქმევენ მას. მაგრამ მე დედა ვარ, ჰაველ ალექსანდროვიჩ, მე ხომ ცუდს არ გასწავლით! რასაკვირველია, კნიაზი ვერ შეძლებს თქვენს თვალთვალს, მერმე რა! განა შეიძლება, ამაზე ააგო საზიზღარი ცილისწამება? დაბოლოს, კნიაზი, თავისი ბედ-იღბლით კმაყოფილი, ჩაბარდება უფალს. ერთი მითხარით: ვისგაჰყვება ბინა ცოლად, თუ არა თქვენ? თქვენ კნიაზის ისეთი შორეული ნათესავი ხართ, არავითარი დაბრკოლება წინ არ დაგხვდებათ. თქვენ შეირთავთ ბინას - ახალგაზრდა, მდიდარ და წარჩინებულ ქალბატონს. ეს მაშინ მოხდება, როცა მასზე

დაქორწინებას დიდგვაროვნებიც კი იამაყებდნენ! ზინას საშუალებით, თქვენ გახდებით მაღალი საზოგადოების წევრი, მისი დახმარებით მიიღებთ დიდ თანამდებობას და მაღალ ჩინს. თუ თქვენ ახლა ასორმოცდაათი სული ყმა გყავთ, ზინას შერთვის შემდეგ უმდიდრესი ადამიანი გახდებით; კნიაზი ყველაფერს ანდერძით გააფორმებს: ამას ჩემს თავზე ვიღებ. დასასრულ, რაც ყველაზე მთავარია, ზინას, იმ დროისათვის უკვე სჯერა თქვენი, თქვენი გულის, თქვენი სიყვარულის და თქვენ მისთვის იქცევით სათნო და თავგანწირულ გმირად!.. ამის შემდეგ კიდევ მკითხავთ, თქვენ რა ხერი გექნებათ? მომიტევეთ, პაველ ალექსანდროვიჩ! ბოლოს და ბოლოს, ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ დაინახოს, ვერ გაიაზროს, ვერ გაიანგარიშოს ეს სარგებელი, როცა ის თქვენგან ორ ნაბიჯშია, გიყურებთ, გიღიმით და გეუბნებათ: 'ეს მე ვარ, თქვენი სარგებელიო!~^[P]_[SEP]

- მარია ალექსანდროვნა! - შეჰყვირა არაჩვეულებრივად აღელვებულმა მოზგლიაკოვმა, - ახლა მივხვდი ყველაფერს! საზიზღრად, უდიერად, უსინდისოდ მოვიქცევი!^[P]_[SEP]

სავარძლიდან წამოხტა და თავში იტაცა ხელები. ^[P]_[SEP]

- გაუაზრებლადაც, - დაუმატა მარია ალექსანდროვნამ, - რაც მთავარია, გაუაზრებლად! ^[P]_[SEP]

- სახედარი ვარ, მარია ალექსანდროვნა, ნამდვილი ვირი! - ყვიროდა თითქმის სასონარკვეთილი მოზგლიაკოვი, - ახლა ყველაფერი დავკარგე, მე ხომ გაგიჟებით მიყვარს ზინა!^[P]_[SEP]

- იქნებ ჯერ ყველაფერი არც არის დაკარგული, - წყნარად

ჩაილაპარაკა მარია ალექსანდროვნამ ისე, თითქოს რაღაცას ფიქრობსო.^{[P][SEP]}

- ნუთუ რამეს შველა შეიძლება? მიშველეთ! მასწავლეთ! გადამარჩინეთ! ო^{[P][SEP]}

და მოზგლიაკოვი ატირდა.^{[P][SEP]}

- ჩემო მეგობარო, - თანაგრძნობით მიმართა მარია ალექსანდროვნამ და ხელი გაუნოდა, - თქვენ ყველაფერი ეს ბედმეტად გაფიცხებულმა ჩაიდინეთ, გრძნობაამღვრეულმა, რასაკვირველია, ბინას სიყვარულის გამო! სასონარკვეთილი იყავით და თავი აღარ გახსოვდათ! ბინამ უნდა გაგიგოთ..^{[P][SEP]}

- გაგიჟებით მიყვარს და მზად ვარ, ნებისმიერი მსხვერპლი გავიღო!

- ყვიროდა მოზგლიაკოვი.^{[P][SEP]}

- ყური მიგდეთ, მე მოველაპარაკები ბინას, გაგამართლებთ..^{[P][SEP]}

- მარია ალექსანდროვნა!^{[P][SEP]}

- დიახ, ამას ჩემს თავზე ვიღებ! მე მიგიყვანთ მასთან. თქვენ ყველაფერს, ყველაფერს ისე ეტყვი, როგორც ამას წინათ მე გითხარით!^{[P][SEP]}

- ღმერთო ჩემო! რა კეთილი ბრძანდებით, მარია ალექსანდროვნა! ახლავე, არ შეიძლება ახლავე გავაკეთოთ ეს?^{[P][SEP]}

- ღმერთმა დაგვიფაროს! ეჰ, რა გამოუცდელი კაცი ხართ, ჩემო მეგობარო! ბინა ისეთი ამაყია! ის ხომ ამას ახალ უხეშობად, მორიგ თავხედობად მიიღებს! ხვალ, ხვალ მოგიწყობთ შეხვედრას, ახლა კი ნაბრძანდით სადმე, თუნდაც იმ ვაჭართან..... ასე სჯობს, საღამოს

მობრძანდით, მაგრამ დღეს მაინც არ გირჩევდით! ^[P]_[SEP]

- მივდივარ, მივდივარ! ღმერთო ჩემო! თქვენ მე გადამარჩინეთ! მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს: კნიაზი რომ მალე არ გარდაიცვალოს, მაშინ რა? ^[P]_[SEP]

- ოჰ, ღმერთო ჩემო! რა მიამიტი ხართ, **mon cher paul!** პირიქით, ღმერთს ვევედროთ, დიდხანს იცოცხლოს! საჭიროა, მთელი გულითა და სულით ვისურვოთ, რომ დღევრძელი იყოს ეს სანდომიანი, სათნო, რაინდივით პატიოსანი მოხუცი! მე თავად თვალცრემლიანი დღე და ღამე მუხლმოდრეკილი ვილოცებ, რომ ბედნიერი იყოს ჩემი ასული. მაგრამ რას იზამ! ჩანს, კნიაზს ჯანმრთელობა მთლად წესრიგში არა აქვს! გარდა ამისა, ახლა მას მოუწევს პეტერბურგში დაბრუნება და მაღალი საზოგადოებისათვის ზინას წარდგენა. ძალიან მეშინია, ძალიან ვშიშობ, ამის მოსწრება რომ ვერ შეძლოს! მაგრამ ვილოცოთ, **cher Paul**, დანარჩენი ღვთის ნებაა! უკვე მიბრძანდებით! დამილოცინიხართ, **mon ami!** ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალთ, მოთმინება იქონიეთ და გამაგრდით, რაც მთავარია, გამაგრდით! მე არასოდეს შემპარვია ეჭვი თქვენს კეთილშობილურ გრძნობებში. ^[P]_[SEP]

მარია ალექსანდროვნამ ხელი მაგრად ჩამოართვა და მოზგლიაკოვი ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. ^[P]_[SEP]

- როგორც იქნა, მოვიცილე ერთი რეგვენი! - ამაყად წარმოთქვა მარია ალექსანდროვნამ, - დანარჩენებსაც მოვუვლი... ^[P]_[SEP]

კარი გაიღო და ოთახში ზინა შემოვიდა. ის ჩვეულებრივზე მეტად იყო გაფითრებული, თვალებიდან ცეცხლს ყრიდა. ^[P]_[SEP]

- დედილო! - თქვა მან, - მეტი აღარ შემიძლია, დროზე დაამთავრეთ! ეს ყველაფერი ისეთი საზიზღრობა და უსინდისობაა, ლამის სახლიდან გავიქცე. ნუ მანამებთ, ნუ მალიზიანებთ! გული მერევა, გესმით, გული მერევა ამდენი ჭუჭყისაგან.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ზინა! რა მოგდის, ჩემო ანგელოზო! შენ... შენ გვისმენდი! - იყვირა მარია ალექსანდროვნამ და აღშფოთებული მიაშტერდა ზინას.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, ყურს გიგდებდით. თქვენ რა, ხომ არ გინდათ, მეც შემარცხვინოთ, როგორც ის ბრიყვი? მომისმინეთ, გეფიცებით, თუ კიდევ გააგრძელებთ ჩემს წამებას და ამ იაფფასიან კომედიაში კიდევ რაიმე როლს დამაკისრებთ, ყველაფერს თავს დავანებებ და თამაშიდან გავალ! ისიც საკმარისია, რომ მთავარი უსინდისობა ჩემს თავზე ავიღე! მაგრამ...აქამდე ჩემს თავს არ ვიცნობდი! დავიხრჩვი ამდენი სიბინძურისაგან! - ზინა ოთახიდან გავიდა და კარი გაიჭახუნა.

<sup>[P]
[SEP]</sup>

მარია ალექსანდროვნა ოთახიდან გამავალ ქალიშვილს დაჟინებით მიაშტერდა და ფიქრებში წავიდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- უნდა ვიჩქარო, ვიჩქარო, - იყვირა უცებ გამოფხიზლებულმა, - ყველაზე დიდ საფრთხეს ზინასგან უნდა ველოდო. თუ ამ ქალაქის არამზადები კნიაზთან მარტო დარჩენის საშუალებას არ მოგვცემენ, მაშინ მთელი შრომა წყალში ჩამეყრება! ახლა ალბათ მთელი ქალაქი საქმის კურსშია - ამაში ეჭვი არ მეპარება! ზინა ამდენ ალიაქოთს ვერ გაუძლებს და უარს იტყვის. რადაც უნდა დამიჭდეს, სასწრაფოდ უნდა წავიყვანო კნიაზი ჩემს სოფელში! ჯერ თვითონკგავემგზავრები და ჩემს

ყვეფს აქ ჩამოვიყვან. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გამოვიყენო რამეში! სანამ ჩამოვალ, კნიაზიც გამოიძინებს და ვუკრავ თავს სოფელში.^[P SEP]

მარია ალექსანდროვნამ ხარი დარეკა.^[P SEP]

- ცხენები მზადაა? - ჰკითხა შემოსულ მსახურს.^[P SEP]

- დიდი ხანია, მზად გახლავთ, ქალბატონო! - უპასუხა ლაქიამ.^[P SEP]

ცხენების შეკაზმვის ბრძანება მარია ალექსანდროვნამ ჯერ კიდევ მაშინ გასცა, როცა კნიაზი დასაძინებლად მალლა ააცილა.^[P SEP]

მარია ალექსანდროვნამ ჯერ ჩაიცვა, შემდეგ ბინასთან შეირბინა, რომ ეთქვა თავისი გადანყვეტილების შესახებ და კიდევ რამდენიმე ინსტრუქცია მიეცა. მაგრამ ბინას მისი მოსმენა აღარ შეეძლო. ლოგინზე იწვა, თავი ბალიშში ჰქონდა ჩარგული, თვალთაგან ცრემლები ღვარღვართ სდიოდა და თავის მშვენიერ თმებს იდაყვამდე მოშიშვლებული ხელებით იგლეჯდა. შიგადაშიგ იკრუნჩხებოდა, თითქოს მთელ ტანში ჟრუანტელი უვლისო. მარია ალექსანდროვნამ ლაპარაკი დააპირა, მაგრამ ბინას თავი არ აუწევია.^[P SEP]

მარია ალექსანდროვნა ერთხანს გაჩერდა, შემდეგ შეცბუნებულმა დატოვა ოთახი. სახლიდან გამოვიდა და კარეტაში ჩაჯდა. მეეტლეს უბრძანა, რაც შეიძლება სწრაფად გაეჭენებინა ცხენები.^[P SEP]

`ცუდია, ბინამ რომ ყველაფერი მოისმინა! - ფიქრობდა მარია ალექსანდროვნა, - მოზღვლიაკოვი თითქმის იმავე სიტყვებით დავარწმუნე, რომლებითაც ბინა. ბინა ამაყია და თავი

მეურაცხეოფილად იგრძნო... ჰმ! მთავარი მაინც ისაა - სანამ გემი არ აუღიათ! ყველაფერი მოვასწრო, ღმერთმა დამიფაროს! ახლა ჩემი ყვეფი რომ არ დამხვდეს შინ!..~ [P] [SEP]

მარტო ამის გაფიქრებამაც კი გააცოფა მარია ალექსანდროვნა, რაც არაფერ კარგს არ უქადდა აფანასი მატვეიჩს. მარია ალექსანდროვნა მოუთმენლობისაგან ერთ ადგილზე წრიალებდა. ცხენები გამალეხული მიაქროლებდნენ კარეტას. [P] [SEP]

[P] [SEP]

თავი X [P] [SEP]

მეეტლე ცხენებს მიაჭენებდა. ჯერ კიდევ დილით მოგახსენებდით, მაშინ, როცა მარია ალექსანდროვნა კნიაზს ქუჩა-ქუჩა დაეძებდა, თავში ერთი გენიალური აზრი მოუვიდა-მეთქი. იქვე დაგპირდით, რომ მოგვიანებით ამ ჩანაფიქრს გაგიმხელდით. მაგრამ ეს გენიალური აზრი მკითხველმა უკვე გაიგო. ის შემდეგში მდგომარეობდა: როგორც კი მარია ალექსანდროვნა თავის მეტოქეებს ხელიდან გამოსტაცებდა კნიაზს, რაც შეიძლება საჩქაროდ ქალაქგარეთ, სოფლად უნდა წაეყვანა, იქ, სადაც უზრუნველად ნებივრობდა მისი ნეტარი მეუღლე აფანასი მატვეიჩი. არ დაგიმაღავთ, მარია ალექსანდროვნას სულ უფრო და უფრო რაღაც გაურკვეველი მოუსვენრობა მოეძალა. ასეთი რამ ნამდვილ გმირებსაც სწორედ იმ დროს ემართებათ, როცა მიზანს მიაღწევენ ხოლმე. რომელიღაც ინსტინქტი ჰკარნახობდა, რომ მორდასოვოში დარჩენა არამიზანშენონილი იყო. ჩვენ სოფელში ვიქნებით და ქალაქელებს კისერი უტეხიათო!~ - ფიქრობდა ის. რა

თქმა უნდა, არც სოფელში უნდა დაეკარგა დრო. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, ყველაფერი. თუმცა ჩვენ არ გვჭერა იმ ხმებისა, რომლებსაც მარია ალექსანდროვნას მტრები ავრცელებდნენ, თითქოს ჩვენს გმირს იმ წუთებში პოლიციისაც ეშინოდაო. ერთი სიტყვით, იმ წუთებში მარია ალექსანდროვნას სურდა, რაც შეიძლება მალე დაეწერა ჯვარი ზინასა და კნიაზისათვის. ეს ყველანაირად მოსახერხებელი იყო. ჯვრისწერა სოფლის მღვდელს სახლშიც შეეძლო ჩაეტარებინა. ეს უნდა მომხდარიყო ზეგ, ან უკიდურეს შემთხვევაში, ხვალვე. ხომ ყოფილა შემთხვევა, როცა ჯვრისწერა ორ საათში მოგვარებულა! კნიაზს დაარწმუნებდა, რომ ეს ნაჩქარევი ქორწინება დღესასწაულის, მოლაპარაკებისა და სხვა რიტუალის გარეშე აუცილებელი **comme il faut** იყო. შთააგონებდა, რომ ეს უფრო დარბაისლური და გრანდიოზული იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერ ამას კნიაზს როგორც რომანტიკულ თავგადასავალს, ისე წარმოუდგენდა და ამით შეარხევდა მისი გრძნობების ყველაზე მგრძნობიარე სიმს. უკიდურეს შემთხვევაში, გამოათრობდა, ანდა გამუდმებულად შეზარხოშებულს ამყოფებდა. ამის შემდეგ, რაც უნდა მომხდარიყო, ზინა კნიაგინია გახდებოდა! და თუ შემდგომში კნიაზის მოსკოველი და პეტერბურგელი ნათესავების მხრიდან სკანდალს ვერ გადაურჩებოდნენ, რაღაც სანუგეშო მაინც ექნებოდათ. ჯერჯერობით, ეს ყველაფერი შორს იყო; მარია ალექსანდროვნა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მაღალ საზოგადოებას სკანდალების გარეშე ცხოვრობა არ შეეძლო, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ქორწინებას

ესეზობდა; მისი გაგებით, მაღალი საზოგადოების სკანდალები უნდა იყოს რალაცნაირად განსაკუთრებული, გრანდიოზული, რალაც `მონტე-კრისტოს~ ან `Memoires du diable~ მსგავსი - ეს კარგ ტონადაც ითვლებოდა. დასასრულ, საკმარისი იქნებოდა, ზინა და მისი დედიკო მაღალ საზოგადოებაში გამოჩენილიყვნენ, რომ მაშინვე კუდიტ ქვას ასროლინებდნენ ყველას, ნამდვილად ყველას, რადგან ვერავინ იმ გრაფინიებიდან და კნიაგინიებიდან ვერ გაუძლებდა მორდასოვულ ხრიკებს, რისი ოსტატიც მარია ალექსანდროვნა გახლდათ. ამ ფიქრებით დახუნძლული მარია ალექსანდროვნა თავის მამულში მიჰქროდა აფანასი მატვეიჩის ნამოსაყვანად, რადგან, მისი აზრით, ახლა აფანასი მატვეიჩი აუცილებლად სჭირდებოდა. მართლაცდა, მარია ალექსანდროვნას კნიაზი ჰირდაპირ სოფელში რომ წაყვანა, უცნობ ჰირს მიაყენებდა კარზე. ეს შეიძლება კნიაზს არ მოწონებოდა. ამიტომ ჯერ აფანასი მატვეიჩსა და კნიაზს ერთმანეთი უნდა გაეცნოთ, ხოლო შემდეგ აფანასი მატვეიჩი კნიაზს თავისთან სოფელში დაჰპატიჟებდა. ეს უკვე სხვა საქმე გახლდათ. გარდა ამისა, ფრაკიანი, თეთრჰალსტუხიანი, შლაჰიანი, წარმოსადეგი ხანშიშესული ოჯახის უფროსის გამოჩენა, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდოდა შორიდან, კნიაზის ჩამოსვლის შესახებ ამბავის შეტყობისთანავე, განსაკუთრებით სასიამოვნო ეფექტს მოახდენდა, კნიაზის თავმოყვარეობასაც დააკმაყოფილებდა. ამგვარ საგანგებო და დაჟინებულ მიწვევაზე უარის თქმა გაუჭირდებო, ფიქრობდა მარია ალექსანდროვნა. ამასობაში კარეტამ სამი ვერსი გაიარა და მეეტლე სოფრონმა ცხენები

უცხად შეაჩერა გრძელი, ერთსართულიანი, ძველი და ჟამთასვლისაგან გამავეებული, ხის ნაგებობის სადარბაზოსთან. ცაცხვებში ჩაფლულ სახლს ბევრი ფანჯარა ჰქონდა. ეს გახლდათ მარია ალექსანდროვნას საზაფხულო რეზიდენცია, მისი სოფლის სახლი.^[P SEP]

- სადაა ყვეყჩი? - იყვირა მარია ალექსანდროვნამ და ქარივით შევარდა ოთახში, - აქ რა უნდა პირსახოცს? ჰა? აქ შეიმშრალა ტანი! ისევ იბანავა? ისევ თავის ჩაის ხვრეპს! რა გამოშტერებული მომჩერებიხარ, რეგვენო? თმები რატომ არა აქვს გაკრეჭილი? გრიშკა! გრიშკა! გრიშკა! რატომ არ გაკრიჭე ბატონი, ჯერ კიდევ წინა კვირას არ გიბრძანე?^[P SEP]

მარია ალექსანდროვნა ოთახში შესვლისას ფიქრობდა, ქმარს ალერსიანად მივესალმებო, მაგრამ როცა იხილა, ახლადნაბანავები მუღლღე როგორი სიამოვნებით მიირთმევდა ჩაის, ველარ მოითმინა. მართლაცდა, მარია ალექსანდროვნას მხრიდან ოჯახისადმი ამდენმა გარჯამ და ზრუნვამ, ხოლო უმაქნისი, გამოუსადეგარი აფანასი მატვეიჩის ყველაფრისადმი ნეტარმა კვიეტიზმმა¹ გული ატკინა. ამ დროს ყვეყჩი, ან, უფრო სწორად, ვისაც ყვეყჩი უნოდეს, სამოვართან იჭდა და შეშინებული, პირდაფჩენილი და თვალეზგადმოკარკლული მისჩერებოდა ცოლს, რომელმაც თავისი გამოჩენით ადგილზე გააქვავა. წინკარში გამოჩნდა გრიშკას ნამძინარევი და მოუხეშავი სახე, რომელიც, ამ სცენის შემყურე, დამფრთხალ თვალეზს აქეთ-იქით აცეცებდა.^[P SEP]

- ნება არ დამართო და როგორ გავკრეჭდი, - ბუბლუნით, ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა გრიშვამ, - ათჯერ მაინც მივადევქი მაკრატლით ხელში, ვუთხარი, ქალბატონი ჩამოვა და ორივეს მოგვხვდება-მეთქი! არაო, კვირას დავიხვევო, მინდა თმები გამეზარდოსო.^[SEP]

- ეს კიდევ რაა? თმების დახვევა მოუნდა! ეს რა, უჩემოდ გადაწყვიტე? ეს რა ფასონია? მოუხდება კი მაგ ყვეფი გოგრას დახვეული თმები? ღმერთო, რას ჰგავს აქაურობა! რისი სუნია? მე შენ გეკითხები, ნადირო, რისი სუნია? - სულ უფრო და უფრო ხმამაღლა უკიოდა მარია ალექსანდროვნა სრულიად გამოთაყვანებულ უდანაშაულო ქმარს.^[SEP]

- დე-დედილო! - ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა ქმარმა, ისე რომ ადგილიდან არ ამდგარა და მუდარით სავსე თვალებით შეაცქერდა თავის მბრძანებელს, - დე-დე-დედილო!^[SEP]

- რამდენჯერ უნდა გიჩიჩინო, შე ვირისთავო შენა, მე შენი დედილო არ ვარ-მეთქი! მე რა შენი დედილო ვარ, შე პიგმეი შენა! როგორ ბედავ, ასე რომ მომმართავ კეთილშობილ ქალბატონს. ჩემი ადგილი მაღალ საზოგადოებაშია და არა შენნაირი სახედრის გვერდით!^[SEP]

- კი... კი, მაგრამ განა შენ ჩემი კანონიერი ცოლი არა ხარ? პოდა, მოგმართავ... ოჯახურად... - სცადა წინააღმდეგობის განწევა აფანასი მატვეიჩმა და იმავე წამს ორივე ხელი თავზე დაიფარა, რომ თავისი თმები დაეცვა.^[SEP]

- შე საფრთხობელა, შე ოყლაყო შენა! მსგავსი სულელური პასუხი თუ სმენია ვინმეს? კანონიერი ცოლი! ახლა ვინ ხმარობს გამოთქმას

„კანონიერი ცოლი~? მაღალ საზოგადოებაში ამგვარ სულელურ სიტყვებს ვინ იტყვის, ეს ხომ სემინარიული, საძაგელი სიტყვებია: „კანონიერი ცოლი~? როგორ ბედავ და მეუბნები, ჩემი კანონიერი ცოლი ხარო, როცა მე ყველა საშუალებით ვცდილობ, დავივინყო ამის შესახებ? რატომ გიდევს ხელები თავზე? დახეთ, რა თმები აქვს! მთლად სველი! სამი საათი უნდა ამის გაშრობას! ახლა როგორ ნავიყვანო? ხალხს როგორ ვაჩვენო? რა ვქნა?“^[P SEP]

მარია ალექსანდროვნა ცოფებს ყრიდა, ხელებს იმტვრევდა და ოთახში ბოლთას სცემდა. რასაკვირველია, ეს არც ისე დიდი და გამოუსწორებელი უბედურება იყო; მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ მარია ალექსანდროვნას არ შეეძლო ყოვლისშემძლე და ძალაუფლების მოყვარული ხასიათის მოთოკვა. თავის რისხვას გამუდმებით ატეხდა თავზე ქმარს, რადგან ტირანია ისეთი ჩვევაა, რომელიც ადამიანს მოთხოვნილებად გადაექცევა ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, ყველასათვის ცნობილია, როგორი კონტრასტულები არიან ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი დახვეწილი ქალბატონები შინ, კულისებში. მე სწორედ ეს კონტრასტი მინდოდა მეჩვენებინა. აკანკალებული აფანასი მატვეიჩი თვალს ადევნებდა მეუღლის ევოლუციას და კიდევაც გაოფლიანდა მისი შემყურე. ^[P SEP]

- გრიშკა! - იყვირა მარია ალექსანდროვნამ, - ახლავე ჩააცვი ბატონს! ფრაკი, შარვალი, თეთრი ჰალსტუხი და ჟილეტი მოართვი, აბა, ცოცხლად! სად არის თმის ჭაგრისი, სადაა ჭაგრისი? ^[P SEP]

- დედილო! მე ახალი ნაბანავები ვარ, გავცივდები, ქალაქში რომ

წამიყვანო...^[P]_[SEP]

- არ გაცივდები!^[P]_[SEP]

- თმები სველი მაქვს...^[P]_[SEP]

- ახლავე გაგიშრობთ! გრიშკა, აიღე ჭაგრისი და უსვი, ვიდრე თმა არ გაუშრება, მაგრად! მაგრად! მაგრად! აი, ასე! ასე!^[P]_[SEP]

ამ ბრძანების მიხედვით, ერთგულმა გრიშკამ ბეჭითად, მთელი ძალით დაუნყო ბატონს თმის გამშრობა. მოხერხებულად რომ ემუშავა, გრიშკამ ბატონს მხრებში ჩაავლო ხელი და დივნისაკენ გადაახრევინა თავი. კოპებშეკრული აფანასი მატვეიჩი ლამის ატირდა.^[P]_[SEP]

- ახლა აქეთ მოდი! ააყენე, გრიშკა! სადაა პომადა? თავი დახარე! დახარე თავი, ნაძირალა მუქთამგამელო!^[P]_[SEP]

და მარია ალექსანდროვნა თავად შეუდგა მეუღლის თმაზე პომადის ცხებას, დაუნდობლად ანიწვნიდა გაჭაღარავებულ ხშირ თმას. აფანასი მატვეიჩი კვნესოდა და ოხრავდა, მაგრამ არ უყვირია და მორჩილად გაუძლო მთელ ოპერაციას.^[P]_[SEP]

- მთელი ცხოვრება სისხლს მიშრობ, შე ბინძურო, შენა! - დასჩხაოდა მარია ალექსანდროვნა, - დაიხარე, უფრო მეტად დაწიე თავი!^[P]_[SEP]

- რა დავაშავე, რატომ გაგიშრე სისხლი, დედილო? - ნაილულლულა ქმარმა და რაც შეეძლო, თავი დახარა.^[P]_[SEP]

- ყვეყჩო, ალფგორია არ გესმის! ახლა დაივარცხნე; შენ კი ჩააცვი, ცოცხლად!^[P]_[SEP]

ჩვენი გმირი სავარძელში ჩაჯდა და ინკვიზიტორივით ადევნებდა თვალს ქმრის ჩაცმის ცერემონიალს. ამასობაში აფანასი მატვეიჩმა

სული მოითქვა და ხასიათზე მოვიდა. როცა საქმე თეთრი ჰალსტუხის შეკვრაზე მიდგა, სურვილიც გამოთქვა, როგორი ფორმის ნასკვი სურდა. დაბოლოს, ფრაკის ჩაცმის დროს ღირსეული მამრი სრულიად გაყოჩაღდა და საკუთარ თავს სარკეში მონინებით შეაყურდა.^[P]^[SEP]

- სად მიგყავარ, მარია ალექსანდროვნა? - წარმოთქვა მან და თან სარკეში განაგრძო თავის გალამაზება.^[P]^[SEP]

მარია ალექსანდროვნა ყურებს არ უჭერებდა.^[P]^[SEP]

- ერთი ამას დამიხედე! შე საფრთხობელა, შენა! როგორ ბედავ და მეკითხები, სად მიმყავხარ?^[P]^[SEP]

- დედილო, ხომ უნდა ვიცოდე..^[P]^[SEP]

- ხმა ჩაინწყიტე! ერთხელ კიდევ დამიძახებ დედილოს, განსაკუთრებით იქ, სადაც მიმყავხარ, და მთელი თვე უჩაიოდ დარჩები.^[P]^[SEP]

შეშინებულმა ქმარმა ხმა გაიკმინდა.^[P]^[SEP]

- ერთი ამას დამიხედე! ერთი ჭვარიც ვერ დაიმსახურა ამ დაბდურმა, ამან, - გააგრძელა ლაძღვამარია ალექსანდროვნამ და ზიზღით გადახედა შავ ფრაკში გამოწყობილ ქმარს. აფანასი მატვეიჩი, როგორც იქნა, გაბრაზდა.^[P]^[SEP]

- ჭვრებს უფროსობა იძლევა, დედილო, მე კი მრჩეველი ვარ და არა დაბდური, - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან.^[P]^[SEP]

- რაო, რაო? შენ რა, ამრებიც გაგიჩნდა! ვაი, შე გლეხუჭა, შე წვინტლიანო გლეხო! ახლა შენი თავი არა მაქვს, თორემ გაჩვენებდი... მერე გაგიხსენებ ამას! გრიშკა, მიაართვი შლაპა! ჩააცვი ქურქი! სანამ მე

ჩამოვალ, ეს სამი ოთახი დაალაგეთ. ყველაფერი დანშინდეთ და დააკრიალეთ. სარკეებს შალითები ჩამოხსენით, საათებსაც. ერთ საათში ყველაფერი მონესრიგებული იყოს. შენც ჩაიცვი ფრაკი, ლაქიებს ხელთათმანები მიეცი, გესმის, გრიშკა, შევიდა შენს თავში? ^[P]_[SEP]

ცოლ-ქმარი კარეტაში ჩაჯდა. აფანასი მატვეიჩი ძალიან გაკვირებული ჩანდა. ამ დროს მარია ალექსანდროვნა თავისთვის ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა, რომ გასაგებად შეეგნებინა ქმრისათვის მათი ახლანდელი მდგომარეობა და საჭირო დარიგებები მიეცა. უცებ სიჩუმე ქმარმა დაარღვია. ^[P]_[SEP]

- მარია ალექსანდროვნა, დღეს ძალიან ორიგინალური სიზმარი ვნახე. ^[P]_[SEP]

- ფუ, საზიზღარო საფრთხობელავ! ღმერთმა უნყის, რა არის ეს, ფიქრსაც არ მაცლი! რა სიზმარი! როგორ ბედავ და შენი გლეხური სიზმრებით მანუხებ! ორიგინალური! იცი კი, რა არის ორიგინალური? მისმინე, უკანასკნელად გეუბნები, დღეს თუ კიდევ ერთხელ გაბედავ და კრინტს დაძრავ სიზმრის ან სხვა რაიმეს შესახებ, მაშინ მე, მე არ ვიცი, რას გიზამ! კარგად მომისმინე, ჩემთან სტუმრად არის კნიაზი კ. გახსოვს კნიაზი კ.? ^[P]_[SEP]

- მახსოვს, დედილო, მახსოვს. რაო, რა მინდაო, რატომ გვეახლა? ^[P]_[SEP]

- ხმა გაიკმინდე, შენი საქმე არ არის! შენ, როგორც მასპინძელმა, განსაკუთრებული თავაზიანობით უნდა სთხოვო, რომ ახლავე სოფელში გვეწვიოს. ამიტომ მიმყავხარ. დღესვე წამოვიყვანოთ,

მაგრამ თუ გაბედავ და ერთ სიტყვას მაინც იტყვი ამ საღამოს, ან ხვალ, ან ზევ, ან როდისმე, მაშინ მთელი წელი ბატების მწყემსვას გაიძულებ! კრინტი არ დაძრა, გაიგე? მხოლოდ ესაა შენი მოვალეობა, გესმის? [P]
[SEP]

- კი მაგრამ, რომ მკითხონ რამე? [P]
[SEP]

- მაინც ჩუმად იყავი. [P]
[SEP]

- ეს როგორ შეიძლება, სულ ჩუმად ვიყო, მარია ალექსანდროვნა? [P]
[SEP]

- ასეთ შემთხვევაში, მარტივად უპასუხე, მაგალითად, ასე: `ჰმ~, ან რაიმე ამგვარი, ისე, რომ თავი ჭკვიანად მოაჩვენო, ვიდრე უპასუხებ, ვითომ რამეს ფიქრობ. [P]
[SEP]

- ჰმ. [P]
[SEP]

- გაიგონე, რაც გითხარი! ახლა იმიტომ მიმყავხარ, რომ კნიაზს ვუთხრა, როგორც კი ჩემმა მეუღლემ თქვენი ჩამოსვლის ამბავი გაიგო, აღფრთოვანებული აქეთ გამოეშურა, რათა თქვენდამი პატივისცემა დაედასტურებინა და სოფელში მიეპატიჟებინეთ-მეთქი, გასაგებია? [P]
[SEP]

- ჰმ. [P]
[SEP]

- ახლა კი არ უნდა იძახო ჰმ, ყვეფჩო! ახლა მიპასუხე. [P]
[SEP]

- კარგი, დედილო, კეთილი, როგორც იტყვი, ისე იქნება; მაგრამ მაინცდამაინც მე რატომ უნდა დავპატიჟო კნიაზი? [P]
[SEP]

- რაა? ისევ აზრები გაგიჩნდა! რა შენი საქმეა, რატომ? როგორ ბედავ და ამას მეკითხები? [P]
[SEP]

- მე ის მინდოდა მეთქვა, მარია ალექსანდროვნა, როგორ უნდა დავპატიჟო, თუკი შენ ხმის ამოდება ამიკრძალებ? [P]
[SEP]

- მე ვილაპარაკებ შენ მაგივრად, შენ მხოლოდ თავი დააქნიე, გესმის, მხოლოდ თავი დააქნიე, შლაპა კი ხელში გეჭიროს, გაიგე? ^[P]_[SEP]

- გავიგე, დე... მარია ალექსანდროვნა. ^[P]_[SEP]

- კნიაზი ძალიან მახვილგონიერი კაცია. თუ რამეს გეტყვის, შენ მხოლოდ გაუღიმე, თავაბიანად გაუღიმე, გესმის? ^[P]_[SEP]

- ჰმ. ^[P]_[SEP]

- ისევ ჰმ! მე ნუ მეუბნები, ჰმ-ს! პირდაპირ მიპასუხე: გაიგე თუ ვერა. ^[P]_[SEP]

- გავიგე, მარია ალექსანდროვნა, როგორ ვერ გავიგებდი. ჰმ-ს იმიტომ ვამბობ, შენ რაც მიბრძანე, იმას რომ მივეჩვიო, მაგრამ მე ისევ იქა ვარ, დედილო, ეს როგორ იქნება: კნიაზი მართო ხომ არ ილაპარაკებს, მე კი გავუღიმებ, მაგრამ რამე რომ მკითხოს? ^[P]_[SEP]

- რა გაუგებარია ეს ყვეფი! გითხარი, ხმა არ ამოიღო-მეთქი! მე ვუპასუხებ შენ მაგივრად, შენ კი მხოლოდ უყურე და გაუღიმე. ^[P]_[SEP]

- კეთილი, მაგრამ ის ხომ იფიქრებს, მუნჯიაო, - ბუბლუნით თქვა აფანასი მატვეიჩმა. ^[P]_[SEP]

- დიდი ამბავი! იფიქროს; სამაგიეროდ, ვერ მიხვდება, რა ყვეფიცი ხარ! ^[P]_[SEP]

- ჰმ... კარგი, სხვებმა რომ მკითხონ რამე? ^[P]_[SEP]

- არავინ არაფერს გკითხავს, არავინ არ იქნება. თუ იქნება, ღმერთმა დაგვიფაროს! ყოველი შემთხვევისათვის, თუ ვინმე მოვიდა და შენ გკითხა რამე, სარკასტული ღიმილით უპასუხე. იცი, როგორია სარკასტული ღიმილი? ^[P]_[SEP]

- გონებამახვილური არა, დედილო?.. [P]
[SEP]

- მე შენ გიჩვენებ გონებამახვილურს, ყეყეჩო! შენნაირი რეგვენისაგან ვინ ელის რაიმე გონებამახვილურს? დამცინავი ღიმილი, გესმის, დამცინავი და ზიზღნარევი. [P]
[SEP]

- კმ. [P]
[SEP]

ძალიან მეშინია ამ ყეყეჩის გამო! - ბუტბუტებდა თავისთვის მარია ალექსანდროვნა, - მგონი მართლა დაფიცებული აქვს, სისხლი გამიშროს! იქნებ არც კი ღირდა ამის წამოყვანა!~ [P]
[SEP]

ასე ბჭობდა თავისთვის შენუხებული მარია ალექსანდროვნადა გამუდმებით ეკიპაჟის ფანჯრიდან იყურებოდა, თან მეეტლეს უკიჟინებდა და აჩქარებდა. ცხენები მიქროდნენ, მაგრამ მაინც ეჩვენებოდა, რომ ნელა მიდიოდნენ. აფანასი მატვეიჩი ჩუმად იჯდა კუთხეში და ფიქრებში ცოლის დავალებას იმეორებდა. როგორც იქნა, ქალაქში შევიდნენ. კარეტა მარია ალექსანდროვნას სახლთან გაჩერდა. როცა ჩვენი გმირი კარეტიდან გადმობრძანდა, იმ წუთშივე თვალი მოჰკრა ანა ნიკოლაევნააანტიპოვას ორცხენა ორადგილიან მარხილს. მარხილში ორნი ისხდნენ. ერთი, ცხადია, ანა ნიკოლაევნა იყო, მეორე კი ნატალია დმიტრიევნა, უკანასკნელ ხანებში ანა ნიკოლაევნას განუყრელი მეგობარი. მარია ალექსანდროვნას გული გადაუტრიალდა. მაგრამ შეცხადებაც ვერ მოასწრო, რომ სახლთან ეკიპაჟი გაჩერდა, რომელშიც ალბათ კიდევ ვიღაც სტუმარი იჯდა! გაისმა მხიარული შეძახილები. [P]
[SEP]

- მარია ალექსანდროვნა! აფანასი მატვეიჩი! სწორედ რომ დროზე

ჩამოხვედით! საიდან? ჩვენ კი თქვენ გესტუმრეთ, მთელი საღამო აქ დარჩენას ვაპირებთ! როგორი სიურპრიზია! ^[P]_[SEP]

სტუმრები ზღურბლთან ჩამოხდნენ და მერცხლებივით აჟღურტულდნენ. მარია ალექსანდროვნა საკუთარ თვალსა და ყურს არ უჭერებდა. ^[P]_[SEP]

„მინაც გაგსკდომიათ და შიგ ჩაუტანიხართ~! - გაიფიქრა მარია ალექსანდროვნამ, - შეთქმულებაა! უნდა გამოვიკვლიო! ვერ მოგართვეს! თქვენ მე ვერ მაჯობებთ, ენაჭარტალა კაჭკაჭებო! დამაცადეთ!~“ ^[P]_[SEP]

^[P]_[SEP]

თავი XI ^[P]_[SEP]

როგორც ჩანს, მარია ალექსანდროვნას სახლიდან მოზღვლიაკოვი სრულიად დაიმედებული ნავიდა. ის მარია ალექსანდროვნას სიტყვებმა აღანთო. ბოროდუევთან არ შეუვლია, მარტო დარჩენა სურდა. გმირული და რომანტიკული ოცნებების ნაკადი მოსვენებას არ აძლევდა. ფიქრობდა, როგორ შეხვდებოდა ზინას და ყველაფერს აუხსნიდა, შემდეგ წარმოიდგინა თავისი გულიდან გადმოღვრილი ყველაფრის მიმტევებელი კეთილშობილი ცრემლები, ბრწყინვალე მეჭლისი, სვეტს მიყრდნობილი გაფითრებული და სასონარკვეთილი მიჯნური, ესპანეთი, გვადალკვირი, სიყვარული და სულთმობრძავი კნიაზი, რომელიც სიკვდილის წინ შეყვარებულებს დალოცავდა. მერმე თვალწინ დაუდგა მზეთუნახავი ცოლი, მარად მისი ერთგული და ნიადაგ ქმრის გმირობითა და ამალღებული გრძნობებით გაოცებული.

ოცნებობდა ისე, სხვათა შორის, ნაჩუმათევად, როგორ მიიქცევდა
`მაღალი საზოგადოების~ ვინმე გრაფინიას ყურადღებას, რომელსაც
დაიმსახურებდა ზინასთან, კნიაზ კ.-ს ქვრივთან ქორწინების შემდეგ;
სადმე ვიცე-გუბერნატორის ადგილზე, ფულზე, მოკლედ, ყველაფერზე,
რაც ასე ლამაზად დაუხატა მარია ალექსანდროვნამ და რაც
სალბუნივით მოეფინა მის სულსა და გულს, რამაც მიუალერსა და
მიიზიდა და, რაც მთავარია, მის თავმოყვარეობას აამა. მაგრამ არ
ვიცი, როგორ ავიხსნათ, როცა მოზგლიაკოვი ამდენი სიხარულისაგან
გადაიღალა, უცებ თავში ერთმა არასასიამოვნო აზრმა გაუელვა, კი
მაგრამ ახლა რომ მომატყუეს და მშრალზე დამტოვესო. როცა ეს
გაიფიქრა, შეამჩნია, სადღაც შორს, მორდასოვოს განცალკევებულ და
უცნობ გარეუბანში რომ იმყოფებოდა. ბინდდებოდა. ქუჩაში
ქობმახების წინ გააფთრებით ყეფდნენ ძაღლები. ამნაირი ძაღლი
უამრავია პროვინციული ქალაქების იმ კვარტალებში, სადაც
არაფერია მოსაპარი. უცებ თოვლჭყაპი წამოვიდა. გზაში აქა-იქ თუ
შემოხვდებოდა დაგვიანებული მემჩანინი ან ჩეჩმებიანი, ტყაპუჭში
გახვეული დედაკაცი. ყოველივე ამან რაღაცნაირად გააღიზიანა
პაველ ალექსანდროვიჩი, ეს კი ცუდად ენიშნა, რადგან როცა საქმე
კარგად მიდის, პირიქით, ყველაფერი ლამაზად და საამოდ გვეჩვენება
ხოლმე. პაველ ალექსანდროვიჩს უნებურად გაახსენდა, რომ აქამდე
მორდასოვოში თავი მოჰქონდა; ძალიან სიამოვნებდა, როცა ყველა
ოჯახში აგრძნობინებდნენ, რომ სასიძოდ თვლიდნენ და ულოცავდნენ
ამ ღირსებას. ამაყობდა კიდევ ამით. ახლა კი ყველას დაუნებელი და

გაბითურებული უნდა გამოეცხადოს! ხომ სიცილი დააყარეს და მასხარად აიგდეს! ყველას ხომ ვერ გააგებინებ, რაშია საქმე, ყველას ხომ ვერ მოუყვება პეტერბურგის მეჭლისების და გვადალკივირის ამბავს! ამას ბჭობდა თავისთვის და უცებ თავში ამოუტივტივდა ერთი აზრი, რომელიც დიდი ხანია უღრღნიდა გულს: `ვითომ მართლა ასეა ყველაფერი? ყოველივე ისე მოხდება, როგორც მარია ალექსანდროვნამ დაუხატა?~ მოულოდნელად გაახსენდა, რომ მარია ალექსანდროვნა განსაკუთრებით გაქნილი ქალია, მიუხედავად იმისა, რომ ის საყოველთაო პატივისცემის ღირსია, მაინც ფრიად ენაჭარტალა და ცრუპენტელა ვინმეა. ახლაც დასჭირდა და მოზგლიაკოვი ტკბილი დაპირებებით მოიშორა თავიდან. მოზგლიაკოვის ფიქრი ზინას გადასწვდა. გაახსენდა მისი უკანასკნელი გამოსათხოვარი მზერა, რომელიც არანაირად არ გამოხატავდა მისდამი მხურვალე სიყვარულს; ამავე დროს, ისიც გაახსენდა, მანამდე როგორ გაასულელა. ამ მოგონებებისაგან მოზგლიაკოვი უცებ გაშრა, სირცხვილისაგან ალმური მოეკიდა, ლამის ატირდა. არ გასულა ერთი წუთიც და თითქოს განზრახ, თავი ვერ შეიკავა და ხის ტროტუარიდან ნამქერში მოადინა ზღართანი. სანამ თოვლიდან თავის დაღწევას ცდილობდა, ძაღლების ხროვა, რომელიც უკან მოსდევდა, ყოველი მხრიდან თავს დაესხა. ერთი მათგანი, ყველაზე პატარა და ყოჩალი, მივარდა და მისი ქურქის კალთას კბილებით ჩაეჭიდა. პაველ ალექსანდროვიჩმა ძაღლებს ხმამაღლა დაუცაცხანა და დაბოლმილი და კალთაჩამოგლეჯილი, თავ-ბედის წყევლითა და ლანძღვა-გინებით,

როგორც იქნა, ქუჩის კუთხემდე მივიდა. ახლავა მიხვდა, რომ გზა აებნა. ცნობილია, როცა კაცს ქალაქის უცნობ ნაწილში გზა აერევა, განსაკუთრებით ღამით, არასოდეს პირდაპირ არ მიდის; თითქოს ყოველ წამს უხილავი ძალა ჰკრავს ხოლმე ხელს, რომ ყველა გადამკვეთ ქუჩაზე ან შესახვევში შეუხვიოს. ამ სისტემის მიმდევარ პაველ ალექსანდროვიჩს საბოლოოდ აებნა თავგზა. `ეშმაკმა დალახვროს ყველა მაღალფარდოვანი იდეა! - ბუმბუნებდა თავისთვის და გაავებული იფურთხებოდა, - ჭანდაბამდის გზა ჰქონია ყველა თქვენს ამალლებულ გრძნობასა და გვადალკივირებს!~ ამ წუთებში მოზგლიაკოვი ძალიან ცუდი შესახედავი იყო. ბოლოს და ბოლოს, დაღლილ-დაქანცული და განანამები, ორი საათის ხეტიალის შემდეგ მარია ალექსანდროვნას სახლის სადარბაზოს მიადგა. სახლის წინ რომ ნაირ-ნაირი ეკიპაჟი დაინახა, გაუკვირდა. `დავიჭერო სტუმრები ჰყავთ, ნუთუ წვეულება აქვთ? - გაიფიქრა მან, - რასთან დაკავშირებით?~ პირველივე შემხვედრ მსახურს ჰკითხა და გაიგო: მარია ალექსანდროვნა სოფელში ბრძანდებოდა და იქიდან თეთრჰალსტუხიანი აფანასი მატვეიჩი ჩამოიყვანა, კნიაზმა კი ახლა გაიღვიძა და ჯერ სტუმრებთან არ ჩამოსულაო. პაველ ალექსანდროვიჩს ხმა არ ამოუღია და პირდაპირ ბიძიასთან ავიდა. ახლა ისეთ გუნებაზე იყო, როცა სუსტი ხასიათის ადამიანს შეუძლია, შურისძიების გამო, დაუფიქრებლად ჩაიდინოს ისეთი საშინელი, ბოროტი საქციელი, რომელიც შემდეგში მთელი ცხოვრება სანანებელი გაუხდება. [P SEP]

მალლა რომ ავიდა, კნიაზი სავარძელში მოკალათებული დახვდა. ნინ სამგზავრო ტუალეტი ედო. მოტვლევილ თავზე პარიკი არ ეხურა, ის ხელში ეჭირა მის განუყრელ და საყვარელ კამერდინერ ივან პახომიჩს, მაგრამ ესპანიოლა და ბაკენბარდები კი ეკეთა. პახომიჩი გულდასმით და მონინებით ვარცხნიდა პარიკს. კნიაზი საცოდავად გამოიყურებოდა. ამასწინანდელი სმისაგან ჯერ კიდევ არ იყო გონზე მოსული. პირდაფჩენილი და მოშვებული დაძმარებული სახით იჭდა და პაველ ალექსანდროვიჩს ისე უყურებდა, თითქოს ვერ ცნობდა.^[P]^[SEP]

- როგორ გიკითხოთ, ბიძია? - ჰკითხა მოზგლიაკოვმა.^[P]^[SEP]

- რაა... ეს შენ ხარ? - როგორც იქნა, ამოღერდა ბიძიამ, - მე, ჩემო ძმაო, ცოტა მეძინა, - ოი, ღმერთო ჩემო! - გამოცოცხლებულმა უცებ იყვირა, - მე ხომ უპარიკოდ ვარ!^[P]^[SEP]

- არა უშავს, ბიძია! მე... დაგეხმარებით, თუ გნებავთ.^[P]^[SEP]

- აი, შენ უკვე იცი ჩემი საიდუმლო! ხომ გიბრძანე, კარი ჩაკეტე-მეთქი. შენ კი, ჩემო მეგობარო, პატიოსანი სიტყვა უნდა მომცე, რომ არავის ეტყვი ჩემს საიდუმლოს, პარიკი რომ მიკეთია.^[P]^[SEP]

- რას ბრძანებთ, ბიძია! განა მე შემიძლია, ასე ცუდად მოვიქცე! - ისე იყვირა პაველ ალექსანდროვიჩმა, ეტყობოდა, მომავალი მიზნის შესასრულებლად მოხუცის გულის მოგებას ცდილობდა.^[P]^[SEP]

- დიახ, დიახ! ვიცი, შენ კეთილშობილი ადამიანი ხარ, ამიტომ მე შენ გა-გა-ო-ცებ და გაგიმხელ ყველა საიდუმლოს. როგორ მოგწონს, ჩემო ძვირფასო, ჩემი ულვაშები?^[P]^[SEP]

- ძალიან, ბიძია, მშვენიერი რამაა! როგორ მოახერხეთ, რომ

აქამდე ასე კარგად შეინარჩუნეთ! [P]
[SEP]

- ხელოვნურია, ჩემო მეგობარო, ხე-ლო-გ-ნუ-რი! - თქვა კნიაზმა და ღიმილით შეხედა პაველ ალექსანდროვიჩს. [P]
[SEP]

- ნუთუ? დაუჭერებელია, ბაკენბარდები? გამოტყდით, ძია, თქვენ ხომ მას შავად იღებავთ? [P]
[SEP]

- ვიღებავ? არა, არა! ისიც ხელოვნურია! [P]
[SEP]

- ხელოვნურია? კარგი ძია, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ არ მჭერა. დამცინით! [P]
[SEP]

- **Parole d'honneur, mon ami!** - იყვირა კნიაზმა, - ნარ-მო-იდ-გი-ნე ყველა, ყვე-ლა შენსავით ტყუვდება! არც სტეპანიდა მატვევენასაც სჭერა, თუმცა ხანდახან თავად მიკეთებს ხოლმე. მე დარწმუნებული ვარ, ჩემო მეგობარო, ამ საიდუმლოს შემინახავ. მომეცი პატიოსანი სიტყვა... [P]
[SEP]

- პატიოსან სიტყვას გაძლევთ ძია, არავის ვეტყვი. გიმეორებთ: განა მე შემიძლია ასე ცუდად მოქცევა? [P]
[SEP]

- ოჰ, ჩემო მეგობარო, დღეს უშენოდ როგორ გადმოვვარდი! ფეოფილმა ისევ გად-მო-მაგ-დო კარეტიდან. [P]
[SEP]

- კიდევ გადმოგაგდოთ! როდის? [P]
[SEP]

- აი, მაშინ, მონასტერს რომ მივუახლოვდით... [P]
[SEP]

- ვიცი, ძია, ეს ხომ ადრე მოხდა. [P]
[SEP]

- არა, არა, ორი საათის წინ, არა უ-ად-რეს. მონასტერში გავემგზავრე, მან კი კარეტიდან გადმომამგდო, ისე შე-მე-შინ-და, გული ახლაც ამოვარდნაზე მაქვს. [P]
[SEP]

- კი მაგრამ, ძია, თქვენ ხომ ისვენებდით? - გაიკვირვა მოზგლიაკოვმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ჰო, დავისვენე... მერმე გა-ვე-მგზა-ვრე, თუმცა მე... თუმცა, მე ეს, შეიძლება... ვახ, რა უცნაური რამაა!<sup>[P]
[SEP]</sup>

- გარნმუნებთ, ძია, ეს სიზმარში ნახეთ! თქვენ უკვე ნასადილევს აქეთ ისვენებთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნუთუ? - მოხუცი ჩაფიქრდა, - შეიძლება, შეიძლება ეს მართლაც სიზმარში ვნახე. ჯერ მესიზმრა რაღაც საშინელი რქი-ანი ბულა, შემდეგ ვიღაც პროკურორი, მასაც რატომღაც რქები ჰქონდა...<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს ხომ მართალია, ნიკოლაი ვასილიევიჩ ანტიპოვი იქნებოდა, ძია!<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, შეიძლება ისიც იყო. შემდეგ ნაპოლენონ ბონაპარტი მეგმანა. იცი, ჩემო მეგობარო, ყველა ნაპოლენონ ბონაპარტს მამსგავსებს... პროფილში კი საოცრად ვგავარ ერთ-ერთ პაპს. როგორ ფიქრობ, ძვირფასო, ვგავარ პაპს?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მე მგონი, თქვენ ნაპოლენონს უფრო ჰგავხართ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რასაკვირველია, **es en face**. თუმცა მეც ასე ვფიქრობ, ძვირფასო. მეგმანა, თითქოს ის კუნძულზე ვნახე, გადასახლებაში და იცი, იმდენს ლაპარაკობდა, ისე თამამად და ლაღად ეჭირა თავი, რომ ფრიად გამახალისა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ამას ნაპოლენონზე ამბობთ? - თქვა მოზგლიაკოვმა და შეფიქრიანებული მიაჩერდა ბიძას. გონებაში რაღაც უცნაურმა აზრმა გაუელვა - ისეთმა აზრმა, რომელიც ჯერ თავადაც არ ჰქონდა

გაცნობიერებული. [P]
[SEP]

- დიახ, ნაპოლეონზე. სულ ფილოსოფიაზე ვმსჯელობდით. იცი, ჩემო მეგობარო, ძალიან ვწუხვარ, ასე ცუდად რომ მოექცნენ... ინგლისელები. რასაკვირველია, რომ არ აელაგმათ, ისევ ადამიანებს ეცემოდა. ცოფიანი კაცი იყო! მაგრამ მაინც მეცოდება, მე დაუსახლებელ კუნძულზე გადავასახლებდი. [P]
[SEP]

- რატომ დაუსახლებელზე? - იკითხა დაბნეულმა მოზგლიაკოვმა. [P]
[SEP]

- კარგი, თუნდაც დასახლებულზე, მხოლოდ კეთილგონიერი ადამიანებით დასახლებულზე. სხვადასხვა გართობას მოვუწყობდი: თეატრს, მუსიკას, ბალეტს - ყველაფერს ხაზინის ხარჯზე. სასეირნოდ მარტო არ გავეშვებდი, თორემ გა-ი-პა-რე-ბო-და. მას რაღაც ნამცხვრებიც უყვარდა. ჰოდა, ყოველდღე ნამცხვრებს ვაჭმევდი. ასე ვთქვათ, მამასავით მოვუვლიდი. ისიც თავის ცოდვებს ჩემთან მო-ი-ნა-ნი-ებ-და... [P]
[SEP]

მოზგლიაკოვი დაბნეული უსმენდა ნახევრადგაღვიძებული მოხუცის ლაყბობას და მოუთმენლობისაგან ფრჩხილებს იკვნეტდა. კთავადაც არ იცოდა, რატომ უნდოდა, ლაპარაკი კნიაზის ცოლის შერთვაზე ჩამოეგდო - რაღაც უსაზღვრო ბოღმა დუღდა მის გულში. უცებ მოხუცმა გაკვირებულმა შეჰყვირა. [P]
[SEP]

- ოჰ, მონ ამი! სულ დამავინწყდა, შენთვის მეთ-ქვა. წარმოგიდგენია, მე დღეს ხელი ვთხოვე... [P]
[SEP]

- ხელისთხოვეთ, ძია? - იყვირა გამოცოცხლებულმა მოზგლიაკოვმა. [P]
[SEP]

- დიახ, ხელი ვთხოვე. პახომიჩ, მოდიხარ? კეთილი. **C'est une charmante personne...** მაგრამ... გამოგიტყდები, ჩემო ძვირფა-სო, დაუფიქრებლად მოვიქეცი. ახლა ასე მგო-ნია. ოჰ, ღმერთო ჩემო! ^[P]_[SEP]

- უკაცრავად, როდის სთხოვეთ ხელი? ^[P]_[SEP]

- გამოგიტყდები, ჩემო მეგობარო, კარგად არ მახსოვს, როდის? ესეც ხომ არ მეგმანა? ოჰ, რა უცნაური ამბავია! ^[P]_[SEP]

მოზგლიაკოვი სიხარულისაგან შეკრთა. ახალმა იდეამ გაუელვა თავში. ^[P]_[SEP]

- ვის, ვის და როდის სთხოვეთ ხელი, ძია? - მოუთმენლად გაიმეორა მან. ^[P]_[SEP]

- მასპინძლის ქალიშვილს, **mon ami... cette belle personne...** თუმცა დამავინყდა მისი სახელი. ისე კი, **mon ami**, ახლა არაფრით არ შემიძლია ცოლის მოყვანა. არც კი ვიცი, რა ვქნა? ^[P]_[SEP]

- დიახ, თქვენ იმდენს იზამთ, თუ დაქორწინდებით, საბოლოოდ თავს დაილუპავთ. ნება მიბოძეთ, ერთი კითხვა დაგისვათ, ძია. ზუსტად გახსოვთ, ნამდვილად სთხოვეთ ხელი? ^[P]_[SEP]

- დიახ... დარწმუნებული ვარ. ^[P]_[SEP]

- იქნებ ესეც სიზმარში ნახეთ, ისევე როგორც კიდევ ერთხელ გადმოვარდით კარეტიდან? ^[P]_[SEP]

- ოჰ, ღმერთო ჩემო! იქნებ მართლაც ეგრეა, იქნებ მეგმანა! ახლა არც კი ვიცი, იქ როგორ გამოვჩნდე. ჩემო მეგობარო, უნდა გავიგო დანამდვილებით, ოღონდ რამენაირად სხვისი დახმარებით, ვთხოვე თუ არა ხელი? თორემ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვარ? ^[P]_[SEP]

- იცით რა, ძია? მე მგონი, გასაგებიც არაფერია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეგ როგორ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- დარწმუნებული ვარ, ესეც გესიზმრათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მეც ასე ვფიქრობ, ძვირ-ფასო, მით უმეტეს, ხშირად მესიზმრება ხოლმე ამგვარი რამეები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ხომ ხედავთ, ძია, ალბათ საუბრის დროს ცოტა დალიეთ, შემდეგ სადილად დაუმატეთ და დასასრულ...<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი, კი, ჩემო მეგობარო; შესაძლებელია, სწორედაც რომ ამის ბრალი--ა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მით უმეტეს, ძია, როგორი აღელვებულიც უნდა ყოფილიყავით, ცხადში არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდით ამგვარ უგუნურ საქციელს. რამდენადაც მე გიცნობთ, თქვენ საკმაოდ გონებადამჭდარი ადამიანი ბრძანდებით...<sup>[P]
[SEP]</sup>

- კი, კი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ახლა წარმოიდგინეთ ერთი რამ: ეს რომ თქვენმა ნათესავებმა გაიგონ, რომლებიც ისედაც ცუდად არიან თქვენდამი განწყობილნი, მაშინ რა მოხდება, ჰა?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ღმერთო, მიშველე! - იყვირა შეშინებულმა მოხუცმა, - რა უნდა მოხდეს?<sup>[P]
[SEP]</sup>

- მომიტევეთ! ისინი ერთ აყალმაყალს ატეხენ, იტყვიან, რომ ეს შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდინეთ, რომ გიჟი ხართ და მეურვე გჭირდებათ, რომ თქვენ მოგატყუეს, და შეიძლება სადმეც გამოგამწყვდიონ ზედამხედველობის ქვეშ.<sup>[P]
[SEP]</sup>

მოზღვლიაკოვმა იცოდა, როგორ უნდა შეეშინებინა მოხუცი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვაი, ღმერთმა დამიფაროს! - იყვირა აკანკალებულმა კნიაზმა, -
ნუთუ გამომანყვდევენ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- ამიტომ, ძია, კარგად განსაჯეთ, განა თქვენ შეგეძლოთ ასეთი
უგუნური წინადადების შეთავაზება? თავადაც კარგად უწყით, რა არის
თქვენთვის სასარგებლო. მე ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ეს ყველაფერი
გესიზმრათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნამდვილად ასეა, ნამდვილად მესიზმრა! - იმეორებდა
დამფრთხალი კნიაზი, - ოჰ, როგორ ჭკვიანურად განსაჯე ყოველივე,
ძვირფასო! უღრმესი მადლობა, როგორ კარგად და-მარნ-მუ-ნე!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ძალიან მიხარია, ძია, ფრიად მოხარული ვარ, დღეს რომ შეგ-
ხვდით. წარმოიდგინეთ, უჩემოდ რა დაგემართებოდათ, ნამდვილად
დიდ შეცდომას დაუშვებდით, ახლა... იქ, როგორც სასიძო რომ
ჩასულიყავით, თავად განსაჯეთ: ეს ხომ მეტისმეტად საშიში რამაა!<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ... დიახ, საშინელებაა!<sup>[P]
[SEP]</sup>

- გაიხსენეთ, ის ქალიშვილი მხოლოდ ოცდასამი წლისაა. მას
არავინ თხოულობს და უცებ თქვენ, მდიდარი, წარჩინებული
დიდგვაროვანი გამოცხადდით იქ, როგორც სასიძო! ამ იდეას იმავე
ნუთში აიტაცებენ და დაგარწმუნებენ, რომ მართლაც სასიძო ხართ და
ცოლს შეგერთავენ, რომ დასჭირდეთ, ძალასაც გამოიყენებენ.
მომავლისათვის კი, ალბათ იმედი ექნებათ, რომ თქვენ მალე
მოკვდებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნუთუ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- გარდა ამისა, გაიხსენეთ, ბიძია, თქვენი ღირსებები...^[P]^[SEP]
- ჰო, ჩემი ღირსებები...^[P]^[SEP]
- თქვენნაირი ჭკვიანი, თქვენნაირი თავაზიანი...^[P]^[SEP]
- დიახ, ჩემნაირი ჭკვიანი, დიახ!^[P]^[SEP]
- ბოლოს და ბოლოს, კნიაზი ბრძანდებით. ცოლის შერთვა რომ მოინდომოთ, ამნაირ ქალს შეირთავთ? მაგრამ ახლა დაფიქრებაა საჭირო, რას იტყვიან თქვენი ნათესავები?^[P]^[SEP]
- ვაიმე, რას ამბობ, ჩემო მეგობარო, ხომ ცოცხლად შემჭამენ. მათგან უკვე იმდენი ვერაგობა და სიავე ვიგემე... ნარმოიდგინე, ვეჭვობ, მათ ჩემი სა-გი-ჟეთ-ში გამომწყვდევა უნდოდათ. რას ჰგავს ეს? არაფერთან არაა შესაბამისობაში. რა უნდა მეკეთებინა... იქ, სა-გი-ჟეთ-ში?ქ^[P]^[SEP]
- რა თქმა უნდა, ბიძია, ამიტომ მე თქვენ გვერდიდან არ მოგშორდებით, როცა ქვემოთ ჩახვალთ. იქ ახლა სტუმრები არიან.^[P]^[SEP]
- სტუმრები? ღმერთო ჩემო!^[P]^[SEP]
- ნუ გეშინიათ, ძია, მე თქვენთან ვიქნები.^[P]^[SEP]
- როგორი მადლობელი ვარ შენი, ჩემო ძვირფასო, შენ ჩემი მფარველი ხარ! მაგრამ იცი რა, სჭობს, გავემგზავრო.^[P]^[SEP]
- ხვალ, ბიძია, ხვალ, დილით, შვიდ საათზე. დღეს კი ყველას გამოეთხოვეთ და უთხარით, რომ ხვალ მიემგზავრებით.^[P]^[SEP]
- აუცილებლად მოვინახულებ... მამა მისაელს... მაგრამ, ჩემო მეგობარო, ქვემოთ რომ ჯვარი დამწერონ?^[P]^[SEP]
- ნუ გეშინიათ, ბიძია, მე იქ ვიქნები. მაგრამ ერთი რამ

დაიმახსოვრეთ, რაც უნდა თქვან, პირდაპირ განაცხადეთ, რომ ეს ამბავი დაგესიზმრათ... როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. [P][SEP]

- დიახ, დიახ, დამესიზმრა. მხოლოდ იცი რა, ჩემო მეგობარო, ეს იყო უ-შშვე-ნი-ერ-ესი ზმანება! ის ქალიშვილი საოცარი რამაა, იცი, ისეთი ფორმები აქვს... [P][SEP]

- ნახვამდის, ბიძია, მე ქვევით ჩავალ, თქვენ კი... [P][SEP]

- როგორ, მარტო მტოვებ?! - იყვირა შეშინებულმა კნიაზმა. [P][SEP]

- არა, ძია, ჩვენ ცალ-ცალკე ჩავალთ, ჯერ მე, შემდეგ - თქვენ. ასე ატობებს. [P][SEP]

- კე-თი-ლი. მე ერთი აბრის ჩანერა მჭირდება. [P][SEP]

- დიახ, ძია, ჩაინერეთ, შემდეგ ჩამობრძანდით, ოღონდ დიდხანს ნუ გააჭანტლებთ. ხვალ დილით კი... [P][SEP]

- ხვალ დილით მღვდელმონაზონთან, აუცილებლად მღვდელმონაზონთან გავემგზავრები. **Charmant, charmant!** იცი, ჩემო მეგობარო, ის საოცრად კარგი ქალია... ისეთი ფორმები აქვს... მე რომ აუცილებლად მინდოდეს ცოლის შერთვა, მაშინ... [P][SEP]

- ღმერთმა დაგიფაროთ, ბიძია! [P][SEP]

- დიახ, დიახ, ღმერთმა დამიფაროს! კარგი, ნახვამდის, ძვირფასო, მე ახლავე... მხოლოდ ჩავინერ. **A propos**, დიდი ხანია, მინდოდა მეკითხა. ნაკითხავს კაზანოვას² მემუარები? [P][SEP]

- ნაკითხული მაქვს, რატომ მეკითხებით? [P][SEP]

- ჰო... დამავინწყდა, რა უნდა მეთქვა... [P][SEP]

- მერე გაგახსენდებათ, ძია, ნახვამდის! [P][SEP]

- ნახვამდის, ძვირფასო, ნახვამდის! ისე კი, ფრიად მომხიბლავი
ზმანება იყო, თავ-ბრუ-დამ-ხვე-ვი სიზმარი!.. [P]
[SEP]

[P]
[SEP]

თავი XII [P] [SEP]

- ჩვენები ყველანი აპირებენ მოსვლას! პრასკოვია ილინიშნაც მოვა,
ლუიზა კარლოვნასაც უნდოდა მოსვლა, - სალონში შემოსვლისთანავე
ალაპარაკდა ანა ნიკოლაევნა და თან გაფაციცებით ათვალეერებდა
იქაურობას. ეს იყო საკმაოდ სანდომიანი, ფერად-ფერადებში
მდიდრულად გამონყობილი, ტანდაბალი ქალბატონი, რომელსაც
საკუთარ სიკარგეში ეჭვი არ ეპარებოდა. დარწმუნებული იყო, მარია
ალექსანდროვნას კნიაზი და ზინა სადღაც ეყოლება გადამალულიო.

[P]
[SEP]

- კატარინა პეტროვნაც გეახლებათ, ჩემო ბატონო, ფელისიტა
მიხაილოვნაც აპირებს მობრძანებას, - დაუმატა ნატალია
დმიტრიევნამ, კოლოსალური ზომების ქალმა, რომლის ფორმებიც ასე
ძალიან მოსწონდა კნიაზს და რომელიც ნამეტნავად ჩამოჰგავდა
გრენადერს. მას კინკრიხოზე არაჩვეულებრივად პატარა ზომის შლაპა
ედო. უკვე ორი კვირა იყო, რაც ანა ნიკოლაევნას განუყრელი
მეგობარი გახდა, მანამდე დიდი ხნის განმავლობაში კუდში დასდევდა
და თავს ევლებოდა. ისე კი, ერთი შეხედვით, რომ მოენდომებინა, ანა
ნიკოლაევნა ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდა. [P]
[SEP]

- იმ სიხარულზე აღარაფერს ვამბობ, რასაც ორივეს ხილვა
მანიჭებს, თანაც ამ საღამოს, - მიელაქუცა პირველი გაოცების შემდეგ

გონს მოსული მარია ალექსანდროვნა, - მაგრამ ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, რა ქარმა გადმოგაგდოთ ჩემთან, როცა მე უკვე დაკარგული მქონდა თქვენი ნახვის იმედი?^[P]_[SEP]

- ღმერთმანი, რანაირი ხართ, მარია ალექსანდროვნა! - თავის გარეგნობასთან უაღრესად კონტრასტული სინაზით, დათაფლული ენითა და მანჭვა-გრეხით ჩაიწრიპინა ნატალია დმიტრიევნამ.^[P]_[SEP]

- Mais, ma charmante, - კვლავ ენამოქარგულად ალაპარაკდა ანა ნიკოლაევნა, - როდისმე ხომ უნდა დასრულდეს ჩვენი შეკრებები თეატრის თაობაზე. დღეს პიოტრ მიხაილოვიჩმა უთხრა კალისტო სტანისლავიჩს, როგორ უზომოდ შეწუხებულია იმის თაობაზე, რომ ჩვენ მხოლოდ ვკინკლაობთ და აქამდე ვერ დავასრულეთ ეს საქმე. პოდა, დღეს ჩვენ ოთხნი შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ, მოვსულიყავით თქვენთან, რომ ამ საქმისთვის თავი მოგვება! ნატალია დმიტრიევნამ სხვებსაც შეატყობინა, ყველა აქ მოვა. აქ მოვითათბიროთ და საბოლოოდ გადავჭრათ ეს საკითხი. აღარ ვალაპარაკოთ ხალხი, თითქოს მართო ვკინკლაობდეთ, ასე არაა, **mon ange?** - დასძინა მან და მარია ალექსანდროვნა კვკლუცად გადაკოცნა, - ამას ვის ვხედავ! ზინაიდა აფანასიევნა! ავ თვალს არ დაენახვებით, დღითიდღე მშვენიერდებით! - ანა ნიკოლაევნა ახლა ზინას ეცა საკოცნელად.^[P]_[SEP]

- სხვა რა საქმე აქვს, ჩემო ბატონო, მშვენიდება და მშვენიდება, - ლაქუცით და ხელების სრესით დაუმატა ნატალია დმიტრიევნამ.^[P]_[SEP]

ემმაკმა დალახვროს ამათი თავი! თეატრი სულ გადამავინყდა!

როგორი საბრიანები გახდნენ ეს კაჭკაჭები!~ - ჩაიჩურჩულა გაცოფებულმა მარია ალექსანდროვნამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მით უმეტეს, ჩემო ანგელოზო, - გააგრძელა ანა ნიკოლაევნამ, - რომ ახლა აქ ჩვენი ძვირფასი კნიაზი სტუმრობს. მოგეხსენებათ, დუხანოვოში, ძველი მემამულეების დროს თეატრი ჰქონდათ. ჩვენ გავიკითხეთ და გავიგეთ, თურმე იქ სადღაც ძველი დეკორაციები, ფარდები და კოსტიუმები აქვთ გადანახული. დღეს, როცა ჩემთან კნიაზი ბრძანდებოდა, გადამავიწყდა ამის შესახებ მეკითხა. ახლა საგანგებოდ თეატრზე ველაპარაკოთ, თქვენც დაგვეხმარეთ, რომ კნიაზმა ის ძველი ხარახურა აქეთ გადმოგვიგზავნოს. თორემ, კარგად მოგეხსენებათ, აქ ვერავის გავაკეთებინებთ დეკორაციებს. რაც მთავარია, ჩვენი სურვილია, კნიაზიც ჩავრთოთ თეატრის საქმეში. მან აუცილებლად უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. ეს ხომ ღარიბებისთვის კეთდება. იქნებ რომელიმე როლიც შეასრულოს. ის ისეთი საყვარელია, უარს არ გვეტყვის. მაშინ ყველაფერი რიგზე გვექნება.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რაღაც როლს აუცილებლად ითამაშებს, მას ნებისმიერი როლის თამაში შეგვიძლია დავავალოთ, - მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა ნატალია დმიტრიევნამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

ანა ნიკოლაევნას მასპინძლისათვის ტყუილი არ უთქვამს. ქალები თანდათან ემატებოდნენ. მარია ალექსანდროვნა, როგორც ასეთ შემთხვევაში ზრდილობისა და მაღალ საზოგადოებაში მიღებული წესები მოითხოვდა, მათ თავაზიან დახვედრას და მხიარულ შეძახილებს ვერ აუდიოდა.<sup>[P]
[SEP]</sup>

ახლა არ შევუდგები ცალკეული სტუმრის აღწერას. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თითოეულ მომსვლელს თვალეში არაჩვეულებრივი მზაკვრობა ჰქონდა აღბეჭდილი. ყველას სახეზე ეწერა რაღაცის მოლოდინის ველური მოუთმენლობა. ზოგიერთი მხოლოდ რაღაც არაჩვეულებრივი დიდი სკანდალის საყურებლად იყო მოსული და ნამეტნავად დანყდებოდა გული, ისე წასულიყო, რომ ასეთი რამ არ ენახა. გარეგნულად ყველა ფრიად თავაზიანად გამოიყურებოდა, მაგრამ მარია ალექსანდროვნამ მტკიცედ გადაწყვიტა შეტევაზე გადასვლა. ყველა კნიაზის შესახებ სვამდა კითხვებს. კითხვები თითქოსდა ბუნებრივი ჩანდა, მაგრამ თითოეულში რაღაც ქარაგმა იმალებოდა. შემოიტანეს ჩაი, სტუმრები ჩამოსხდნენ. ერთმა ჭგუფმა როიალთან მოიყარა თავი. ზინას სთხოვდნენ, დაეკრა და ემღერა, მაგრამ ის უგუნებობას იმიზებებდა. მისი გაფითრებული სახეც ამაზე მეტყველებდა. რასაც მოჰყვა თანაგრძნობის გამომხატველი კითხვები. არც ამ შემთხვევაში გაუშვეს ხელიდან შანსი, რაღაც-რაღაცებზე გადაკვრით ელაპარაკათ. ზინას მოზღვლიაკოვზედაც ჰკითხეს. მარია ალექსანდროვნამ გააათმაგა ყურადღება, ყველაფერს ხედავდა, რა ხდებოდა ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულში, ესმოდა, რას ამბობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სტუმარი ათამდე მაინც იქნებოდა. თითოეულს დაუყოვნებლივ პასუხობდა, ყველას თავ-თავისას მიაგებდა. იგი ზინას გამონერვიულობდა და ძალიან უკვირდა, რატომ არ გადიოდა ოთახიდან, როგორც ამას სხვა დროს აკეთებდა ხოლმე. სტუმრებმა ახლა აფანასი მატვეიჩი ამოიღეს ნიშანში. მარია ალექსანდროვნას

ჭინაზე მას ყოველთვის ამასხარავებდნენ, მისთვის გული რომ ეტკინათ. ახლაც შეიძლებოდა, გონებაშეზღუდული და გულახდილი აფანასი მატვეიჩისაგან რაიმე დაეცინცლათ. მარია ალექსანდროვნა შემფოთებული უყურებდა ქალებით ალყაშემორტყმულ მეუღლეს. ის კი ყველა კითხვას `ჰმ~`-თი პასუხობდა და ისეთი უბედური და არაბუნებრივი გამომეტყველება ჰქონდა, მარია ალექსანდროვნა ცოფებს ყრიდა.^[P]_[SEP]

- მარია ალექსანდროვნა! აფანასი მატვეიჩი არ გველაპარაკება! - იყვირა ერთმა გაბედულმა ქალმა, რომელსაც არაფერი გამოეპარებოდა, არავის შიში ჰქონდა და უკან არასოდეს იხევდა, - უბრძანეთ, ცოტა თავაზიანი იყოს ქალების მიმართ.^[P]_[SEP]

- გულახდილად გითხრათ, არ ვიცი, დღეს რა დაემართა, - ღიმილით უპასუხა მარია ალექსანდროვნამ და ანა ნიკოლაევნასა და ნატალია დმიტრიევნასთან მუსაიფი შეწყვიტა, - დღეს რაღაც სიტყვაძუნნობს, ჩემთვის ხმა თითქმის არ გაუცია. რატომ არ პასუხობ ფელისიტა მიხაილოვნას, **Athanase?** რა ჰკითხეთ?^[P]_[SEP]

- კი მაგრამ... დედილო, შენ თვითონ... - ბურტყუნით დაიწყო აფანასი მატვეიჩმა, მაგრამ დროზე გაჩუმდა. ამ დროს იგი მოგიბგიბე ბუხართან მშვენიერ პოზაში იდგა, ცალი ხელი ჟილეტზე ჰქონდა ჩაკიდებული, მეორეში ფინჯანი ეჭირა და ასე ხვრეპდა ჩაის. ქალების კითხვებისაგან ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რომ სახე გოგოსავით ეტკრიცებოდა. როცა თავის მართლება დაიწყო, გაცოფებული თანამეცხედრის ისეთ საშინელ მზერას ნაანწყდა, რომ

გონება დაუბნელდა, აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ გამოესწორებინა ვითარება და აღედგინა პატივი და ღირსება; მან ჩაი მოხვრიპა, მაგრამ ჩაი ძალიან ცხელი აღმოჩნდა და პირის ღრუ გამოეფუფქა, ფინჯანი ხელიდან გაუვარდა, სითხე სასულეში გადასცდა და ისეთი ხველება აუტყდა, რომ იძულებული გახდა, ოთახიდან გასულიყო, რამაც დამსწრე საზოგადოების გაოცება გამოიწვია. ერთი სიტყვით, ყველაფერი ნათელი გახდა. მარია ალექსანდროვნა მიხვდა, რომ სტუმრებმა ყველაფერი იცოდნენ და აქ ყველაზე ცუდი განზრახვით იყვნენ თავმოყრილები. მძიმე გარემოება შეიქმნა. არ იყო გამორიცხული, რომ მარია ალექსანდროვნას თანდასწრებით ისეთი ლაპარაკი გაებათ ჭკუასუსტი მოხუცისათვის, რომ გადანყვეტილება შეეცვლევინებინათ. მათ კნიაზის თან წაყვანაც შეეძლოთ, ამ საღამოსვე მარია ალექსანდროვნას და კნიაზს ერთმანეთს წაჰკიდებდნენ და მოხუცს თავისთან გაიტყუებდნენ. ამათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მაგრამ ბედი მარია ალექსანდროვნას კიდევ ერთ გამოცდას უწყობდა. უეცრად კარი გაიღო და ოთახში მოზგლიაკოვი შემოვიდა. მარია ალექსანდროვნას ის ჭერ კიდევ ბოროდუევთან ეგონა და ამ საღამოს თავისთან აღარ ელოდა. დიასახლისს თავბარი დაეცა.^[P SEP]

მოზგლიაკოვი კარის ზღურბლთან გაჩერდა და ოთახში მყოფ საზოგადოებას დაბნეული გამომეტყველებით მოავლო თვალი. აღგზნებული ჩანდა. ნებისყოფა არ ჰყოფნიდა, მღელვარება რომ მოეთოკა.^[P SEP]

- ოჰ, ღმერთო ჩემო! პაველ ალექსანდროვიჩი! - ერთხმად აყვირდა რამდენიმე სტუმარი.^[SEP]

- აჰ, მადლობა ღმერთს! ეს ხომ პაველ ალექსანდროვიჩია! თქვენ არ ბრძანეთ, ბატონო, ბოროდუევთან წავიდაო? ჩვენ გვითხრეს, ბოროდუევს შეაფარა თავიო, ბატონო! - ჩაინრიპინა ნატალია დმიტრიევნამ.^[SEP]

- თავი შევაფარე? - გაიმეორა მოზგლიაკოვმა ცალყბა ღიმილით, - უცნაური გამოთქმაა! მომიტევეთ, ნატალია დმიტრიევნა, მე არავისთან არ ვაფარებ თავს და არც არავისთვის ვაპირებ ხელის დაფარებას, - დასძინა მან და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მარია ალექსანდროვნას.^[SEP]

მარია ალექსანდროვნას ტანში ჟრუანტელმა დაუარა.^[SEP]

დავიჭერო, ეს ბრიყვი ამბობებას მიპირებს! - გაიფიქრა მარია ალექსანდროვნამ და დაჟინებით მიაცქერდა მოზგლიაკოვს, - არა, ეს ყველაზე საშინელი რამ იქნება...~^[SEP]

- პაველ ალექსანდროვიჩ, ამბობენ, რომ გადაგაყენეს... რასაკვირველია, სამსახურიდან! - გამოხტა თავხედი ფელისიტა მიხაილოვნა და დამცინავი ღიმილით პირდაპირ თვალეში შეხედა.^[SEP]

- გადამაყენეს? რატომ გადამაყენეს? მე უბრალოდ შევიცვალე სამსახური. პეტერბურგში ადგილს მპირდებიან, - ცივად მიუგო მოზგლიაკოვმა.^[SEP]

- გილოცავთ, გილოცავთ, - გააგრძელა ფელისიტა მიხაილოვ-ნამ, - ჩვენ შეგვემინდა, როცა შევიტყვეთ ადგილს მორდასოვოში ეძებსო. აჟ

არასაიმედო მდგომარეობაა, პაველ ალექსანდროვიჩი, მალე დაგიტხოვენ.^[P SEP]

- მხოლოდ სამაზრო სკოლაშია მასწავლებლის ადგილი თავისუფალი. იქ კიდევ არის ვაკანსია, - შენიშნა ნატალია დმიტრიევნამ. ეს იყო იმდენად ამკარა და უხეში გადაკრულად ნათქვამი, რომ ანა ნიკოლაევნასაც კი ეუხერხულა და თავის შხამიან დაქალს ფრთხილად წაჰკრა ფეხი.^[P SEP]

- ნუთუ თქვენ გგონიათ, პაველ ალექსანდროვიჩი იკადრებს, ვილაც საცოდავი მასწავლებლის ადგილი დაიკავოს? - ცეცხლზე ნავთი დაასხა ფელისიტა მიხაილოვნამ.^[P SEP]

პაველ ალექსანდროვიჩმა სათქმელი ვერ მონახა. მობრუნდა და აფანასი მატვეიჩს შეეჭახა, რომელმაც ხელი გაუწოდა. მოზგლიაკოვმა კადნიერად არ ჩამოართვა ხელი და მისალმების ნიშნად თავი მასხარასავით მინამდე დაუკრა. უკიდურესად გაღიზიანებული პირდაპირ ბინასკენ გაემართა. თვალი თვალში გაუყარა და ბოროტად ჩაიჩურჩულა:^[P SEP]

- ყოველივე თქვენს თავს დააბრალებთ. დამაცადეთ, ამ საღამოს განახებთ, როგორი სულელიც ვარ!^[P SEP]

- ეს ახლაც კარგად ჩანს, ნუ გადადებთ! - ხმამაღლამიუგო ბინამ და ყოფილი საქმრო ბიზლით აათვალიერ-ჩაათვალიერა.^[P SEP]

ბინას ხმამაღალი პასუხით დამფრთხალი მოზგლიაკოვი სასწრაფოდ გამობრუნდა.^[P SEP]

- ბოროდუევთან იყავით? - როგორც იქნა, ჰკითხა მარია

ალექსანდროვნამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- არა, ქალბატონო, ბიძიასთან ვიყავი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ბიძიასთან? ახლა კნიაზთან იყავით?<sup>[P]
[SEP]</sup>

- აჰ, მადლობა ღმერთს! კნიაზს გაუღვიძია; ჩვენ კი გვითხრეს, ჯერ სძინავსო, - ლაპარაკში ჩაერთო ნატალია დმიტრიევნა და გესლიანად გადახედა მარია ალექსანდროვნას.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ნატალია დმიტრიევნა! კნიაზზე ნუ ნუხხართ, - თქვა მოზგლიაკოვმა, - მან კიდევ გაიღვიძა და მადლობა ღმერთს, თავის ჭკუაზედაც არის. დღეს ბევრი სვა, ჯერ თქვენთან, შემდეგ აქ, ისე ბევრი დალია, რომ თავგზა აებნა, ისედაც არ ჰქონდა დალაგებული. მაგრამ ახლა, ღვთის წყალობით, ჩვენი საუბრის დროს საღად მსჯელობდა. მალე ჩამობრძანდება, რომ გამოგემშვიდობოთ და მადლობა მოგახსენოთ სტუმართმოყვარეობისათვის, მარია ალექსანდროვნა. ხვალ უთენია ერთად მივემგზავრებით უდაბნოში, შემდეგ კი აუცილებლად მივაცილებ დუხანოვომდე, რომ აღარ განმეორდეს ის შემთხვევა, რაც დღეს მოხდა. იქ კი ხელში გადავცემ პატრონს, სტეპანიდა მატვეენას, რომელიც მანამდე აუცილებლად დაბრუნდება მოსკოვიდან და სხვა დროს არაფრის დიდებით არ გაუშვებს კნიაზს სამოგზაუროდ, ამას მე გპირდებით.<sup>[P]
[SEP]</sup>

როცა მოზგლიაკოვი ამას ლაპარაკობდა, გაავებული უცქერდა მარია ალექსანდროვნას. ის კი გაოცებისაგან დამუნჯებული იჭდა. გულნატკენმა უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი გმირი, შესაძლოა პირველად თავის ცხოვრებაში, შიმშა შეიპყრო.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ესე იგი, ხვალ უთენია მიემგზავრებიან? ეგ როგორ, ბატონებო? - ჩაილაპარაკა ნატალია დმიტრიევნამ და მარია ალექსანდროვნას შეხედა.^[P SEP]

- ეს რა ხდება? - გაისმა სტუმრებს შორის გულუბრყვილო ხმები, - ჩვენ კი გვითხრეს, რომ... მართლაც უცნაურია!^[P SEP]

დიასახლისი დუმდა, არ იცოდა, რა ეთქვა. უცებ ყველას ყურადღება ერთმა არაჩვეულებრივმა ხმაურმა მიიპყრო. მეზობელი ოთახიდან მოისმა ვიღაცის უცნაური კვილ-წივილი. მოულოდნელად ოთახში შემოიჭრა სოფია პეტროვნა ფარტუხინა. ეს ქალი მორდასოვლოში ყველაზე ექსცენტრული ადამიანი გახლდათ. იმდენად ექსცენტრული, რომ მორდასოვლოში უკანასკნელ ხანებში გადაწყვიტეს, არც ერთ საზოგადოებაში არ მიეღოთ. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი რეგულარულად, ყოველ საღამოს, შვიდ საათზე გადაჰკრავდა ხოლმე, როგორც თავად ამბობდა - მადის გასალვიძებლადო, ამის შემდეგ, როგორც წესი, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად ემანსიპირებული ხდებოდა. ახლაც ბუსტად ასეთ მდგომარეობაში მოულოდნელად შემოვარდა მარია ალექსანდროვნასთან.^[P SEP]

- ასე, ხომ, მარია ალექსანდროვნა! - რამდენადაც შეეძლო, ყვიროდა, - ასე უნდა მომექცეთ! ნუ შეწუხდებით! ერთი წუთით შემოვიარე; აქ დარჩენას არ ვაპირებ. განგებ მოვედი, რომ გამეგო: მართალია თუ არა, რაც მითხრეს? მაშ ასე! თქვენთან მეჭლისებია, ბანკეტები, ნიშნობები, სოფია პეტროვნა კი სახლში უნდა იჯდეს და წინდები ქსოვოს! მთელი ქალაქი დაპატიჟეთ, მე კი არაფრად

ჩამაგდეთ! განა მე თქვენი მეგობარი არ ვარ, **mon ange**, განა დღეს არ გეახელით და არ ჩაგიკაკლეთ, რა დღეში ჰყავდათ კნიაზი ნატალია დმიტრიევნასთან. ახლა კი ნატალია დმიტრიევნა აქ გიზით, ეს ის ნატალია დმიტრიევნაა, რომელიც ამას წინათ ლანძღვდა, აგინებდა და რომელიც დღეებს თქვენს თათხვაში ათენებს და აღამებს! ნუ შენუხდებით, ნატალია დმიტრიევნა! მე თქვენი ორშაურიანი შოკოლადის **à la santé** ხარბი არა ვარ! მე მას თქვენზე ხშირად მივირთმევ შინ! ფუ!^[SEP]

- გეტყობათ, - შენიშნა ნატალია დმიტრიევნამ.^[SEP]

- კი მაგრამ, უკაცრავად, სოფია პეტროვნა, - იყვირა ბრაზისაგან წამოჭარხლებულმა მარია ალექსანდროვნამ. - რა მოგდით, ბოლოს და ბოლოს, გონს მოდით!^[SEP]

- ჩემთვის თავს ნუ შეინუხებთ, მარია ალექსანდროვნა, მე ყველაფერი ვიცი, ყოველივე შემატყობინეს! - უხეში, მკივანა ხმით გაჰყვიროდა სოფია პეტროვნა, რომელსაც სტუმრები გარს შემორტყმოდნენ და ტკბებოდნენ ამ მოულოდნელი სცენის შემყურენი, - ყველაფერი გავიგე! თქვენმა ნასტასიამ მოირბინა ჩემთან და ყოველივე წვრილად მიაძბო. თქვენ გამოიჭირეთ ეს საცოდავი კნიაზი, გამოათვრეთ და აიძულეთ, ხელი ეთხოვა თქვენი ქალიშვილისათვის, რომელსაც უკვე აღარავინ თხოულობს. თქვენ კი ეს თავში აგივარდათ და გგონიათ, რომ უკვე დიდი ვინმე ბრძანდებით - მაქმანებიანი ჰერცოგინია - ფუ! ნუ ნუხდებით, მე თავად გახლავართ პოლკოვნიკის მეუღლე! რახან ნიშნობაზე არ დამპატიჟეთ, მომიფურთხებია

თქვენთვის! თქვენზე უკეთეს ადამიანებთან მქონია ურთიერთობა, მე გრაფინია ზალხვატსკაიასთანაც კი მისადილია; ჩემი ცოლად შერთვა ობერ-კომისარ კუროჩკინს უნდოდა! ძალიან მჭირდება მე თქვენი მასპინძლობა, ფუ!^[P]_[SEP]

- სოფია პეტროვნა, - უთხრა მოთმინებადაკარგულმა მარია ალექსანდროვნამ, - გარნმუნებთ, კეთილშობილ სახლში ასე შემოვარდნა, თანაც ასეთ მდგომარეობაში, დაუშვებელია. თუ თქვენ ახლავე არ შეწყვეტთ ყაყანს და არ დატოვებთ აქაურობას, მე სასწრაფოდ მივიღებ შესაბამის ზომებს.^[P]_[SEP]

- ვიცი, თქვენ უბრძანებთ თქვენს ლაქიებს, გამაძევონ აქედან. ნუ გაირჯებით, თვითონაც კარგად მოვნახავ გზას. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ვინც გინდათ, ის გაათხოვეთ, თქვენ კი ნატალია დმიტრიევნა, არ გაბედოთ ჩემი დაცინვა; მომიფურთხებია თქვენი შოკოლადისტვის! მართალია, აქ არავის მოვუნვევივარ, მაგრამ მე კნიაზების გასართობად კაზაჩოკი არ მიცეკვია, თქვენ კი რა გიხარიათ, ანა ნიკოლაევნა? სუშილოვმა ფეხი მოიტეხა, ახლა მიიყვანეს სახლში, ფუ! თქვენ კი, ფელისიტა მიხაილოვნა, თუ თქვენს ფეხშიშველა მატრიოშკას არ უბრძანებთ, დროზე შერეკოს ბოსელში ძროხა, რომელიც ყოველდღე ჩემი ფანჯრების წინ ბლავილით მიკლებს, თქვენს მატრიოშკას შიშველ ფეხებს მივამტვრევ. მშვიდობით, მარია ალექსანდროვნა, ბედნიერებას გისურვებთ, ფუ! - დაამთავრა სოფია პეტროვნამ და გავარდა. სტუმრებმა სიცილი დააყარეს. მარია ალექსანდროვნა ძალიან დაბნეული იყო. ა^[P]_[SEP]

- მე მგონი, გადაკრულშია, - ტკბილად წარმოთქვა ნატალია დმიტრიევნამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეს რა თავხედობა იყო!<sup>[P]
[SEP]</sup>

-Quelle abominable femme!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ვაი, რამდენი ვიცინე!<sup>[P]
[SEP]</sup>

- უფ, რამდენი უხამსობა გადმოგვაფრქვია!<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაგრამ რა ნიშნობაზე ლაპარაკობდა? ვის ნიშნობაზე? - დაცინვით იკითხა ფელისიტა მიხაილოვნამ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- საზიზღრობაა! - ბოლოს და ბოლოს განიწმატდა მარია ალექსანდროვნა, - აი ასეთი ურჩხულები ავრცელებენ სულელურ ჭორებს! გასაკვირი ის კი არ არის, ფელისიტა მიხაილოვნა, რომ ასეთი ქალები გვირევია ჩვენს საზოგადოებაში, არა, საკვირველი ისაა, რომ ამნაირი ქალების საჭიროება არსებობს, მათ უსმენენ, მხარს უჭერენ, მათი სჯერათ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- კნიაზი, კნიაზი! - აყვირდნენ სტუმრები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ოი, ღმერთო! ce cher prince!<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიდება უფალს! ახლა კი ფარდა აეხდება ყველა საიდუმლოს, - გადაუჩურჩულა ფელისიტა მიხაილოვნამ გვერდით მდგომს.<sup>[P]
[SEP]</sup>

<sup>[P]
[SEP]</sup>

<sup>[P]
[SEP]</sup>

თავი XIII^{[P] [SEP]}

შემობრძანდა თუ არა, კნიაზს ნეტარი ღიმილი გადაეფინა სახეზე. მთელი შიში, რომელმაც ამ თხუთმეტი წუთის წინ მოზღვლიაკოვთან

საუბრის დროს მისი არსება მოიცვა, ქალების დანახვაზე სადღაც გაუქრა. ის გულაჩუყებული უსმენდა დამსწრე ქალბატონების მხიარულ შეძახილებს. საერთოდ, აქაური ქალბატონები ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ ამ მოხუცს და მისდამი განსაკუთრებულ ფაშილარობას იჩენდნენ. კნიაზს შეეძლო ამ საზოგადოების არაჩვეულებრივად გართობა. ფელისიტა მიხაილოვნა ჯერ კიდევ ამ დილით ამტკიცებდა (რა თქმა უნდა, არასერიოზულად), რომ მზად იყო, კნიაზს მუხლებზე დაჭდომოდა, თუკი მას ეს ესია მოვნივებოდა, - `რადგან ის ძალიან, ძალიან საყვარელი მოხუცია, უსასრულოდ საყვარელი!~ მარია ალექსანდროვნა დაჟინებით უცქერდა მოხუცს, უნდოდა, მის სახეზე ისეთი რამ ამოეკითხა, რაც ამ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსავალს აპოვნივებდა. აშკარა იყო, რომ მოზგლიაკოვმა საშინლად გააფუჭა ყველაფერი და მისი დანყებული საქმის ბედი ბენვზე ეკიდა. მაგრამ კნიაზს სახეზე ვერაფერი შეატყო. ის ისეთივე იყო, როგორიც ამას წინათ და როგორიც ყოველთვის.^[P SEP]

- ღმერთო ჩემო! აი, ჩვენი კნიაზიც! ჩვენ კი აქ გელით და გელით, - ერთხმად აყვირდნენ ზოგ-ზოგიერთები. ^[P SEP]

- მოუთმენლად, კნიაზო, გულის ფანცქალით გელოდით! - ბანი მისცეს სხვებმა.^[P SEP]

- ჩემთვის ფრიად სა-სი-ამ-ოვ-ნო-ა! - ენის ჩლიფინით თქვა მოხუცმა და მაგიდას მიუჭდა. მაგიდაზე სამოვარი თუხთუხებდა. ქალები გარს შემოერთყნენ. მარია ალექსანდროვნას გვერდით მხოლოდ ანა ნიკოლაევნა და ნატალია დმიტრიევნა დარჩნენ. აფანასი მატვეიჩი

მოწინებთ ილიძებოდა. მოზგლიაკოვიც იკრიჭებოდა და გამომწვევად უყურებდა ზინას, რომელიც ვაჟს იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევდა. ზინა მამასთან მივიდა და მის გვერდით, ბუხრის ახლოს მდგარ სავარძელში ჩაჯდა. [P] [SEP]

- ამბობენ, რომ მალე დატოვებთ აქაურობას, მართალია, კნიაზო? - წაინრიპინა ფელისიტა მიხაილოვნამ. [P] [SEP]

- დიახ, mesdames, მივემგზავრები, დაუყოვნებლივ უნდა გავემგზავრო საზღვარგარეთ. [P] [SEP]

- საზღვარგარეთ, კნიაზო, საზღვარგარეთ! - აყვირდა ყველა ერთად, - ეს რამ მოგაფიქრებინათ? [P] [SEP]

- დიახ, საზღვარ-გა-რეთ, - თავმოწონედ დაემოწმა კნიაზი, - იქ გამგზავრება განსაკუთრებით მინდა ახალი იდეებისათვის. [P] [SEP]

- რა ახალი იდეებისათვის? რის შესახებ? - შეეკითხნენ ქალები და ერთმანეთს გადახედეს. [P] [SEP]

- დიახ, ახალი იდეებისათვის, - ღრმად შთაგონებული გამომეტყველებით გაიმეორა კნიაზმა, - ახლა ყველა საზღვარგარეთ მიდის ახალი იდეებისათვის. მეც მინდა ავითვისო ახალი იდეები. [P] [SEP]

- მასონთა ლოჟაში ხომ არ გინდათ განვერიანება, ძვირფასო ბიძია? - ლაპარაკში ჩაერთო მოზგლიაკოვი, რომელსაც სურდა, მახვილსიტყვაობითა და ძალდაუტანებელი ქცევით თავი მოეწონებინა ქალებისათვის. [P] [SEP]

- დიახ, ჩემო ძვირფასო, არ შემეცდარხარ, - მოულოდნელად მიუგო

ბიძიამ, - ოდესღაც საზღვარგარეთ მართ-ლაც ვიყავი ერთი მასონური ლოჟის წევრი და უამრავი კეთილშობილური იდეა მქონდა. იმ დროს ვაპირებდი, ბევრი რამ გამეკეთებინა თა-ნა-მედ-რო-ვე განათლებისათვის. მაშინ ფრანკფურტში დავაპირე კიდევ ჩემი ყმის, სიდორის გა-თა-ვი-სუფ-ლე-ბა, რომელიც თან მახლდა საზღვარგარეთ, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, გათავისუფლებამდე გამეჩქა. უაღრესად უცნაური კა-ცი იყო. შემდეგ პარიზში შემხვდა - ნამდვილი ფრანტი, ბაკენბარდებით - ვიღაც მამზელთან ერთად მოდიოდა ბულვარში. შემომხედა და თა-ვი დამიკრა. ისეთი თვალეზბრდღვიალა და ყოჩალი მამზელი ახლდა, მაცდური რამ...^[SEP]

- ბიძია! თქვენ ახლა საზღვარგარეთ თუ გაემგზავრეთ, ამჯერად ალბათ ყველა ყმას გაათავისუფლებთ, - აყვირდა მოზგლიაკოვი და ახარხარდა.^[SEP]

- ახლაც გამო-იცანი ჩემი სურვილი, ჩემო ძვირფასო, - სხა-პასხუპით უპასუხა კნიაზმა, - სწორედაც ყველას გათავისუფლებას ვაპირებ.^[SEP]

- რას ბრძანებთ, კნიაზო, ისინიც ყველანი გაგეჩქევიან, მაშინ ღალას ვილა გადაგიხდით? - შეიცხადა ფელისიტა მიხაილოვნამ.^[SEP]

- ცხადია, ყველა გაიფანტება, - შენიშნა შეშფოთებულმა ანა ნიკოლაევნამ.^[SEP]

- ოჰ, ღმერთო ჩემო! და-ვი-ჯე-რო ყველა გაიქცევა? - შეჰყვირა გაკვირვებულმა კნიაზმა.^[SEP]

- გაიქცევიან, უკანმოუხედავად გაიქცევიან, თქვენ კი მართლ დარჩებით, - დაადასტურა ნატალია დმიტრიევნამ.^[SEP]

- რას ლაპარაკობთ! მაშინ არ გა-ვუმ-ვებ. თუმცა მე ხომ ეს ისე ვთქვი.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ასე სჯობს, ბიძია! - ბეჭედი დაუსვა მოზგლიაკოვმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

აქამდე მარია ალექსანდროვნა ჩუმად ადევნებდა თვალყურს სტუმრებს. მას მოეჩვენა, რომ კნიაზს გადაავიწყდა მისი არსებობა და ეს რაღაც არაბუნებრივად მიიჩნია.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მაპატიეთ, კნიაზო, - დაიწყო მან ხმამაღლა და ამყად, - ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ჩემი მეუღლე, აფანასი მატვეიჩი. ის საგანგებოდ ჩამოვიდა სოფლიდან, როცა თქვენი სტუმრობა შეიტყო.<sup>[P]
[SEP]</sup>

აფანასი მატვეიჩმა გაიღიმა და წელში გაიმართა. მას მოეჩვენა, რომ შეაქვს.<sup>[P]
[SEP]</sup>

- რას ლაპარაკობთ, ფრიად მოხარული ვარ, - თქვა კნიაზმა, - ა-ფანასი მატვეიჩ! მომიტევეთ, მგონი მახ-სოვ-ხართ. აფანასი მატვეიჩი, დიახ, დიახ, ეს ისაა, ვინც სოფელში ცხოვრობს. Charmant, charmant, მოხარული ვარ. ჩემო მეგობარო! - დაუძახა კნიაზმა მოზგლიაკოვს, - ეს ხომ ისაა, მახსოვს, ამას წინათ რაღაც ერთმეზობდა. ქმარი კარში გადის. ცოლი... ხო რა, ცოლი რომელიღაც ქალაქში წა-ვი-და...<sup>[P]
[SEP]</sup>

- მართალს ბრძანებთ, კნიაზო, `ქმარი კარში გადისო, ცოლი ტვერში გარბისო~, სწორედ ის ვოდვევილია, რომელიც გასულ წელს ჩვენ ქალაქშიც დაიდგა. - ლაპარაკში ჩაერთო ფელისიტა მიხაილოვნა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, ტვერი, მე კი ყველაფერი მა-ვინ-ყდე-ბა. Charmant, charmant! ესე იგი, თქვენ ის ბრძანდებით? ფრიად მოხარული ვარ, რომ გა-გი-ცა-ნ-ით, - თქვა კნიაზმა და სავარძლიდან აუდგომლად

გაუნოდა ხელი მომღიმარ აფანასი მატვეიჩს, - როგორ გიკითხოთ? [SEP]

- ჰმ... [SEP]

- კარგადაა, ჯანმრთელად, კნიაზო, - დაუყოვნებლივ უპასუხა მარია ალექსანდროვნამ. [SEP]

- ცხადია, ეტყობა ჯან-მრთე-ლი-ა. თქვენ სულ სოფლად ცხოვრობთ? ძალიან მიხარია. დახეთ, როგორი ლოყებლაჟლაჟაა და სულ მომღიმარი... [SEP]

აფანასი მატვეიჩი იღიმებოდა და თან თავს უკრავდა, ლამის ფეხქვეშ გაეგო. მაგრამ კნიაზის ბოლო შენიშვნაზე თავი ველარ შეიკავა და ხარხარი აუტყდა. ყველა ახარხარდა. ქალები სიამოვნებისაგან წიოდნენ და კიოდნენ. ბინა შეკრთა და გაბრაზებულმა გადახედა მარია ალექსანდროვნას, რომელიც თავადაც ბოლმისაგან გულზე სკდებოდა. ახლა დროზე უნდა შეეცვალა საუბრის თემა. [SEP]

- როგორ მოისვენეთ, კნიაზო? - დინჯად ჰკითხა მარია ალექსანდროვნამ. ამავე დროს, მრისხანედ გადახედა ქმარს და თვალებით ანიშნა, თავის ადგილზე დაბრუნებულიყო. [SEP]

- ძალიან კარგად, მშვენივრად მეძინა, - მიუგო მოხუცმა, - იცით რა, მომაჯადოებელი სიზმარი ვნახე, ზღაპრული სიზმარი! [SEP]

- სიზმარი! განსაკუთრებით მიყვარს, როცა სიზმრებს ჰყვებიან! - შესძახა აღტაცებულმა ფელისიტა მიხაილოვნამ. [SEP]

- მეც მიყვარს, მეც! - დაუმატა ნატალია დმიტრიევნამ. [SEP]

- მო-მა-ჯა-დო-ე-ბე-ლი რამ, - ღიმილით გაიმეორა კნიაზმა, - მაგრამ ეს გმანება უდიდესი საიდუმლოა! [SEP]

- რას ამბობთ, კნიაზო, არ მოგვიყვებით? ეს ალბათ მართლაც გასაოცარი სიზმარი იქნებოდა? - შენიშნა ანა ნიკოლაევნამ. [P]
[SEP]

- სრულიად საიდუმლოა! - ისე გამაღიზიანებლად გაიმეორა კნიაზმა, რომ უფრო მეტად დააინტერესა ქალები. [P]
[SEP]

- მართლაც საშინლად საინტერესო იქნება! - აკივლდნენ ქალები. [P]
[SEP]

- სანაძლავს ვდებ, რომ კნიაზი ვინმე ლამაზმანის წინ მუხლებზე იდგა და სიყვარულს უხსნიდა! - იყვირა ფელისიტა მიხაილოვნამ, - გამოტყდით, კნიაზო, ხომ მართალი ვარ, გამოტყდით. [P]
[SEP]

- გამოტყდით, კნიაზო, გამოტყდით! - აიტაცეს ქალებმა ყოველ მხრიდან. [P]
[SEP]

მოზეიმე კნიაზი კმაყოფილი ისმენდა ამ შეძახილებს, ქალების ვარაუდი მის თავმოყვარეობას ელამუნებოდა. [P]
[SEP]

- მე კი ვთქვი, რომ ჩემი ბმანება დიდი საიდუმლოა-მეთქი, - როგორც იქნა, ამოღერღა მან, - მაგრამ იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ თქვენ, ქალბატონო, ჩემდა გასაკვირად, თითქმის გა-მო-ი-ცა-ნით. [P]
[SEP]

- გამოვიცანი! - იკივლა ალტაცებულმა ფელისიტა მიხაილოვნამ, - კეთილი, კნიაზო! ახლა კი მეტი არაფერი დაგრჩენიათ, უნდა გაგვიმხილოთ, ვინ იყო ის ლამაზმანი? [P]
[SEP]

- აუცილებლად უნდა გვითხრათ! [P]
[SEP]

- აქაურია? [P]
[SEP]

- ძვირფასო კნიაზო, გამოტყდით! [P]
[SEP]

- თქვენი ჭირიმე, კნიაზო, გაგვანდეთ! რომ მოკვდეთ, მაინც უნდა

გვითხრათ! - დაესვივნენ ქალები ყოველ მხრიდან.^[P]^[SEP]

- mesdames, mesdames! თუ თქვენ ასე დაჟინებით მოითხოვთ, მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია, გითხრათ - ეს არის ყველაზე მომ-ხიბ-ვლე-ლი, ყველაზე უმნიკვლო ქალწული მათ შორის, ვისაც მე ოდესმე ვიცნობდი, - ნაილუღლულა სულ მთლად გულაჩუყებულმა კნიაზმა.^[P]^[SEP]

- ყველაზე მომხიბვლელი! და... აქაური! ვინ უნდა იყოს? - კითხულობდნენ ქალები, მრავალმნიშვნელოვნად უყურებდნენ ერთმანეთს და თვალით ანიშნებდნენ.^[P]^[SEP]

- რასაკვირველია, ის, ვინც ჩვენთან პირველ მზეთუნახავად ითვლება, ბატონებო, - ჩაილაპარაკა ნატალია დმიტრიევნამ და ხელების ფშვნეტა დაიწყო, თან თავისი კატისებრი თვალები ზინას მიაპყრო. მასთან ერთად, ყველამ ზინას შეხედა.^[P]^[SEP]

- კნიაზო, თქვენ თუ ასეთ სიზმრებს ხედავთ, ცხადში რატომ არ შეირთავთ ცოლს? - ჰკითხა ფელისიტა მიხაილოვნამ და ყველას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.^[P]^[SEP]

- რომ იცოდეთ, როგორ კარგად დაგაქორწინებდით! - ლაპა-რაკში ჩაერთო ერთ-ერთი ქალბატონი.^[P]^[SEP]

- ძვირფასო კნიაზო, მოიყვანეთ ცოლი! - ჩაინრიპინა სხვამ.^[P]^[SEP]

- დაქორწინდით, დაქორწინდით! - აყვირდნენ ყველა მხრიდან, - რატომ არ მოგყავთ ცოლი?^[P]^[SEP]

- დიახ, დიახ... რატომ არ ვირთავ ცოლს? - კვერს უკრავდა კნიაზი ქალების ჟრიამულისაგან ტვინარეული.^[P]^[SEP]

- ბიძია! - დაიყვირა მოზგლიაკოვმა.^[P]^[SEP]

- დიას, ჩემო მეგობარო, მე შესმის შენი! სწორედ ის მინდოდა მეთქვა, **mesdames**, რომ ახლა არ შემიძლია ცოლის შერთვა. ჩემს მშვენიერ დიასახლისთან აქ საო-ცარი საღამო გავატარე და ხვალ მივემგზავრები უდაბნოში მღვდელმონაზონ მისაელთან. იქიდან კი პირდაპირ საზღვარგარეთ, რომ უფრო კარგადგვადევნო თვალყური ევრო-პულ გა-ნ-მა-ნათ-ლებ-ლო-ბას! ^[P]_[SEP]

ზინა გაფითრდა და გამოუთქმელი სევდით გადახედა დედას. მარია ალექსანდროვნას გადანყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. აქამდე იცდიდა, ამონმებდა ვითარებას, თუმცა კარგად ესმოდა, რომ საქმეს ცუდი სუნი უდიოდა, მტრებმა იგი უკან ჩამოიტოვეს. ბოლოს და ბოლოს, როცა ყველაფერი გაიაზრა, გადანყვიტა, ერთი დარტყმით გაენადგურებინა ასთავიანი პიდრა. სავარძლიდან ამაყად წამოიშარტა, მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას და თავის მტერ პიგმეებს მედიდურად გადახედა. შთაგონებისცეცხლი ენთო მის გამოხედვაში. მას გადანყვეტილი ჰქონდა, გაენადგურებინა ეს ენაჭარტალები, ტარაკანასავით გაესრისა არამზადა მოზგლიაკოვი და ერთი დარტყმით დაებრუნებინა კნიაზზე მოპოვებული გავლენა. ცხადია, ახლა საჭირო იყო არაჩვეულებრივი თავხედობის გამოჩენა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მარია ალექსანდროვნას თავხედობისათვის შორს წასვლა არ სჭირდებოდა. ^[P]_[SEP]

- **mesdames**, - ამაყად და საზეიმო ტონით დაიწყო მან (მარია ალექსანდროვნას ძალიან უყვარდა ზეიმურობა), - **mesdames**, კარგა ხანია ვუსმენ თქვენს ლაპარაკს, მხიარულ და მახვილგონივრულ

გამონათქვამებს და გადავწყვიტე, ორიოდ სიტყვა მეც ვთქვა. კარგად მოგეხსენებათ, ჩვენ აქ სრულიად შემთხვევით შევიკრიბეთ (მოხარული ვარ ამის, უალრესად მოხარული)... მე ვერასოდეს გავბედავდი, გამემხილა მნიშვნელოვანი საოჯახო საიდუმლოება და მანამდე გამევერცელებინა, ვიდრე ამის საჭიროება დადგებოდა, როგორც ამას მოითხოვს წესი და რიგი. განსაკუთრებით ბოდიშს მოვეუხდი ჩემს ძვირფას სტუმარს; მაგრამ მომეჩვენა, რომ ის თვითონ ლაპარაკობდა ქარაგმებით იმავე გარემოებაზე. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ მისთვის უსიამოვნო არ იქნება ჩვენი ოჯახური საიდუმლოების ფორმალური და საბეიმო გაცხადება, პირიქით, თავადვე სურს ამის გამჟღავნება... ხომ მართალი ვარ, კნიაზო, ხომ არაფერი მეშლება?^[SEP]

- დიახ, დიახ, თქვენ არ შემცდარხართ.....მე ძალიან მოხარული ვარ, ძალიან... - ჩაილაპარაკა მოხუცმა ისე, რომ ვერც კი გაიგო, რაზე იყო ლაპარაკი.^[SEP]

მარია ალექსანდროვნამ, დიდი ეფექტი რომ მოეხდინა, პაუზა გააკეთა, სული მოითქვა და საზოგადოებას გადახედა. დაძაბული სტუმრები ხარბი ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ მის ლაპარაკს. მოზგლიაკოვი შეკრთა. ზინას სახე აეტკრიცა და სავარძლიდან წამოდგა. აფანასი მატვეიჩმა, ყოველი შემთხვევისათვის, რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში ცხვირი მოიხოცა.^[SEP]

- დიახ, **mesdames**, მე დიდი სიამოვნებით შეგატყობინებთ ჩვენს საოჯახო საიდუმლოებას. დღეს, ნასადილევს, კნიაზი ისე აღფრთოვანდა ჩემი ასულის სილამაზითა და ღირსებებით, რომ

პატივი დაგვდო და ზინას ხელი სთხოვა. კნიაზო! - დასძინა მან თვალზე მომდგარი ცრემლებისაგან ათრთოლებული ხმით, - საყვარელო კნიაზო, ნუ გამიბრაზდებით ჩემი თავშეუკავებლობის გამო! მხოლოდ განსაკუთრებულმა ოჯახურმა სიხარულმა წამომაცდენინა დროზე ადრე ეს გულის ამაჩუყებელი საიდუმლო და... რომელი დედა დამძრახავს ამის გამო?^[SEP]

სიტყვებს ვერ ვპოულობ, აღვწერო ის ეფექტი, რომელიც მარია ალექსანდროვნას კადნიერმა საქციელმა მოახდინა. გაოცებისაგან ყველა გაქვავდა. ვერაგი სტუმრები ფიქრობდნენ, რომ მარია ალექსანდროვნას დააშინებდნენ მისი საიდუმლოს ცოდნით, გაანადგურებდნენ საიდუმლოს წინასწარი გამჟღავნებით, თავიანთი ქარაგმებით გაანამებდნენ და ასო-ასო დაგლეჯდნენ. მან კი გააოგნა ისინი თავისი თამამი აღიარებით. ასეთი უშიშარი აღიარება იმას ნიშნავდა, რომ მარია ალექსანდროვნა რაღაც ძალას ფლობდა. `გამოდის, კნიაზმა, მართლაც თავისი ნებით გადაწყვიტა ზინას ცოლად მოყვანა! მაშასადამე, არავის გამოუთვრია, არ შეუცდენია, არ მოატყუებია და ფარულად, ქურდულად არც არავის დაუტანებია ძალა ზინასათვის ხელი ეთხოვა. ნუთუ მარია ალექსანდროვნას არავისი ეშინია და უკვე გვიანაა ამ ქორწინების ჩაშლა, ნუთუ კნიაზი იძულების გარეშე ირთავს ცოლს?~ აქა-იქ ჩურჩული გაისმა, რომელიც უცებ აღფრთოვანების კვილიად იქცა. მარია ალექსანდროვნას პირველი ნატალია დმიტრიევნა გადაეხვია; მას მოჰყვა ანა ნიკოლაევნა, მერმე ფელისიტა მიხაილოვნა. ყველა წამოხტა და ყველაფერი აირ-დაირია.

ზოგი ქალბატონი ბრაზისაგან გაფითრდა. ყველა ულოცავდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ბინას. აფანასი მატვეიჩსაც გადაეხვივნენ. მარია ალექსანდროვნამ ლამაზად გაშალა მკლავები და თითქმის ძალით ჩაიხუტა ქალიშვილი. მხოლოდ კნიაზი უცქეროდა ამ სცენას რაღაც უცნაურად გაკვირვებული, თუმცა კვლავ იღიმებოდა. საერთოდ კი ეს სცენა მოეწონა, როცა დედა თავის ასულს ჩაეხუტა, მოხუცს თვალზე ცრემლიც მოადგა. რასაკვირველია, მასაც ყველა ულოცავდა.^[P]_[SEP]

- გილოცავთ, კნიაზო! გილოცავთ! - ყოველი მხრიდან ყვიროდნენ ქალები.^[P]_[SEP]

- ესე იგი, ცოლს თხოულობთ?^[P]_[SEP]

- ნუთუ ეს მართალია?^[P]_[SEP]

- ჩვენო კარგო კნიაზო, მაშ, ცოლს ირთავთ?^[P]_[SEP]

- დიახ, დიახ, - პასუხობდა ამ საერთო აღტაცებითა და მილოცვებით კმაყოფილი კნიაზი, - გამოგიტყდებით, მე ყველაზე მეტად მახარებს თქვენი ჩემდამი თანაგრძნობის გამოცხადება, ამას ა-რა-სო-დეს დავივინყებ, ა-რა-სო-დეს. ჩჰარმანტ! ჩჰარმანტ! გული ამიჩუყდა...^[P]_[SEP]

- მაკოცეთ, კნიაზო! - ყველაზე ხმამაღლა ფელისიტა მიხაი-ლოვნა ყვიროდა.^[P]_[SEP]

- გამოგიტყდებით, - გააგრძელა კნიაზმა, რომელსაც აღარავინ აცლიდა ლაპარაკს, - ყველაზე მეტად ის მიკვირს, რომ მარია ი-ვა-ნოვ-ნამ, ჩვენმა პატივცემულმა დიასახლისმა, ასე ბუსტად გამოიცილო

ჩემი სიზმარი. თითქოს ჩემ მაგივრად მას ეზმანა. საოცარი გამჭრიახობა! საოცარი! ^[P]_[SEP]

- თქვენ რა, კნიაზო, ისევ სიზმარზე ლაპარაკობთ? ^[P]_[SEP]

- გამოტყდით, კნიაზო, გამოტყდით! - ყველა ერთად აყვირდა და გარს შემოეხვია. ^[P]_[SEP]

- დიახ, კნიაზო, არაფერია დასამალი, დროა გამჟღავნდეს ეს საიდუმლო, - გადაჭრით და მტკიცედ განაცხადა მარია ალექსანდროვნამ, - მე მესმის თქვენი დახვეწილი ალფეგორია, მომხიბვლელი დელიკატურობა, რომლითაც თქვენ ცდილობდით, ჩემთვის გვერძობინებინათ, რომ თქვენი ნიშნობა გამემხილა. დიახ, მესდამეს, მუხლებზე მდგარმა კნიაზმა დღეს მთელი გარ-გემით სთხოვა ხელი ჩემს ასულს, ეს ცხადში მოხდა, ცხადში, და არა სიზმარში. ^[P]_[SEP]

- მართლაც რომ ცხადსა ჰგავს აქ ჩამოთვლილი ყველა გა-რე-მო-ე-ბით, - დაემონმა კნიაზი, - მადმუაზელ, - მიმართა მან არაჩვეულებრივი მონინებით ბინას, რომელიც გაკვირვებისაგან ჯერ აზრზე არ იყო მოსული. - მადმუაზელ! მე ვერასოდეს გავბედავდი თქვენი სახელის წარმოთქმას, სხვებს რომ არ ეთ-ქვათ. ეს იყო მშვენიერი სიზმარი, მო-მა-ჭა-დო-ე-ბე-ლი გმანება. მე ორმაგად ბედნიერი ვარ, რაკი საშუალება მომეცა, თქვენთვის ეს მეთ-ქვა. ჩჰარმანტ! ჩჰარმანტ! ^[P]_[SEP]

- მაპატიეთ, მაგრამ რა ხდება? ის სულ თავის სიზმარზე ლაპარაკობს, - გადაუჩურჩულა ანა ნიკოლაევნამ შემფოთებულ და ფერდაკარგულ მარია ალექსანდროვნას. ვაი რომ, მარია

ალექსანდროვნას მისი ნათქვამის გარეშე გული კარგს არაფერს უქადდა.^[P]_[SEP]

- რაშია საქმე? - აჩურჩულდნენ ქალები და ერთმანეთს გადახედეს.^[P]_[SEP]

- მომიტევეთ, კნიაზო, - დაიწყო მარია ალექსანდროვნამ ნაძალადევი ავადმყოფური ღიმილით, - გარნმუნებთ, მე თქვენ მაკვირვებთ. ეს რა უცნაური იდეა აიკვიატეთ სიზმრის შესახებ? გამოგიტყდებით, აქამომდე მეგონა, ხუმრობდით, მაგრამ... მე მინდა, მე ვისურვებდი, ყველაფერი ეს თქვენი დაბნეულობისათვის მიმეწერა, მაგრამ...^[P]_[SEP]

- მართლაცდა, შესაძლებელია, რომ ის დაბნეულია, ბატონებო, - ნაისისინა ნატალია დმიტრიევნამ.^[P]_[SEP]

- დიახაც... შეიძლება ეს დაბნეულობის ბრალია, - დაუდასტურა მოხუცმა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რას ითხოვდნენ მისგან, - წარმოიდგინეთ, მე ახლა მოგიყვებით ერთ ანეკდოტს. ერთხელ პეტერბურგში მიმინვიეს დაკრძალვაზე, ერთ ოჯახში, მაისონ ბოურგეოისე, მაის ჰონნეტე,¹ მე კი ყველაფერი ავურ-დავურიე, მეგონა დღეობაზე მეპატიჟებოდნენ. დღეობა კი თურმე წინა კვირას ყოფილა. მე დღეობისათვის კამელიების თაიგული მოვამზადებინე. შევდივარ და რას ვხედავ? ღირსეული ხანშიშესული კაცი მაგიდაზე ასვენია, ძალიან გა-მიკვირ-და. არც კი ვიცოდი, თაიგული სად წამელო.^[P]_[SEP]

- კი მაგრამ, კნიაზო, საქმე ანეკდოტში არ არის! - წყენით

შეაწყვეტინა მარია ალექსანდროვნამ, - რა თქმა უნდა, ჩემს ასულს არ სჭირდება საქმროს ძებნა, მაგრამდღეს თქვენ არ იყავით, აქ, ამ როიალთან ხელი რომ სთხოვეთ მას? მე თქვენთვის არ დამიძალეებია. ამ ამბავმა, შეიძლება ითქვას, კიდევ გამოაგნა... ცხადია, მაშინ თავში მხოლოდ ერთმა აზრმა გამიელვა და ამ ამბის დაბოლოება თქვენს გამოფხიზლებამდე გადავდე. მაგრამ მე დედა ვარ; ეს ჩემი ასულია... ჩვენ ახლა ყველა რაღაც სიზმარზე ვლაპარაკობდით, მე კი მეგონა, თქვენ გინდოდათ, თქვენს ნიშნობაზე ალფეგორიულად გელაპარაკათ. მე კარგად ვიცი, რომ ვიღაც თქვენ გადაცდენას ცდილობს... ვიღაც კი არა, ნამდვილად ვიცი, ვინცაა... მაგრამ ამიხსენით, კნიაზო, სასწრაფოდ მითხარით, დააკმაყოფილეთ ჩემი მოთხოვნა. კეთილშობილ სახლში ასე არ ხუმრობენ... [SEP]

- დიახ, კეთილშობილ სახლში ასე არ ხუმრობენ, - გაუცნობიერებლად გაიმეორა მოხუცმა, რომელსაც ნელ-ნელა აღელვება დაეტყო. [SEP]

- მაგრამ ეს არაა პასუხი, კნიაზო, ჩემს კითხვაზე მე მოვითხოვ დადებით პასუხს; ახლავე, აქვე, ყველას წინაშე დაადასტურეთ, რომ თქვენ ხელი სთხოვეთ ჩემს ასულს. [SEP]

- დიახ, მე მზად ვარ დავადასტურო. თუმცა მე ეს უკვე მოვყევი და ფელისიტა იაკოვლევნამაც ბუსტად გამოიცინო ჩემი ზმანება. [SEP]

- ზმანება არა! არ იყო ეს ზმანება! - კიოდა განრისხებული მარია ალექსანდროვნა, - არ იყო ეს სიზმარი, არა, ეს ცხადში მოხდა, კნიაზო, ცხადში, გესმით, ცხადში. [SEP]

- ცხადში! - იყვირა კნიაზმაც და გაკვირვებული წამოდგა, - ხედავ, ჩემო მეგობარო! როგორც წელან იწინასწარმეტყველე, ყველაფერი ისე არ ახდა?! - დასძინა მან და მოზგლიაკოვს შეხედა, - ღრმად პატივცემულო მარია სტეჰანოვნა, გარწმუნებთ, თქვენ ცდებით! მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ სიზმარში ვნახე. [SEP]

- ღმერთო შეგვიწყალებ! [SEP]

- ნუ ნუხხართ, მარია ალექსანდროვნა, - ჩაერთო ნატალია დმიტრიევნა. - ალბათ კნიაზს დაავიწყდა, გაახსენდება. [SEP]

- თქვენგან არ მიკვირს, ნატალია დმიტრიევნა, - წყენით თქვა მარია ალექსანდროვნამ, - განა ამის დავიწყება შეიძლება? განა ასეთი რამეები ავიწყდება ხალხს? მაჰატიეთ, კნიაზო! თქვენ რა, დაგვცინით? თქვენ რა რეგენტობის¹ ხანის ერთ-ერთ იმ შემატონად მოგაქვთ თავი, დიუმა რომ აღწერს? ან ვინმე ფერლაკურად² ან ლოზენად?³ ჩემი ასული ფრანგი ვიკონტესა არ არის. წელან მან აქ, როიალთან რომანსი გიმღერათ, თქვენ კი მისი სიმღერით აღტაცებული მუხლებზე დაემხეთ და ხელი სთხოვეთ. ნუთუ მე სიზმარში ვარ? ნუთუ მძინავს? მითხარით, კნიაზო, მძინავს თუ მღვიძავს? [SEP]

- დიახ, თუმცა შეიძლება, არა... - უპასუხა დაბნეულმა კნიაზმა, - მე მინდა ვთქვა, რომ ახლა მგონი არ მძინავს. ამას წინათ კი მეძინა და იმიტომ ვნახე სიზმარი, სიზმარში კი... [SEP]

- ფუი, დასწყევლოს ღმერთმა, რას ჰგავს ეს. სიზმარში - ცხადში, ცხადში - სიზმარში! ეშმაკმა უწყის, რას ჰგავს ეს! თქვენ ხომ არ ბოდავთ, კნიაზო? [SEP]

- დიახაც, ეძმაკმა უწყის... თუმცა, მგონია,სულ დავიბენი... - ჩაილაპარაკა მოხუცმა და შეწუხებული სახით აქეთ-იქეთ დაიწყო ყურება.^{[P][SEP]}

- ერთი ეს მიბრძანეთ, როგორ ნახავდით ყველაფერ ამას სიზმარში, როცა თქვენ ჯერ არავისთვის გიამბნიათ თქვენი ზმანება, მე კი დანვრილებით გიყვებით თქვენს სიზმარს?^{[P][SEP]}

- იქნებ მოუყვა ვინმეს, ბატონებო, - ჩაილაპარაკა ნატალია დმიტრიევნამ.^{[P][SEP]}

- დიახ, ხომ შეიძლებოდა, რომ ვინმესთვის მეამბა, - დაემოწმა უკვე სულ მთლად თავგზააბნეული კნიაზი.^{[P][SEP]}

- ნამდვილი კომედიაა! - გადაუჩურჩულა თავის მეზობელს ფელისიტა მიხაილოვნამ.^{[P][SEP]}

- ვაი, ღმერთო ჩემო! მოთმინების ფიალა აივსო! - გაჰკიოდა გაკაპასებული მარია ალექსანდროვნა, - ზინა რომ რომანსს გამღეროდათ, რომანსს! ნუთუ ესეც სიზმარში ნახეთ?^{[P][SEP]}

- დიახ, მგონი მართლაც მღეროდა რომანსს, - ჩაილულულა ფიქრებში წასულმა მოხუცმა და უცებ რაღაცის გახსენებამ გამოუცოცხლა სახე.^{[P][SEP]}

- ჩემო მეგობარო! - იყვირა მან და მოზგლიაკოვს შეხედა, - ნელან დამავინყდა შენთვის მეთქვა, რომ მან იმღერა რაღაც რომანსი და ამ რომანსში იყო რაღაც ციხე-სიმაგრეები, ძალიან ბევრი ციხე-სიმაგრე და კიდევ ვიღაც ტრუბადური! დიახ, ეს მახსოვს, მე ვიტყვ კიდევ... ახლა კი მიჭირს ვთქვა, ეს ცხადში იყო თუ სიზმარში...^{[P][SEP]}

- მე რომ მკითხოთ, ბიძია, - რაც შეეძლო მშვიდად უპასუხა მოზგლიაკოვმა, თუმცა ხმა რალაცის შიშით უთრთოდა, - ჩემი აზრით, ყველაფრის მოგვარება და შეთანხმება შეიძლება. მე მგონია, თქვენ მართლაც მოგესმათ სიმღერა. ზინაიდა აფანასიევნა კარგად მღერის. ალბათ ნასადილევს თქვენ აქ დაგსვეს და ზინაიდა აფანასიევნამ რომანსი გიმღერათ. მე მაშინ აქ არ ვყოფილვარ, თქვენ ალბათ გული აგიჩუყდათ, გაგახსენდათ ძველი დრო: შეიძლება ის ვიკონტესაც გაგახსენდათ, ვისთან ერთადაც რომანსებს მღეროდით და რომლის შესახებაც დღეს დილით გვიაშბეთ. შემდეგ კი, როცა დასაძინებლად დანეჭით, მშვენიერი მოგონებების ზეგავლენით დაგესიზმრათ, რომ შეყვარებული ხართ და ზინაიდა აფანასიევნას ხელსა სთხოვთ.^{[P]_{SEP}}

მარია ალექსანდროვნას თავზარი დასცა ასეთმა თავხედობამ.^{[P]_{SEP}}

- ეს ხომ მართლაც ასე იყო, ჩემო მეგობარო, - იყვირა აღტაცებულმა კნიაზმა, - სწორედაც მშვენიერი მოგონებების შედეგი იყო! კარგად მახსოვს, როგორ მიმღეროდნენ რომანსს, სწორედ ამიტომ სიზმარში გადავწყვიტე ცოლის შერთვა! ვიკონტესაც იქ იყო... იფ, რა კარგად მოაგვარე ყველაფერი, ძვირფასო! მაშ ასე! ახლა სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი მეგზმანა! მარია ვასილევნა! გარწმუნებთ, თქვენ ცდებით! ეს ყველაფერი სიზმარში ვნახე. სხვაგვარად მე როგორ გავბედავდი თქვენს კეთილშობილურ გრძნობებზე თამაშს.^{[P]_{SEP}}

- ახლა კარგად ვხედავ, აქ ვისი ხელიც ურევია, ვინც ჩაშალა ეს საქმე! - ცოფებს ყრიდა ბრაზისაგან თავდაკარგული მარია

ალექსანდროვნა. ის მოზგლიაკოვს მიუბრუნდა, - ეს თქვენი ნახელავია, ჩემო ბატონო, თქვენ ეს განზრახ გააკეთეთ, უსინდისო ადამიანო! ტვინი აურ-დაურიეთ ამ იდიოტს იმიტომ, რომ თქვენ უარი გითხრეს! მაგრამ არ შეგარჩენ ამას, საზიზღარო ადამიანო, არ შეგარჩენ! ყველაფერს გადაგიხდი, მწარედ განანებ! [SEP]

- მარია ალექსანდროვნა, - იყვირა კიბორჩხალასავით განით-
ლებულმა მოზგლიაკოვმა, - თქვენი გამოთქმები უალრესად... არც კი
ვიცი, თქვენი სიტყვები უკიდურესად... არც ერთი მაღალი წრის
ქალბატონი თავს ნებას არ მისცემს... ნებისმიერ შემთხვევაში, მე ჩემს
ნათესავს ვიცავ. განა შეიძლება ადამიანის ასე ცდუნება.. [SEP]

- დიახ, ასე ცდუნება... - კვერი დაუკრა კნიაზმა, რომელიც
ცდილობდა, მოზგლიაკოვს ამოჰფარებოდა. [SEP]

- აფანასი მატვეიჩ! - არაბუნებრივი ხმით იღრიალა მარია
ალექსანდროვნამ, - ნუთუ არ გესმით, როგორ გვჭრიან თავს,
თავლაფს გვასხამენ? თქვენ რა, ყველა მოვალეობაზე აიღეთ ხელი?
განა ოჯახის უფროსი აღარ ხართ? რას მომშტერებიხარ, ხისთავიანო
სოფლელი გაგრია? სხვა ქმარი აქამდე სისხლით ათჯერ ჩარეცხავდა
ოჯახისათვის მიყენებულ წყენას!.. [SEP]

- დედაკაცო! - თავმომწონედ დაიწყო აფანასი მატვეიჩმა. იგი იმით
იყო ამაყი, რომ, ბოლოს და ბოლოს, ისიც დასჭირდათ, - დედაკაცო!
მართლაც სიზმარში ხომ არ ნახე ეს ყველაფერი და მერმე
გამოღვიძებულმა, შენებურად, როგორც განყოფიდა, ისე აურ-
დაურიე.. [SEP]

მაგრამ აფანასი მატვეიჩს არ დასცალდა დაებოლოებინა თავისი მახვილგონივრული ვარაუდი. თუ აქამდე სტუმრები თავს იკავებდნენ და ვერაგული დარბაისლურობით ინიღბებოდნენ, ახლა მათმა მკვიანა სიცილ-კისკისმა მთელ ოთახს გადაუარა. მარია ალექსანდროვნამ თავი ველარ შეიკავა და ქმარს ეცა, სტუმრებმა აფანასი მატვეიჩი ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან, თორემ სახეს დაუკანრავდა. ნატალია დმიტრიევნამ ისარგებლა გარემოებით და ორიოდ ნვეთი შხამი კვლავ ჩაანვეთა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ეჰ, მარია ალექსანდროვნა, შეიძლება მართლაც ასე იყო, თქვენ კი თავს იკლავთ, - მშვიდად ჩაილაპარაკა მან.<sup>[P]
[SEP]</sup>

- მართლა ასე იყო? როგორ თუ ასე იყო? - გაჰკიოდა მარია ალექსანდროვნა, რომელსაც კარგად ვერ გაეგო, რას ეუბნებოდნენ.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ოჰ, მარია ალექსანდროვნა, ჩემო ბატონო, ხანდახან ხდება ხოლმე ასე...<sup>[P]
[SEP]</sup>

- რა ხდება ხოლმე ასე? თქვენ რა, გინდათ, ნერვები დამაგლიჯოთ?<sup>[P]
[SEP]</sup>

- იქნებ მართლა სიზმარში ნახეთ ყველაფერი, ჩემო ბატონო!<sup>[P]
[SEP]</sup>

- სიზმარში? სიზმარში? და თქვენ ბედავთ და ამას პირში მეუბნებით?<sup>[P]
[SEP]</sup>

- რას იზამთ, არაა გამორიცხული, შეიძლება ასეც მოხდა, - ჩაერთო ფელისიტა მიხაილოვნა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, დიახ, შეიძლება, ყველაფერი შეიძლება, - ჩაილულულა კნიაზმა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ესეც რომ ამას ამბობს! ღმერთო, მიშველე! - იყვირა მარია ალექსანდროვნა და ხელი ხელს შემოჰკრა.^[P]_[SEP]

- ასე რატომ წუხხართ, მარია ალექსანდროვნა! გაიხსენეთ, ჩემო ბატონო, სიზმარს ღმერთი გვიგზავნის. თუ ღმერთი ინებებს, ყველაფერი აღსრულდება. აქ არაფერია გასაბრაზებელი.^[P]_[SEP]

- დიახ, არაფერია გასაბრაზებელი, - კვერი დაუკრა კნიაზმა.^[P]_[SEP]

- თქვენ რა, მე გიჟი გგონივართ? - ძლივს ამოღერღა მარია ალექსანდროვნამ, რომელსაც ბრაზისაგან სუნთქვა შეეკრა. მან სასწრაფოდ მონახა სკამი და გულნასული დაეცა.^[P]_[SEP]

- მე მგონია, ზრდილობისათვის წაუვიდა გული, - გადაუჩურჩულა ნატალია დმიტრიევნამ ანა ნიკოლაევნას.^[P]_[SEP]

ამ დროს, როცა მომხდარი ამბით უკიდურესად გაოგნებული დამსწრე საზოგადოების დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, სცენაზე უცებ გამოჩნდა აქამდე წყნარად მყოფი პირი და ვითარება სასწრაფოდ შეიცვალა...^[P]_[SEP]

^[P]_[SEP]

თავი XIV... ^[P]_[SEP]

სხვათა შორის, ზინაიდა აფანასიევნა განსაკუთრებულად რომანტიკული ხასიათის პიროვნება გახლდათ. მარია ალექსანდროვნა ირწმუნებოდა, ზინას თავის მასწავლებელთან ერთად ის `რეგვენი შექსპირი~ სულ გადაბულბულეებული აქვსო. არ ვიცი, ამისი ბრალი იყო, თუ სხვა რამისა, მაგრამ მორდასოვოში ცხოვრების მანძილზე, ზინას არასოდეს გაუბედავს მსგავსი რომანული, ან,

უკეთესია თუ ვიტყვით, გმირული გამოხდომა, რის მოყოლასაც ახლა ვაპირებთ.<sup>[P]
[SEP]</sup>

გაფითრებული და რისხვისაგან საოცრად დამშვენებული ზინა, მღელვარებისაგან თითქმის კანკალებდა. სახეზე ეტყობოდა, რომ რალაც დიდი გადანყვეტილება მიიღო. ის შუა ოთახში გაჩერდა და ყველას გამომწვევად გადახედა. როგორც კი ოთახში ყველა გაისუსა, მან დედას მიმართა, რომელიც ზინას პირველ გადაადგილებისთანავე გონს მოვიდა და თვალი გაახილა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დედილო! - თქვა ზინამ, - გეყოფა ტყუილები! რა საჭიროა, კიდევ ახალი ტყუილებით უფრო მეტი ჩირქი მოვსცხოთ ჩვენს ოჯახს? ახლა ყველაფერი ისეა გასვრილი, არ ღირს დამამცირებელი ხლაფორთი, რომ რამენაირად დავფაროთ ეს ჭუჭყი!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ზინა, ზინა! რა მოგდის? გონს მოდი! - იყვირა შეშინებულმა მარია ალექსანდროვნამ და სავარძლიდან წამოხტა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დედილო, მე თქვენ წინასწარ გაგაფრთხილეთ, თავიდანვე გითხარით, რომ ვერ გადავიტანდი ამ სირცხვილს, - გააგრძელა ზინამ, - ნუთუ აუცილებელია, კიდევ უფრო მეტად შევირცხვინოთ თავი, კიდევ უფრო მეტად ჩავეფლოთ ტალახში? იცით რა, დედიკო, ყველაფერს ჩემს თავზე ავიღებ, რადგან ყველაზე დიდი დამნაშავე მე ვარ. ჩემი თანხმობით მივეცი გზა ამ საზიზღარ... ინტრიგას! თქვენ დედა ხართ, თქვენ გიყვართ თქვენი ასული, თქვენ თქვენებურად ფიქრობდით, თქვენებურად წარმოგედგინათ, როგორ მოაწყობდით ჩემს ბედნიერებას. თქვენი პატიება შეიძლება, ჩემი კი - არასოდეს!<sup>[P]
[SEP]</sup>

- ზინა, ნუთუ შენ ყველაფერის თქმას აპირებ? ღმერთო ჩემო! ვგრძნობდი, რომ ამ ხანჯლით შენ გამიპობდი გულს! [P][SEP]

- დიახ, დედილო, ყველაფერს ვიტყვი! მე თავლაფდასხმული ვარ, თქვენც... ჩვენ ყველანი ლაფში ვართ ამოსვრილები! [P][SEP]

- ამლაშებ, ზინა! ახლა შენ განრისხებული ხარ და არ იცი, რას ლაპარაკობ! რა საჭიროა ყველაფრის თქმა? აზრი არა აქვს... ჩვენ შერცხვენილები არ ვართ... მე ახლა დავამტკიცებ, ვინცაა სამარცხვინო ბოძზე გასაკრავი... [P][SEP]

- არა, დედილო, - იყვირა ზინამ სიბრაზისაგან ათრთოლებული ხმით, - აღარ მინდა ვდუმდე ისეთი ადამიანების წინაშე, რომელთა აზრიც ფეხებზე მკიდია, რომლებიც აქ იმიტომ მოვიდნენ, რომ დაგვცინონ. არ მსურს, მათგან წყენა ვყლაპო. არც ერთ მათგანს არ აქვს უფლება, ტალახში ამომსვაროს. ესენი, ყველა ახლავე მზად არიან, ათასჯერ უფრო უარესი რამ ჩაიდინონ, ვიდრე მე და თქვენ ჩავიდინეთ! ესენი ჩვენი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირან. რომელი ერთი გაბედავს, ჩვენი მსაჯული გახდეს? [P][SEP]

- ამას დამიხედეთ! როგორ აჭიკჭიკდა! რას ჰგავს ეს! ჩვენ შეურაცხგვყოფენ! - გაისმა ყოველი მხრიდან. [P][SEP]

- თვითონაც აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს, ბატონებო, - ჩაილაპარაკა ნატალია დმიტრიევნამ. [P][SEP]

ჩვენში დარჩეს, ნატალია დმიტრიევნა არ ცდებოდა. მართლაც, თუკი ზინა არც ერთ იქ დამსწრე ქალბატონს ღირსად არ თვლიდა, რომ დედა-შვილის მსაჯული ყოფილიყო, მაშ, რა საჭირო იყო მათ

ნინამე ასეთი აღიარებით გამოსვლა? ისე კი, ზინამ მეტისმეტად იჩქარაო - მოგვიანებით ასე სჭიდნენ მორდასოვოელი ჭკუისკოლოფები, - ყველაფრის გამოსწორება შეიძლებოდა, ყველაფერი მოგვარდებოდაო! ისიც მართალია, რომ ამ სალამოს მარია ალექსანდროვნამაც აჩქარებითა და ქედმაღლობით ავნო თავის თავს. საკმარისი იქნებოდა, იდიოტი ბებერი მასხარად აეგდო და სახლიდან გაეძევებინა! მაგრამ ზინამ, სალი აზრისა და მორდასოვული სიბრძნის საპირისპიროდ, თითქოს განგებ, კნიაზს მიმართა.^[P SEP]

- კნიაზო, - უთხრა ზინამ მოხუცს, რომელიც ისე მოიხიბლა ქალიშვილით, პატივისცემის ნიშნად ფეხზეც კი წამოდგა, - კნიაზო! მომიტევეთ მე, გვაპატიეთ ჩვენ! ჩვენ მოგატყუეთ, ჩვენ თქვენი შეცდენა გვინდოდა...^[P SEP]

- გაჩუმდი, ხმა-კრინტი არ გაიღო, შე უბედურო, შენა! - აკივლდა გაცოფებული მარია ალექსანდროვნა.^[P SEP]

- ქალბატონო! ქალბატონო! *ma charmante enfant...* - ლულ-ლულეებდა შეცბუნებული მოხუცი.^[P SEP]

მაგრამ ზინას ამაყმა, ფიცხმა და უალრესად მეოცნებე ხასიათმა ამ ნუთებში ქცევის ყველა ნორმის ზღვარი გადალახა. მას დედამისიც კი გადაავიწყდა, რომელსაც მისი აღსარებისაგან კრუნჩხვები დაეწყო.^[P SEP]

- დიახ, ჩვენ ორივემ მოგატყუეთ, კნიაზო. დედას უნდოდა, რომ იძულებული გაეხადეთ, შეგერთეთ ცოლად, მე კი დავთანხმდი. თქვენ დაგათვრეს, მე გიმღეროდით და გვეკვლუცებოდით. თქვენ, სუსტი და

დაუცველი - გაგაცურეთ, როგორც ეს პაველ ალექსანდროვიჩმა აღნიშნა, გაგაცურეთ, თქვენი სიმდიდრის გამო, თქვენი კნიაზობის გამო. ყველაფერი ეს უსინდისობა იყო, მე ვნანობ ამას. მაგრამ გეფიცებით, კნიაზო, ეს უპატიოსნო საქციელი ქვენა გრძნობების გამო არ ჩამიდენია. მე მინდოდა... რა დროს ამაზე ლაპარაკია! ახლა ორმაგი ზნედაცემულობა იქნება, თავის მართლება რომ დავიწყო! მაგრამ გიცხადებთ, კნიაზო, თუ თქვენგან რამეს ავიღებდი, მაშინ მე თქვენი სათამაშო გავხდებოდი, თქვენი მოახლე, თქვენი ჯამბაზი, მონად დაგიდგებოდი... მე დავიფიცე და ჩემს ფიცს აუცილებლად შევასრულებდი!..^[P SEP]

ზინა ერთი წუთით ყელის ძლიერმა სპაზმამ შეაჩერა. გაქვავებული სტუმრები გაოგნებულები უსმენდნენ. ამ მოულოდნელმა და გაუგებარმა გამოხდომამ დააბნია ისინი. მხოლოდ კნიაზი იყო გულაჩუყებული, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარიც ვერ გაიგო, რა თქვა ზინამ.^[P SEP]

- მე თქვენ შეგიერთავთ, **ma belle enfant**, თუ თქვენ ასე ძალიან გინდათ, - ბურტყუნებდა კნიაზი, - ჩემთვის ეს დიდი პატივია! მაგრამ გარწმუნებთ, ეს მართლა სიზმარით იყო... რას არ ნახავს კაცი სიზმარში? განა ღირს ამის გამო ასე ა-ლელ-ვე-ბა? მაინც ვერაფერი გავიგე, **mon ami**, - გააგრძელა მან და მოზგლიაკოვს მიუბრუნდა, - შენ მაინც ამიხსენი, გე-თაყ-ვა..^[P SEP]

- თქვენ კი, პაველ ალექსანდროვიჩ, - ზინამაც მოზგლიაკოვს მიმართა, - თქვენ ერთხანობას ჩემს მომავალ ქმრად გთვლიდით,

თქვენ ახლა სასტიკად იძიეთ შური, ნუთუ თქვენც ამით მარაქაში გაერიეთ, ჩემს სატანჯველად და თავის მოსაჭრელად? თქვენ ხომ მიმტკიცებდით, მიყვარხარო! თუმცა მე არ უნდა გასწავლიდეთ ჭკუას! მე ყველაზე დიდი დამნაშავე ვარ. მე თქვენ შეურაცხგყავით, რადგან მართლაც, იმედს გაძლევდით დაპირებებით და ჩემი ამასწინანდელი მტკიცებულებები სიცრუე და თვალთმაქცობა იყო! მე თქვენ არასოდეს მყვარებიხართ და თუ ვაპირებდი თქვენს ცოლობას, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ როდისმე აქაურობას გავცლოდი, მოვშორებოდი ამ დანყვევლილ ქალაქსა და აქ დაბუდებულ სიბინძურეს. მაგრამ გეფიცებით, თუ ცოლად გამოგყვებოდით, სათნო და ერთგული მეუღლე ვიქნებოდი... იცოდეთ, თქვენ მე სასტიკად გადამიხადეთ, თუკი თქვენს თავმოყვარეობას ეს აამებს...^[P SEP]

- ზინაიდა აფანასიევნა!!! - იყვირა მოზგლიაკოვმა.^[P SEP]

- თუკი თქვენ აქამდე ჩემდამი ზიზღსა გრძნობთ...^[P SEP]

- ზინაიდა აფანასიევნა!!^[P SEP]

- თუკი ოდესმე, - გააგრძელა ზინამ, რომელიც ცრემლებს ვერ იკავებდა, - თუკი ოდესმე გიყვარდით...^[P SEP]

- ზინაიდა აფანასიევნა!!!^[P SEP]

- ზინა, ზინა! შვილო! - კიოდა მარია ალექსანდროვნა.^[P SEP]

- ნაძირალა ვარ, ზინაიდა აფანასიევნა, სალახანა და მეტი არაფერი! - დაბეჭითებით თქვა მოზგლიაკოვმა და ყველაფერი აირდაირია. ატყდა ჩოჩქოლი, გაისმა გაკვირვებული და უკმაყოფილო შეძახილები. მოზგლიაკოვი გაქვავებული იდგა, გაოგნებული და

მუდმივად ვიღაცის მორჩილებაში მყოფი სუსტი და თავქარიანი კაცი ბოლოს და ბოლოს რომც გაცხარდეს და პროტესტის თქმა დააპიროს, მოკლედდრომ ვთქვათ, სიმტკიცე და თანმიმდევრულობა გამოიჩინოს - მისი სიმტკიცე და თანმიმდევრულობა ხანმოკლე აღმოჩნდება ხოლმე. თავდაპირველად იგი პროტესტს ენერგიულად გამოხატავს. მისი ენერგია დასაწყისში გააფთრებამდე მიდის. ის დაბრკოლებას თვალდახუჭული ეხეთქება და თითქმის ყოველთვის ისეთ ტვირთს იკიდებს მხრებზე, რისი ზიდვაც არ ხელენიფება. როცა გარკვეულ ზღვარს მიუახლოვდება, ეს გამმაგებული კაცი შედგება, საკუთარი თავის შეეშინდება და აღმოხდება: `ეს რა ჩავიდინეო?~ შემდეგ უცებ მოეშვება, ანუნუნდება, ახსნა-განმარტებას მოითხოვს, მუხლებზე დაემხოება, პატიებას ითხოვს და იხვეწება, რომ ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც ადრე იყო, ოღონდ სასწრაფოდ, რაც შეიძლება ჩქარა! ზუსტად ასე დაემართა ახლა მოზგლიაკოვსაც, ჯერ გააფთრდა, თავი გაიგიჟა და ერთი უბედურება დაატრიალა, შემდეგ კი ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალა. როცა გულისწყრომით გული იჭერა და ბინას მოულოდნელი გამოხდომის მერმე თავმოყვარეობაც დაიკმაყოფილა, უცებ შეჩერდა, სინდისის ქენჯნა დაეწყო. ბინას უკანასკნელმა სიტყვებმა კი საბოლოოდ გაანადგურა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლას სულ ერთი ნუთი დასჭირდა. [P]
[SEP]

- მე ვირი ვარ, ბინაიდა აფანასიევნა, სახედარი! - გახელებული ღრიალებდა, მონანიების სურვილით შეპყრობილი, - არა, ვირი კი

არა! ვირს რა უძავს! ვირზე უარესი! მაგრამ დაგიმტკიცებთ, ზინაიდა აფანასიევნა, მე დაგიმტკიცებთ, რომ ვირიც შეიძლება იყოს კეთილშობილი ადამიანი! ბიძია! მე თქვენ შეგაცდინეთ! მე, მე თქვენ მოგატყუეთ! თქვენ არ გძინებიათ; თქვენ სინამდვილეში, ცხადში სთხოვეთ ხელი ზინაიდა აფანასიევნას. მე კი, მე არამზადა ვარ, რადგან უარი მითხრეს, შურისძიების მიზნით დაგარწმუნეთ, რომ ეს ყველაფერი გესიზმრათ.^[P]^[SEP]

- ეს რა საოცარი ამბები გვესმის, ბატონებო, - ანა ნიკოლაევნას ყურთან ჩაისისინა ნატალია დმიტრიევნამ.^[P]^[SEP]

- ჩემო მეგობარო, - უპასუხა კნიაზმა, - დამ-შვიდ-დი, გე-თაყ-ვა; გული გამისკდა, რამხელას ყვი-რი. გარწმუნებ, შენ ცდებ-ბი... მე მზადა ვარ ცოლად მოვიყვანო, თუ ეს ასეა საჭირო, მაგრამ შენ თავად არ მარწმუნებდი, რომ ყველაფერი სიზმარში მოხდაო...^[P]^[SEP]

- ვაიმე, რა ვქნა, როგორ დაგარწმუნოთ! მასწავლეთ, ხალხო, როგორ დავაჭერო! ახლა ის! ბიძია, ძია! ეს ხომ მნიშვნელოვანი რამაა, მნიშვნელოვანი საგვარეულო საქმე! გონება მოიკრიბეთ, იფიქრეთ!^[P]^[SEP]

- კეთილი, ჩემო მეგობარო, ვიფიქრებ. მადროვე ცოტა ხანს და აღვიდგენ ყველაფერს თანმიმდევრობით. ჭერ ვნახე მეეტლე ფე-ო-ფი-ლი...^[P]^[SEP]

- ეჰ! რა დროს ფეოფილია, ბიძია!^[P]^[SEP]

- კეთილი, დავუშვათ ახლა იმის დრო არ ა-რის. შემდეგ იყო ნა-პო-ლე-ო-ნი, ხოლო შემდეგ ვითომ ჩაის ვსვამდით და ვიღაც ქალბატონი

მოვიდა და მთელი შაქარი შეგვიჭამა...^[P SEP]

- მოიცათ, ძია, ეს ხომ მარია ალექსანდროვნამ გითხრათ ნატალია დმიტრიევნას შესახებ. მე აქ ვიყავი და ჩემი ყურით მოვისმინე! კარს უკან ვიმალებოდი და ჭუჭრუტანიდან გისმენდით... - ნამორღმა გონებადაბნელებულმა მოზგლიაკოვმა.^[P SEP]

- რაო, რაო, რა თქვა მარია ალექსანდროვნამო, - აყვირდა ნატალია დმიტრიევნა, - თქვენ რა, კნიაზსაც მოუყევით, ქალბატონო, თითქოს საშაქრიდან შაქარი მოგპარეთ! მე რა, თქვენთან შაქრის საპარავად დავდივარ, ბატონო?!^[P SEP]

- მომწყდი თავიდან! - იკივლა სასონარკვეთამდე მისულმა მარია ალექსანდროვნამ.^[P SEP]

- არსადაც არ ნავალ, მარია ალექსანდროვნა, როგორ ბედავთ, ქალბატონო, ჩემზე ასეთ ლაპარაკს, ესე იგი მე თქვენ შაქარს გპარავთ? უკვე კარგა ხანია მესმის, რომ თქვენ ჩემზე ასეთ ჭორებს ავრცელებთ, ქალბატონო. სოფია პეტროვნამ დანვრილებით მიაბო... მე თქვენ შაქარს გპარავთ?^[P SEP]

- მაგრამ mesdames, - იყვირა კნიაზმა, - ეს ხომ სიზმარში ვნახე! რას არ ნახავს კაცი სიზმარში.^[P SEP]

- წყეული კრუხის პალო! - ხმადაბლა ჩაილაპარაკა მარია ალექსანდროვნამ.^[P SEP]

- ახლა კრუხის პალოც გავხდი, ბატონებო! - იკივლა ნატალია დმიტრიევნამ, - თავად თქვენ ვინა გდიხართ? დიდი ხანია ვიცი, კრუხის პალოს რომ მეძახით! მე, ყოველ შემთხვევაში, ჭკვიანი ქმარი მაინც

მყავს, თქვენს რეგვენ ქმარს კი არ ჰგავს...^[P]^[SEP]

- დიახ, კარგად მახსოვს, კრუხის პალოც მახსოვს, - უაზროდ ჩაიბურტყუნა კნიაზმა, რომელსაც გაახსენდა მარია ალექსანდროვნას ამასწინანდელი ნალაპარაკევი.^[P]^[SEP]

- აჰა, თქვენც ამას იმეორებთ, ბატონო, აზნაურიშვილს მლანძღავთ? როგორ ბედავთ, კნიაზო, აზნაურიშვილის ლანძღვას! მე თუ კრუხის პალო ვარ, თქვენ ჩოლახი ბრძანდებით...^[P]^[SEP]

- ეს ვინ, მე ვარ ჩოლახი? ^[P]^[SEP]

- დიახაც თქვენ, თანაც უკბილო, აი, ვინ ბრძანდებით, ბატონო!^[P]^[SEP]

- კიდევ ბრუციანი! - იყვირა მარია ალექსანდროვნამ.^[P]^[SEP]

- ნეკნების მაგივრად კორსეტი გაქვთ, ბატონო! - დაუმატა ნატალია დმიტრიევნამ.^[P]^[SEP]

- სახეს გამბარებით იჭიმავეთ.^[P]^[SEP]

- ქაჩალი და პოსლიკა ხართ, ბატონო ჩემო!^[P]^[SEP]

- უღვაშიც კი ხელოვნური აქვს დანებებული ამ გამოთაყვანებულს! - დაუდასტურა მარია ალექსანდროვნამ.^[P]^[SEP]

- ცხვირი მაინც დამიტოვეთ ჩემი, მარია სტეჰანოვნა, ცხვირი ჩემია! - აყვირდა ეგზომ უეცარი გულახდილობით გაოგნებული კნიაზი, - ჩემო მეგობარო, ეს შენ გამყიდე! შენ მოუყევი ამათ ჩემი თმების შე-სახებ...^[P]^[SEP]

- ბიძია!^[P]^[SEP]

- არა, ჩემო მეგობარო, მე აქ ველარ გავჩერდები, წამიყვანე აქედან სადმე. **quelle societe!** ეს სად მომიყვანე, ღმერთო მიშველე!^[P]^[SEP]

- იდიოტო! ნაძირალავ! - კიოდა მარია ალექსანდროვნა.<sup>[P]
[SEP]</sup>

- ღმერთო ჩემო! - აღმოხდა სანყალ მოხუცს, - მე მგონი, და-მა-ვინ-
ყდა, აქ რატომ ჩამოვედი, მოიცა, გა-ვიხ-სე-ნო! აქაურობას მომაშორე,
ჩემო ძმაო, აქე-დან სადმე წამიყვანე, თორემ ესენი გადამყლაპავენ!
გარდა ამისა... სას-წრა-ფოდ ერთი ახალი აზრი უნდა ჩავინერო...<sup>[P]
[SEP]</sup>

- წავიდეთ, ბიძია, ჯერ არ არის გვიან; ახლავე სასტუმროში
გადაგიყვანთ და მეც იქ დავრჩები.<sup>[P]
[SEP]</sup>

- დიახ, სასტუმროში. **Adieu, ma charmante enfant...** აქ მხოლოდ
თქვენ ხართ სათნო ადამიანი. თქვენ კეთილშობილი ქალიშვილი
ბრძანდებით! წავიდეთ რა, ჩემო ძვირფასო, ღმერთო, მიშველე!<sup>[P]
[SEP]</sup>

აქ აღარ შევუდგები იმ არასასიამოვნო სცენის აღწერას, რაც
კნიაზის წასვლის შემდეგ მოხდა. სტუმრები წივილ-კივილითა და
ლანძღვა-გინებით წავიდ-წამოვიდნენ. მარია ალექსანდროვნა,
ბოლოს და ბოლოს, მარტო დარჩა, ძველი დიდების ნანგრევებზე.
აფსუს! ამ საღამომ მთელი მისი ძლევამოსილება, დიდება და
დანიშნულება გააცამტვერა, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მარია
ალექსანდროვნამ იცოდა, რომ ანი ფეხზე დადგომას ვეღარ
შეძლებდა. საზოგადოებაზე მისი ხანგრძლივი, მრავალწლიანი
დესპოტიზმი ხუხულასავით დაინგრა. რაღა დარჩენოდა? -
ფილოსოფოსა? მაგრამ ის არ აპირებდა ფილოსოფოსობას. მთელი
ღამე გულზე ცეცხლი ეკიდა. ზინა სახელგატეხილია! ანი მთელი
ქალაქი მასზე იჭორავებს! საშინელებაა!<sup>[P]
[SEP]</sup>

როგორც ერთგულმა ისტორიკოსმა, უნდა შეგახსენოთ, რომ ამ

დავიდარაბის შემდეგ ყველაზე მეტად აფანასი მატვეიჩი დაისაჯა, რომელიც სადღაც საკუჭნაოში შეძვრა და დილაამდე იქ იყინებოდა. როგორც იქნა, გათენდა, მაგრამ არც ამას მოუტანია კარგი არაფერი. მოგეხსენებათ, უბედურებამ შემოჩვევა იცისო...^[P]_[SEP]

^[P]_[SEP]

თავი XV ^[P]_[SEP]

ბედისწერა კაცს ერთხელ რომ დაატეხს უბედურებას, მის დარტყმებს ბოლო აღარ უჩანს ხოლმე. ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიენევაო. მარია ალექსანდროვნას ღმერთმა გუშინდელი შერცხვენა და თავისმოჭრა არ აკმარა. განგება მას უფრო უარესს, უფრო დიდ განსაცდელს უმზადებდა.^[P]_[SEP]

ჯერ კიდევ დილის ათი საათისათვის მთელ ქალაქს მოედო ერთი უცნაური და დაუჭერებელი ჭორი, რომელსაც ყველა განსაკუთრებული ღვარძლიანი სიხარულით შეხვდა, - სწორედ ისე, როგორც ჩვეულებრივ ყველა ვხვდებით ხოლმე სხვის თავს გადახდენილ განსაკუთრებულ სკანდალს. `განა შეიძლება ადამიანი ასეთ დონემდე მივიდეს, ასე დაკარგოს სინდის-ნამუსი, ასე აიშვას თავი და უარყოს ყველა ადათი და წესი!~ - გაჰკიოდნენ ყოველი მხრიდან. საქმე კი შემდეგში იყო. დილაადრიან, ასე შვიდი საათი იქნებოდა დაწყებული, ერთი გაჭირვებული, ბეჩავი, მოხუცებული დედაკაცი, სასონარკვეთილი და აცრემლებული მოვარდა მარია ალექსანდროვნას სახლში და იხვეწებოდა, დიასახლისის ქალიშვილი გაეღვიძებინათ, ოღონდ ისე, რომ მარია ალექსანდროვნას არაფერი

გაეგო. ფერდაკარგული და განამებული ზინა იმ წამსვე გამოვიდა დედაბერთან. აცრემლებული მოხუცი ზინას ფეხებში ჩაუვარდა, ფეხები დაუკოცნა და ემუდარებოდა, სასწრაფოდ გაჰყოლოდა შინ ავადმყოფ შვილთან, რომელიც ნუხელ მთელი ღამე ისე ცუდად ყოფილიყო, შეიძლებოდა ერთ დღესაც ვეღარ ეცოცხლა. აქვითინებულმა დედაბერმა ზინას უთხრა, რომ ვასია აფიცებდა ყველა წმიდა ანგელოზს, ყველაფერს, რაც ადრე მათ შორის იყო და სიკვდილის წინ გამოსათხოვებლად უხმობდა. თუ იგი არ მივიდოდა, მაშინ ვასია უსასოოდ მოკვდებოდა. ზინამ მაშინვე გადაწყვიტა ვასიასთან წასვლა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მონახულება აშკარად დაადასტურებდა ადრინდელ ბოროტ ჭორებს - ვიდაცების მიერ ვასიას წერილის ხელში ჩაგდების, ზინას სკანდალური საქციელისა და სხვა რამის შესახებ. მან სალოფი¹ ჩაიკვა და, მარია ალექსანდროვნას გაუფრთხილებლად, დედაბერს გაჰყვა. მთელი ქალაქის გავლის შემდეგ, ისინი მორდასოვოს ერთ-ერთ უღარიბეს უბანში ერთ ძველთაძველ, პირდაპირ მინაზე მდგარ, გვერდზე გადაქანებულ ქოხს მიადგნენ, რომელსაც ფანჯრების მაგივრად რაღაცნაირი სანათურები ჰქონდა და ყველა მხრიდან თოვლის ნამქერში იყო ჩაფლული. ამ ქოხში ვასია და დედამისი ცხოვრობდნენ.^[P SEP]

ქოხის პატარა, დაბალჭერიან, აქოთებულ ოთახში მთელი სივრცის ნახევარი ღუმელს ეკავა. ფიცრულ სანოლზე, ბლინივით სიფრიფანა ლეიბზე იწვა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც საბნის მაგივრად ძველი მაზარა ეფარა. ფერწასულ გატანჯულ სახეზე თვალები ავადმყოფურად

უელავდა, გაძვალტყავებული და გამხმარი ხელები ჯოხებივით ელავა. მძიმედ, ხროტინით სუნთქავდა. ამკარად ეტყობოდა, რომ ოდესღაც ლამაზი კაცი იქნებოდა, მაგრამ ავადმყოფობას მისი სახის დახვეწილი ნაკვთები ისე დაედრიჭა, რომ შემზარავი სანახავი იყო, როგორც ყველა ჭლექიანი, უფრო სწორად, მომაკვდავი ადამიანი. ვასიას მოხუცი დედა მთელი წელი, ლამის უკანასკნელ საათამდე ელოდა შვილის გამოჯანმრთელებას, ამჯერად, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ მის შვილს დიდი დღე აღარ ეწერა. ახლა მის სანოლთან ხელებდაკრეფილი, დამწუხრებული, ცრემლგამშრალი იდგა და ვერ ძღებოდა თავისი ერთას ყურებით. თუმცა კარგად იცოდა, მაგრამ არაფრით უნდოდა დაეჭერებინა, რომ მალე მის თვალისჩინს, ვასიას, ღარიბების სასაფლაოზე ნამქერის ქვეშ გაყინული შავი მინა დაფარავდა. ამ წუთებში ვასია დედას არ უყურებდა. მის გაკნაჭულ და განანამებ სახეს ნეტარება ეფინა. როგორც იქნა, ხედავდა მას, ვინც წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ავადმყოფობის ხანგრძლივ და უსასრულო ღამეებში, ცხადშიც და სიზმარშიც ელანდებოდა. იგი მიხვდა, რომ ქალმა აპატია, რადგან სიკვდილის წინ უფლის ანგელოზივით გამოეცხადა. თვალცრემლიან ზინას მისი ხელები ხელებში მოექცია და გაღიმებული უყურებდა და უყურებდა თავისი მშვენიერი თვალებით, - ყველაფერმა ადრინდელმა და დაუბრუნებელმა გაიღვიძა მომაკვდავის სულში. სიცოცხლე კვლავ აინთო მის გულში, თითქოს წასვლისას უნდოდა, ეგრძნობინებინა ტანჯულისათვის, რა ძნელი იყო მასთან განშორება.^[P. 56]

- ზინა, - თქვა მან, - ზინოჩკა! ნუ ტირი, ნუ დარდობ, შეიმშრალე ცრემლები და ნულარ მაგრძნობინებ, რომ ვკვდები. მე კი დავტკბები შენი ცქერით, გიყურებ და გიყურებ, და კვლავ ვიგრძნობ, რომ ჩვენი სულები ერთად არიან, რომ შენ მაპატიე, ადრინდელივით კვლავ ვემთხვევი შენს ხელებს და ისე მოვკვდები, შეიძლება ვერაფერიც ვერ გავიგო! როგორ გამხდარხარ, ზინოჩკა! ჩემო ანგელოზო, როგორი კეთილი მზერა გაქვს! გახსოვს, ადრე როგორ იცინოდი? გახსოვს... ეჰ, ზინა, მე არ გთხოვ პატიებას, არც იმის გახსენება მინდა, რაც მოხდა, რადგან შენ იქნებ მაპატიე კიდევ, მაგრამ მე ჩემს თავს არასოდეს ვაპატიებ. ზინა, ბევრი გრძელი, უძილო და საშინელი ღამე გამითენებია და ამ ღამეებში სანოლს მიჭაჭვული ვფიქრობდი, დიდხანს, ბევრს ვფიქრობდი და გადავწყვიტე, რომ სჯობს მოვკვდე, ღმერთმანი, ასე აჯობებს! მე სიცოცხლის ღირსი არ ვარ, ზინოჩკა! ^[P]_[SEP]

ზინა ხმაამოუღებლად ტიროდა და ავადმყოფს ხელს უჭერდა, თითქოს ამით უნდოდა მისი გაჩერება. ^[P]_[SEP]

- რატომ ტირი, ჩემო ანგელოზო? - გააგრძელა სნეულმა, - რომ ვკვდები, მხოლოდ იმიტომ? მაგრამ ყველაფერი სხვა ხომ დიდი ხანია მოკვდა, დიდი ხანია, დავმარხეთ! შენ ხომ ჩემზე ჭკვიანი ხარ, ჩემზე სუფთა გული გაქვს, ამიტომ დიდი ხანია, იცი, რომ უვარგისი კაცი ვარ. ნუთუ შენ ძალგიძს კვლავ გიყვარდე? ო, რა ძნელი იყო ჩემთვის იმის გადატანა, რომ შენ იცოდი, როგორი უვარგისი და ფუჭი ადამიანიც ვიყავი! ეს ხომ თავმოყვარეობის ბრალი იყო, შესაძლოა, კეთილშობილი თავმოყვარეობისა... არ ვიცი! ეჰ, ჩემო მეგობარო,

მთელი ცხოვრება ოცნებაში გავიდა. მე სულ ოცნებებში დავფრინავდი, კი არ ვცხოვრობდი, სულ ვოცნებობდი, თავი დიდ ვინმედ მიმაჩნდა, ბრბოს ზემოდან გადმოვცქეროდი, მაგრამ მქონდა კი რამე საამაყო? კთავადაც არ ვიცი. იქნებ სუფთა გული და კეთილშობილი გრძნობები? მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ოცნებებში იყო, ზინა, როდესაც შექსპირს ვკითხულობდით. მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, შენც კარგად მოგეხსენება, რა წმინდანი და კეთილშობილი აღმოვჩნდი... [SEP]

- კმარა, - თქვა ზინამ, - გეყოფა!.. ეს ასე არ არის, ტყუილუბრალოდ... თავს ინვალებ! [SEP]

- რატომ მაჩერებ, ზინა! ვიცი, რომ მაპატიე, შესაძლოა, დიდი ხანია, მაპატიე, მაგრამ შენ უკვე განმიკითხე და კარგად იცი, ვინცა ვარ. სწორედ ესაა, რომ მკლავს. არ ვარ შენი სიყვარულის ღირსი, ზინა! შენ პატიოსანი და დიდსულოვანი ადამიანი ხარ. შენ დედაშენს უთხარი, რომ მართლ მე გამომყვებოდი ცოლად და სხვას არავის, ამ სიტყვას შეასრულებდი კიდევ, რადგან შენთვის სიტყვა და საქმე ერთია. მე კი, მე რა გავაკეთე, როცა საქმე საქმეზე მიდგა?! იცი, ზინა, მაშინ არც მესმოდა, რამხელა მსხვერპლის გაღებას აპირებდი, თუ ცოლად გამომყვებოდი! იმის გაგებაშიც არ ვიყავი, როცა ჩემი ცოლი გახდებოდი, შეიძლებოდა შიმშილით მომკვდარიყავი. არა, აზრადაც არ მომსვლია! მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ შენ ცოლად გამომყვებოდი მე, დიდ პოეტს (ცხა-დია, მომავალში). არად ვაგდებდი იმ მიზეზებს, რომელთა გამოც მთხოვდი, ცოტა მოგვეცადა და გადაგვედო ქორწინება, გტანჯავდი, განამებდი, გსაყვედურობდი,

ანგარიშს არ გინევდი, დაბოლოს, დაგემუქრე კიდევ იმ წერილით. იმ წუთებში ნაძირალა კი არა, არაკაცი, ყოვლად უვარგისი ადამიანი ვიყავი! ვაი, ალბათ როგორ გძულდი მაშინ! არა, კარგია, რომ ვკვდები! კარგია, ცოლად რომ არ გამომყევი! შენ მიერ გაღებული მსხვერპლი მე ვერაფერს მიმახვედრებდა, ჩვენი სიღარიბით გაგანამებდი და სისხლს გაგიშრობდი; გავიდოდა წლები და შესაძლოა, შენ, როგორც ჩემი ცხოვრების ხელისშემშლელი, შემძულეობდი კიდევ. ახლა კი ასე სჭობს! ახლა ჩემმა მწარე ცრემლებმა გამინმინდეს გული. ეეჰ, ბინა! როგორ მინდა, ახლა ცოტა ხნით ისევე გიყვარდე, როგორც ადრე გიყვარდი! თუნდაც ამ აღსასრულის ჟამს... მე ვიცი, არ ვარ შენი სიყვარულის ღირსი, მაგრამ... მაგრამ... ეჰ, ჩემო ანგელოზო!

ვასიას მონოლოგის განმავლობაში ბინა ქვითინებდა, რამდენჯერმე სცადა ავადმყოფის შეჩერება, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია; ვაჟს რაღაცის გამოთქმის სურვილი სტანჯავდა, ხმაჩახლეჩილი გაჭირვებით ლაპარაკობდა, სუნთქვა ეკვროდა და ხროტინებდა.

- ნეტავ არ გაგეცანი და არ შეგყვარებოდი, კიდევ დიდხანს იცოცხლებდი! - თქვა ბინამ, - ვაი, რატომ შეგვახვედრა ღმერთმა ერთმანეთს!

- ნუ, ნუ, ჩემო მეგობარო, ნუ დაიტანჯავ თავს, მე რომ ვკვდები, - გააგრძელა მომაკვდავმა, - ყველაფერში მე ვარ დამნაშავე! ყველაფერი ჩემი თავმოყვარეობის ბრალია, ჩემი რომანტიკოსობისა! ბინა, დანვრილებით გიამბეს თუ არა ჩემი სისულელის ამბავი? ამ სამი

ნლის წინათ აქ ერთი სიკვდილმისტილი პატიმარი ჰყავდათ, ბოროტმოქმედი და ავაზაკი; როცა დასჯის დრო დადგა, ძალიან შეეშინდა. იცოდა, რომ კანონით, ავადმყოფს, ვიდრე არ გაჰკურნავენ, სიკვდილით არ სჯიან. მან ღვინოში თამბაქო შეურია და ეს ნაყენი დალია. ისეთი ღებინება დაეწყო, სისხლს ანთხევდა. რწყევა იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ფილტვები დაუზიანდა. პატიმარი საავადმყოფოში გადაიყვანეს და რამდენიმე თვის შემდეგ ჭლექით გარდაიცვალა. ეს ამბავი, ჩემო ანგელოზო, სწორედ იმ დღეს გამახსენდა... იმ ბარათის მონერის შემდეგ... ჰოდა, გადავწყვიტე, ამგვარად მომეკლა თავი. როგორ ფიქრობ, რატომ ავირჩიე ჭლექი? რატომ თავი არ ჩამოვიხრჩვე ან რატომ წყალში არ გადავხტი? ჩქარი სიკვდილის შემეშინდა? შეიძლება ასეც იყო - მაგრამ მეჩვენება, ზინოჩკა, რომ ესეც ტკბილი რომანტიკული სისულელეების გამოისობით მოხდა! მაშინ ვფიქრობდი: რა მშვენიერი სანახაობა იქნება, მე ვინვები ლოგინში ჭლექით მომაკვდავი, ის კი დაიტანჯება, თავს დაიდანაშაულებს, რომ ჭლექით დამაავადა; საკუთარი ფეხით მოვა ჩემთან ცოდვების მოსანანიებლად, ჩემს სანოლთან მუხლებზე დაემხობა, მე კი შევუნდობ და სული მის ხელში ამომხდება-მეთქი... რა სისულელეა, არა, ზინა, როგორი სისულელე, ხომ მართალი ვარ?^[SEP]

- ნუ, ნუ იხსენებ ამას! - თქვა ზინამ, - ნულარ ილაპარაკებ ამაზე! შენ არ ხარ ასეთი... მოდი, სხვა რამე მოვიგონოთ, კარგი და ბედნიერი დღეები!^[SEP]

- ძალიან გამწარებული ვარ, ჩემო მეგობარო, და ამიტომ

ვლავარაკობ ასე. ნახევარი წელია, არ მინახიხარ! მთელი გული და სული მინდა გადაგიშალო! ამ ხნის განმავლობაში სულ მარტოდმარტო ვიყავი და მგონია, წუთიც არ ყოფილა, შენზე არ მეფიქრა, ჩემო ანგელოზო და თვალისჩინო! იცი რა, ბინა? ძალიან მინდა, ისეთი რამ გავაკეთო, რომ ჩემზე აბრი შეგაცვლევინო. ბოლო დრომდე არ მჭეროდა, რომ ვკვდებოდი; მე ხომ ახლა და მოულოდნელად არ გავმხდარვარ ცუდად, დიდი ხანია, დაავადებული ფილტვებით დავდივარ. რამდენი სასაცილო ვარაუდი მქონდა! ვოცნებობდი, დიდი პოეტი გავმხდარიყავი, ისეთი პოემა დამეწერა, როგორიც ამქვეყნად ჯერ არავის დაუწერია და ყველაზე ცნობილ ჟურნალში გამომექვეყნებინა. მინდოდა, ამ პოემაში მთელი ჩემი გრძნობები გადმომეღვარა, გული და სული გადამიშალა, რომ შენთვის, სადაც უნდა ყოფილიყავი, ჩემი ლექსებით გამუდმებით შემეხსენებინა თავი. ყველაზე დიდი ოცნება ის მქონდა, რომ შენ, ბოლოს და ბოლოს, ჩაფიქრდებოდი და იტყოდი: `ის არც ისე ცუდი ადამიანი ყოფილა, როგორც მე მეგონაო!~ სისულელეა ყველაფერი ეს, ბინოჩკა, სისულელე, ხომ ასეა?`^{[P]_[SEP]}

- არა, არა, ვასია, არა! - ამბობდა ბინა.^{[P]_[SEP]}

ბინა ავადმყოფის მკერდზე დაემხო და ხელებს უკოცნიდა.^{[P]_[SEP]}

- რომ იცოდე, როგორ ვეჭვიანობდი მთელი ამ ხნის განმავლობაში! მეგონა, მოვკვდებოდი, შენი გათხოვების ამბავი რომ გამეგო! ამას (ვასიამ დედაზე მიუთითა) გაუთავებლად შენთან ვაგზავნიდი, გდარაჯობდა და გითვალთვალებდა. შენ ხომ არ გიყვარს

მოზგლიაკოვი, ხომ მართალი ვარ, ზინა? ო, ჩემო ანგელოზო! გაგახსენდები კი ჩემი სიკვდილის შემდეგ? ვიცი, გამიხსენებ: მაგრამ გავა წლები, გული გაცივდება, სულში ზამთარი დაიბუდებს და დამივიწყებ, ზინოჩკა!^[P SEP]

- არა, არა, არასოდეს! მე არ გავთხოვდები! შენ ხარ ჩემი პირველი... და სამარადჟამო...^[P SEP]

- ყველაფერი კვდება, ზინა, ყველაფერი, მოგონებებიც კი!.. ჩვენი კეთილშობილური გრძნობებიც კვდება. მათ მაგივრად კეთილგონიერება მოდის. არ ღირს ნუნუნი! დატკბი ცხოვრებით, ზინა, დიდხანს და ბედნიერად იცოცხლე. თუკი შეგიყვარდა, შეიყვარე სხვა - სულ მკვდარი ხომ არ გეყვარება! მხოლოდ ხანდახან მომიგონე ხოლმე, ცუდი არ მოიგონო, ცუდი რაც იყო, შემინდე! ხომ იყო ჩვენს სიყვარულში ბევრი კარგი, ზინა! ოქროს დღეები, დაუბრუნებელი დღეები... ყური დამიგდე, ჩემო ანგელოზო, მე ყოველთვის მიყვარდა დაისი. გამიხსენე როდისმე მზის ჩასვლის წინ! ოჰ, არა, არა! არ მინდა, რომ მოვკვდე! ვაიმე, როგორ მინდა გამოჯანმრთელება! გაიხსენე, ჩემო მეგობარო, გაიხსენე ის დრო! მაშინ გაბაფხული იდგა, ირგვლივ კაშკაშა მზე ანათებდა, ყველაფერი ყვაოდა, ჩვენ გარშემო ნამდვილი დღესასწაული იყო... ახლა კი! გახედე! გახედე!^[P SEP]

და საცოდავმა გაძვალტყავებული ხელით მიუთითა შეჭირხლულ და დაბინდულ სარკმელზე. შემდეგ ხელი სტაცა ზინას ხელებს, თვალებთან მიიტანა და მწარედ აქვითინდა. ქვითინმა თითქმის ბოლომდე დაუფლითა ისედაც განანამები გული.^[P SEP]

სნეული მთელი დღე იტანჯებოდა და ტიროდა. ზინას რაც შეეძლო, ანუგეშებდა, მაგრამ ვასიას ტანჯვის შემყურე, მისი გულიც მკვდარი იყო. ავადმყოფს ეუბნებოდა, რომ არასოდეს დაივინყებდა, რომ მასზე მეტად არავის შეიყვარებდა. ვასიას სჯეროდა მისი, იღიმებოდა, ხელებს უკოცნიდა, მაგრამ ძველი მოგონებები კვლავ სტანჯავდა მის სულსა და გულს. ასე გავიდა მთელი დღე. ამასობაში მარია ალექსანდროვნამ ათჯერ მაინც აფრინა კაცი ზინასთან, ემუდარებოდა, სახლში დაბრუნებულყო, ხალხის თვალში საბოლოოდ ნუ დაიღუპავდა თავს. ბოლოს და ბოლოს, როცა შებინდდა, შიშისაგან გონებადაბნელებულმა თავად გადაწყვიტა წასვლა. ზინა მეზობელ ოთახში გამოიხმო და ლამის ფეხებში ჩაუვარდა, სთხოვდა: `აეცილებინა მისთვის ეს უკანასკნელი და მთავარი დარტყმა~. ზინა უკვე ავად იყო, სიცხისგან თავი უსკდებოდა. უსმენდა დედას და არაფერი ესმოდა მისი. მარია ალექსანდროვნა ვერაფერს გახდა, რადგან ზინამ გადაწყვიტა, ამ ღამეს თავზე დადგომოდა მომაკვდავს. მთელი ღამე ავადმყოფის ლოგინს არ მოშორებია. ვასია სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. მეორე დღეც გათენდა, მაგრამ არანაირი იმედი აღარ ჩანდა, რომ სნეული მობრუნდებოდა. მოხუცი დედა გახელებული დარბოდა აქეთ-იქით, თითქმის არაფერი ესმოდა, შვილს წამლებს აძლევდა, რომლებზედაც ის უარს ამბობდა. აგონია დიდხანს გაგრძელდა. ვასიას უკვე ლაპარაკი აღარ შეეძლო. მკერდიდან მხოლოდ დახშული ხრიალი ამოსდიოდა. უკანასკნელ წუთამდე ზინასათვის თვალი არ მოუცილებია, სულ ზინას ძებნაში იყო. როცა მის

თვალეებში უკანასკნელმა შექმა დაიწყო ქრობა, ის ისევ ხელებით ეძებდა ზინას ხელებს და მაგრად ეჭიდებოდა მათ. ამ დროს ზამთრის მოკლე დღეც მიიწურა. როცა ჩამავალი მზის ბოლო სხივმა შემოანათა პატარა ოთახის ერთადერთ სარკმელში, მომაკვდავის სულმა დატოვა ნატანჯი სხეული. მოხუცმა დედამ თავისი ერთას გაციებული სხეული რომ იხილა, ხელი ხელს შემოჰკრა, შეიცხადა და გვამს დაემხო. [SEP]

- ასპიტო გველო, ეს შენ, შენ დატანჯე და დაღუპე, ჩემი შვილი! - უყვიროდასასონარკვეთილი დედაბერი ზინას, - შე წყეულო ავსულო და უკეთურო ადამიანო! [SEP]

ზინას არაფერი ესმოდა. დაჰყურებდა ცხედარს და ჭკუიდან გადასულს ჰგავდა. ბოლოს დაიხარა, მიცვალებულს ჭვარი გადასწერა, ეამბორა და ოთახიდან გავიდა. თვალეები ეწვოდა და თავბრუ ეხვეოდა. ამდენმა ტანჯვამ და ორი დღის უძილო ღამეებმა კინაღამ გონება დააკარგვინა. გაუცნობიერებლად გრძნობდა, თითქოს მთელი მისი წარსული გულიდან ამოუვარდა და ახალი, გაუხარელი და სამიში ცხოვრება დაიწყო. ათიოდე ნაბიჯი ექნებოდა გავლილი, მის წინ მოზგლიაკოვი აღიმართა; ეტყობოდა, საგანგებოდ ელოდა ამ ადგილას. [SEP]

- ზინაიდა აფანასიევნა, - ფრთხილად და ჩურჩულით დაიწყო მან და თან აქეთ-იქით იყურებოდა, რადგან ჭერ კიდევ დღე იყო, - ზინაიდა აფანასიევნა, მე უეჭველად ვირი ვარ! ესე იგი... თუ გნებავთ... ახლა მე ვირი აღარ ვარ, რადგან მაინც კეთილშობილურად ვიქცევი, მაგრამ მაინც ვნანობ იმას, რომ ვირი ვიყავი... ზინაიდა აფანასიევნა, მე მგონი

ავურ-დავურიე, მაგრამ მაპატიეთ, საამისოდ ბევრი მიზეზი მაქვს... [P]
[SEP]

ზინამ უაზროდ შეხედა და გზა გააგრძელა. რადგან მაღალი ხის ტროტუარი ორი კაცისათვის სასიარულოდ ვინრო იყო, ზინა კი გვერდით ადგილს არ უთმობდა, პაველ ალექსანდროვიჩი ტროტუარიდან ჩახტა, გვერდიგვერდ მისდევდა და თვალმოუცილებლად სახეში შესცქეროდა. [P]
[SEP]

- ზინაიდა აფანასიევნა, - გააგრძელა მან, - მე ასე გადავწყვიტე, თუ თქვენი ნება იქნება, ჩემი წინადადება ძალაში რჩება. მე იმაზედაც თანახმა ვარ, ზინაიდა აფანასიევნა, ყველაფერი დავივიწყო, ყველა ის სირცხვილი, მზად ვარ გაპატიოთ. მხოლოდ ერთი პირობით: სანამ ამ ქალაქში ვართ, ყველაფერი საიდუმლოდ დარჩეს. თქვენ აქედან სასწრაფოდ გაემგზავრეთ, მე კი მალე უკან გამოგყვებით, ჯვარი სადმე მიყრუებულ ადგილას დავინეროთ, ასე რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს, შემდეგ კი პეტერბურგში ფოსტის ცხენებით გავემგზავრებით. ოღონდ თან მხოლოდ ერთი პატარა ჩემოდანი იქონიეთ... ჰა? რას იტყვით? თანახმა ხართ თუ არა, ზინაიდა აფანასიევნა? მე ცდა აღარ შემიძლია; შეიძლება ვინმემ დაგვინახოს. [P]
[SEP]

ზინა არ პასუხობდა, მხოლოდ ერთხელ შეხედა მოზგლიაკოვს, მაგრამ ისე შეხედა, რომ ის მაშინვე ყველაფერს მიხვდა. შლაპა მოიხადა, თავი დაუკრა და პირველსავე შესახვევში გადაუხვია. [P]
[SEP]

ნეტა რა ხდება? - გაიფიქრა მოზგლიაკოვმა, - ჯერ კიდევ ამ სამი დღის წინ, იმ საღამოს არ იყო, როცა გრძნობამორეული ყველაფერს თავის თავს აბრალებდა?! რას გაიგებ, ეტყობა, კვირაში შვიდი

პარასკევი აქვს!~^ქ

ამ დროს მორდასოვოში ამბავს ამბავი ემატებოდა. ერთი ტრაგიკული შემთხვევაც მოხდა. მოზგლიაკოვის მიერ სასტუმროში გადაყვანილი მოხუცი კნიაზი იმავე ღამეს მძიმედ გახდა ავად. მორდასოვოელებმა ეს ამბავი დილით შეიტყვეს. კალისტ სტანისლავიჩი ავადმყოფს თითქმის თავიდან არ მოშორებია. საღამოს მორდასოვოელი მედიკოსების კონსილიუმი შედგა. მოსაწვევები მედიკოსებს ლათინურ ენაზე დაუგზავნეს. მაგრამ მიუხედავად ლათინურისა, კნიაზმა მეხსიერება სულ მთლად დაკარგა, ბოდავდა, კალისტ სტანისლავიჩს სთხოვდა, რამე რომანსი ემღერა, გაუთავებლად რაღაც პარიკებზე ელაპარაკებოდა; ხანდახან ვიღაცის ეშინოდა და ყვიროდა. ეჭიმებმა გადანყვიტეს, რომ კნიაზს მორდასოვოელი სტუმართმოყვარეობისაგან სტომაქის ანთება დაემართა, რომელიც როგორღაც თავში გადაუვიდაო (ეტყობოდა, გზად შეიარა). არ გამორიცხავდნენ ზნეობრივ შერყევასაც, ელდა ეცაო! ბოლოს დასკვნა გააკეთეს: კნიაზი დიდი ხანია, სიკვდილისაკენ არის მიდრეკილი და ამიტომ უეჭველად მოკვდებოდა. ამაში კი ნამდვილად არ შემცდარან, რადგან მოხუცმა მესამე დღეს, საღამოხანს, სასტუმროში განუტევა სული. ამ ამბავმა გააოგნა მთელი ქალაქი. ყველა სახტად დარჩა, არავინ არ ელოდა საქმის ასე სერიოზულ დაბოლოებას. ხალხი სასტუმროს მიიწვიდა, სადაც ჯერ კიდევ გასაპატიოსნებელი მიცვალებული ესვენა. იყო ერთი სჯა-ბაასი და აღშფოთებული წამოძახილები, ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ

მკაცრად დაადანაშაულეს 'საცოდავი კნიაზის მკვლელები'. რასაკვირველია, მკვლელებში მარია ალექსანდროვნას და მის ქალიშვილს გულისხმობდნენ. ყველა გრძნობდა, რომ ამ სკანდალურ ისტორიას დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა, რომ ეს ამბავი რუსეთის საზღვრებს გასცდებოდა და შორეულ ქვეყნებამდე მიაღწევდა. კიდევ რას არ ამბობდნენ და რამდენი ვარაუდი არ გამოითქვა. ამ დროს მოზგლიაკოვი აქეთ-იქით დარბოდა, ყველაფერს მიედ-მოედებოდა, ბოლოს და ბოლოს, თავგზა აერია. ასეთ მდგომარეობაში შეხვდა ბინას. მართლაცდა, მოზგლიაკოვი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან ჩამოიყვანა კნიაზი ამ ქალაქში, კმანვე გადაიყვანა სასაატუმროში, ახლა კი არ იცოდა, რა გაეკეთებინა მიცვალებულისათვის, სად ან როდის დაესაფლავებინა, ვისთვის შეეტყობინებინა? წაესვენებინა თუ არა ცხედარი დუხანოვოში? ის ხომ კნიაზის ახლო ნათესავად ითვლებოდა. თანაც ეშინოდა, პატივსაცემი მოხუცის სიკვდილი მე არ დამაბრალონო. 'ამას ხომ პეტერბურგის მაღალი საზოგადოება გაიგებსო!~ - შეძრწუნებული ფიქრობდა. მორდასოვოელებისაგან ვერანაირი რჩევა ვერ მიიღო; ყველას რაღაცის შიში ჰქონდა, ყველამ შორს დაიჭირა თავი და მიცვალებული მართო მოზგლიაკოვს შეატოვეს ხელში. მოულოდნელად გარემოება მკვეთრად შეიცვალა. მეორე დღეს, დილაადრიან, ქალაქს ერთი პიროვნება ეწვია. ამ კაცზე მთელი მორდასოვო ალაპარაკდა, მაგრამლაპარაკობდნენ ფარულად, ჩურჩულით. როცა მან დიდ ქუჩაზე გუბერნატორთან მიმავალმა გაიარა, ყველა ფანჯრიდან უთვალთვალედა. თვითონ

გუბერნატორი, პიოტრ მიხაილოვიჩიც კი ცოტათი შეცბა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ჩამოსულ სტუმართან. სტუმარი კი საკმაოდ ცნობილი კნიაზი შჩეპეტილოვი გახლდათ, მიცვალებულის ნათესავი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდათხუთმეტი წლის პოლკოვნიკი, ეპოლეტებსა და აქსელბანტებში. ამ აქსელბანტების ხილვამ ყველა ჩინოვნიკს მოჰგვარა შიში. მაგალითად, პოლიცმაისტერი სულ ბრინჯივით დაიბნა; ცხადია, ბნელობრივად, თორემ შეხვედრის დროს ფიზიკურად სახეზე იყო, თუმცა აშკარად გაოგნებული სახით. მალე ქალაქში ყველასათვის ცნობილი გახდა, თურმე კნიაზი შჩეპეტილოვი პეტერბურგიდან პირდაპირ დუხანოვოში ჩასულიყო. იქ რომ არავინ დახვედრია, ბიძის საძებნელად მორდასოვოში გამომგზავრებულია, სადაც თავს მეხივით დაატყდა ბიძის სიკვდილი და ამ სიკვდილის გამომწვევ გაჩემოებათა შესახებ ჭორები. გუბერნატორიც კი ცოტა დაბნეული ჩანდა, როცა მას საჭირო ახსნა-განმარტებას აძლევდა. შჩეპეტილოვთან მოსაუბრე თითოეული მორდასოვოელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს მოხუცის გარდაცვალების გამო თავს დამნაშავედ გრძნობდა. ჩამოსულ სტუმარს უკმაყოფილება ეტყობოდა, თუმცა, ჩვენი აზრით, სამდურავი არაფერი უნდა ჰქონოდა, იმდენად გვარიანი მემკვიდრეობა ელოდა. კნიაზი შჩეპეტილოვი საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგა. ნამდვილი, არათვითმარტვია ნათესავის წინაშე მოზღლიაკოვი სამარცხვინოდ დაფრთხა და სადღაც გაქრა - კაცმა არ იცის, სად. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ცხედარი მონასტერში გადაესვენებინათ, სადაც წესს აუგებდნენ. ჩამოსული

სტუმარი განკარგულებას მოკლედ, მშრალად და მკაცრად იძლეოდა, მაგრამ ტაქტით, ყველა წესისა და რიგის დაცვით. მეორე დღეს მთელი ქალაქი მონასტერში შეიკრიბა წესის აგების ცერემონიაზე. მანდილოსნებს შორის უცნაური ხმა გავრცელდა, თითქოს მარია ალექსანდროვნა პირადად დაესწრებოდა წესის აგებას და კუბოსთან მუხლებზე დამხობილი განსვენებულს პატიებას ხმამაღლა სთხოვდა. რასაკვირველია, მსგავსი არაფერი მომხდარა, მარია ალექსანდროვნა ეკლესიაში არც მისულა. ჩვენ დაგვაფინყდა გვეთქვა, რომ იმავე საღამოს, ზინას დაბრუნებისთანავე იგი სოფელში გაემგზავრა, რადგან ქალაქში დარჩენა აუტანელი გახდა. იქ მარია ალექსანდროვნა გულის ფანცქალით ისმენდა ქალაქურ ჭორებს. ქალაქში მსახურს აგზავნიდა ჩამოსული სტუმრის შესახებ ამბების მოსაგროვებლად და სულ მუდამ აფორიაქებული იყო. მონასტრიდან დუხანოვოში მიმავალი გზა მარია ალექსანდროვნას სოფლის სახლიდან ერთი ვერსის მოშორებით გადიოდა, ამიტომ მარია ალექსანდროვნამ თავისუფლად შეძლო მონასტრიდან დუხანოვოში მიმავალი გრძელი სამგლოვიარო პროცესიის დანახვა. სასახლე მაღალი დროგით გადაჰქონდათ; უკან მიჰყვებოდა ეკიპაჟების გრძელი მწკრივი. ეკიპაჟებმა მიცვალებული ქალაქის გადასახვევამდე მიაცილეს. დიდხანს მოჩანდა შორს, ქათქათა თოვლით დაფარულ მინდორში შავად მოკაზმული დროგი, რომელიც შესაფერისი სიდიადითა და ტაატით გადაადგილდებოდა. მაგრამ მარია ალექსანდროვნას დიდხანს ყურება აღარ შეეძლო და ფანჯარას

მომორდა. [P]
[SEP]

ერთი კვირის შემდეგ მარია ალექსანდროვნა, ზინა და აფანასი მატვეიჩი მოსკოვში გადავიდნენ. ერთი თვის თავზე კი მორდასოვოში ხმები დაირხა, რომ მათი სოფელი და ქალაქის სახლი იყიდებოდა. მაშასადამე, მორდასოვო სამუდამოდ კარგავდა ასეთ კომილფო1 ქალბატონს! ენაგართალები ყიამყრალობდნენ, სოფლის სახლი აფანასი მატვეიჩთან ერთად იყიდებო... გავიდა ერთი წელი, მეორეც და მარია ალექსანდროვნა მორდასოვოში თითქმის სრულიად გადაავიწყდათ. ვაი რომ, ეს ქვეყანა ასეა მონყობილი! ამბობდნენ, თითქოს მან ახალი სოფელი იყიდა და სხვა გუბერნიის ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც, ცხადია, ყველას თავის ჭკუაზე დაატარებსო, რომ ზინა კვლავ გაუთხოვარია, აფანასი მატვეიჩი კი... თუმცა არ ღირს ამ ჭორების გამეორება; ყველაფერი ეს სინამდვილეს არ შეეფერება. [P]
[SEP]

[P]
[SEP]

--- [P]
[SEP]

მას შემდეგ, რაც მორდასოვული ქრონიკების პირველი ნაწილის ბოლოს სტრიქონი დავწერე, სამი წელი გავიდა და ვინ იფიქრებდა, რომ კვლავ მომიხდებოდა ჩემი ხელნაწერის გადაშლა და ამ ამბისათვის კიდევ ერთი ცნობის დამატება. სჯობს საქმეს შევუდგეთ! ამ ისტორიის გაგრძელებას პაველ ალექსანდროვიჩ მოზგლიაკოვიდან დავიწყებ. მორდასოვოდან გამოქცეული მოზგლიაკოვი პირდაპირ პეტერბურგში ჩავიდა, სადაც დაუბრკოლებლად მიიღო ის

თანამდებობა, რასაც ადრე ჰპირდებოდნენ. მორდასოვული ამბები მალე გადაავიწყდა. იგი ვასილის კუნძულისა და გალერების ჰავანის¹ მაღალი საზოგადოების ცხოვრების ორომტრიალში ჩაება, დარდიმანდობდა და მექალთანეობდა, ცხოვრებას არ ჩამორჩებოდა. ერთხელ ვილაც შეიყვარა კიდევ და ხელი სთხოვა, მაგრამ კვლავ უარი სტკიცეს. ამაზე დაბოლმილი, კიდევ თავქარიანობისა და უსაქმობის გამოც, ერთ-ერთ ექსპედიციაში ჩაენერა, რომელიც სარევიზიოდ, თუ რაღაც სხვა მიზნებისათვის ჩვენი თვალუნვდენელი სამშობლოს რომელიღაც შორეულ კუთხეში მიემგზავრებოდა. ექსპედიციამ მშვიდობიანად განვლო ყველა ტყე-ღრე, უდაბნო და, როგორც იქნა, ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ მიაღწია იმ შორეული კუთხის მთავარ ქალაქს, სადაც გენერალ-გუბერნატორი იჯდა. გენერალ-გუბერნატორი მაღალი, ხმელ-ხმელი, მკაცრი გამომეტყველების კაცი გახლდათ, ხანში შესული, ომებში დაიარაღებული მრავალჭირნახული მებრძოლი. მკერდზე ორი ვარსკვლავი ეკეთა, ყელზე კი - თეთრი ჭვარი. გუბერნატორმა ექსპედიცია მედიდურად, მაგრამ დარბაისლურად მიიღო და ექსპედიციის ყველა წევრი მეჭლისზე მიიწვია, რომელიც გუბერნატორის ცოლის დღეობას ეძღვნებოდა. პაველ ალექსანდროვიჩი ამით ძალიან კმაყოფილი დარჩა. ის თავის იმ პეტერბურგულ კოსტიუმში გამოენყო, რომელიც ეგონა, რომ დიდ ეფექტს მოახდენდა და თამამად შეაბიჯა დიდ დარბაზში, თუმცა შესვლისთანავე გაშრა, ისეთი ვარსკვლავებით მკერდდამშვენებული, სქელ და გრეხილფოლეთებიანი და სამოქალაქო მუნდირებში

გამონყობილი საზოგადოება იხილა. საჭირო იყო გენერალ-გუბერნატორის მეუღლესთან მისვლა და პატივის მიგება. მის შესახებ გაგონილი ჰქონდა, რომ ახალგაზრდა და ლამაზი ქალი ბრძანდებოდა. პაველ ალექსანდროვიჩი დიდი ამბით მიუახლოვდა იუბილარს და უცებ გაქვავდა. მის წინ ჩინებულ სამეჭლისო სამოსში გამონყობილი და ბრილიანტებით მორთულ-მოკაზმული ამაყი და ქედმაღალი ზინა იდგა. ზინამ საერთოდ ვერ იცნო პაველ ალექსანდროვიჩი. გულგრილად შეხედა და მზერა უმაღლეს სხვაზე გადაიტანა. შეცბუნებული მოზგლიაკოვი განზე გავიდა და ხალხში ერთ მორცხვ ახალგაზრდა კაცს შეეჩხება, რომელსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდა, გენერალ-გუბერნატორის მეჭლისზე მოხვედრის გამო საკუთარი თავის ეშინიაო. პაველ ალექსანდროვიჩმა ახალგაზრდა კაცისგან ბევრი საინტერესო რამ გაიგო. თურმე ამ ორი წლის წინ, მოსკოვში ყოფნის დროს გენერალ-გუბერნატორი დაქორწინებულა და ცოლად მოუყვანია ქალიშვილი ერთ-ერთი ცნობილი და ძალიან მდიდარი ოჯახიდან. გენერლის თანამეცხედრე `საშინლად ლამაზი ქალია, შეიძლება ითქვას, მზეთუნახავი, მაგრამ მხოლოდ გენერლებს ეცეკვება~; ამ მეჭლისზე კი ცხრა გენერალია, აქაური თუ ჩამოსული, მოქმედი `სტატსკი სოვეტნიკების~1 ჩათვლითო; დაბოლოს, `გუბერნატორის მეუღლეს დედა ჰყავს, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობს, მაღალი საზოგადოების ქალბატონი და თანაც ჭკვიანი პიროვნება~ - მაგრამ ეს დედიკო თავის ქალიშვილს უსიტყვოდ ემორჩილება, ხოლო

გენერალ-გუბერნატორს თავის ცოლზე მზე და მთვარე ამოსდისო. მოზგლიაკოვმა აფანასი მატვეიჩი ახსენა, მაგრამ ამ შორეულ კუთხეში მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ცოტა ხასიათზე მოსული პაველ ალექსანდროვიჩი ოთახებში გადი-გამოდიოდა. ერთ ოთახში მშვენივრად ჩაცმულ-დახურული მარია ალექსანდროვნა შენიშნა, რომელიც ძვირფას მარაოს აქეთ-იქეთ იქნევდა და ხალისიანად ესაუბრებოდა ვიღაც მეოთხე კლასის პერსონას. მას გარშემო, ყველას რომ ფეხქვეშ ეგებიან, ისეთი თითლიბაზი ქალბატონები ეხვია. ეტყობოდა, მარია ალექსანდროვნა ყველას თავაზიანად ექცეოდა. მოზგლიაკოვმა გაბედა და გამოეცხადა მას. მარია ალექსანდროვნა ერთი კი შეკრთა, მაგრამ წამსვე თავი ხელში აიყვანა და მოზგლიაკოვს თავაზიანად მიესალმა. მოიკითხა პეტერბურგელი საერთო ნაცნობები და ჰკითხა, საზღვარგარეთ რატომ არ წახვედითო? მორდასოვოზე კრინტი არ დაუძრავს, თითქოს ეს ქალაქი ამქვეყნად საერთოდ არ არსებობდა. დასასრულ, ვიღაც პეტერბურგელი კნიაზის სახელი ახსენა და მისი ჭანმრთელობით დაინტერესდა, მაგრამ მოზგლიაკოვი აზრზე ვერ მოვიდა, ვისზე ელაპარაკებოდა. ამასობაში მარია ალექსანდროვნამ მასთან მოსულ ვიღაც ჭაღარა წარჩინებულ მოხელეს მიმართა და უმაღლ გადაავინყდა მის წინ მდგარი პაველ ალექსანდროვიჩი. სარკასტული ღიმილითა და ხელში შლაპით მოზგლიაკოვი დიდ დარბაზში დაბრუნდა. თავადაც არ იცოდა რატომ, თავს განანყენებულად თვლიდა, შეურაცხყოფილადაც კი, ამიტომ გადანყვიტა, არ ეცეკვა. მთელი საღამო დაღვრემილ-დაბნეული

გამომეტყველება ჰქონდა და სახიდან მეფისტოფელის ღიმილი არ მოშორებია. მეჭლისის განმავლობაში, რამდენიმე საათს, სვეტს მოხდენილად მიყრდნობილი იდგა (თითქოს საგანგებოდ მისთვის, დარბაზი სვეტებიანი იყო) და თვალს არ აშორებდა ზინას. მაგრამ, ვაი რომ, ყველა ფოკუსი, უცნაური პოზები, განბილებული გამომეტყველება და სხვა და სხვა - წყალში ჩაეყარა. ზინას ის საერთოდ არ შეუმჩნევია. ბოლოს და ბოლოს, გაცოფებული, ფეხზე დგომით გადაღლილი, მშვიერი - ვახშამზე ხომ არ დარჩებოდა შეყვარებულისა და ნამებულის როლში - დაბრუნდა თავის ბინაში. ისე იყო გატანჯული, თავს ნაცემივით გრძნობდა. დასაძინებლად კარგახანს არ დანოლილა, დიდი ხნის გადავიწყებული ამბები წამოაგონდა. მეორე დღეს სადღაც მივლინების საჭიროება გაჩნდა და მოზგლიაკოვი იქ გამგზავრებას სიამოვნებით დათანხმდა. როცა ქალაქი დატოვა, ცოტა ხასიათზე მოვიდა. უსასრულო, უკაცრიელ სივრცეს ქათქათა თოვლის საბურველი ეფარა. შორს, ცისა და მიწის შესაყართან, შავად მოჩანდა ტყის ბოლი.^[SEP]

მიქროდნენ ფიცხელი ცხენები და თოვლის კორიანტელს აყენებდნენ. რეკავდნენ ბანბალაკები. პაველ ალექსანდროვიჩი ჩაფიქრდა, მერმე ოცნებებში წავიდა, შემდეგ კი მშვიდად ჩაეძინა. მხოლოდ მესამე სადგურზე გამოეღვიძა, კარგა გამოძინებულს და სალ-სალამათს. ახლა მას თავში სრულიად სხვა ამრები უტრიალებდა.^[SEP]

wignis el versia moamzada: DiaDma
DaTuCHam.

diadi datuchas momzadebuli el. wignebis sanaxavad
ewviet jgups:

